

ვლადიმერ ნაბოკოვი

სებასტიან ნაითის ნამდვილი ცხოვრება

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ

თბილისი 2016

თავი პირველი

სებასტიან ნაითი 1899 წლის 31 დეკემბერს დაიბადა ჩემი სამშობლოს ყოფილ დედაქალაქში. ერთხელ, პარიზში ყოფნისას, ხანში შესულმა რუსმა ქალბატონმა, რომელმაც, ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, მთხოვა, მისი სახელი არავისთვის გამემხილა, თავისი ძველი დღიური მანახა. ის წლები, როგორც ჩანს, მოვლენების ისეთი სიმწირით გამოირჩეოდა, რომ ყოველდღიური წვრილმანების დაგროვება და ჩამოთვლა (რაც, ჩვეულებრივ, თვითშენარჩუნების ძალზე არასაიმედო ხერხია) სხვა არაფერი იყო, თუ არა მხოლოდ განვლილი დღის ამინდის აღწერა. საინტერესოა, რომ დიდგვაროვანთა უმრავლესობის კერძო დღიურებიც, მათ ადგილ-მამულებზე თავს დატეხილი სხვადასხვა განსაცდელის მიუხედავად, ძირითადად, ამავე თემას ეძღვნება. ზოგჯერ ბედი მას უფრო გაუღიმებს ხოლმე, ვინც იღბალს სანთლით არ დაეძებს. მეც ასე დამემართა — განზრახ რომ მეძებნა, მაინც ვერაფრით მივაგნებდი იმას, რაც მანახვეს. ასე კი შემიძლია გამცნოთ, რომ სებასტიანი უქარო და ნათელ დილას მოევლინა ქვეყანას, თერმომეტრი თორმეტ გრადუს ყინვას უჩვენებდა (რეომიურით¹). თუმცა სულ ეს იყო, რაც გულკეთილმა მოხუცმა ქალმა აღნიშვნის ღირსად მიიჩნია. სიმართლე გითხრათ, მისი სახელის საიდუმლოდ შენახვის მიზეზს ვერ ვხედავ — წარმოუდგენელია, მან ეს წიგნი ოდესმე წაიკითხოს. ამიტო-

¹ რეომიური — ერთგვარი თერმომეტრი. 1 რეომიური უდრის ცელსიუსის 0.926 გრადუსს.

მაც გეტყვით, რომ მას ოლგა ოლეგოვნა ორლოვა ერქვა და ახლაც ჰქვია — დასანანი იქნებოდა, ამ ოსებრი ალიტერაციის¹ დამალვა.

მისი მშრალი პატაკი ვერაფერს ეტყვის შინაყუდა მკითხველს ზამთრის პეტერბურგული დღის დაფარულ, თუმცა ნაგულისხმევ მშვენიერებათა შესახებ: უღრუბლო, კრიალა ზეცა მხოლოდ თვალის გასახარად მოევლინებინა ბუნებას და არა სხეულის გასათბობად; ფართო ქუჩებში, მოყინულ თოვლში, მარხილების თავკავეების ნაკვალევი ბრწყინავდა, მათ შორის შიგადაშიგ ცხენების მიერ დატოვებული მოყვითალო-წითური ფუნის გუნდები მოჩანდა; წინსაფრიან გამყიდველს ხელში ერთმანეთზე გადაბმული კაშკაშა, ნაირფერი ბუშტები ეჭირა; აგერ კონტურები ტაძრის გუმბათისა, რომლის ოქროც შეყინულ მტვერს გაეფერმკრთალებინა; ქალაქის ბაღებში კობტად მდგარ არყის ხეებს ყოველი ტოტი საგულდაგულოდ შესთეთრებოდათ; სხვადასხვა მხრიდან ზამთარში ქუჩებისთვის დამახასიათებელი ღრჭიალი და ზარ-ზან-ზალაკების რეკვა ისმოდა. სხვათა შორის, ძველი საფოსტო ბარათის ყურებისას (იმის მსგავსისას, მაგიდაზე რომ დავდე მეხსიერების თავშესაქცევად) უცნაური გრძნობა გეუფლება კაცს — გახსენდება, როგორ უთავბოლოდ უხვევენ ხოლმე აქეთ-იქით რუსი მეეტლეები, როცა მოეპრიანებათ, ასე რომ, თანამედროვე ტრანსპორტის მოწესრიგებული და სწორხაზოვანი ნაკადის ნაცვლად, ამ გაფერადებულ ფოტოსურათზე განიერ, თითქოს სიზმარში ნანახ ქუჩას ხედავთ, სადაც მსუბუქი ოთხთვალეები ყოველ მხარეს დაქრიან კრიალა ლურჯი ცის ქვეშ, რომელსაც ტრაფარეტული მოგონება გვერდებს უვარდისფრებს.

ვერსად მივაგენი იმ სახლის სურათს, სადაც სებასტიანი დაიბადა, თუმცა ის კარგად მახსოვს, ვინაიდან მეც იქ დავიბადე ექვსი წლის თავზე. ჩვენ საერთო მამა გვყავდა, რომელმაც მალევე მოიყვანა მეორე ცოლი სებასტიანის დედას-

¹ ალიტერაცია — ლექსის ტაეპში ერთი და იმავე თანხმოვნის რამდენჯერმე გამეორება.

თან გაყრის შემდეგ. უცნაურია, მაგრამ ეს მეორე ქორწინება ნახსენებიც არაა მისტერ გუდმენის წიგნში, სახელწოდებით „სებასტიან ნაითის ტრაგედია“ (იგი 1936 წელს გამოიცა. დანვრილებით მას მოგვიანებით დავუბრუნდები). ასე რომ, გუდმენის მკითხველებისთვის მე არც ვარსებობ, ვილაც გამოგონებული ნათესავი, სიტყვამრავალი თვითმარქვია ვარ. თუმცა თვითონ სებასტიან ნაითი თავის თხზულებაში („დავინწყებული ნივთები“) რამდენიმე კეთილ სიტყვას არ იშურებს დედამისისთვის, რაც მან, ვფიქრობ, უდავოდ დაიმსახურა. არც სებასტიანის გარდაცვალების შემდეგ ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნებული მასალაა სრული სიმართლე, რომლის თანახმადაც, მამამისი 1913 წელს დუელში მოკლეს. სინამდვილეში, იგი მკერდში დაიჭრა და უკვე გამომჯობინების გზაზე იდგა, როდესაც ერთი თვის თავზე გაცივდა და ბოლომდე მოურჩენელი ფილტვებით მას ვერ გაუმკლავდა.

ამ შესანიშნავ ჯარისკაცს, გულისხმიერ, იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ, მამაც ადამიანს აზარტული დაუდგრომლობა მოსჭარბებოდა, რაც მემკვიდრეობით აისახა სებასტიანის შემოქმედებაში. როგორც ამბობენ, ამ ზამთარს სამხრეთ კენსინგტონში გამართულ ლიტერატურულ საუბრეზე ერთ ცნობილ ხანდაზმულ კრიტიკოსს, რომელსაც ყოველთვის ვაფასებდი ბრწყინვალე ჭკუისა და ერუდიციის გამო, ასე უთქვამს, როდესაც საუბარი სებასტიანის უდროო სიკვდილს შეეხო: „საბრალო ნაითი! რეალურად, მას ორი პერიოდი ჰქონდა: თავდაპირველად მოსაწყენი პიროვნება დამტვრეული ინგლისურით წერდა, შემდეგ კი წელში გატეხილი კაცი — მოსაწყენი ინგლისურით“. ბოროტი, საძაგელი ხუმრობა, მით უმეტეს, რომ გაცილებით ადვილია გარდაცვლილი მწერლის წიგნებზე პუტუნი. იმედია, ამ ხუმრობის გახსენება სიამაყეს ვერ მოჰგვრის მის ავტორს, რომელმაც გაცილებით მეტი თავშეკავებულობა გამოიჩინა რამდენიმე წლის წინათ სებასტიან ნაითის წიგნის რეცენზირებისას.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, გარკვეულწილად, სებასტიანის არცთუ მოსაწყენ ცხოვრებას მაინც აკ-

ლდა მისი ლიტერატურული სტილისთვის დამახასიათებელი უსაზღვრო ენერჯია. ყოველთვის, როდესაც მის რომელიმე წიგნს ვათვალიერებ, თითქოს თვალნათლივ ვხედავ აჩქარებით შემოსულ მამას, რომელიც, მისთვის დამახასიათებელი მანერით, ფართოდ აღებს კარს და დაუყოვნებლივ ჰკიდებს ხელს საჭირო ნივთს ან საყვარელ არსებას. პირველი მოგონება არასდროს იცვლება — სუნთქვაშეკრული მივისწრაფვი ზემოთ ატაცებული, თან ხელს არ ვუშვებ სათამაშო მატარებელს. ჩემი თავი ჭალის ბროლის საკიდრების სიახლოვესაა. მამა ისევე მოულოდნელად ჩამომსვამდა ხოლმე, როგორც ამიტაცებდა, ან როგორც სებასტიანის პროზა დასცემს ძირს მკითხველს და განცვიფრებულს მომდევნო აბობოქრებული პასაჟის სიღრმისკენ გააქანებს. მამისეულმა ზოგიერთმა საყვარელმა მოსწრებულმა სიტყვამ ნაითისთვის დამახასიათებელ ისეთ ნაწარმოებებში იხარა საოცარი ყვავილის სახით, როგორიცაა „ალბინოსი შავებში“ და „მხიარული მთა“ — შესაძლოა, მის საუკეთესო, საუცხოო, მშვენიერ მოთხრობაში, რომელიც ყოველთვის ძილში გაცინებულ ბავშვს მაგონებს.

მამაჩემმა, მაშინ ახალგაზრდა გვარდიელმა, ვირჯინია ნაითი საზღვარგარეთ შვებულებაში ყოფნისას, თუ სწორად მახსოვს, იტალიაში გაიცნო. მათი პირველი შეხვედრა რაღაცით ოთხმოცდაათიან წლებში რომში მეღიებზე ნადირობას უკავშირდებოდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამის შესახებ დედამ მიაშბო თუ თვალწინ ანგარიშმიუცემლად მიდგება რომელიღაც გახუნებული ფოტოსურათი ოჯახური ალბომიდან. მამა დიდხანს ცდილობდა მისი გულის მოგებას. დედა ედუარდ ნაითის, მდიდარი და პატივცემული კაცის ქალიშვილი იყო. მის შესახებ მეტი არაფერი ვიცი, მაგრამ იმის მიხედვით, რომ ჩემი მკაცრი და თავნება ბებია (მახსოვს მისი მარაო, ფათათურები, ცივი თეთრი თითები) გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა მათ ქორწინებას და ამის საკუთარ საპირწონე მოსაზრებებს მაშინაც კი იმეორებდა, როდესაც მამაჩემს უკვე მეორე ცოლი ჰყავდა, იმ დასკვნისკენ ვიხრები, რომ ნაითების გვარი (თავისთავად) სრულად ვერ აკმაყოფილებდა ძველი

რუსი დიდგვაროვნების მოთხოვნებს (რაც უნდა იგულისხმებოდეს მათში). არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მამაჩემის პირველი ქორწინება მისი პოლკის წესდებას არ ეწინააღმდეგებოდა. ასეა თუ ისე, სამხედრო ასპარეზზე წარმატებას მან მხოლოდ იაპონიასთან ომის დროს მიაღწია, მას შემდეგ, რაც ცოლმა მიატოვა.

მამა რომ დავკარგე, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, და დედაჩემმა მხოლოდ გაცილებით გვიან, 1922 წელს, ბოლო, სიკვდილისწინა ოპერაციამდე რამდენიმე თვით ადრე გამანდოის ამბები, რომლებიც, მისი აზრით, უნდა მცოდნოდა. მამაჩემის პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა. უცნაური მეუღლე ჰყავდა, მოუსვენარი და უდარდელი არსება, ოღონდ ეს მოუსვენრობა მამაჩემისას არ ჰგავდა. მამა ყოველთვის რაღაცისთვის იბრძოდა და ძალისხმევის ობიექტს სასურველის მიღწევის შემდეგ იცვლიდა. ქალი კი უხალისოდ, ახირებულად, არათანამიმდევრულად მოქმედებდა, მიზანს ხან ძალიან შორდებოდა, ხან შუაგზაზე ისე ავიწყდებოდა, როგორც ქოლგა რჩებათ ხოლმე ტაქსიში. მას თავისებურად უყვარდა ქმარი, ოღონდ, თავაზიანად რომ ვთქვათ, ძალზე თავისებურად, და როდესაც ერთხელ დაიჟინა, რომ სხვა შეუყვარდა (მამამ იმ კაცის სახელი ვერასდროს გაიგო), ქმარ-შვილი ისევე მოულოდნელად მიატოვა, როგორც წვიმის წვეთი დაგორდება ხოლმე იასამნის ფოთლის ბოლოსკენ. მბრწყინავი ტვირთის გარეშე დარჩენილი ფოთლის შეკრთომა მამას, როგორც ჩანს, მწვავე ტკივილს აყენებდა. ამიტომ არ მინდა წარმოსახვა დიდხანს შევაჩერო იმ დღეზე, როდესაც პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში ოთხი წლის სებასტიანს დაბნეული და გაოცებული ძიძა უვლიდა, მამა კი ოთახში ჩაიკეტა, „იმ განსაკუთრებულ სასტუმროს ნომერში, საუცხოოდ რომ შეეფერებოდა ყველაზე ცუდ ტრაგედიას: პირქუშ ბუხარზე შუშის ხუფში მოქცეული ბრინჯაოს გაჩერებული საათი (შეღებილი უღვაშის მსგავსი ისრები პირველ საათსა და ორმოცდაათ წუთს უჩვენებდა), ფრანგული ფანჯარა და ბუზი, უთავბოლოდ რომ აწყდებოდა აქეთ-იქით მუსლინსა და პანელს შო-

რის, აგრეთვე სასტუმროს საწერი ქალაქი მრავლის მნახველ საშრობიან ბლოკნოტზე“. ეს ნაწყვეტია მოთხრობიდან, სახელწოდებით „ალბინოსი შავებში“, რომლის შინაარსსაც არაფერი აქვს საერთო ამ კონკრეტულ უბედურებასთან, მაგრამ რომელმაც სასტუმროს უფერულ ნოხზე მდგარი ბავშვის წუხილის შორეული მოგონება შემოინახა, როდესაც უსაქმოდ ხარ და დრო უცნაურად ფართოვდება, გზას ასცდება და სადღაც იკარგება...

შორეულ აღმოსავლეთში გაჩაღებულ ომში მონაწილეობამ მამას აქტიური საქმიანობის შესაძლებლობა მისცა, რამაც ვირჯინია თუ არ დაავინყა, ცხოვრებას აზრი მაინც დაუბრუნა. მოჭარბებული ეგოიზმი მხოლოდ ფორმა იყო ვაჟკაცური ენერჯისა და ამიტომაც სრულიად შეესაბამებოდა ბუნებით გულუხვი ადამიანის ნატურას. გამუდმებული დაღვრემილობა, თვითგანადგურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, უღირს საქციელად, სამარცხვინო კაპიტულაციად მიაჩნდა. როდესაც 1905 წელს მეორედ დაქორწინდა, ალბათ, სიამოვნებდა იმის გაცნობიერება, რომ ბედთან ერთაბრძოლაში გაიმარჯვა.

ვირჯინია ხელმეორედ 1908 წელს გამოჩნდა. იგი მოგზაურობის ტრფიალი გახლდათ, გამუდმებით გადაადგილდებოდა და ერთნაირად კარგად გრძნობდა თავს როგორც პატარა პანსიონში, ისე ძვირფას სასტუმროში, ასე რომ, „საკუთარი სახლის“ ცნება მისთვის გამუდმებული ცვლილებების მყუდროებას ნიშნავდა. სწორედ მისგან დაჰყვა სებასტიანს უცნაური, თითქმის რომანტიკული სიყვარული საძილე ვაგონებისა და დიდი და სწრაფი ევროპული სამგზავრო მატარებლებისა, მოსწონდა „გაპრიალებული პანელების ჭრაჭუნი ლამით, ლურჯი ჩრდილების საფარქვეშ, ბუნდოვნად ცნობილ სადგურებზე მუხრუჭების გრძელი, სევდიანი ამოოხვრა, ფანჯარაზე ჩამოკიდებული ფარდის ზედა, გოფრირებული ტყავის დონეზე გამოჩენილი პლატფორმის ხედი, მეზარგული, ჩემოდნებს ურიკით რომ მიაგორებდა, გაზით დატენილი ქუჩის ფარნის რძისებრი ბურთულა და მის გარშემო თავდაუზოგავად მფრინავი ფარვანა, ბორბლების შემმონმებელი უხი-

ლავი რკინიგზელის მიერ შემორტყმული ჩაქურჩის ღრჭიალი, შემადგენლობის მდოვრედ დაძვრა სიბნელეში, წამით გაელვებული სახე მარტოხელა ქალისა, საგზაო ნესესერში ჩანყობილი ვერცხლისფერი ნივთები განათებული კუპეს ლურჯ ხაკერდზე რომ გადააქვს“.

ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს იგი ჩრდილოეთის ექსპრესით მოვიდა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, და ბარათი გამოგზავნა შვილთან შეხვედრის თხოვნით. მამა სოფელში დათვზე ნადირობდა, ამიტომ დედაჩემმა მშვიდად მოჰკიდა ხელი სებასტიანს და სასტუმრო „ევროპულში“ წაიყვანა, სადაც ვირჯინია მხოლოდ ერთი ღამით შეჩერდა. სწორედ იქ, ვესტიბიულში, ნახა მან თავისი ქმრის პირველი ცოლი, გამხდარი, ოდნავ მოუხეშავი ქალი პატარა მოძრავი სახითა და უშველებელი შავი შლაპით, რომელმაც ვუალი ტუჩებზემით ასწია, რათა ბიჭისთვის ეკოცნა, მაგრამ შეეხო თუ არა, მაშინვე ტირილი წასკდა, თითქოს სებასტიანის თბილი საფეთქელი მისი მწუხარების გამომწვევიც იყო და მანუგეშებელიც. შემდეგ ხელთათმანი ჩაიცვა და დედაჩემს ცუდი ფრანგულით უამბო სულელური და სრულიად უსარგებლო ამბავი ვილაც პოლონელი ქალისა, ვაგონ-რესტორანში მისთვის ხელჩანთის მოპარვას რომ ცდილობდა. ბოლოს სებასტიანს ხელში ერთი გირვანქა დაშაქრული იები ჩაუყარა, დედაჩემს ნერვიულად გაუღიმა და მეზარგულს გაჰყვა, რომელმაც მისი ჩემოდნები გაიტანა. ყველაფერი ამით დასრულდა, მომდევნო წელს კი იგი გარდაიცვალა.

მისი ბიძაშვილისგან, ჰ. ფ. სტეინტონისგან შევიტყვეთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მას სამხრეთ საფრანგეთში უმოგზაურია, სადაც ერთი-ორი დღით ჩერდებოდა ხოლმე ცხელ, მიყრუებულ პატარა ქალაქებში, რომლებსაც ტურისტები იშვიათად სტუმრობენ — ალგზნებული, მარტოხელა (თავისი საყვარელი მიატოვა) და, სავარაუდოდ, ძალზე უბედური. კაცი იფიქრებდა, ვილაცას ან რალაცას გაურბისო, ვინაიდან გავლილ გზას უბრუნდებოდა, თითქოს კვალის არევის ცდილობდა. მეორე მხრივ, მათ, ვინც მისი ხასიათი იცო-

და, ეს შფოთვა და ბორგვა მისთვის ჩვეული მოუსვენრობის უკანასკნელ, მოჭარბებულ გამოვლინებად მოეჩვენებოდა. იგი გულის შეტევისგან (ლემანის ავადმყოფობა¹) გარდაიცვალა 1909 წლის ზაფხულში, ქალაქ როკბრიუნში. მისი ცხედარი უდავიდარაბოდ გადაასვენეს ინგლისში. ნათესავთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩენოდა, ამიტომ ლონდონში მის დაკრძალვას მხოლოდ მისტერ სტიენტონი დაესწრო.

ჩემი მშობლები ბედნიერად ცხოვრობდნენ. მათ უშფოთველ და ნაზ კავშირს ვერაფერს აკლებდა ზოგიერთი ჩვენი ნათესავის ავენიანობა, რომლებიც ჩურჩულებდნენ, რომ, მართალია, მამაჩემი მოსიყვარულე მეუღლე იყო, შიგადაშიგ არც სხვა ქალებზე ამბობდა უარს. ერთხელ, 1912 წელს, საშობაოდ, მისმა ნაცნობმა, მომხიბლავმა, მაგრამ დაუფიქრებელმა ქალიშვილმა ნევის პროსპექტზე სეირნობისას წამოაყრანტალა, თითქოს მისი დის საქმრო, ვინმე პალჩინი, მამაჩემის პირველ ცოლს იცნობდა. მამამ მიუგო, რომ ახსოვდა ის კაცი, რომ ერთმანეთი იმ შემთხვევამდე ცხრა თუ ათი წლის წინ ბიარიცში გაიცნეს...

— დიახ, ის მერეც ხვდებოდა მას, — განაგრძო ქალმა, — დას გამოუტყდა, რომ ვირჯინიასთან თქვენი დაშორების შემდეგ ცხოვრობდა, რომელსაც იგი სადღაც შვეიცარიაში მიუტოვებია... საინტერესოა, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

— თუ ეს მაშინ არ გახმაურებულა, — მშვიდად მიუგო მამაჩემმა, — ახლა მით უმეტეს აღარ ღირს მასზე ლაპარაკი.

გარემოებათა უიღბლო დამთხვევის გამო, ამ საუბრის მომდევნო დღეს კაპიტანმა ბელოვმა, ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარმა, სასხვათაშორისოდ ჰკითხა მამაჩემს: მართალია თუ არა, რომ თქვენი პირველი მეუღლე წარმოშობით ავსტრალიიდან არისო? მას, ანუ კაპიტანს, ყოველთვის მიაჩნდა, რომ იგი ინგლისელი იყო. მამამ მიუგო, რომ, როგორც იცოდა, მისი მშობლები ერთხანს მეღბურნში ცხოვრობდნენ, ცოლყოფილი კი კენტში დაიბადა.

¹ ლემანის ავადმყოფობა — გულის ერთგვარი დაავადება.

— ...რატომ მეკითხებით? — დაამატა მან.

კაპიტანმა ორჭოფულად უპასუხა, თითქოს რომელიღაც წვეულებაზე მისი ცოლისთვის ვიღაცას რაღაც ეთქვა.

— როგორც ჩანს, ამას ბოლო უნდა მოვუღო, — თქვა მამამ.

დილით იგი პალჩინს ეწვია, რომელმაც იგი იმაზე გულღიად მიიღო, ვიდრე ამას ეტიკეტი მოითხოვდა. განაცხადა, რომ მრავალი წელი გაეტარებინა საზღვარგარეთ და ძველ ნაცნობებთან შეხვედრა სიამოვნებას ჰგვრიდა.

— ხალხში ბინძურ ქორს ავრცელებენ, — უთხრა მამაჩემმა დაუფდომლად, — ვფიქრობ, იცით, რაზეა საუბარი.

— მომისმინეთ, ჩემო კარგო, — მიუგო პალჩინმა, — თავს ვერ მოვიკატუნებ, თითქოს ვერ ვხვდები, რასაც გულისხმობთ. ვწუხვარ, რომ ეს მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა, მაგრამ ამის გამო ხომ არ გავცხარდებით... ვისი რა ბრალია, თუ ოდესღაც მე და თქვენ ერთსა და იმავე ნავში ვისხედით...

— ასეთ შემთხვევაში, სერ, — თქვა მამაჩემმა, — ჩემს სეკუნდანტებს გამოგიგზავნით.

დედაჩემის მონათხრობიდან (იგი ამ ამბავს ძალზე ცოცხლად და შთამბეჭდავად მიყვებოდა, მეც იმავეს ვცდილობ) ის მაინც შევიტყვე, რომ პალჩინი არამზადა და სულელი იყო, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ არამზადა და სულელი იყო, ვერაფრით გამეგო, როგორ შეეძლო მრავალი ღირსებით შემკულ მამაჩემს, საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შეეგდო და დაეცვა — რა? ვირჯინიას შელახული პატივი? შურისძიება სწყუროდა? თუმცა ვირჯინიას ღირსება სამუდამოდ გაექრო მისი გაქცევის ფაქტს, შურისძიებასთან დაკავშირებული მწარე ფიქრები კი მეორე, ბედნიერი ქორწინების წლებს უნდა დაეტკბო. მაგრამ იქნებ ამ ყველაფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოთქმულმა სახელმა და დანახულმა სახემ მიანიჭა? ან შინაურ და უსახო აჩრდილზე რაღაც პირადულის გროტესკულმა ანაბეჭდმა? და, საბოლოოდ, ღირდა კი შორეული წარსულის ეს გამოძახილი (როგორ სუფთადაც უნდა იყვიროს კაცმა, ექო უფრო ხშირად ყეფით ბრუნდება) იმ უბე-

დურებად, რომელიც მან ჩვენს სახლს მოუტანა, და დედაჩემის ასე დასამწუხრებლად? დუელი გაყინული მდინარის ნაპირას ქარბუქიან ამინდში შედგა. ორივემ გაისროლა. მამაჩემი პირქვე დაეცა თოვლზე გაფენილ მონაცრისფრო-მოლურჯო სამხედრო ფარაჯაზე. პალჩინმა ათრთოლებული თითებით სიგარეტს მოუკიდა. კაპიტანმა ბელოვმა მოშორებით, დათოვლილ გზაზე მორჩილად მდგომ მეეტლეებს დაუძახა. ეს საშინელება სამ წუთს გაგრძელდა. „დაკარგულ ნივთებში“ სებასტიანი იანვრის იმ სამწუხარო დღესთან დაკავშირებულ საკუთარ შთაბეჭდილებებს აღწერს.

„მოახლოებული მოვლენის შესახებ არც ჩემმა დედინაცვალმა იცოდა, — წერს ის, — და არც რომელიმე სხვა შინაურმა. წინააღმდეგ, სადილობისას, მამა მაგიდის მეორე მხრიდან ჰურის ნამცეცებს მესროდა: დილიდანვე ვიბუტებოდი იმის გამო, რომ ექიმმა საძაგელი შალის საცვლების ჩაცმა მიბრძანა. მამა ჩემს გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ მოვიღუშე, გავწითლდი და შევტრიალდი. სადილის შემდეგ მასთან ერთად მის კაბინეტში ვისხედით. იგი ყავას სვამდა და ჩემს დედინაცვალს უსმენდა, რომელიც ფრანგი ქალის მავნე ჩვევაზე ლაპარაკობდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩემს ნახევარძმას ლოგინში კანფეტებს აძლევდა. ოთახის შორეულ კუთხეში ვიჯექი და „ჩამზს“¹ ვფურცლავდი: „დაელოდეთ ამ განსაცვიფრებელი ამბის მომდევნო თავს“. დიდი და თხელი ფურცლების ქვედა ნაწილში დაბეჭდილი ხუმრობები. „საპატიო სტუმარს, რომელსაც სკოლა დაათვალიერებინეს, ეკითხებიან: რამ გაგაოცათ ყველაზე მეტად? — მუხუდოს მარცვალმა, შუშის მილაკიდან რომ მესროლეს“. ღამის სიბნელეში გრუხუნით მიმავალი სწრაფი მატარებლები. კრიკეტის ცისფერი გუნდის მოთამაშე², რომელმაც მეგობარს მრისხანე მალაელის ნასროლი დანა ააცილა. კომიკური ნახატების სასაცილო სერია სამი მოზარდის შესახებ: ერთი მათგანი გუტა-

¹ „ჩამზი“ — ინგლისში: უურნალი ბიჭებისთვის, გამოდიოდა 1892-1941 წლებში.

² უნივერსიტეტის საუკეთესო სპორტსმენების პრივილეგია, ქუდზე ან კაშნეზე კემბრიჯის უნივერსიტეტის ფერი ეტარებინა.

პერჩის ბიჭი იყო, რომელსაც ცხვირის ტრიალი შეეძლო, მეორე — მეფოკუსე, მესამე — მუცლით მეზღაპრე... მხედარი სარბოლო ავტომობილს თავზე გადაევლება...

მეორე დღით სკოლაში ვერაფერი მოვუხერხე გიმნაზიის ენაზე „პითაგორას შარვლად“ წოდებულ გეომეტრიულ ამოცანას. ისეთი მოღრუბლული დღე იდგა, რომ საკლასო ოთახში შუქიც კი აანთეს, რის გამოც თავი მიმძიმდებოდა და ყურები მიწიოდა ხოლმე. შინ ოთხის ნახევრისთვის იმავე უნმინდურობის შეგრძნებით დავბრუნდი, რომელიც სკოლიდან წამოსულს ყოველთვის თან მომყვებოდა, ამას ახლა მჩხვლეტავი საცვლებიც ემატებოდა. წინკარში მამის დენშჩიკი¹ ქვითინებდა“.

¹ დენშჩიკი — რუსეთის არმიაში 1917 წლამდე: ჯარისკაცი, რომელიც ოფიცერს ან ჩინოვნიკს ემსახურებოდა.

თავი მეორე

ნაჩქარევად შეკონინებულ, შეცდომებით დახუნძლულ წიგნში მისტერ გუდმენი მხოლოდ რამდენიმე წინადადებით აღწერს სებასტიან ნაითის ბავშვობას და სიცილის მომგვრელ, არასწორ სურათს ხატავს. ერთია, როცა მწერლის მდივანი ხარ, და სულ სხვაა, როცა მის ცხოვრებას აღწერ, მაგრამ, თუ ამ საქმისკენ იმის სურვილი გიბიძგებს, რომ შენი წიგნი მანამ გამოიტანო გასაყიდად, სანამ ხელსაყრელად შეიძლება ყვავილების მორწყვა ახალ საფლავზე... ვფიქრობ, ზედმეტია იმის თქმა, რომ კომერციული აჩქარება და ამომწურავი გამოკვლევა, სამართლიანობა და სიბრძნე ერთმანეთს ვერ უთავსდება. ვინმეს რეპუტაციის შებლაღვას არ ვაპირებ, მაგრამ ცილისწამება არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მხოლოდ საბეჭდი მანქანის კლავიშებზე თითების კაკუნის დაუოკებელი სურვილი თუ წააქეზებდა გუდმენს შემდეგი სიტყვების დასაწერად: „ბიჭს თავს რუსული აღზრდა მოახვიეს, მიუხედავად იმისა, რომ თავის ძარღვებში ყოველთვის გრძნობდა ინგლისური სისხლის მძლავრ ჩქეფას“. გუდმენის აზრით, ეს უცხო ზეგავლენა „ბავშვს ძლიერ ტანჯავდა და მონიფულ ასაკშიც კი ძრწოლით იხსენებდა წვერმოშვებულ გაგრიებს, ხატებს, ბალალაიკის ჟღარუნს — ჯანსაღი ინგლისური აღზრდის ნაცვლად“.

არა მგონია, ღირდეს იმის აღნიშვნა, რომ მისტერ გუდმენის შეხედულება რუსულ ყოფაზე ისევე შორსაა რეალობისგან, როგორც, მაგალითად, ყალმუხს წარმოუდგენია ინგლი-

სი ისეთ პირქუმ ქვეყნად, სადაც წითურბაკენბარდებიან მას-
წავლებლებს წკეპლით სიკვდილის პირას მიჰყავთ პატარა
ბიჭები, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სებასტიანი ინტელი-
გენტურ გარემოში იზრდებოდა, რომელშიც ჰარმონიულად
ერწყმოდა ერთმანეთს რუსული ოჯახისთვის დამახასიათე-
ბელი სულიერი სიკეთე და ევროპული კულტურის უპირვე-
ლესი საგანძური, და მიუხედავად იმისა, რომ სებასტიანს ყო-
ველთვის რთული და თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა
თავის რუსულ წარსულთან, იმ სიმდაბლემდე არასდროს და-
ეშვებოდა, როგორც ეს მის ბიოგრაფს წარმოუდგენია.

მშვენივრად მახსოვს ჩემზე ექვსი წლით უფროსი სებასტი-
ანი — ბიჭი, დაუხვეწავად რომ ხატავდა რალაცას აკვარელის
საღებავით იმ მოზრდილი ნავთის ლამპის შუქზე, რომლის
ვარდისფერი აბრეშუმის აბაჟური თითქოს მისი სველი ფუნ-
ჯით იყო შეღებილი. ეს მკაფიოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში.
აი, ოთხი თუ ხუთი წლის ვარ — თითის წვერებზე შემდგარი
თავს აქეთ-იქით ვატრიალებ, რათა სისხლისმიერი ძმის მოძ-
რავი იდაყვის მიღმა კარგად დავინახო საღებავიანი კოლო-
ფი. მწებვარე წითელი და ლურჯი ფერები ისეა ამოლოკილი
და გახარჯული, რომ ჩალრმავეებში ემალიც კი მოჩანს. ყო-
ველთვის, როდესაც სებასტიანი რკინის თავსახურავის შიგა
მხარეზე ფერებს ერთმანეთს ურევს, მსუბუქი კაკუნი ისმის,
მის წინ მდგარ ჭიქაში კი ამღვრეული წყალი ნაირფერ სახეებს
ქმნის. მუქი თმა მოკლედ აქვს შეკრეჭილი, რაც მისი აღისფე-
რი, გამჭვირვალე ყურის თავზე (ახლა უკვე სკამზე ვარ ამ-
ძვრალი) პატარა ხალის დანახვის საშუალებას მაძლევს. ის
კი კვლავაც არ მაქცევს ყურადღებას, სანამ არ გავბედავ და
მკვეთრი მოძრაობით კოლოფში მოთავსებულ პატარა ლურჯ
ვარცლში ფუნჯის ჩაყოფას არ ვცდი. მაშინ მხრით მიცილებს,
თუმცა მაინც არ შემოტრიალდება, არც რამეს მეტყვის, არც
მომიახლოვდება — ყოველთვის ასე მექცეოდა. მახსოვს, რო-
გორ ვიყურებოდი მოაჯირიდან, როდესაც ის სკოლიდან დაბ-
რუნებული, შავი საგიმნაზიო პერანგითა და ტყავის ქამრით
(რომელზეც ფარულად ვოცნებობდი) კიბეზე ნელა ამოდიო-

და, ქრელ ჩანთას მოათრევდა, შიგადაშიგ მოაჯირს ხელს ჩა-
ავლებდა და ორ-სამ საფეხურს გადაახტებოდა. მე ტურებს წინ
ვნევდი და დაგროვილ ნერწყვს ქვემოთ ვუშვებდი, მაგრამ სე-
ბასტიანს ვერაფრით ვარტყამდი. ამას მისთვის ვნების მისა-
ყენებლად კი არ ვაკეთებდი — ყოველთვის ვცდილობდი ჩემი
არსებობა შეემჩნია, მაგრამ ამაოდ. კარგად მახსოვს, როგორ
დაჰყავდა დაბალსაჭიანი ველოსიპედი ჩვენი მამულის პარ-
კის მზის ლაქებით აჭრელებულ ბილიკზე — ნელა, სატერ-
ფულებს თითქმის არ ატრიალებდა, მე კი უკან მივსდევდი და
ოდნავ ვუბიძგებდი ხოლმე, როდესაც სანდლებიანი ფეხების
სატერფულზე დაჭერას გადაწყვეტდა. ძალიან ვცდილობდი,
არ ჩამოვრჩენოდი უკანა ბორბალს, რომელიც წიკნიკისა და
შიშინის მსგავს ხმებს გამოსცემდა, მაგრამ სებასტიანი ყუ-
რადლებას მაინც არ მაქცევდა და უიმედოდ ჩამომიტოვებდა
ხოლმე, თუმცა მე კვლავაც ცუხცუხით მივსდევდი.

მოგვიანებით, როდესაც ის თექვსმეტი წლის იყო, მე კი
ათის, ზოგჯერ გაკვეთილების მომზადებაში მეხმარებო-
და. ამას ისე სწრაფად, მოუთმენლად აკეთებდა, რომ ვერა-
ფერს ვიგებდი. ცოტა ხნის შემდეგ ფანქარს ჯიბეში იღებდა
და ოთახიდან გადიოდა. ამ დროს უკვე ტანი აეყარა, მოყვი-
თალო, ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ზედა ტურის თავზე მუქი
ჩრდილი გასდევდა. თმას ზუსტად შუაზე იყოფდა, ლექსებს
შავ რვეულში წერდა, რომელსაც მაგიდის უჯრაში კეტავდა.
ერთხელ შევამჩნიე, გასაღებს სადაც მალავდა (თავის ოთახ-
ში, ღრეჩოში, ჰოლანდიური ღუმლის გვერდით), და ის უჯრა
გავხსენი. იქ ენყო: ეს რვეული, მისი კლასელის დის ფოტოსუ-
რათი, რამდენიმე ოქროს მონეტა და მარმაშის ქისა იისებრი
კანფეტებით. ლექსებს ინგლისურად თხზავდა. მამის გარ-
დაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენთან ინგლისური ენის
მასწავლებელი დადიოდა და თუმცა ამ ენაზე თავისუფლად
ლაპარაკი ვერასდროს ვისწავლე, კითხვა და წერა საკმაოდ
კარგად შემიძლია. ბუნდოვნად მახსოვს, რომ ძალზე რომან-
ტიკული ლექსები იყო — მუქ ვარდებზე, ვარსკვლავებზე,
ზღვის ძახილზე. ერთი დეტალი კი მკაფიოდ ჩამებეჭდა გონე-

ბაში: ყოველი ლექსის ბოლოს, ხელმოწერის ნაცვლად, მელ-
ნით ჭადრაკის შავი მხედარი ეხატა.

ვცდილობდი, ბავშვობის ასაკში, ვთქვათ, 1910 წელსა
(როდესაც პირველად გამეხსნა გონება) და 1919 წელს შო-
რის (როდესაც ის ინგლისში გაემგზავრა), ჩემი სისხლისმიე-
რი ძმის ასე თუ ისე დალაგებული სახე შემექმნა. თუმცა ეს
ვერ მოვახერხე. სებასტიანის სახე ჩემს ყრმობაში არ მონაწი-
ლეობს და ამიტომაც მისთვის დამახასიათებელ თვისებებზე
გარკვევით ვერასდროს ჩამოვყალიბდები. მას ვერც ნაცნობი
მხედველობითი შთაბეჭდილებების მწკრივში ვხედავ — მხო-
ლოდ რამდენიმე კაშკაშა ლაქას, თითქოს იგი ჩვენი ოჯახის
მუდმივ წევრად კი არა, შემთხვევით სტუმრად მიმაჩნდა, რო-
მელიც განათებული ოთახის გავლით ღამის სიბნელეში დიდი
ხნით იკარგებოდა. ამას იმდენად იმით კი არ ვხსნი, რომ ჩემი
ბავშვური ინტერესი ვერ ერგებოდა სერიოზულ ურთიერთო-
ბას არა თანატოლთან, რომელიც არც ისე პატარა იყო, რომ
თამაშში პარტნიორობა გაეწია, და არც ისე დიდი, რომ რჩევა
მოეცა, — რამდენადაც სიცვიით, მუდმივად რომ იგრძნობო-
და მასში. სებასტიანი ნაზად მიყვარდა, მაგრამ ჩემი გრძნობა,
ამ მიზეზის გამო, ვერც აღიარებას პოულობდა და ვერც საზ-
რდოს. რა თქმა უნდა, შემეძლო, აღმეწერა, როგორ დადიოდა,
იცინოდა ან აცემინებდა, მაგრამ ეს იმას დაემსგავსებოდა,
მაკრატელი რომ მომემარჯვებინა და კინოფირი ნაწილებად
დამეჭრა, რომლებსაც ნამდვილ დრამასთან საერთო არაფე-
რი ჰქონდათ. არადა, აქ დრამა იყო, ამას წყალი არ გაუვიდო-
და. სებასტიანი ვერაფრით ივიწყებდა, რომ მამა დედის გამო
დაელუპა. დედამისის სახელს ჩვენს სახლში არასდროს წარ-
მოთქვამდნენ, თუმცა ეს მხოლოდ ავადმყოფურ მშვენიერე-
ბას მატებდა მეხსიერებაში ჩარჩენილ მომხიბლავ სახეს, რო-
მელიც მის მგრძნობიარე სულსაც ფლობდა. არ ვიცი, შეეძლო
თუ არა ოდნავ მაინც მკაფიოდ იმ დროის გახსენება, როდე-
საც დედამისი მამის მეუღლე იყო. იქნებ შეეძლო კიდევ —
როგორც რბილი ნათებისა ცხოვრების უკანა პლანზე. ვერც
იმას გადმოგცემთ, რას გრძნობდა, როდესაც ცხრა წლის

ასაკში კვლავ შეხვდა დედამისს. დედაჩემის თქმით, უხალისოდ გამოიყურებოდა, ძალზე ცოტას ლაპარაკობდა, შემდგომში კი საერთოდ აღარ ახსენებდა იმ ხანმოკლე, საცოდავ, არასრულფასოვან შეხვედრას. „დაკარგულ ნივთებში“ სებასტიანი მიგვანიშნებს მის ერთგვარ სინანულზე იმის გამო, რომ მამას იღბლიანი მეორე ქორწინება ჰქონდა, თუმცა ეს გრძნობა აღფრთოვანებულმა თაყვანისცემამ შეცვალა მას შემდეგ, როდესაც საბედისწერო დუელის მიზეზის შესახებ შეიტყო.

„ინგლისის აღმოჩენამ, — წერს სებასტიანი („დაკარგული ნივთები“), — ჩემს სანუკვარ მოგონებებს ახალი სული შთაბერა... კემბრიჯის დასრულებისთანავე, კონტინენტზე გავემგზავრე და ორი კვირა მშვიდად გავატარე მონტე-კარლოში. როგორც ამბობენ, იქ სათამაშო დაწესებულება არსებობს, — აზარტული მოთამაშეები და მისთანები, — მაგრამ ასეც რომ იყოს, მე ის თვალითაც არ მინახავს, ვინაიდან გამუდმებით ჩემს პირველ წიგნზე ვმუშაობდი — საკმაოდ პრეტენზიულ რომანზე, რომლის დაბეჭდვაზეც, საბედნიეროდ, იმდენივე გამომცემელმა მითხრა უარი, რამდენი მკითხველიც ჩემს მეორე წიგნს ჰყავდა. ერთხელ სეირნობა გამიგრძელდა და „როკბრიუნად“ წოდებულ ადგილას აღმოვჩინდი. სწორედ როკბრიუნში გარდაიცვალა დედაჩემი ცამეტი წლის წინათ. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც მამამ მისი სიკვდილი მაუწყა და ის პანსიონიც დაასახელა, სადაც იგი აღესრულა. მას „Les Violettes“¹ ერქვა. რომელიღაც მძლოლს ვკითხე, სმენოდა თუ არა ასეთი დაწესებულების შესახებ, მაგრამ მან არ იცოდა. მაშინ იმავე შეკითხვით ხილის გამყიდველს მივმართე, რომელმაც გზა მიმასწავლა. როგორც იქნა, პროვანსისთვის დამახასიათებელი მრგვალი წითელი კრამიტით გადახურულ მოვარდისფრო ვილას მივადექი. ჩემი ყურადღება ჭიშკარზე უხეიროდ დახატულმა იების თაიგულმა მიიპყრო. აი, თურმე, როგორი ყოფილა ეს სახლი. ბალი გავიარე და დიასახლისს გამოველაპარაკე. მითხრა, რომ პანსიონი ცოტა ხნის წინ მიეღო ძველი მფლობელისგან და ადრინდელი მდგმურების შე-

¹ (ფრ.) იები.

სახებ ვერაფერს მეტყობდა. მისგან ბალში ჯდომის ნებართვა ავიღე. ვილაც მოხუცი — წელამდე შიშველი მაინც, როგორც ვარჩევდი, — აივნოდან მათვალაიერებდა, ირგვლივ სხვა არავინ ჩანდა. ცისფერ ძელსკამზე ჩამოვჯექი, გიგანტური ევკალიპტის ქვეშ, რომელსაც მერქანი სანახევროდ შემოსცლოდა. ჩემი აზრით, ამ ხეებს ყოველთვის ასე ემართება. შემდეგ შევეცადე, ისე შემეველო თვალი ვარდისფერი სახლის, ხისა და მთელი ამ არემარისთვის, როგორც ამას დედაჩემი ხედავდა. გული დამწყდა, რომ მისი ოთახის ფანჯრის შესახებ არაფერი ვიცოდი. ვილის სახელწოდების მიხედვით, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სწორედ იმ იასამნისფერი იაჟუჟუნების ყვავილნარს ვხედავდი. თანდათანობით, საკუთარი თავი იმ მდგომარეობამდე მივიყვანე, რომ წამით ყოველივე ვარდისფერი და მწვანე აციმციმდა და ნისლის მსუბუქ საბურველში გაეხვია. უეცრად დედაჩემის ბუნდოვანმა, გამხდარმა ფიგურამ, თავზე მორგებული დიდი შლაპით, საფეხურები აიარა, რომლებიც თითქოს წყალში გაუჩინარდა. მოულოდნელად რაღაცის დაცემის ყრუ ხმამ შემაკრთო. ქალაღდის პარკიდან, მუხლებზე რომ მედო, ფორთოხალი გადმომვარდნოდა. ავიღე და იქაურობა დავტოვე. რამდენიმე თვის შემდეგ ლონდონში შემთხვევით მის ბიძაშვილს შევხვდი. საუბრისას სიტყვამ მოიტანა და ის ადგილი ვახსენე, სადაც დედაჩემი გარდაიცვალა. „ოჰ, არა, — მითხრა მან, — ეს სხვა როკბრიუნია. ის — ვარშია“.

საინტერესოა, რომ როდესაც მისტერ გუდმენს ეს ნაწყვეტი მოჰყავს, იგი ასეთი კომენტარით კმაყოფილდება: „სებასტიან ნაითი ისე მიეჩვია საგნების სრულიად უსარგებლო კუთხით დანახვას, იმგვარად არ ძალუძს მათ არსებით მნიშვნელობაზე ფიქრი, რომ, თუმცა ბუნებით არც გულქვაა და არც ცინიკოსი, აქ იმ ყველაზე ინტიმურ გრძნობებს დასცინის, რომლებსაც მთელი კაცობრიობა წმინდად მიიჩნევს“. ამის შემდეგ სულაც არაა გასაოცარი, რომ ეს ენაწყლიანი ბიოგრაფი წამდაუნუმ შეუხმატკბილებლობას იჩენს თავისი გამირის მიმართ.

უკვე აღნიშნული მიზეზების გამო, არც კი ვცდი სებასტიანის ბავშვობის იმ სისტემატური თანამიმდევრობით აღწერას, რომელსაც აუცილებლად გავყვებოდი, ის რომ გამოგონილი მოქმედი პირი ყოფილიყო — მაშინ იმედი მექნებოდა, რომ ჩემი გმირის თანდათანობით ზრდის პროცესი ბალლობიდან ჭაბუკობამდე მკითხველისთვის სასარგებლოც იქნებოდა და საინტერესოც. სებასტიანის მიმართ ამ ხერხის გამოყენება რომც მეცადა, მორიგი „რომანიზებული ავტობიოგრაფია“ გამოვიდოდა — ლიტერატურის ჟანრთაგან ყველაზე ნაკლებად ღირებული. ამიტომ, დაე, კარი დახურული დარჩეს, ოღონდ ისე, რომ მის ქვეშ სინათლის წვრილი, მაგრამ დაძაგრული ზოლი გადიოდეს; დაე, ლამპაც ჩაქრეს მეზობელ ოთახში, სადაც სებასტიანი დასაძინებლად დაწვა; დაე, ნევის ნაპირზე მდგარი საუცხოო, ზეთისხილისფერი სახლიც თანდათან ჩაიძიროს მტრედისფერ სუსხიან ღამეში, სადაც მალაღლი ქუჩის ფარნის მოყვითალო-მოთეთრო შუქში მოხვედრილი მონარნარე თოვლის ფანტელები ძირს დაშვებას არ ეშურებიან და მძლავრ კიდურებს უპუდრავენ ორ წვეროსან ატლანტს, თავდაუზოგავად რომ შემდგარან მამაჩემის ოთახის ერკერის¹ ქვეშ. მამაჩემი მოკვდა, სებასტიანს სძინავს, ყოველ შემთხვევაში, თავგვივით გაიყურსა მეზობელ ოთახში, მე კი ძილი არ მეკარება, ვწევარ და სიბნელეს მივშტერებივარ.

დაახლოებით ოცი წელი რომ გავიდა, ლოზანაში ვიმოგზაურე, რათა მოხუცი შვეიცარიელი ქალი მომეძებნა, რომელიც ჯერ სებასტიანის, შემდეგ კი ჩემი გუვერნანტი იყო. იგი, ჩემი აზრით, ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა, როდესაც 1914 წელს ჩვენგან გაემგზავრა. ერთმანეთში მიმონერა მალე შევწყვიტეთ და 1936 წელს სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ცოცხალი დამხვდებოდა. მაგრამ დამხვდა. როგორც აღმოჩნდა, მოხუც შვეიცარიელ ქალებს, რომლებიც რევოლუციამდე რუსეთში გუვერნანტებად მუშაობდნენ,

¹ ერკერი — კედლიდან გამოწეული ნახევრად მრგვალი ან მრავალნახნაგოვანი შემინული ნაწილი, რომელიც ასდევს შენობის რამდენიმე სართულს; ზრდის შიგნითა სადგომის ფართობს.

ერთგვარი საზოგადოება ჩამოეყალიბებინათ. ერთმა თავაზიანმა ბატონმა მასწავლა, როგორ უნდა მიმეგნო მათთვის, და ამიხსნა კიდევ, რომ ისინი „წარსულით ცხოვრობდნენ“: სიცოცხლის უკანასკნელ წლებს (მათი უმრავლესობა დაჩაჩანაკებული და დაუძღვრებული იყო) ერთად ატარებდნენ, მოგონებებს აცოცხლებდნენ, წვრილმანების გამო კამათობდნენ და შვეიცარიაში არსებულ ვითარებას ლანძღავდნენ — იმ ქვეყნისას, რომელიც რუსეთში ამდენი წლის ცხოვრების შემდეგ ხელმეორედ აღმოაჩინეს. მათი უბედურება ის იყო, რომ უცხო ქვეყანაში გატარებულმა წლებმა მათზე ოდნავადაც ვერ იმოქმედა (უმრავლესობამ უბრალო რუსული სიტყვებიც კი ვერ ისწავლა) და ერთგვარად მტრულ განწყობას ამჟღავნებდნენ თავიანთი გარემოცვის მიმართ — ჩემი თანდასწრებით მადმუაზელი ხშირად წუხდა საკუთარი განდევნის გამო, ჩიოდა, რომ ამცირებდნენ და ვერ უგებდნენ, თავის მშვენიერ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. მაგრამ როდესაც საბრალო ყარიბები შინ დაბრუნდნენ, ქვეყანა შეცვლილი დახვდათ, თავი უცხოებად იგრძნეს, რუსეთი (სინამდვილეში, მათთვის სრულიად უცნობი უფსკრული, რომლის შორეული გუგუნიც ლამპის შუქით განათებული ჰაერდახშული უკანა ოთახის კუთხიდან აღწევდა — აქ სადაფის ჩარჩოებში ჩასმული საოჯახო ფოტოები და აკვარელით დახატული შილიონის ციხესიმაგრე¹ მოჩანდა) — უცნობი რუსეთი მათთვის დაკარგულ სამოთხედ იქცა, უკიდევანო, გაუგებარ ადგილად, თუმცა წარსულის თვალის გადავლებით დაასკვნეს, რომ იქ გულთბილი, ჩაფიქრებული, მეოცნებე ხალხი ცხოვრობდა. თმაგათეთრებულ მადმუაზელს ყურში თითქმის აღარ ესმოდა, მაგრამ ლაპარაკი უწინდებურად უყვარდა. ამიტომ აღფრთოვანებული მისალმების შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგა ჩემი ცხოვრების წვრილმანი ეპიზოდების მოყოლას, რომლებიც ან იმდენად უცხო იყო ჩემი მეხსიერებისთვის, ან ისე უიმედოდ დამახინჯებული, რომ მათ ჭეშმარიტებაში ეჭვი

¹ შილიონის ციხესიმაგრე — მდებარეობს უენევის ტბაში, ნაპირთან ახლოს. აქ მიმდინარეობს მოქმედება ჯ. ბაირონის პოემაში „შილიონის ტყვე“.

უნდა შემპაროდა. დედაჩემის გარდაცვალების შესახებ არაფერი გაეგო. არც ის იცოდა, რომ სებასტიანი სამი თვე იქნებოდა, რაც მოკვდა, თანაც უდიდეს მწერლად აღიარებული. თვალთაგან გულწრფელად წასკდა ცრემლები, მაგრამ თითქოს გულდანყვეტილი ჩანდა, მასთან ერთად რომ არ ვტიროდი. „შენ ყოველთვის თავშეკავებული იყავი“, — მითხრა მან. ვუთხარი, რომ წიგნს ვწერდი სებასტიანის შესახებ და მისი ბავშვობის გახსენება ვთხოვე. გუვერნანტი ჩვენთან მამის მეორედ დაქორწინებიდან მალევე მოვიდა, მაგრამ მის თავში წარსული ისე არეულ-დარეულიყო, რომ მამაჩემის პირველ ცოლზე ისე ლაპარაკობდა (*cette horrible Anglaise*¹), თითქოს ისევე კარგად იცნობდა, როგორც დედაჩემს (*cette femme admirable*²). „საბრალო სებასტიანი, — მოთქვამდა იგი, — კეთილშობილი იყო, ყოველთვის ალერსიანად მექცეოდა. ოჰ, მახსოვს, პატარა ხელებს კისერზე მომხვევდა და მეუბნებოდა, ყველა მძულს, მხოლოდ თქვენ მიყვარხართ, Zelle³, მხოლოდ თქვენ გესმით ჩემიო. ერთხელ მსუბუქად წამოვარტყი ხელზე — *une toute petite tape*⁴, — იმისთვის, რომ დედამისს უკმეხად შეეპასუხა. არ დამავინყდება მისი თვალები — ტირილი მომინდა — და ხმა, რომლითაც მითხრა: „გმადლობთ, Zelle. ეს აღარასოდეს განმეორდება...“ დიახ, აი, ასე...“

მოხუცი დიდხანს ლაპარაკობდა ამ სტილში და მალე თავი საშინლად ვიგრძენი. ბოლოს, რამდენიმე უნაყოფო მცდელობის შემდეგ, თემის შეცვლა მოვახერხე — იმ დროისთვის ხმა უკვე გვარიანად ჩამეხრინნა, ვინაიდან სასმენი მილი სადღაც დაეკარგა. მაშინ თავის მეზობელს, მასზე ხანდაზმულ მოხუც ქალს გადასწვდა, რომელიც დერეფანში შემომხვდა. „მას ყურში არაფერი ესმის, — დაიწუნუნა ყოფილმა გუვერნანტმა, — თანაც საშინელი მატყუარაა. დანამდვილებით ვიცი, რომ კნიაჟნა⁵ დემიდოვას შვილებს ასწავლიდა, თვითონ

¹ (ფრ.) ეს საშინელი ინგლისელი ქალი.

² (ფრ.) ეს მშვენიერი ქალბატონი.

³ Zelle — შემოკლებით „მადმუაზელ“.

⁴ (ფრ.) მსუბუქად წამორტყმა.

⁵ (რუს.) თავადის ასული.

კი მათთან არასდროს უცხოვრია“. „დანერე ეს შენი წიგნი, მშვენიერი წიგნი, — შესძახა მან, როდესაც წასვლა დავაპირე, — ჯადოსნურ ზღაპრად აქციე, სებასტიანი კი პრინცი იყოს, მოჯადოებული პრინცი... რამდენჯერ მითქვამს მისთვის: ფრთხილად იყავი, სებასტიან, ქალები შენთვის ჭკუას დაკარგავენ-მეთქი. ის კი სიცილით მიპასუხებდა ხოლმე: მერე რა, თუ ასე მოხდა, მეც დავკარგავ მათთვის ჭკუასო...“

თავი უხერხულად ვიგრძენი. მან ხმაურიანად გადამკოცნა, ხელზე ხელი მომითათუნა და კვლავ ასლუკუნდა. შევხედე მის დანისლულ ბებრულ თვალებს, ჩასმული კბილების უსიცოცხლო ბრწყინვალებას, ჩემთვის კარგად ნაცნობ ძონის გულსაბნევს... ერთმანეთს დავემშვიდობეთ. კოკისპირულად განვიმდა. ვნანობდი და საკუთარ თავს ვლანძღავდი იმისთვის, რომ მეორე თავის წერა ამ უსარგებლო ვიზიტის გამო შევწყვიტე. გული განსაკუთრებით იმაზე მწყდებოდა, რომ მოხუცი არც კი დაინტერესებულა, როგორ ცხოვრობდა სებასტიანი, ერთხელაც არ უკითხავს, როგორ გარდაიცვალა.

თავი მესამე

რუსეთში ცხოვრება სულ უფრო საშიში ხდებოდა, ამიტომ 1918 წლის ნოემბერში დედაჩემმა სებასტიანსა და ჩემთან ერთად ქვეყნიდან გაქცევა გადაწყვიტა. რევოლუცია ბობოქრობდა. ყველა საზღვარი ჩაეკეტათ. მან ერთი კაცი გაიცნო, რომელსაც ადამიანების საზღვარგარეთ ფარულად გაყვანა პროფესიად გაეხადა. შეთანხმდნენ, რომ განსაზღვრულ თანხად, რომლის ნახევარიც წინასწარ იყო გადასახდელი, ფინეთში ჩავიყვანდა. მატარებლიდან ზედ საზღვართან უნდა ჩამოვსულიყავით, სადგურზე, სადაც კანონიერად შეგვეძლო მისვლა, იქიდან კი ბილიკებით მეორე მხარეს გადავიდოდით — ეს ჩვეულებრივზე ორმაგად და სამმაგად უსაფრთხოდ მოჩანდა, ვინაიდან ამ მიყრუებულ ადგილას უხვად ეთოვა. მოგზაურობის დასაწყისში, მატარებელში ჩასხდომამდე, მე და დედა სებასტიანს ველოდით, რომელსაც სახლიდან სადგურამდე ჩვენი ბარგი უნდა მოეტანა. მას კაპიტანი ბელოვიც თავდაუზოგავად ეხმარებოდა. მატარებელი დილის რვა საათსა და ორმოც წუთზე გადიოდა. ცხრის ნახევარი გახდა, სებასტიანი კი არ ჩანდა. ჩვენი გამცილებელი უკვე მატარებელში იჯდა და მშვიდად კითხულობდა გაზეთს. მას დედა წინასწარ გაეფრთხილებინა, რომ სხვების თანდასწრებით არაფრის დიდებით არ დალაპარაკებოდა. დრო გადიოდა, მატარებელი საცაა დაიძვრებოდა. შიშმა აგვიტანა, თითქოს გავშეშდით კიდევ, როგორც საშინელ სიზმრებში ხდება.

ვიცოდით, რომ ეს ადამიანი, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, რადგან საქმე ცუდად დაიწყო, მის ხელმეორედ გაკე-

თებას აღარც კი შეეცდებოდა. ისიც ვიცოდით, რომ გაქცევის-თვის საჭირო თანხას ველარ შევაგროვებდით. წუთი წუთს მის-დევდა. ვგრძნობდი, როგორ მიტოკავდა რაღაც თეძოს ძვალ-თან. იმის გაფიქრებაც კი გვზარავდა, რომ ერთი-ორი წუთის შემდეგ მატარებელი წავიდოდა და ბნელ და ცივ სხვენში დაბ-რუნება მოგვიწევდა (სახლი რამდენიმე თვის წინათ ჩამოგვარ-თვეს ხელისუფლების სასარგებლოდ). სადგურისკენ მიმავალ გზაზე სებასტიანსა და ბელოვს გადავასწარი: ისინი ჭრაჭუნა თოვლში მძიმედ დატვირთულ ურიკას ექაჩებოდნენ. ეს სურა-თი ახლაც იმავე სახით მიდგას თვალწინ (ცამეტი წლის ვიყავი და მდიდარი წარმოსახვა მქონდა), როგორც მოჯადოებული და სამარადისოდ გაქვავებული. დედას ხელები სახელოებში შეემალა (თავსაფრიდან რამდენიმე თეთრი კულუღი გადმო-ვარდნოდა), წინ და უკან დადიოდა და ყოველ ჯერზე, როცა კი ჩვენი გამცილებლის ფანჯარას ჩაუვლიდა, მისი მზერის დაჭე-რას ცდილობდა. რვა და ორმოცდახუთი, რვა და ორმოცდაა-თი... მატარებელი გასვლას აყოვნებდა. მაგრამ აი, სასტვენის ხმაც გაისმა, თბილი, თეთრი კვამლის შლექიფმა ჩრდილივით გაირბინა ბაქნის მურა თოვლი და სწორედ ამ დროს სირბილით მომავალი სებასტიანიც გამოჩნდა. ბენვის ქუდის ყურებს ქარი უფრიალებდა. მოვახერხეთ და სამივენი დაძრულ მატარებელ-ში ავბობდით. ცოტა რომ დაისვენა და გონს მოეგო, სებასტი-ანმა გვიამბო, რომ კაპიტანი ბელოვი ქუჩაშივე დაეპატიმრები-ნათ, სწორედ იმ სახლთან, სადაც ის უწინ ცხოვრობდა, მას კი ბარგი ბედის ანაბარა მიეტოვებინა და სადგურისკენ მოეკურ-ცხლა. რამდენიმე თვის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ჩვენი საბრა-ლო მეგობარი დაახლოებით ოცკაციან ჯგუფთან ერთად და-ეხვრიტათ. იგი პალჩინის გვერდით მდგარა, რომელიც, თავის მხრივ, ასევე უშიშრად შეჰგებებია სიკვდილს.

თავის უკანასკნელ, 1935 წელს გამოცემულ წიგნში, სა-ხელწოდებით „საეჭვო ასფოდელი“¹, სებასტიანს ეპიზოდუ-

¹ ძველი ბერძნული წარმოდგენით ჰადესში ამ მცენარის ველები იყო, სა-დაც მსუბუქი დანაშაულების ჩამდენთა სულებს ამწესებდნენ. ასფოდელოს სიკვდილის, გლოვის, საიქიოს სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

რი პერსონაჟი შემოჰყავს, რომელიც ეს-ეს არის გამოქცეულა უსახელო, გაუბედურებული ქვეყნიდან, სადაც ტერორი მეფობდა.

„აბა, რა მოგახსენოთ, ჯენტლმენებო, ჩემი წარსულის შესახებ (ამბობს ის); იმ მხარეში დავიბადე, სადაც თავისუფლების იდეა, უფლებების ცნება, ადამიანისადმი კეთილი დამოკიდებულება გულცივ ზიზღს იმსახურებდა და სასტიკად იდევნებოდა. ისტორიის მსვლელობისას ესა თუ ის მბრძანებლები ზოგჯერ პირფერულად ღებავდნენ საერთო-სახელმწიფო ციხის კედლებს, მათ უფრო კეთილშობილი ჟანგმინის ელფერს აძლევდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ, ამა თუ იმ უფლებებს გინყალობებთო, რომლებიც უფრო ბედნიერ ქვეყნებში თავისთავად იგულისხმებოდა; მაგრამ ისე გამოდიოდა, რომ ამ უფლებებით ან მხოლოდ ციხის ზედამხედველები სარგებლობდნენ, ან მათში რალაც ფარულ ცოდვას ჩაებუდებინა, რაც მათ ყველაზე დაუფარავი დესპოტიზმის პირობებში გამოცემულ დეკრეტებზე უფრო მწარეს ხდიდა... იმ მხარეში ყველა, ვინც ტირანი არ იყო, მონად მიიჩნეოდა. და ვინაიდან უარყოფდნენ, რომ ადამიანს სული და მისთანები ჰქონდა, ხალხის სამართავად და სახელმძღვანელოდ ფიზიკური ტკივილის მიყენება საკმარის ეფექტს იძლეოდა... დროდადრო ისეთი მოვლენაც ხდებოდა, რევოლუციას რომ უწოდებენ, რომელიც მონებს ტირანებად, ტირანებს კი მონებად აქცევდა... პირქუში ქვეყანაა, ჯენტლმენებო, საშინელი, და თუკი ცხოვრებაში რამეში ვარ დარწმუნებული, ეს მხოლოდ ისაა, რომ დევნილობის თავისუფლებას არასდროს გავცვლი სამშობლოს ბოროტ პაროდიასი...“

ვინაიდან აღნიშნული პერსონაჟი გაკვრით ახსენებს „ულრან ტყეებსა და დათოვლილ დაბლობებს“, მისტერ გუდმენმა ნაჩქარევად დაასკვნა, რომ წიგნის ეს ადგილი რუსეთისადმი სებასტიან ნაითის საკუთარ დამოკიდებულებას ასახავს, რაც სრული აბდაუბდა და შეცდომაა. ყოველი მიუკერძოებელი მკითხველისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მოყვანილი სიტყვები ყოველგვარ დესპოტურ ბოროტმოქმედებათა ფანტასტი-

კური ნაერთი უფროა, ვიდრე კონკრეტული ერი ან ისტორიული სინამდვილე. და თუ ისინი ჩემი მონათხრობის იმ ნაწილში მომყავს, რომელიც რევოლუციის ქარცეცხლში გახვეული რუსეთიდან სებასტიანის გაქცევას ეხება, ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ მინდა მათ მაშინვე მოვაცოლო რამდენიმე ამონარიდი მისი ყველაზე ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან:

„ყოველთვის მეგონა, — წერს ის („დაკარგული ნივთები“), — რომ განდევნილის სევდა მშობლიური მიწისადმი ყველაზე უმნიშვნელო განცდაა. მინდოდა, მეჩვენებინა, როგორ ძლიერ ძაბავს იგი მეხსიერებას, გამუდმებით ცდილობს, არ გაფერმკრთალდეს და არ გაქრეს მის წარსულში არსებული სახეები: დაუვინყარი ლურჯი ფერდობები და მხიარული შარაგზები, სხლტე¹ მასში უნებართვოდ გაჩენილი ვარდით, მინდორი და კურდღლები, შორეული სამრეკლო და ახლომდებარე ზან-ზალაკები... მაგრამ ვინაიდან ეს თემა სხვა ოსტატებმა ჩემზე უკეთ დაამუშავეს, და იმის გამოც, რომ უნდობლობა მახასიათებს ყველაფრისადმი, რის გადმოცემასაც ადვილად ვახერხებ, სენტიმენტალურ ყარიბს არასდროს მიეცემა ჩემს არასტუმართმოყვარე პროზის ქვაზე ჩამოჯდომის უფლება“.

ამ ბოლო სიტყვების მიუხედავად, სრულიად აშკარაა, რომ მხოლოდ მას შეიძლება დაეუფლოს სამშობლოს უნახაობით გამოწვეული სევდის სურათებით აღდგენის სურვილი, ვინც იცის, მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება რასაც ნიშნავს. ვერ დავიჯერებ, რომ სებასტიანიც იმავე სევდის მომგვრელ გრძნობას არ განიცდიდა, რასაც ყოველი ჩვენგანი — როგორი საზიზღარი შთაბეჭდილებაც უნდა დაეტოვებინა რუსეთს გაქცევის მომენტში. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მისი სახლი იყო, კეთილმოსურნე, კეთილგანმზრახველი, წესიერი ადამიანები კი, მხოლოდ იმიტომ რომ დახოცეს ან განდევნეს, რომ არსებობდნენ, — მისი გარემოცვის ხალხი. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ვერც პირქუში ჭაბუკური ყოყმანი და ფიქრი, ვერც სამშობლოთი დედამისის რომანტიკული (რამდენადმე

¹ სამოსახლოს ღობედ შემოვლებული ბუჩქნარ-ბარდი.

ხელოვნური — თავს ამის თქმის უფლებასაც მივცემ) გატაცება შეუცვლიდა იმ ქვეყნისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა.

ფინეთში უდავიდარაბოდ გადავედით. ერთხანს ჰელსინგფორსში¹ ვცხოვრობდით. შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. დედამ, ერთი ძველი მეგობრის რჩევით, პარიზში წამიყვანა, სადაც სწავლა უნდა გამეგრძელებინა, სებასტიანი კი ლონდონსა და კემბრიჯში გაემგზავრა. დედამისმა მას გვარიანი ქონება დაუტოვა, ამიტომ ცხოვრების მომდევნო წლებში გაჩენილ არაერთ საზრუნავს ფულის პრობლემა მაინც გამოაკლდებოდა. მისი გამგზავრების წინ, რუსული ტრადიციის მიხედვით, სამივენი დავსხედით და წუთით დავდუმდით. მახსოვს, დედაჩემს ხელები მუხლებზე დაენყო და მამაჩემის საქორწინო ბეჭედს აწვალებდა (ასე ხშირად იქცეოდა, როდესაც საქმე არ ჰქონდა), რომელიც იმავე თითზე ეკეთა, რომელზეც თავისიც წამოეცვა. არც სებასტიანის პოზა დამვიწყებია: მას მუქი ლურჯი კოსტიუმი ეცვა, ფეხი ფეხზე გადაედო, ამასთან, ზედას წვერი ოდნავ უქანავებდა. ჯერ მე წამოვდექი, შემდეგ ის, ბოლოს კი დედა. სებასტიანმა წინასწარ დაგვიყოლია, რომ გემამდე არ მიგვეცილებინა, ამიტომ ერთმანეთს იქვე, შეთეთრებულკედლებიან ოთახში დავემშვიდობეთ. დედამ სწრაფად და მოკლედ გადასახა ჯვარი მის დახრილ თავს და ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ უკვე ფანჯრიდან ვუყურებდით, როგორ ჯდებოდა იგი ტაქსიში სამგზავრო სკივრიანად — წელში მოხრილი, როგორც ეს ყველა წამსვლელს ახასიათებს.

არცთუ ხშირად გვწერდა და არცთუ გრძლად. კემბრიჯში გატარებული სამი წლის განმავლობაში პარიზში ორჯერ გვეწვია, უფრო სწორად, ერთ-ნახევარჯერ, ვინაიდან მეორეჯერ დედაჩემის დაკრძალვაზე ჩამოვიდა. სებასტიანს ხშირად ვიხსენებდით, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როდესაც დედა თვითონაც აცნობიერებდა, რომ მალე მოკვდებოდა. მანვე მიამბო სებასტიანის 1917 წლის უცნაური თავგა-

¹ ჰელსინგფორსი — ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი შვედურად.

დასავალი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი, რადგან იმ დროს ყირიმში ვიყავი არდადეგებზე. თურმე სებასტიანი ფუტურისტ პოეტს, ალექსეი პანსა და მის ცოლს, ლარისას დამეგობრებია, ძალზე უცნაურ წყვილს. ისინი აგარაკს ქირაობდნენ ლუგას მახლობლად მდებარე ჩვენი მამულის მეზობლად. ალექსეი ხმაურიანი, ჩასკვნილი, ტანდაბალი კაცი იყო, შიგადაშიგ უდავო ნიჭსაც გამოასხივებდა ხოლმე თავის დაუდეგარ, აბდაუბდა ლექსებში, მაგრამ იმის გამო, რომ უაზრო სიტყვების უზომო სიუხვით ცდილობდა თავის გამოჩენას (სწორედ მან მოიგონა „საბმენტალური ბუზლუნი“, როგორც თვითონ უწოდებდა), მისი თითქმის ყველა ნაწარმოები ახლა ისე უხეიროდ, ყალბად და ძველმოდურად ჟღერს (ყოველივე სუპერთანამედროვე იმით გამოირჩევა, რომ ყველაზე სწრაფად ძველდება), რომ მისი ნამდვილი მიღწევები მხოლოდ ზოგიერთ ფილოლოგს ახსოვს — ისინი ინგლისური პოეზიის მისმა რამდენიმე საუცხოო თარგმანმა აღაფრთოვანა, რასაც იგი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის დასაწყისში მისდევდა. რუსული თარგმანი მათგან თუნდაც ერთისა, კერძოდ, კიტსის *La belle Dame sans merci*¹ — სიტყვათგარდაქმნის ნამდვილი სასწაულია.

მაშ, ასე, ადრეული ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ჩვიდმეტი წლის სებასტიანი გაუჩინარდა, დედაჩემს კი დაუტოვა პატარა ბარათი, რომელშიც წერდა, რომ პანსა და მის მეუღლესთან ერთად აღმოსავლეთში სამოგზაუროდ მიდიოდა. თავდაპირველად დედას ეს ხუმრობა ეგონა (დაღვრემილობის მიუხედავად, სებასტიანი ზოგჯერ უცნაურ გათამაშებას მოიგონებდა ხოლმე — ერთხელ, მაგალითად, ხალხით გადაჭედულ ტრამვაიში კონდუქტორს სთხოვა, რომ მეორე ბოლოში მჯდომი ქალიშვილისთვის ასეთი შინაარსის წერილი გადაეცა: „მე მხოლოდ და მხოლოდ ღარიბი კონდუქტორი ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარხართ“); თუმცა პანების აგარაკზე მისულმა აღმოაჩინა, რომ ისინი მართლა გამგზავრებულიყვნენ.

¹ ჯონ კიტსი (1795-1821 წწ.) — ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ბალადა „ლამაზი, შეუბრალებელი ქალი“.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, პანს მათი მარკოპოლოსნაირი¹ მოგზაურობა ისე წარმოედგინა, როგორც აღმოსავლეთით თანდათანობით გადაადგილება — ერთი მიყრუებული პატარა ქალაქიდან მეორემდე, თან ყველგან „ლირიკულ სიურპრიზს“ აწყობდა, ანუ ქირაობდა დარბაზს (ან ფარდულს, თუ დარბაზს ვერ აღმოაჩენდა) და იქ პოეტურ წარმოდგენას მართავდა, მიღებული შემოსავლით კი მისი, ცოლისა და სებასტიანის სხვა ქალაქში გამგზავრება უნდა უზრუნველყო. გაუგებარი მხოლოდ სებასტიანის დანიშნულება თუ როლი იყო — შესაძლოა, მას მხოლოდ გვერდით ყოფნა, საჭირო ნივთის მოტანა ან ლარისას ლოლიაობა ევალეებოდა, რომელსაც ჭირვეული ხასიათი ჰქონდა და მის დაშოშმინებას გვარიანი ძალისხმევა სჭირდებოდა. ალექსეი პანი სცენაზე, ჩვეულებრივ, სავიზიტო სერთუკში გამონწყობილი გადიოდა, სრულიად კორექტულ სამოსში, თუ მის მოსართავ გიგანტურ ლოტოსებს ყურადღებას არ მიაქცევდით. შიშველ შუბლზე თანავარსკვლავედი (დიდი ქოფაკის) დაეხატა. ლექსებს ხმაურიანად, მჭექარე ხმით კითხულობდა, და ვინაიდან ამ ხმას ძალზე ტანდაბალი კაცი გამოსცემდა, თვალწინ უნებურად თავი წარმოგიდგებოდათ, მთა რომ უნდა გაეჩინა. მის გვერდით, შემალლებულ ადგილას, ლარისა იჯდა, იისფერ კაბაში გამონწყობილი ცხენივით ზორბა ქალი, რომელიც ან კაცის ძველ შარვალს ბებკავდა, ან ლილებს აკერებდა, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ქმრისთვის არასდროს აკეთებდა. შიგადაშიგ, ლექსებს შორის პაუზის დროს, პანი ნელა იწყებდა ცეკვას — ეს მაჯების იავურად² ტრიალისა და მის მიერ მოგონილი რიტმული მოძრაობების ნაზავი იყო. კონცერტების შემდეგ აუცილებლად გამოტყვრებოდა ხოლმე, რამაც, საბოლოოდ, დალუბა კიდევ. აღმოსავლეთში მოგზაურობა სიმბირსკში დასრულდა, სადაც გაღეშილი ალექსეი ჯიბე-გაფხეკილი იჯდა სასტუმროს ნომერში, დაუდევარი ლარისა

¹ მარკო პოლო (1254-1324 წწ.) — ცნობილი ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური.

² იგულისხმება კუნძულ იავის მკვიდრთა ცეკვაზე ნაბაძვა.

კი პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდა, რადგან სილა გაან-
ნა რომელიღაც ახირებულ ჩინოვნიკს, რომელსაც მისი გენი-
ალური ქმრის ხმაური არ მოეწონა. სებასტიანი სახლში ისევე
დაბრუნდა, როგორც წავიდა — თითქოს არაფერი მომხდა-
რაო. „სხვას მის ადგილას, — დაამატა დედამ, — შეცბუნება
დაეტყობოდა, შერცხვებოდა ამ სისულელის, მაგრამ სებას-
ტიანი თავის მოგზაურობას თავშესაქცევ ამბად მიიჩნევდა,
რომელშიც თვითონ გულგრილი დამკვირვებლის როლში გა-
მოდოდა“. რატომ მიეტმასნა ამ სულელურ შოუს, სინამდვი-
ლეში რამ უბიძგა უცნაურ ცოლ-ქმართან დასაახლოებლად,
გამოცანად დარჩა (დედამ ივარაუდა, რომ შესაძლოა, ლარი-
სამ გაიტაცა, მაგრამ ის ქალი გონებაშეზღუდული, თანაც
ასაკიანი იყო და თავისი გადარეული ქმარიც სიგიჟემდე უყ-
ვარდა). მალე ისინი სრულიად გაქრნენ სებასტიანის ცხოვრე-
ბიდან. პანი ცოტა ხანს კიდევ სარგებლობდა პოპულარობით
ბოლშევიკურ წრეებში, ჩემი აზრით, იმ უცნაური შეხედულე-
ბის გამო (რაც ცნებათა აღრევის შედეგად გაჩნდა), რომლის
თანახმადაც, ხელოვნებასა და პოლიტიკაში უკიდურესობებს
შორის ბუნებრივი კავშირი არსებობს. ცოტა ხანში, 1922 თუ
1923 წელს, ალექსეი პანმა თავი აჭიმებით ჩამოიხრჩო.

„ყოველთვის ვგრძნობდი, — ამბობდა დედაჩემი, — რომ,
არსებითად, სებასტიანს არ ვიცნობდი. ვიცოდი, რომ გიმნა-
ზიაში კარგად სწავლობდა, რომ უზომოდ ბევრს კითხულობ-
და, რომ წესიერი ადამიანის ჩვევებით ცხოვრობდა, — დილა-
ობით აუცილებლად უნდა მიეღო ცივი აბაზანა, მიუხედავად
იმისა, რომ სუსტი ფილტვები ჰქონდა, — ეს და კიდევ ბევრი
სხვა რამ ვიცოდი, მაგრამ თვითონ იგი რალაცნაირად ხელი-
დან მისხლტებოდა. ახლა, როდესაც უცხო ქვეყანაში დამკ-
ვიდრდა და წერილებს ინგლისურად გვწერს, უნებურად გა-
ვიფიქრებ ხოლმე, რომ ის ყოველთვის გამოცანად დარჩება,
თუმცა მხოლოდ ღმერთმა იცის, როგორ ვცდილობდი, მისთ-
ვის ალერსი არ მომეკლო“.

როდესაც უნივერსიტეტის პირველი კურსის დასრულების
შემდეგ სებასტიანი პარიზში გვეწვია, მან უცხოელისთვის და-

მახასიათებელი გარეგნობით გამაოცა. ტვიდის პიჯაკის ქვეშ ჭყეტელა ყვითელი ჯემპრი მოერგო. ეცვა ფლანელის განიერი შარვალი და სქელი უწვივსაკრავო, ამიტომაც ჩაჩაჩული წინდები. კაშკაშაზოლიან ჰალსტუხს ატარებდა, ცხვირსახოცს კი რალაც უცნობი მიზეზის გამო, სახელოში იმაღავდა. ქუჩაში ჩიბუხს ეწეოდა და მას ქუსლზე იფერთხავდა. ჩვევად ექცა ბუხართან ზურგით, შარვლის ჯიბეებში ღრმად ხელებჩანყობილი დგომა. რუსულად ლაპარაკისას თითქოს ფრთხილობდა, ორიოდე წინადადებას იტყოდა და ინგლისურზე გადაერთვებოდა ხოლმე. ჩვენთან ზუსტად ერთი კვირა დაჰყო. მეორედ დედაჩემის გარდაცვალების გამო ჩამოვიდა. დაკრძალვის შემდეგ დიდხანს ვისხედით ერთად. მან უხერხულად მომითათუნა მხარზე ხელი, როდესაც შემთხვევით დედაჩემის სათვალეს მოვკარი თვალი, თაროზე განცალკევებით რომ იდო, და ცრემლი ველარ შევიკავე, თუმცა მანამდე ამას ვახერხებდი. სებასტიანი ალერსსა და ზრუნვას არ მაკლებდა, მაგრამ თითქოს მაინც შორს იყო, ფიქრებით სხვაგან დაფრინავდა. პრაქტიკულ საკითხებზე ვისაუბრეთ. მან ჯერ რივიერაზე, შემდეგ კი ინგლისში წასვლა შემომთავაზა. გიმნაზია ახალი დამთავრებული მქონდა. მივუგე, რომ პარიზში დარჩენა მერჩივნა, სადაც მეგობრები მყავდა. არ დაუჟინია. ფულის თემასაც შევეხეთ და გაკვრით მითხრა, რაც ახასიათებდა, რომ ყოველთვის შეეძლო იმდენი ფულის მოცემა, რამდენიც დამჭირდებოდა. მგონი, „მანეთი“ თქვა, თუმცა დარწმუნებული არა ვარ. მეორე დღეს სამხრეთ საფრანგეთში გაემგზავრა. იმ დილით ერთად გავისეირნეთ და მასთან ყოფნისას, ჩვეულებისამებრ, რალაც უცნაური უხერხულობა ვიგრძენი — სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ საუბრის თემას ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. ისიც დუმდა. დამშვიდობებისას მითხრა: „აი, რას გეტყვი — თუ რამე დაგჭირდეს, ლონდონის მისამართზე მომწერე. ვიმედოვნებ, შენი სორბონა ჩემს კემბრიჯზე ცუდი არ აღმოჩნდება. ჰო, სხვათა შორის, შეეცადე, შენთვის სასურველ საკითხს მიაგნო და მანამ ჩაუღრმავდე, სანამ არ მოგბეზრდება“. მუქი ფერის თვალებში ნაპერწკალი

გაუკრთა. „ნარმატებას გისურვებ, — დაამატა მან, — შეხვედრამდე“. ხელი დუნედ, ინგლისში გავრცელებული მოდის მიხედვით ჩამომართვა. უეცრად, სრულიად უმიზეზოდ, საოცრად შემეცოდა. მინდოდა, რალაც ბუნებრივი, გამამხნევებელი, მშვენიერი მეთქვა, მაგრამ საჭირო სიტყვებს მხოლოდ მაშინ მოვუყარე თავი, როდესაც მარტო დავრჩი და მათ ვერავის ვეტყოდი.

თავი მეოთხე

ამ წიგნის დაწერა სებასტიანის გარდაცვალებიდან ორი თვის თავზე დავიწყე. შესანიშნავად ვიცი, როგორ გააღიზიანებდა ეს სენტიმენტალობა, მაგრამ მაინც არ შემძლია, არ ვთქვა, რომ მისდამი ჩემმა წრფელმა სიყვარულმა, რომელიც, ასე თუ ისე, ყოველთვის ფეხქვეშ ითელებოდა და უარყოფას აწყდებოდა, ისეთი ახალი, ემოციური ძალით იფეთქა, რომ ყველა სხვა საქმე მოციმციმე სილუეტებად გადაიქცა. ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით და მაშინაც არასდროს გვისაუბრია ლიტერატურაზე, და ახლა, როდესაც ასეთი ურთიერთობის შესაძლებლობა ადამიანთა იმ უცნაურმა ჩვეულებამ მომისპო, რასაც სიკვდილი ჰქვია, საშინლად მწყდებოდა გული — მე ხომ არასდროს მითქვამს სებასტიანისთვის, როგორ მიყვარდა მისი წიგნები. ახლა ისლა დამრჩენოდა, მემარჩიელა, ხვდებოდა თუ არა, რომ ისინი წაკითხული მაინც მქონდა.

კაცმა რომ თქვას, რა ვიცოდი სებასტიანის შესახებ? შემეძლო, ერთი-ორი თავი მიმეძღვნა მისი ბავშვობისა და სიჭაბუკისთვის, მაგრამ შემდეგ? წიგნის გეგმაზე ფიქრისას მკაფიოდ დავინახე, რომ არა ერთი და ორი გამოკვლევის ჩატარება მომიწევდა, რათა მისი ცხოვრება ნაწილ-ნაწილ შემესწავლა და ეს ფრაგმენტები გამეერთიანებინა, რაშიც მისი ხასიათის შინაგანი ცოდნა დამეხმარებოდა. შინაგანი ცოდნა? დიახ, სხვა თუ არაფერი, ეს ცოდნა მაინც გამაჩნდა, ამას ჩემი ყოველი ნერვით შევიგრძნობდი. რაც მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უკეთ მესმოდა, რომ ჩემს განკარგულებაში კიდევ ერთი

ინსტრუმენტი იყო: როდესაც მის საქციელს წარმოვიდგენდი, რომლის შესახებაც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგე, მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამა და ამ შემთხვევაში მეც ზუსტად მისნაირად მოვიქცეოდი. ერთხელ შესაძლებლობა მომეცა და ორი ძმის, საუცხოო ჩოგბურთელების, თამაშს ვაკვირდებოდი. ერთმანეთისგან განსხვავებულად ურტყამდნენ, თანაც ერთი გაცილებით ძლიერი იყო, მაგრამ მოედანზე მათი გადაადგილების რიტმში საოცარი მსგავსება შეიმჩნეოდა. ვინმეს რომ ამის დახაზვა მოეხერხებინა, ორ ერთნაირ სურათს მივიღებდით. გავბედავ და ვიტყვი, რომ მე და სებასტიანსაც მსგავსი რიტმი გვაერთიანებდა. შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნება ის ამოუცნობი შეგრძნება, — რომ ეს ყველაფერი ერთხელ უკვე მოხდა, — რომელიც მისი ცხოვრების ზიგზაგების შესწავლისას მეუფლება. და თუ მის საქციელთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, უცნობი სიდიდეების ადგილებზე იდგა, მათ მნიშვნელობას ჩემ მიერ დაწერილ ამა თუ იმ წინადადებაში ქვეცნობიერად ვპოულობ.

აქედან ნუ დაასკვნით, რომ ორივეს ერთნაირად ბრწყინვალე ჭკუა გვექონდა და მსგავსწახნაგოვანი ნიჭიერებით გამოვიჩრქოდით. სულაც არა. მისი გენია ყოველთვის სასწაულებრივად მიმაჩნდა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რომ ბავშვობა დაახლოებით მსგავს გარემოში გავატარეთ. მერე რა, რომ მეც იგივე დავინახე და დავიმახსოვრე, რაც მან. მისი და ჩემი გამომსახველობითი ძალა ისევე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც ბენშტაინის როიალი და ბავშვის საჟღარუნო. ამ წიგნიდან მას ერთ წინადადებასაც არ წავაკითხებდი, რადგან წინასწარ ვიცოდი, როგორ შეეჭმუხნებოდა სახე ჩემი საცოდავი ინგლისურისგან. არადა, აუცილებლად შეეჭმუხნებოდა. იმის წარმოდგენაც კი მიჭირს, რას იტყოდა, თუ გაიგებდა, რომ მისმა ნახევარძმამ (რომლის ლიტერატურული გამოცდილებაც მაშინ მხოლოდ ინგლისურ ენაზე ერთი-ორი შემთხვევითი თარგმანით ამოიწურებოდა, ისიც საავტომობილო ფირმის შეკვეთით) „დამწყები ავტორე-

ბის“ კურსის გავლა გადანყვიტა — მის ხალისიან რეკლამას ინგლისურ ჟურნალში ნავანყდი. დიახ, ვალიარებ ამას და არც ვნანობ. ჯენტლმენმა, რომელიც ზომიერ თანხად დამპირდა, რომ წარმატებულ მწერლად მაქცევდა, დიდი შრომა გასწია, რათა თავდაჭერილი და დახვეწილი, დამაჯერებელი და მკაფიო სტილით წერა ესწავლებინა. და თუ უიმედო მოსწავლე გამოვდექი, — თუმცა იგი ამას არასდროს მაგრძნობინებდა, — მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდანვე იმ უზადო, შესანიშნავ-მა პატარა მოთხრობამ მომნუსხა, რომელიც მან ნიმუშის სახით გამომიგზავნა იმის გასააზრებლად, თუ რისი დაწერა და გაყიდვა შეეძლოთ მის მოსწავლეებს. მასში, სხვა მრავალთა შორის, ერთი ეშმაკი, კბილებდაკრეჭილი ჩინელი, თაფლისფერთვალემა მამაცი ქალიშვილი და სიტყვაძუნნი ახმახიც იყვნენ, რომელსაც თითების ძვლები სტკიოდა, როდესაც ვინმე თავს მოაბეზრებდა. ამ ძალზე უცნაურ ეპიზოდს არც კი ვახსენებდი, მაგრამ იგი ნათლად აჩვენებს, რაოდენ მოუმზადებელი ვიყავი ჩემი დავალების შესასრულებლად და როგორ უკიდურესობამდე მივყავდი საკუთარ თავში დაურწმუნებლობას. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, კალამს მოვკიდებ ხელი, გარდაუვლობასთან პირისპირ შესახვედრად მოვემზადე — სხვა სიტყვებით, მზად ვიყავი, ყველაფერი გამეკეთებინა, რაც შემეძლო.

ამ ამბავში ერთი პატარა ზნეობრივი მოძღვრებაც იმალება. თუკი სებასტიანი სიამოვნებისა თუ გართობის მიზნით გადანყვიტდა მსგავსი დაუსწრებელი კურსის გავლას, — მხოლოდ იმიტომ, რომ ენახა, აქედან რა გამოვიდოდა (უყვარდა კიდევ ამგვარი გართობა), — ჩემზე გაცილებით უიმედო მოსწავლის როლში აღმოჩნდებოდა. მას შესთავაზებდნენ, წესიერი მწერალივით დაეწერა, და ისე დაწერდა, როგორც არავინ წერს. მე ისიც კი არ შემეძლია, მის მანერას მივბაძო, ვინაიდან მისი პროზის სტილი მისი აზროვნების სტილია — სიტყვებს შორის არსებული ცარიელი ადგილების თვალისმომჭრელი მწკრივი. ცარიელი ადგილის მიმსგავსება კი ძნელია, ვინაიდან მას უნებურად რამით შეავსებ და ყვე-

ლაფერს გააფუჭებ. მაგრამ როდესაც სებასტიანის ნიგნებში ხასიათის ან შთაბეჭდილების დანვრილებით აღწერა მხვდება, რომელიც მაიძულებს, ნათლად წარმოვიდგინო, ვთქვათ, განათების განსაზღვრული ეფექტი განსაზღვრულ ადგილას, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორივემ რომ შევამჩნიეთ, ვგრძნობ, რომ, მართალია, მის ნიჭიერებას კოჭებამდეც ვერ ვწვდები, მას და მე ერთგვარი ფსიქოლოგიური ნათესაობა გვაკავშირებს, რაც დახმარებას გამიწვეს.

ასე რომ, უკვე მქონდა ინსტრუმენტი და ახლა საქმეში უნდა გამომეყენებინა. სებასტიანის გარდაცვალების შემდეგ, პირველ რიგში, ის უნდა გამერკვია, რაც მას დარჩა. მან ყველაფერი მე მიანდერძა. წერილიც დამიტოვა, რომელშიც ზოგიერთი ქალაქის დაწვას ითხოვდა, მაგრამ ეს ისე ბუნდოვნად ეწერა, რომ თავდაპირველად მეგონა, შავ ჩანაწერებს, მონახაზებსა თუ უარყოფილ მანუსკრიპტებს გულისხმობდა. მალე დავადგინე, რომ სხვადასხვა დოკუმენტს შორის ჩადებული რამდენიმე ფურცლის გარდა, ისინი დიდი ხნის წინათ თვითონ გაენადგურებინა, ვინაიდან იმ იშვიათ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც იციან, საბოლოო ნაწარმოების, ანუ დაბეჭდილი ნიგნის გარდა, არაფერი უნდა დარჩეს; რომ ნიგნი, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს დაუხვეწავი მანუსკრიპტის სახით შექმნილ თავისივე აჩრდილთან ერთად — მას ხომ ყველა ნაკლი სამზეოზე აქვს გამოტანილი მხარზემოდან მოცქირალი შურისმაძიებელი მოჩვენების მსგავსად; და რომ ამავე მიზეზით, არასდროს შეიძლება სახელოსნოში დატოვებული ნაგვის შენახვა, თუნდაც მას სენტიმენტალური ან კომერციული ღირებულება ჰქონდეს.

როდესაც პირველად შევაბიჯე ლონდონის ოუქპარკგარდენის ოცდათექვსმეტში მდებარე სახლის სებასტიანის პატარა ბინაში, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს არაერთხელ გადავდე საჭირო საქმე და, აჰა, დავაგვიანე კიდევ. სამი ოთახი, გაცივებული ბუხარი, სიჩუმე. უკანასკნელი წლების განმავლობაში ის იქ იშვიათად ცხოვრობდა, სულ სხვა ადგილას აღესრულა. კარადაში ხუთი თუ ექვსი, ძირითადად,

ძველი კოსტიუმი ეკიდა. წამით მომეჩვენა, რომ სებასტიანის სხეული მკაცრ, კვადრატულმხრებიან ფიგურებად გამრავლებულიყო. ერთხელ აი, ამ ყავისფერ სერთუკში ვნახე; სახელოს შევეხე, მაგრამ მეხსიერების სუსტ გამოძახილს არ გამოეხმაურა. აქვე ენყო ფეხსაცმელები, არაერთი მილი რომ გაევლოთ და მოგზაურობა დაესრულებინათ, და დაკეცილი პერანგები. რისი თქმა შეეძლოთ ჩემთვის ამ უტყვ ნივთებს სებასტიანის შესახებ? სანოლი. მის თავზე ზეთის საღებავებით შესრულებული პატარა ძველი ნახატი, ოდნავ გაბზარული (წყლისგან გაჯირჯვებული გზა, ცისარტყელა, ლამაზი გუბეები). გაღვიძებისას პირველად სწორედ მას ხედავდა.

იქაურობას ვათვალიერებდი და მეჩვენებოდა, რომ ამ საძინებელში ნივთები უკანასკნელ წამს ნაჩქარევად იკავებდნენ თავ-თავიანთ ადგილებს, თითქოს ვიღაც თავს მოულოდნელად წაადგათო, და ახლა ერთმანეთის მიყოლებით საპასუხო მზერას მტყორცნიდნენ და იმის გარკვევა სურდათ, შევამჩნიე თუ არა მათი სიცელქე. განსაკუთრებით სანოლის გვერდით მდგარი თეთრშაღლითიანი დაბალი სავარძელი ცდილობდა. ნეტავ რას მალავს-მეთქი, გავიფიქრე. გაჯიუტებულ ნაკეცებში ხელი მოვაფათურე და რაღაც მაგარი აღმოვაჩინე — ბრაზილიური კაკალი; სავარძელმა მაშინვე ხელები დაიკრიფა და გულგრილი სახე მიიღო (ეს, ერთგვარად, ქედმაღლურ სიძულვილსაც ჰგავდა).

სააბაზანო. შუშის თარო, ცარიელი, თუ არ ჩავთვლით ტალკის დაცლილ თუნუქის კოლოფს, რომელზეც იები ეხატა და სარკეში ფერად რეკლამასავით მოჩანდა.

შემდეგ ორი მთავარი ოთახი დავათვალიერე. სასადილო უცნაურად გაუპიროვნებული მომეჩვენა, როგორც ყველა ადგილი, სადაც ადამიანები საჭმელს მიირთმევენ, შესაძლოა, იმიტომ, რომ საკვები უპირველესი რგოლია, რომელიც ჩვენ გარშემო ქაოსურად მოძრავ მატერიებთან გვაკავშირებს. მართალია, შუშის საფერფლეში სიგარეტის ნამწვავი ეგდო, ის ვინმე მისტერ მაკმატიკს, უძრავი ქონების გაყიდვის აგენტს დაეტოვებინა.

კაბინეტი. აქედან მოჩანდა ეზოში გაშენებული ბალი თუ პარკი, ცა, რომელიც თანდათან მუქდებოდა, და ორი-სამი თელადუმა. მუხები კი, ქუჩის სახელწოდების მიუხედავად¹, არსად იყო. ოთახის ერთ ბოლოში ტყავის დიდი სავარძელი იდგა. წიგნებით გავსებული თაროები. სანერი მაგიდა. მასზე არაფერი ეწყო, წითელი ფანქრისა და სამაგრებიანი კოლოფის გარდა. თითქოსდა წარბშექმუხნილი, განდგომილებას გამოხატავდა. სამაგიეროდ, მის დასავლეთ კიდეზე საუცხოო ლამპა იწონებდა თავს. მაჯისცემა გავუსინჯე თუ არა, ოპალის სფერო მაშინვე განათდა — ეს ჯადოსნური მთვარე სებასტიანის თეთრი ხელის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა. როგორც იქნა, დადგა დრო, რომ საქმეს შევდგომოდი. ჩემთვის დატოვებული გასაღები ამოვიღე და უჯრები გავხსენი.

უპირველეს ყოვლისა, დღის სინათლე წერილების ორ შეკვრას ვაღიროსე, რომლებზეც სებასტიანს „განადგურდეს“ წაენერა. ერთ მათგანში ვერაფერი გავარჩიე — მხოლოდ მუქ ლურჯად მოარშიებული ბაცი ცისფერი სანერი ქალაღები. მეორე პაკეტში მრავლად იყო ქალის მტკიცე ხელით თავიდან ბოლომდე შევსებული პატარა ბარათები. გამოვიცანი კიდეც ხელწერის ავტორი. რამდენიმე წამის განმავლობაში ორივე შეკვრაში მოთავსებული ქალაღების შინაარსის გაცნობის ცდუნებას ვებრძოდი. სამწუხაროდ, წესიერებამ გაიმარჯვა, მაგრამ როდესაც მათ ბუხრის ცხაურზე ვწვავდი, ერთი ცისფერი, ცეცხლის ალში გახვეული ფურცელი კლაკნა-გრეხით გამოცალკევდა და სანამ გამანადგურებელი სიშავე დაეუფლებოდა, რამდენიმე სიტყვა მკვეთრად გამონათდა, თუმცა ისინიც მალე გაქრა და ყველაფერი დასრულდა.

სავარძელში ჩავეშვი და ჩავფიქრდი. სიტყვები რუსულად ეწერა, რუსული წინადადების ნაწილი იყო. ისინი, თავისთავად, არაფერს ნიშნავდა (არც ველოდი, რომ ცეცხლის ენები შემთხვევით მისი შემქმნელის მახვილგონივრულ ჩანაფიქრს გამიმხელდნენ). „...შენი მანერა, ყოველთვის გამოგეძებნა...“ სიტყვების შინაარსმა კი არ გამაოცა, არამედ იმან, რომ ჩემს

¹ Oak (ინგ.) — მუხა.

მშობლიურ ენაზე ეწერა. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო ეს რუსი ქალი, რომლის ბარათებიც სებასტიანს კლერ ბიშოფის¹ წერილების უშუალო სიახლოვეს შეენახა. შეცბუნებასა და უხერხულობას ვგრძნობდი. კვლავაც გაშავებული და ცივი ბუხრის გვერდით მდგარი ჩემი სავარძლიდან კარგად ვხედავდი ლამპის მკაფიო შუქს, მაგიდის გაღებული უჯრიდან თავამოყოფილ ქათქათა ქალაღლებს. ერთ მათგანს დასტიდან თავი დაეძვრინა და იატაკზე დაგებულ ლურჯ ხალიჩაზე დაედო ბინა. სინათლის დაცერებულ სხივებს მისი ერთი ნახევარი ჩრდილით დაეფარა და თითქოს შუაზე გაეჭრა. წამით მაგიდასთან მჯდარი სებასტიანიც დავლანდე; ან, უფრო სწორად, როკბრიუნის შემთხვევა გამახსენდა, სხვა როკბრიუნი რომ აღმოჩნდა. ვინ იცის, იქნებ ლოგინში წერას ამჯობინებდა.

ცოტა ხნის შემდეგ საქმე განვაგრძე — სწრაფად შევუდექი მაგიდის უჯრების შიგთავსის დახარისხებას. ბევრი წერილი აღმოვაჩინე. გვერდზე გადავდე, რათა სხვა დროს შემეველო თვალი. ლაფნისებურ ალბომში, რომელზეც უჩვეულო პეპელა ეხატა, გაზეთის ამონაჭრები ინახებოდა. მათგან ერთიც არ იყო მისი წიგნების რეცენზია — სებასტიანი მათ მოჭარბებული პატივმოყვარეობის გამო არ აგროვებდა, და თუ მაინც ჩაუვარდებოდა ხელში, ალბომში ჩაწებების უფლებას იუმორის გრძნობა არ აძლევდა. და მაინც, ასეთი ალბომი არსებობდა, ოღონდ მასში მოთავსებული ამონაჭრები (როგორც მოგვიანებით დავადგინე, როდესაც თავისუფალ დროს გადავიკითხე) ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ვითარებასა და პირობებში მომხდარ, სიზმრებისთვის დამახასიათებელ დაუჯერებელ და უაზრო შემთხვევებს აღწერდა. ისიც დავასკვნენი, რომ სებასტიანი კეთილგანწყობას ამჟღავნებდა ნაირგვარი მეტაფორული ნაზავის მიმართ — როგორც ჩანს, მასაც ღამის მსუბუქი კოშმარების რიგს მიაკუთვნებდა.

იურიდიულ დოკუმენტებს შორის ქალაღდს მივაგენი, რომელზეც მოთხრობის დასაწყისი ეწერა — მხოლოდ ერთი წინადადება, ისიც შუა სიტყვაზე განწყვეტილი, მაგრამ მან შე-

¹ ბიშოფი — ჭადრაკის ფიგურა — კუ — ინგლისურად.

საძლებლობა მომცა, სებასტიანის წერის თავისებური ხერხი აღმომეჩინა: იგი არასდროს გადახაზავდა იმ სიტყვებს, რომლებსაც ახლით ცვლიდა, ამიტომ ფრაზა, რომელსაც წავაწყდი, ასე გამოიყურებოდა:

„რადგან ღრმად ღრმა ძილი იცოდა, როჯერ როჯერსონმა, ბებერმა როჯერ როჯერსონმა იყიდა მოხუცმა როჯერ როჯერსონმა იყიდა, რადგან ეშინოდა იმ ადამიანის მსგავსად, გაღვიძება რომ უჭირს. მოხუც როჯერს ძალიან ეშინოდა, ვაითუ, ხვალ დროზე ვერ გავიღვიძოო. იგი გაჭირვებით იღვიძებდა. საოცრად ეშინოდა, ძილში ეს შემთხვევა არ გამომეპაროსო სასწაული დილის მატარებელი სასწაული რომ იყიდა და შინ მიიტანა სალამოს იყიდა და შინ მიიტანა ერთი კი არა, რვა განსხვავებული ზომისა და განსხვავებული ძალით მონიკნიკე სხვადასხვა ზომის ცხრა რვა თერთმეტი მალვიძარა მონიკნიკე მალვიძარა ცხრა როგორც კატას რომლებიც დააწყო რომლებმაც მის საძინებელს ისეთი სახე მისცა, როგორც...“

გული დამწყდა, რომ მეტი აღარ ეწერა.

უცხოური მონეტები შოკოლადის კოლოფში: ფრანკები, მარკები, შილინგები, კრონები და მათი შესაბამისი სპილენძის ხურდა. რამდენიმე მუდმივი კალამი. დაუმუშავებელი აღმოსავლური ამეთვისტო. სააფთიაქო რეზინი. შუშა თავის ტკივილის, ნერვების, ნევრალგიის, უძილობის, ცუდი სიზმრების, კბილის ტკივილის საწინააღმდეგო აბებით. კბილის ტკივილი საექვო ჩანდა. ძველი (1926 წლის) ბლოკნოტი უსარგებლო ტელეფონის ნომრებით. ფოტოსურათები.

ველოდი, რომ ქალების მრავალსურათს ვნახავდი, — ჩვეულებრივს, მზის გულზე მოღიმარს, ზაფხულის პორტრეტებს, ევროპული შუქრდილით, თეთრ კაბაში გამოწყობილებსა და გაღიმებულებს, ტროტუარზე, ქვიშასა თუ თოვლში მდგომთ, მაგრამ შევცდი. იმ ორი ათეული ფოტოდან, დიდი კონვერტიდან რომ ამოვიღე, — ზედ სებასტიანის ხელით „მისტერ H“ ეწერა, — თითოეულზე ერთი და იგივე პიროვნება მოჩანდა, ოღონდ ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში: თავდაპირველად ყაჩაღანა მთვარისებრი სახით, უხეშ მატროსულაში, შემდეგ

შეუხედავი ბიჭი კრიკეტის კარტუზში, ცხვირპაჭუა ჭაბუკი და ასე შემდეგ, მონიფული „მისტერ H“-ის სურათების მთელ სერიამდე, რომლებზეც საზიზლარი, ბულდოგის შესახედაობის მამაკაცი სულ უფრო და უფრო სუქდებოდა ფოტოგრაფიული დეკორაციებისა და ნამდვილი ბაღჩების ფონზე. მისი როლი ერთ-ერთ ფოტოსურათზე მიმაგრებული გაზეთის ამონაჭრის მიხედვით დავადგინე:

„ავტორი, რომელიც გამოგონებულ ბიოგრაფიას წერს, შეიძენს ენერგიული, უბრალო გარეგნობის, წესიერი მანერების, არამსმელი ჯენტლმენის ფოტოებს, სასურველია, უცოლო იყოს. ვიყიდი ბავშვობის, ჭაბუკობისა და მონიფულობის ამსახველ სურათებს ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში განსათავსებლად“.

ეს წიგნი სებასტიანს არასდროს დაუნერია, თუმცა შესაძლებელია, მის დაწერას სიცოცხლის უკანასკნელ წელს აპირებდა, ვინაიდან ბოლო ფოტოსურათი, სადაც მისტერ H გაბრწყინებული სახით დგას ახალი ავტომობილის გვერდით, 1935 წლის მარტითაა დათარიღებული.

უეცრად დაღლილობა და სევდა მომეძალა. მისი რუსი კორესპონდენტის დანახვა მომინდა. თვითონ სებასტიანის სურათები მჭირდებოდა. ბევრი რამ მინდოდა... ამიტომ ოთახს თვალი მოვაველე და წიგნის თაროების თავზე, მკრთალ ჩრდილში, ჩარჩოში ჩასმული ორი ფოტოსურათი დავინახე.

წამოვდექი და ახლოდან შევათვალიერე. ერთი მათგანი გადიდებული სურათი იყო წელამდე შიშველი ვიღაც ჩინელისა, რომელსაც ზეალმართული ხელი თავის მოკვეთას უპირებდა. მეორე ბანალურ ფოტოეტიუდს ჰგავდა: თმახუჭუჭა ბავშვი ძაღლის ლეკვს ეთამაშებოდა. გემოვნების თვალსაზრისით, ასეთი მეზობლობა საეჭვოდ მომეჩვენა, თუმცა სებასტიანმა, ალბათ, იცოდა, რატომ ჰკიდებდა მათ ასე და არა სხვაგვარად.

წიგნებსაც გადავხედე — უამრავი ენყო, სხვადასხვანაირი, შელანძღული. თუმცა ერთი თარო სხვებზე აკურატულად გამოიყურებოდა. მასზე წიგნების ასეთ თანამიმდევრობას წა-

ვანყდი, რამაც წამით უცნაურობამდე ნაცნობი მუსიკალური ფრაზა გამახსენა: „ჰამლეტი“¹, „ართურის სიკვდილი“², „წმინდა მეფე ლუის ხიდი“³, „ექიმი ჯეკილი და მისტერ ჰაიდი“⁴, „სამხრეთის ქარი“⁵, „ქალი ფინიათი“⁶, „მადამ ბოვარი“⁷, „უჩინარი ადამიანი“⁸, „აღდგენილი დრო“⁹, ინგლისურ-სპარსული ლექსიკონი, „ტრიქსის ავტორი“¹⁰, „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“¹¹, „ულისე“¹², „როგორ ვიყიდოთ ცხენი“¹³, „მეფელირი“¹⁴...

მელოდიამ ოდნავ ამოიოხრა და გაქრა. მაგიდასთან დავბრუნდი და გადადებული წერილების გადარჩევა დავიწყე. უმეტესობა საქმიანი მიმოწერა იყო და, ჩემი აზრით, მათი გაცნობის უფლება მქონდა. ზოგი უკავშირდებოდა სებასტიანის საქმიანობას, ზოგი — არა. აქ უნესრიგობა სუფევდა, მრავალ მინიშნებას ვერაფერი გავუგე. რამდენიმე წერილის ასლიც აღმოვაჩინე, ასე რომ, ჩემ წინ იყო, მაგალითად, სრული, გრძელი, კოლორიტული დიალოგი მასა და გამომცემელს შორის ერთი წიგნის თაობაზე. შემდეგ ვილაც ახირებული პიროვნება რუმინეთიდან გამოცემის უფლებებით ინტერესდებოდა... შევიტყვე, რამდენი წიგნი გაიყიდა ინგლისსა და მის დომინიონებში... შთამბეჭდავი ციფრები არ გახლდათ, თუმცა ერთს არაფერი დაენუნებოდა. რამდენიმე წერილი მწერალთა საძმოს ეკუთვნოდა. ერთადერთი ცნობილი წიგნის ავტორი მსუბუქად ტუქსავდა სებასტიანს (1928 წლის 4 აპრილს) იმისთვის, რომ ძალზე ხშირად ხმარობდა სიტყვა Conradish-ს,

¹ უილიამ შექსპირის პიესა.

² თომას მელორის რომანი.

³ ტორტონ უაილდერის მოთხრობა.

⁴ რობერტ ლუის სტივენსონის რომანი.

⁵ ნორმან დუგლასის რომანი.

⁶ ანტონ ჩეხოვის მოთხრობა.

⁷ გუსტავ ფლობერის რომანი.

⁸ პერბერტ უელსის რომანი.

⁹ მარსელ პრუსტის რომანი.

¹⁰ უილიამ კეინის კომედიური რომანი.

¹¹ ლუის კეროლის ზღაპარი; ნაბოკოვმა თარგმნა სახელწოდებით „ანია საოცრებათა ქვეყანაში“.

¹² ჯეიმზ ჯოისის რომანი.

¹³ ფრენსის ბერნარდის იუმორისტული ნარკვევი.

¹⁴ უილიამ შექსპირის პიესა.

და ურჩევდა, რომ მომავალ ნაწარმოებებში Con ამოეგდო და კულტივირება radish-ისთვის გაენია, რაც სულელურ იდეად მომეჩვენა¹.

და ბოლოს, დასტის ძირში ჩემს და დედაჩემის წერილებსაც მივაგენი მისი საუნივერსიტეტო ამხანაგის ბარათებთან ერთად. ფურცლების ერთგვარი წინააღმდეგობა დავძლიე (ძველ წერილებს ძალიან არ უყვართ, როდესაც ფურცლავენ) და უეცრად მივხვდი, რომელი გზა უნდა ამერჩია სანადიროდ.

¹ კრიტიკოსი ნაითს აბრალებს, რომ იგი ინგლისელ მწერალს, ჯოზეფ კონრადს ჰბაძავს, ურჩევს, დაივიწყოს კაპიტნის ჯიხური (კონრადი გემის კაპიტანიც იყო) და ბოლოკის მოყვანას მიჰყოს ხელი.

თავი მეხუთე

ვერ ვიტყვი, რომ სებასტიან ნაითმა სტუდენტობის წლები ბედნიერად გაატარა. მართალია, ბევრი რამ მოეფონა გულზე, რაც კემბრიჯში ნახა¹ — თავდაპირველად იმ ქვეყნის ხედების, სურნელისა და ახალი შეგრძნებების ტყვეობაში მოექცა, რომლისკენაც ასე ძლიერ მიისწრაფოდა. სადგურიდან ტრინიტის კოლეჯამდე ორთვალა ეტლით მივიდა, რომელიც თითქოს სწორედ მის გამოჩენას ელოდა, რათა შემდეგ სიხარულით გაუჩინარებულყო, როგორც მანამდე დიდი ბაკენბარდები და „უნყვილო მენამული“² გაქრა. ქუჩებში არსებული ჭენჭყო, რომლის სისველაც დანისლულ სიბნელეში ბრწყინავდა, და მოსალოდნელი გარდაუვალი კონტრაპუნქტი — ცხელი ჩაი და მოგიზგიზე ბუხარი — ჰარმონიას ქმნიდა, რომელიც, რაღაც გამოისობით, ზეპირად იცოდა. კოშკებზე მოთავსებული საათების რეკვის წკრიალა ხმა, ხან ზემოდან რომ გადაევლებოდა ქალაქს, ხან კი ერთმანეთს მისდევდა და შორეულ ექოდ ბრუნდებოდა უკან, რაღაც უცნაური, გულის სიღრმემდე ნაცნობი სახით ერწყმოდა გაზეთების დამტარებელი ბიჭების მკვიანა შეძახილებს. და როდესაც კოლეჯის პირქუში დიდებულებით გამორჩეულ ეზოში შეაბიჯა, სადაც ნისლში შავ, აკადემიურ მოსასხამებში გამოწყობილი ჩრდილები დადიოდნენ, მის წინ კი შვეიცრის ქვაბქუდა ირხეოდა,

¹ ნაბოკოვიც კემბრიჯში, იმავე კოლეჯში სწავლობდა.

² პეპლის სახეობა, რომელიც ერთ დროს კემბრიჯის მიდამოებში იყო გავრცელებული.

სებასტიანმა გააცნობიერა, რომ მისთვის ყველა შეგრძნება გაცხადდა — კორდების მძაფრი სუნი, ფეხქვეშ ქვის ფილების ძველებური ჟღერადობა, თავზემოთ ბნელი კედლების გადღაბნილი მოხაზულობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი. ეს განსაკუთრებით აღფრთოვანებული განწყობა, ალბათ, დიდხანს გაგრძელდა, თუმცა მას სხვა რამეც ეზავებოდა, რომელმაც საბოლოოდ იძალა კიდევ. სებასტიანი, თითქოს საკუთარ ჯიბრზე, მიხვდა, — ამას თან, შესაძლოა, უნებური გაოცებაც ახლდა თან (ის ხომ ინგლისისგან იმაზე მეტს ელოდა, რისი გაცემის უნარიც ამ ქვეყანას შესწევდა), — რომ მიუხედავად იმისა, როგორ ბრძნულად და ტკბილადაც უნდა აჰყოლოდა ახალი გარემოცვა მის ძველ ოცნებებს, თვითონ იგი ან, უფრო სწორად, მასში არსებული ყველაზე ძვირფასი, როგორც ყოველთვის, კვლავაც უიმედოდ მარტო დარჩებოდა. მარტობა სებასტიანის ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევდა, და რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობდა ბედი მისი ყოფისთვის კომფორტის შექმნას, რისთვისაც მისთვის თითქოსდა საჭირო ნივთებს საუცხოო სახით წარმოუდგენდა, მით უფრო რწმუნდებოდა თავის უუნარობაში, რომელიმე, სულერთია რომელ, სურათს მორგებოდა. როდესაც ეს, როგორც იქნა, სრულად გააცნობიერა და მკაცრი გულჩახვეულობა — ვითომდა იშვიათი ნიჭი ან გატაცება — აირჩია, მხოლოდ მაშინ დაიწყო მისგან უხვი, განუწყვეტლივ მზარდი სიამოვნების მიღება, და სულაც აღარ ადარდებდა თავისი მოუხერხებლობა და უკარებლობა, — მაგრამ ეს გაცილებით გვიან მოხდა.

თავდაპირველად კი, როგორც ჩანს, საოცრად ეშინოდა, რამე შეცდომით ან, კიდევ უარესი, უხეიროდ არ გაეკეთებინა. ვილაცამ უთხრა, რომ ფოჩიანი ქუდის მყარი, კვადრატული განმბრჯენი დაემტვრია ან სულაც ამოეღო და უფორმო შავი მაუდი დაეტოვებინა. ასეც მოიქცა და მაშინვე მიხვდა, რომ ახალბედებისთვის დამახასიათებელი უხეში შეცდომა დაუშვა, და რომ უზადო გემოვნება როგორც ქუდის, ისე მანტიის უგულვებელყოფას ავალდებულებდა, რითაც მათ უმნიშვნელო ნივთების რიგში გადაანაცვლებდა, წინააღმ-

დეგ შემთხვევაში კი, ისინი განსაზღვრულ მნიშვნელობას შეიძენდნენ. ქოლგები და შლაპები უპირობოდ იკრძალებოდა ამინდის მიუხედავად, და სებასტიანი მორჩილად სველდებოდა და ცივდებოდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს დ. ვ. გორჟეტი არ გაიცნო, მომხიბლავი, ქარაფშუტა, ზარმაცი, თავქარიანი ახალგაზრდა, რომელსაც სიგიჟმაჟით, ელეგანტურობითა და მახვილგონიერებით გაეთქვა სახელი. ჰოდა, სწორედ ეს გორჟეტი არხეინად დადიოდა ქვაბქუდითა და ქოლგით. როდესაც თხუთმეტი წლის შემდეგ კემბრიჯში ჩავედი და ეს ყველაფერი სებასტიანის საუკეთესო უნივერსიტეტელმა ამხანაგმა (ამჟამად ცნობილმა ფილოლოგმა) მიაშობ, ვუთხარი, მგონი, ყველა ატარებს-მეთქი... — მართალია, — გამაწყვეტინა მან, — გორჟეტის ქოლგამ იმრავლა.

— მომიყევით სპორტისა და თამაშების შესახებ, — ვთხოვე მას, — სებასტიანი კარგად თამაშობდა?

ჩემს ინფორმატორს გაელიმა.

— ვშიშობ, — თქვა მან, — თუ უბრალო მატჩებს არ ჩავთვლით ჩოგბურთის მწვანე, სველ კორტზე, სადაც ყველაზე მოშიშვლებულ ადგილებზე გვირილები ხარობდა, მე და სებასტიანმა ამ საქმეში ბევრს ვერაფერს მივალწიეთ. როგორც მახსოვს, მას საუცხოო, ძვირფასი ჩოგანი ჰქონდა, ფლანელის შარვალს იცვამდა, რომელიც ძალიან უხდებოდა. და საერთოდ, ფაქიზად და კოხტად გამოიყურებოდა, და ასე შემდეგ... მაგრამ სუსტად თამაშობდა, ქალურად, აქეთ-იქით აწყდებოდა, შიგადაშიგ ჩოგანსაც აცდენდა, თუმცა მეც ბევრით არაფრით ვჯობდი. ამიტომ ჩვენი თამაში იქამდე დადიოდა, რომ მიწიდან სველ, გამწვანებულ ბურთებს ვიღებდით, ან მათ მეზობელ კორტებზე მყოფ მოთამაშეებს ვუგდებდით. ეს ყველაფერი გამუდმებით წვიმაში ხდებოდა. ერთი სიტყვით, თამაშებში აშკარად არ ბრწყინავდა.

— ნუთუ ეს გულს არ სტკენდა?

— ვფიქრობ, სტკენდა. პირველ სემესტრში იმის გაცნობიერება ტანჯავდა, რომ ამ მხრივ ჩამორჩებოდა. როდესაც გორჟეტი გაიცნო (ეს ჩემს ბინაში მოხდა), საბრალო სებასტი-

ანმა იმდენი ილაპარაკა ჩოგბურთის შესახებ, რომ გორჟეტ-მა ბოლოს იკითხა, ამ თამაშში ყვანჯებს თუ იყენებენო. ამან, ერთგვარად, ანუგეშა სებასტიანი — დაასკვნა, რომ გორჟეტი, რომელიც თავიდანვე მოეწონა, ასევე ცუდი სპორტსმენი იყო.

— მართლა?

— რა გითხრათ... რაგბიში ცისფერ ნიშანს ატარებდა, მაგრამ ჩოგბურთი, შესაძლოა, არ უყვარდა. ასე იყო თუ ისე, სებასტიანმა მალე დასძლია ეს კომპლექსი. და საერთოდ...

ოდნავ განათებულ, მუხის პანელებით მოპირკეთებულ ოთახში ისეთ დაბალ სავარძლებში ვისხედით, რომ ხელით თავისუფლად მივწვდებოდით ლანგარს მასზე დაწყობილი ჩაის სერვიზით, იატაკზე დაგებულ ნოხზე რომ იდო. ცეცხლის მოციმციმე ათინათები, კერიის სპილენძის ბურთებში ირეკლებოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს სებასტიანის სული თავზე დაგვტრიალებდა. ჩემი თანამოსაუბრე სებასტიანს ისე ახლოს იცნობდა, რომ, ვფიქრობ, არ შემცდარა, როცა ივარაუდა, რომ მისი ძალისხმევა, ინგლისელებზე მეტად ინგლისელი ყოფილიყო, ერთგვარ არასრულფასოვნების კომპლექსს ეფუძნებოდა, და თუმცა ამას ვერაფრით ახერხებდა, მაინც ჯიუტობდა, სანამ არ დაასკვნა, რომ ხელს ეს გარეშე საგნები ან ახალმოდური სლენგი კი არ უშლიდა, არამედ მისი სწრაფვა — სხვებს დამსგავსებოდა და მათსავით მოქცეულიყო, არადა, მისჯილი ჰქონდა საკუთარ თავთან განცხრომით მარტო დარჩენა.

მიუხედავად ამისა, თავდაპირველად ძალ-ლონეს არ იშურებდა, რომ სტანდარტული სტუდენტი ყოფილიყო. ყავისფერი ხალათით, შიშველ ფეხებზე ძველი, მსუბუქი ფეხსაცმლით, მუშამბის პარკში ჩაწყობილი სასაპნითა და ღრუბლით, ზამთრის ყოველ დილას კუთხეში მდებარე აბანოსკენ მიემართებოდა. დილის ჩაისთვის სასადილოში შედიოდა და ისეთივე დაღვრემილ, ნაცრისფერ შვრიის ფაფას მიირთმევდა, როგორც ცაც გადაჰკროდა კოლეჯის ეზოს, თან კედლებზე ასული სუროს შეფერილობის ფორთოხლის ჯემს აყოლებდა. შემდეგ,

როგორც ინფორმაციის მომწოდებელმა ერთ-ერთმა წყარომ მითხრა, თავის „პედალიონზე“¹ ჯდებოდა, მანტიას მხარზე მოიგდებდა და ერთი სალექციო კორპუსიდან მეორეში გადადიოდა. „პიტთან“ საუბრობდა (როგორც გავიგე, ეს რალაც კლუბის მსგავსი იყო, სადაც კედლებზე, ალბათ, ცხენების სურათები ეკიდა, ბებერი მიმტანები კი მუდმივ შეკითხვას სვამდნენ: „მუქი თუ გამჭვირვალე?“²), ან „ფაივზს“ თამაშობდა (არ ვიცი, ეს რა თამაშია), ან სხვა რომელიმე ნაკლებად ხმაურიან თამაშს, შემდეგ ორ-სამ ამხანაგთან ერთად ჩაის სვამდა; საუბარი ღვეზელსა და ჩიბუხს შორის დუნედ მიედინებოდა, გულმოდგინედ ცდილობდნენ, გვერდი აევლოთ ყველაფრისთვის, რაც სხვებს ჯერაც არ ეთქვათ. სადილობამდე ერთი ან ორი ლექცია რჩებოდა, რასაც კვლავ უნივერსიტეტის სასადილო მოწყვებოდა — იმპოზანტური დაწესებულება, რომლის დათვალიერებაც თავაზიანად შემომთავაზეს. სწორედ იმ დრო სასადილოს ალაგებდნენ და ჰენრი VIII-ის³ მსხვილი ნაკუთალები თითქოს იხვენებოდნენ, შეგვიღივებდნენ.

— სებასტიანი სად იჯდა ხოლმე?

— აი, იქ, კედელთან.

— იქამდე როგორ მიდიოდა? როგორც ვხედავ, ლამის ერთი მილის სიგრძის მაგიდებია.

— ძელსკამიდან მაგიდაზე ადიოდა და ზედ მიაბიჯებდა. ისეც ხდებოდა, რომ ზოგჯერ, შემთხვევით, ფეხს თეფშს დაადგამდა, მაგრამ ასე დასჩემდა.

სადილობის შემდეგ თავის ოთახში ბრუნდებოდა ან რომელიმე სიტყვაძუნთანამგზავრთან ერთად ბაზრის მოედანზე მდებარე პატარა კინოთეატრში მიდიოდა, სადაც ან ველურ დასავლეთზე უჩვენებდნენ ფილმს, ან იმას, თუ როგორ გაურბოდა ჩარლი ჩაპლინი უშველებელ ავკაცს, მოსახვევებში კი ისე სრიალებდა, როგორც ყინულზე.

¹ ველოსიპედი.

² მუქი თუ გამჭვირვალე? — იგულისხმება ადგილობრივი საფირმო ლუდი.

³ ტრინიტი-კოლეჯის სასადილოში კიდია ასლი ჰოლბაინი-უმცროსის (1497-1543) პორტრეტისა „ჰენრი VIII“, რომელმაც ეს კოლეჯი დააარსა.

ასე გაატარა სამი თუ ოთხი სემესტრი, შემდეგ კი მასში საინტერესო ცვლილება მოხდა. უეცრად ყველაფერი მოჰბეზრდა, რაც, მისი აზრით, უნდა მოსწონებოდა, და უჩუმრად მოჰკიდა ხელი თავის ნამდვილ საქმეს. გარეგნულად ეს იმაში გამოიხატა, რომ საუნივერსიტეტო ყოფის განაწესიდან ამოვარდა. აღარავის ხვდებოდა, ჩემი ინფორმატორის გარდა, რომელიც მის ცხოვრებაში, შესაძლოა, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც თავი გულახდილად და უბრალოდ ეჭირა — მათ ერთმანეთთან გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდათ. სებასტიანის კარგად მესმოდა: ამ თავმდაბალმა პროფესორმა ჩემზე უაღრესად სასიამოვნო, უნესიერესი ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინა. ორივენი ინგლისური ლიტერატურით იყვნენ გატაცებულნი, სებასტიანის მეგობარს კი უკვე მაშინ ჩაეფიქრებინა თავისი პირველი ოპუსი, „ლიტერატურული წარმოსახვის კანონები“, რომლისთვისაც ორი თუ სამი წლის შემდეგ მონტგომერის პრემიით დააჯილდოეს.

— გამოგიტყდებით, — თქვა მან, თან ზღვის ტალღისფერ-თვალებიან ფუმფულა ცისფერ კატას ეფერებოდა, რომელიც ვინ იცის, საიდან გაჩნდა, ახლა კი მოხერხებულად მოკალათებულიყო მის მუხლებზე, — გამოგიტყდებით, რომ ჩვენი მეგობრობის იმ სტადიაზე სებასტიანის გამო საკმაოდ ვწუხდი. როცა ლექციას გააცდენდა ხოლმე, ზოგჯერ შინ შევუვლიდი — როგორც წესი, ლოგინში იწვა მძინარე პატარა ბავშვივით მოკუნტული, თან სახემოდუშული სიგარეტს ეწეოდა, დაჭმუჭნილ ბალიშზე ფერფლი ეყარა, იატაკამდე ჩამოშვებული ზენარი მელნით იყო მოთხვრილი. ჩემი ომახიანი მისალმების საპასუხოდ რაღაცას ჩაიბურტყუნებდა და პოზასაც კი არ იცვლიდა. მე ცოტა ხანს ვიდექი, დავრწმუნდებოდი, რომ ავად არ იყო, და სასაუზმოდ მივდიოდი. უკან დაბრუნებული აღმოვაჩენდი, რომ გვერდი ეცვალა და ფეხსაცმელი საფერფლის ნაცვლად გამოეყენებინა. საჭმლის მოტანას შევთავაზებდი — ბუფეტში მას არასდროს ჰქონდა რამე — და ბანანების ასხმა მიმქონდა. უეცრად მაიმუნივით მოუსვენარი და ცელქი ხდებოდა, ჩემს გაჯავრებას ცდილობდა ბუნდოვანი,

უზნეო სენტენციებით სიცოცხლის, სიკვდილის ღმერთის შესახებ, რაც ძალიან უყვარდა, ვინაიდან იცოდა, რომ ეს არ მსიამოვნებდა. თუმცა არასდროს მიფიქრია, რომ სწორედ იმას გულისხმობდა, რასაც ამბობდა. ბოლოს, შუადღის სამი თუ ოთხი საათისთვის, ხალათს იცვამდა და სასტუმრო ოთახში შემოფლატუნდებოდა, ბუხართან ფეხმოკეცილი ჯდებოდა და თავს იფხანდა, მე კი აღშფოთებული იქაურობას ვტოვებდი. მეორე დღეს, როდესაც ჩემს ბუნაგში ვმეცადინებოდი, მოულოდნელად კიბეზე ბრაგაბრუგი ატყდებოდა და ჩემთან სებასტიანი შემოდოდა — სუფთა, გამოცოცხლებული, აღელვებული, ახლახან დასრულებული ლექსით.

ეს ყველაფერი მის საქციელს ძალიან ჰგავდა, ერთი წვრილმანი დეტალი კი განსაკუთრებით გულის ამაჩუყებლად მეჩვენება. აღმოჩნდა, რომ, მართალია, სებასტიანი სრულიად თავისუფლად და ბუნებრივად გამოთქვამდა აზრს ინგლისურად, მეტყველებისას ამკარად ეტყობოდა უცხოური წარმოშობა. მისი „რ“ სიტყვის დასაწყისში ლიყიანად, თანაც მჭექარედ გაისმოდა. კურიოზულ შეცდომებსაც უშვებდა — მაგალითად, შეეძლო ეთქვა, რომ სურდო კი არ აიკიდა, არამედ „დაიჭირა“, ან ესა და ეს პიროვნება — „სიმპათიკური კაცი“ იყო. ზოგიერთ გრძელ სიტყვაში, როგორიცაა interesting¹ ან laboratory², მახვილს საჭირო ადგილას არ სვამდა, ზოგიერთ სახელსაც, მაგალითად, Socrates³ ან Desdemona⁴, არასწორად წარმოთქვამდა. თუ შეუსწორებდნენ, აღარასოდეს შეეშლებოდა, მაგრამ საშინლად ღიზიანდებოდა, რომ ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმაში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, ჭარხალივით წითლდებოდა, როდესაც რომელიმე არცთუ ინტელიგენტი თანამოსაუბრე გაკვირვებულ სახეს მიიღებდა მისი შემთხვევითი წამოცდენის შემდეგ. იმ პერიოდში გაცილებით უკეთ წერდა, ვიდრე ლაპარაკობდა, თუმცა მის ლექსებს მაინც რალაც არცთუ ინგლისური დაჰკრავდა. მათგან

¹ (ინგ.) საინტერესო.

² (ინგ.) ლაბორატორია.

³ (ლათ.) სოკრატე.

⁴ დეზდემონა — შექსპირის პიესა „ოთხლოს“ პერსონაჟი.

ერთიც არ ჩამვარდნია ხელში. მართალია, მის მეგობარს მი-
აჩნდა, რომ ერთი-ორი, შესაძლოა...

მან კატა ძირს დასვა და მაგიდის უჯრა მოქექა, მაგრამ ვე-
რაფერს მიაგნო.

— შესაძლოა, ჩემოდანში დევს, ჩემს დასთან, — თქვა ყოყ-
მანით, — დაზუსტებით ვერ ვიტყვი... ასეთი წვრილმანები
გულმავინყობის უმთავრესი ფავორიტებია, თანაც ვიცი, რომ
სებასტიანი ტაშსაც კი შემოჰკრავდა, თუკი მათი დაკარგვის
შესახებ შეიტყობდა.

— სხვათა შორის, — ვთქვი მე, — თქვენს მოგონებებში
წარსული დამთრგუნველად სველია, მეტეოროლოგიური კუ-
თხით. თუმცა ახლაც იგივე სევდაა (თებერვლის უღიმღამო
დღე იდგა). მითხარით, ნუთუ არასდროს იყო დარი და სით-
ბო? ხომ ახსენებს სებასტიანი „უზარმაზარი ნაბლის ხეების
ვარდისფერ სასანთლებს“ რომელიღაც ლამაზი, პატარა
მდინარის ნაპირებზე?

დიახ, მართალია, გაზაფხულიცა და ზაფხულიც კემბრიჯ-
ში თითქმის ყოველწლიურად დგებოდა (ეს იდუმალი „თითქ-
მის“ უჩვეულოდ სასიამოვნო იყო). დიახ, სებასტიანს ძალიან
უყვარდა მდინარე ქემზე ნავით უდარდელად გასეირნება.
თუმცა ყველაზე მეტად მდელოების გასწვრივ მდებარე ბი-
ლიკებზე ბინდბუნდში ველოსიპედით ხეტიალი მოსწონდა.
იქ ხარისხაზე ჯდებოდა, შეჰყურებდა, სალამოს ფერმკრთალ
ცაზე როგორ იცვლებოდნენ თხელი ღრუბლები, რომლებიც
ვარდისფრის ნაცვლად მოსაწყენ სპილენძისფერ შეფერილო-
ბას იღებდნენ, და ფიქრობდა. რაზე? იმ ქალაქელ ფაფუკნან-
ნავებიან გოგონაზე ხომ არა, ერთხელ მინდორში რომ დაე-
დევნა, დაენია, აკოცა და მას შემდეგ აღარასოდეს უნახავს?
ღრუბლების მოხაზულობაზე? ჩაშავებული რუსული ნაძვნა-
რის თავზე ჩამონოლილ დანისლულ დაისზე (ოჰ, რას არ გა-
ვიღებდი მისი ასეთი მოგონებისთვის!)? ბალახის ღეროსა და
ვარსკვლავების საიდუმლო მნიშვნელობაზე? მდუმარების
უცნობ ენაზე? ცვრის წვეთის გასაოცარ სიმძიმეზე? უთვა-
ლავ კენჭს შორის რომელიმე ერთის სევდის მომგვრელ სილა-

მაზეზე, არადა, თითოეულ მათგანში რალაც აზრი იყო ჩადებული, მაგრამ რა აზრი? იქნებ უძველეს შეკითხვაზე „ვინ ხარ შენ?“, რომლითაც საკუთარ თავსაც მიმართავ, თუმცა ბინდუნდში უცნაურად არაპირდაპირი მნიშვნელობით ჩაგესმის, და მთელ ქვეყნიერებასაც, რომლის წინაშეც წესიერად არც კი წარუდგენიხართ? იქნებ ჭეშმარიტებას მაშინ უფრო მივუახლოვდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ როდესაც სებასტიანი ამ ხარისაზე იჯდა, მის თავში სიტყვები და აზრები ირეოდა, — დაუმთავრებელი აზრები და არასაკმარისი სიტყვები, — თუმცა უკვე მაშინ იცოდა, რომ მხოლოდ ეს ერთი რამ იყო მისი ნამდვილი ცხოვრება, და მისი დანიშნულება ამ მოჩვენებითი ბრძოლის ველის მიღმა მდებარეობდა, რომელიც თავის დროზე უნდა გადაელახა?

— მისი წიგნები თუ მომწონდა? ოჰ, ძალიან. კემბრიჯის შემდეგ ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით, ის კი თავის ნამუშევარს არასდროს მიგზავნიდა. მოგეხსენებათ, ავტორები გულმავინცი ხალხია, მაგრამ ერთხელ ბიბლიოთეკიდან მისი სამი წიგნი გამოვიტანე და სამივე ერთ ლამეში გადავიკითხე. ყოველთვის მჯეროდა, რომ რალაც შესანიშნავს დაწერდა, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი, თუ ასეთ ბრწყინვალე ნაწარმოებს შექმნიდა. აქ ყოფნის უკანასკნელ წელს... ვერ გამიგია, რა დაემართა ამ კატას... თითქოს უეცრად რძის სვლეპას გადაეჩვია.

კემბრიჯში ყოფნის უკანასკნელ წელს სებასტიანი ბევრს მეცადინეობდა. მისი საგანი — ინგლისური ლიტერატურა — ვრცელი და რთული იყო; იმ პერიოდში მოულოდნელად ლონდონში სიარულს მოუხშირა, რისთვისაც, როგორც წესი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან ნებართვას არ იღებდა. მისი დამრიგებელი, განსვენებული მისტერ ჯეფერსონი, როგორც მოგვიანებით გავიგე, მეტისმეტად მოსაწყენი მოხუცი, თუმცა შესანიშნავი ლინგვისტი ყოფილა, რომელიც სებასტიანს ჯიუტად რუსად მიიჩნევდა. სხვა სიტყვებით, საშინლად აღიზიანებდა მას იმით, რომ, რაც კი რუსული სიტყვები იცოდა, — არადა, საკმაოდ შეეგროვებინა ისინი მოსკოვში

წლების წინ ყოფნისას, — ყველას ერთად გადმოულაგებდა ხოლმე, და სთხოვდა, ახალი ესწავლებინა. საბოლოოდ, ერთ მშვენიერ დღეს, სებასტიანმა მიახალა, ცდებითო; რომ იგი რუსეთში კი არა, სოფიაში დაიბადა. ამ სიტყვების გაგონებაზე მოხუცს სახე გაუნათდა და მაშინვე ბულგარულად ალაპარაკდა. სებასტიანმა ენის ბორძიკით მიუგო, რომ სხვა, განსაკუთრებულ დიალექტზე ლაპარაკობდა, და როდესაც შესთავაზეს, რამე ეთქვა, ექსპრომტად მოიფიქრა ახალი იდიომა, რითაც მოხუცი ენათმეცნიერი საგონებელში ჩააგდო, სანამ ეს უკანასკნელი არ მიხვდა, რომ სებასტიანი...

— აჰა, ახლა ყველაფერი გამომწურეთ, რაც ვიცოდი, — მითხრა თანამოსაუბრემ ღიმილით, — ჩემი მოგონებები სულ უფრო ზედაპირული და სულელური ხდება და, შესაძლოა, არც ღირდეს იმის აღნიშვნა, რომ სებასტიანმა კურსი წარჩინებით დაასრულა, ჩვენ კი ამ დიდებული მომენტის აღსანიშნავად სამახსოვრო სურათი გადავიღეთ. თუ გნებავთ, როცა მოვიცლი, მოვძებნი, და თუ მივაგენი, გამოგიგზავნით კიდევ. უკვე წასვლას აპირებთ? არც მდინარის ნაპირას მდებარე კოლექებს ნახავთ? წავიდეთ, კროკუსები მოვინახულოთ, სებასტიანი მათ „პოეტის სოკოებს“ უწოდებდა. ცხადია, ხვდებით, რასაც გულისხმობდა.

მაგრამ ძლიერად წვიმდა. ორიოდე წუთი კიდევ ვიდექით პარმალთან, შემდეგ კი ვუთხარი, ჩემი წასვლის დროა-მეთქი.

— ოჰ, ერთი წუთით, — მომაცხა სებასტიანის მეგობარმა, როდესაც უკვე გუბეებს შორის ვაპირებდი გზის გაკვლევას, — რაღაცის თქმა დამავიწყდა. ამას წინათ რექტორმა მითხრა, იმის დადასტურება მთხოვეს, რომ სებასტიან ნაითი მართლა სწავლობდა ტრინიტი-კოლეჯშიო. მოითმინეთ, რა ერქვა? აჰ, აღარ მახსოვს. ამდენმა მოგონებამ არაქათი გამაცალა. კარგად კი ვამუშავებ ჩემი ტვინი, არა? ყოველ შემთხვევაში, მივხვდი, რომ ვილაც მასალას აგროვებს სებასტიან ნაითის ცხოვრების აღსაწერად. სასაცილოა, რომ თქვენ თითქოს...

— სებასტიან ნაითის? — მომესმა ნისლიდან, — ვინ ახსენებს სებასტიან ნაითს?

თავი მეექვსე

უცნობი, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა, მოახლოვდა... ოჰ, როგორ მომენატრა კარგად შეზეთილი რომანის ძალდაუტანებელი სვლა! რა დიდებული იქნებოდა, ეს რომ რომელიმე გრძელი, ღია ღინღლით ყურებდაფარული, იმგვარად თვალმოჭუტული მოხუცი, გულკეთილი პროფესორის ხმა ყოფილიყო, სიბრძნესა და გემოვნებიანად ხუმრობის მიდრეკილებაზე რომ მიუთითებდნენ... მოსახერხებელი პერსონაჟი, სასურველი გამვლელი, ჩემს გმირს კარგად რომ იცნობდა, ოღონდ სხვა კუთხით. „ახლა კი, — იტყოდა ის, — სებასტიან ნაითის საუნივერსიტეტო ცხოვრების ნამდვილ ამბავს გიამბობთ“. და ადგილიდან დაუძვრელად მოჰყვებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა. ნისლიდან წამოსული ხმა ჩემი ცნობიერების ყველაზე მივარდნილ კუნჭულში გაისმა. ის მხოლოდ გამოძახილი იყო რომელიღაც შესაძლო ჭეშმარიტებისა, დროულად რომ შემახსენა თავი: ნუ იქნები მეტისმეტად მიმნდობი, როდესაც აწმყოს ბაგეთაგან წარსულის ამბებს ისმენ. ყველაზე პატიოსან შუამავალსაც კი ერიდე. გახსოვდეს, რომ იმას, რაც გითხრეს, სამი ეტაპი აქვს გავლილი: იგი მთხრობელმა ჩამოაყალიბა, მსმენელმა გადააკეთა, მთხრობის განსვენებულმა გმირმა კი ორივეს დაუმალა. „ვინ ახსენებს სებასტიან ნაითს?“ — იმეორებს ჩემი შინაგანი ხმა. მართლაცდა, ვინ? მისი საუკეთესო მეგობარი და მამით ნახევარძმა. ცხოვრებისგან შორს მდგარი მორიდებული მეცნიერი და უცხო მხარეში მოხვედრილი შეცბუნებული

მოგზაური. მესამე სადღაა? მშვიდად იხრწნება სენ-დამიეს სასაფლაოზე. განსაცვიფრებლად ცოცხალი თავის ხუთტომეულში. უჩინრად იყურება ჩემს მხარზემოდან, როდესაც ვწერ (გავბედავ და ვიტყვი, რომ იმდენად არ სწამდა ბანალური მარადისობისა, რომ თავის აჩრდილისაც კი არ სჯეროდა).

ასე იყო თუ ისე, ხელში ამ მეგობრობის ნადავლი მეჭირა. მას რამდენიმე წვრილმანი მივამატე სებასტიანის იმდროინდელი მოკლე წერილებიდან, აგრეთვე საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ მის წიგნებში მიმოფანტული შემთხვევითი ეპიზოდები. შემდეგ ლონდონში დავბრუნდი, რადგან უკვე საგულდაგულოდ მქონდა მოფიქრებული, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი.

როდესაც სებასტიანს უკანასკნელად შევხვდი, მან გაკვრით ახსენა, თუ არ ვცდები, თავისი მდივანი, რომელსაც დროდადრო ქირაობდა 1930 და 1934 წლებს შორის. წარსულის მრავალი მწერლის მსგავსად და ახლანდელების უმრავლესობისგან განსხვავებით (თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი იმათგან, ვისაც თავისი საქმეების მოწყობა არ ეხერხება და არც „მიმწოლი ძალით“ გამოირჩევა, უსახელოდ გადაეგება), საქმიან საკითხებში სებასტიანი საოცარ უსუსურობას ამჟღავნებდა, და რახან ერთხელ მიაგნო მრჩეველს, მთლიანად და უდიდესი შვებით ენდობოდა (გინდ თალღითი ყოფილიყო და გინდ სულელი, ან ორივე ერთად). რომ მეკითხა, შენი თანაშემწე აბეზარი ბებერი გაიძვერა ხომ არ არის-მეთქი, სიტყვას მაშინვე ბანზე ამიგდებდა და სხვა თემაზე გადაერთვებოდა, ისე ეშინოდა, რომ ეს სიმართლე არ გამომდგარიყო — მაშინ ხომ თავის სიზარმაცეს უნდა დამშვიდობებოდა და რამე ელონა. ერთი სიტყვით, სულ არაფერს, ისევ უხეირო თანაშემწის ყოლა ერჩივნა და შეეძლო საკუთარი თავიც და სხვებიც დაერწმუნებინა, რომ თავისი არჩევანი სრულიად აკმაყოფილებდა. ზემოთქმულის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ, იურიდიული თვალსაზრისით, ჩემი სიტყვები ოდნავ ცილისწამებასაც არ შეიცავს და პიროვნებას, რომელიც ახლა უნდა დავასახელო, არ ეხება.

მაშ, ასე — მისტერ გუდმენისგან ცნობების მიღება კი არ მსურდა სებასტიანის უკანასკნელი წლების შესახებ, — ეს, ჯერჯერობით, არ მჭირდებოდა, ვინაიდან აჩქარებას არ ვაპირებდი, მის ცხოვრებას თანდათანობით, ეტაპობრივად უნდა მივყოლოდი, — არამედ იმის გაგება, თუ ვისთან მიჯობდა შეხვედრა, თუ ვინ იცოდა რამე დეტალი მაინც სებასტიანის კემბრიჯის შემდგომი ცხოვრებიდან.

და აი, 1936 წლის 1-ლ მარტს მისტერ გუდმენს ფლიტ-სტრიტზე მდებარე მის ოფისში ვენწვიე, მაგრამ სანამ ჩვენი საუბრის აღწერას შევუდგებოდე, თავს მცირე გადახვევის უფლებას მივცემ.

სებასტიანის წერილებს შორის მისი ერთ-ერთი რომანის თაობაზე გამომცემელთან უკვე ნახსენებ მიმონერასაც მივაგენი. იქიდან შევიტყვე, რომ მისი პირველი წიგნის „პრიზმის წახნაგის“ (1925) რომელიღაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ამჟამად სალ-სალამათად მყოფი ერთი მწერლის ძალზე სასაცილო და უღმობელ პაროდიას აკეთებდა — სებასტიანმა ამ გზით მიიჩნია საჭიროდ ამ პიროვნების შეხურება. გამომცემელი, ცხადია, მაშინვე მიხვდა, ვისზეც იყო საუბარი, თავი უხერხულად იგრძნო და სებასტიანს ამ ადგილის გადაკეთება ურჩია, რაზეც ამ უკანასკნელმა სასტიკი უარი განაცხადა, ბოლოს კი დაამატა, რომ წიგნს სხვა გამომცემლობაში დაბეჭდავდა, რაც გააკეთა კიდევ შემდგომში.

„თქვენ თითქოს გაოცებული ხართ, — წერდა ის ერთ-ერთ წერილში, — რისთვის დამჭირდა მე, იმედისმომცემ ავტორს (როგორც თავად ამბობთ — მაგრამ ეს არასწორი ტერმინია ჩემ მიმართ, ვინაიდან იმედის მომცემი მწერალი მთელი ცხოვრების განმავლობაში იმედის მომცემად რჩება, ზოგი კი, მაგალითად, მე, ერთბაშად იფურჩქნება), თქვენ თითქოს გაოცებული ხართ, — ნება მომეცით, გავიმეორო (თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავს ვიმართლებ პრუსტისეული ინტერმედიის გამო), — თუ რისთვის დამჭირდა, დალახვროს ეშმაკმა, საუცხოო თანამედროვე ცისფერი ფაიფურის აღება (X კი მართლა ჰგავს, ხომ ასეა, ქუჩის ბაზრობაზე, ამ ხმაუ-

რიან ორგიაზე გამოტანილ იაფფასიან ჭურჭელს, რომელიც გაცდუნებს, რომ დაამსხვრიო) და ჩემი პროზის გალავნიდან არხში გადაგდება. მეუბნებით, რომ ის საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს; რომ გერმანიაშიც ისევე კარგად იყიდება, როგორც აქ; რომ მისი ერთი ძველი მოთხრობა ახლახან „თანამედროვე შედეგების“ კრებულში შევიდა; რომ Y-სა და Z-თან ერთად ომის შემდგომი თაობის ერთ-ერთ წამყვან მწერლად მიიჩნევა; რომ, ბოლოს და ბოლოს, სახიფათო კრიტიკოსია. თითქოს მიმანიშნებთ, რომ არავის უნდა გავანდოთ მისი წარმატების საიდუმლო, რაც იმაში გამოიხატება, რომ მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასით მგზავრობს, და თუ ჩემი ანალოგია არცთუ გასაგებია, კეთილი — ის მკითხველთა ყველაზე ცუდი კატეგორიის გემოვნებას აკმაყოფილებს — არა იმათ, ვინც სულმოუთქმელად კითხულობენ ზღაპრებს მაძებართა შესახებ, ღმერთმა აცხონოს მათი წმინდა სულები, — არამედ მათ, ვინც საშინელ უმსგავსობას იმ მიზეზით ყიდულობენ, რომ ის თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი სტილით ფროიდთან, „ცნობიერების ნაკადთან“ ან მისთანებთან არის ნაზიარები, — და, სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ მკითხველებს არ ესმით და ვერც ვერასდროს გაიგებენ, რომ ახლანდელი საყვარელი ცინიკოსები მხოლოდ მერი კორელის¹ დისშვილები და მისის გრანდის² ძმისშვილები არიან. რისთვის შევინახოთ ეს სამარცხვინო საიდუმლო? მასონური, ბანალური ურთიერთთავდებობაა თუ ტრითეიზმი³? შორს ეს ყალბი ღმერთები! თქვენ კი მიმტკიცებთ, რომ ასეთ გავლენიან და საპატიო მწერალზე თავდასხმა ჩემს „ლიტერატურულ კარიერას“ დასაწყისშივე უიმედოდ შეარყევს. მაგრამ ამქვეყნად „ლიტერატურული კარიერა“ მართლა რომ არსებობდეს და დოლიდან მხოლოდ იმიტომ

¹ მერი კორელი (მერი მაქეი, 1854-1924 წწ.) — ინგლისელი ბელეტრისტი ქალი.

² მისის გრანდი — მორტონის ერთ-ერთი კომედიის უხილავი პერსონაჟი, რომელსაც დაეჭვების ან დაბრკოლების დროს ახსენებენ ხოლმე.

³ ტრითეიზმი — სამების შესახებ ქრისტიანული დოგმატის თავისებური გაგება, რომლის თანახმადაც, სამება ერთი ღმერთი კი არ არის სამი სახით, არამედ სამი ღმერთი.

რომ მომხსნან, საკუთარ ცხენზე რატომ ხარ ამხედრებულიო, ჩემს ნაწერში მაშინაც კი არაფერს შევცვლიდი. ამიტომ, მერ-ნმუნეთ, ვერანაირი შესაძლო სასჯელი, თუნდაც უსასტიკესი, ვერ მაიძულებს სიამოვნებაზე უარის თქმას, მით უმეტეს, თუ ამ სიამოვნების წყარო ახალგაზრდა და მედგარი გულიდან წამოსული ჭეშმარიტებაა. და კიდევ — ცხოვრებაში ცოტა რამ თუ შეედრება სატირით მიღებულ აღფრთოვანებას, და როდესაც წარმოვიდგენ, რა სახით წაიკითხავს წიგნში ამ ადგილს ეს ყბედი (ის კი მას აუცილებლად წაიკითხავს), რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ეს სიმართლეა, მაშინ სიამოვნება უმაღლეს და უმძაფრეს წერტილს მიაღწევს. თუკი დამაჯერებლად წარმოვადგინე X-ის არა მხოლოდ შინაგანი სამყარო (მეტროს მიწისქვეშა სადგური სალამოს ჯგლეთისას), არამედ მისი მეტყველებისა და ქცევის ახირებულობა, კატეგორიულად გიცხადებთ, რომ ის ან ნებისმიერი სხვა მკითხველი უხამსობის უმცირეს კვალსაც ვერ აღმოაჩენს იმ ფურცლებზე, თქვენ რომ ასე შეგაშფოთათ. მაგრამ დაე, მათ აღარ შეგაშფოთონ. ამასთან, არ დაგავინწყდეთ, რომ სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ — როგორც მორალურს, ისე ფინანსურს — იმ შემთხვევისთვის, თუ მართლა „გენევათ უბედურება“ ჩემი უწყინარი წიგნის გამო“.

გარდა იმისა, რომ ამ წერილს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც დოკუმენტს, რომელშიც სებასტიანის ბავშვური სიცელქეა აღწერილი, მოგვიანებით ცისარტყელასავით რომ ეკიდა მისი ყველაზე პირქუში მოთხრობებისთვის დამახასიათებელი საავდრო ღრუბლების თავზე, ის აქ ერთი დელიკატური საკითხის გადასაჭრელადაც მომყავს. მისტერ გუდმენი სადაცაა შემოვა. მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ ჯენტლმენის მიმართ უკიდურესად უარყოფითად ვარ განწყობილი, მაგრამ ჩვენი პირველი (და უკანასკნელი) საუბრის დროისთვის ჯერ არაფერი ვიცოდი მისი ოპუსის შესახებ — თუკი შეიძლება, ნაჩქარევად შეთითხნილ კომპილაციას ოპუსი ეწოდოს. როდესაც მისტერ გუდმენტან მივედი, მასზე ცუდის გაფიქრება თავში აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ

ახლა, როცა მასზე მკაცრად ჩამოყალიბებული შეხედულება შემექმნა, ამან, ცხადია, ერთგვარი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ჩემს თხრობაზე. იმავდროულად, მკაფიოდ ვერ წარმომიდგენია, როგორ აღვწერო ეს ვიზიტი ისე, თუნდაც გაკვრით რომ არ შევეხო — როგორც სებასტიანის უნივერსიტეტის ამხანაგის შემთხვევაში — მისტერ გუდმენის გარეგნობას თუ არა, მის ზნე-ჩვეულებებს მაინც. შევძლებ კი ამაზე შეჩერებას ისე, რომ უფრო შორს არ შევტოპო? მოულოდნელად ხომ არ დამატყდება თავს მისტერ გუდმენის უკიდურესად და სამართლიანად აღშფოთებული სახე მას შემდეგ, რაც ამ სტრიქონებს წაიკითხავს? სებასტიანის წერილი საგულდაგულოდ შევისწავლე და დავასკვენი, რომ იმას, რაც დასაშვები იყო სებასტიანისთვის მისტერ X-ის მიმართ, მისტერ გუდმენთან ვერაფრით დავუშვებდი. სებასტიანს გენიოსის პირდაპირობა ახასიათებდა, მე კი ასეთი რამ ვერ მექნებოდა და, ბრწყინვალეების ნაცვლად, უხეშობა გამომივიდოდა. და ვინაიდან ახლა, მისტერ გუდმენის კაბინეტში შესვლისას, ძალზე თხელ ყინულზე მომიწევდა გავლა, გადაადგილებისას უკიდურესი სიფრთხილის გამოჩენა მმართვებდა.

— დაბრძანდით, გთხოვთ, — მითხრა და თავაზიანი უესტით მიმითითა მისი სანერი მაგიდის სიახლოვეს მდგარ ტყავის სავარძელზე. საუცხოოდ ეცვა, თუმცა მასში ჩინოვნიკის გემოვნებაც აშკარად შეიმჩნეოდა. სახეზე შავი ნილაბი აეფარებინა, — რით შემოიძლია, გემსახუროთ? — მას ხელში ჩემი სავიზიტო ბარათი ეჭირა და თვალების ჭრილებიდან შემომწყურებდა.

უეცრად მივხვდი, რომ ჩემი სახელი არაფერს ეუბნებოდა — სებასტიანი ხომ მტკიცედ მიჯაჭვოდა დედის გვარს.

— მე სებასტიან ნაითის ნახევარძმა ვარ, — მივუგე მას. ხანმოკლე დუმილი.

— მოითმინეთ... — თქვა მისტერ გუდმენმა, — თუ სწორად გავიგე, განსვენებულ სებასტიან ნაითს, ცნობილ მწერალს, გულისხმობთ, არა?

— მართალს ბრძანებთ, — დავეთანხმე.

მისტერ გუდმენმა სახეზე, ანუ ნილაბზე, ცერა და საჩვენებელი თითები ჩამოისვა... კიდევ ერთხელ, ჩაფიქრებით.

— მომიტევეთ, — მითხრა მან, — დარწმუნებული ხართ, რომ აქ რამე გაუგებრობა არაა?

— სრულიად, — მივუგე და, შეძლებისდაგვარად, მოკლედ ავუხსენი ჩემი და სებასტიანის ნათესაური კავშირი.

— აი, რა ყოფილა, — თქვა მისტერ გუდმენმა და ფიქრი მოეძალა, — დიახ, დიახ, ეს აზრი თავში არასდროს მომსვლია. ანუ, ცხადია, ვიცოდი, რომ ნაითი რუსეთში დაიბადა და გაიზარდა. თუმცა მის სახელთან დაკავშირებული ამბავი როგორღაც გამომრჩა. დიახ, ახლა გასაგებია... რა თქმა უნდა, რუსული... დედამისი...

მისტერ გუდმენი ორიოდ ნამს კიდევ აკაკუნებდა თხელ თითებს საშრობქალღიან ბლოკნოტზე, შემდეგ კი ძლივს შესამჩნევად ამოიოხრა.

— ახლა რაღა გაეწყობა, — თქვა მან, — გვიანლაა რამის დამატება... იმას ვგულისხმობ, — დაამატა ნაჩქარევად, — ვწუხვარ, ეს ადრე რომ არ ვიცოდი. მაშ, მისი ნახევარძმა ბრძანდებით? მიხარია, ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა.

— უპირველეს ყოვლისა, — დავინყე მე, — პრაქტიკული საკითხების მოგვარება მსურდა. მისტერ ნაითის ქალღდე-ბი, ყოველ შემთხვევაში, ისინი, რომლებიც მის ლიტერატურულ საქმიანობას შეეხება, ერთგვარად, მოუწესრიგებელია. ამიტომაც საქმის რეალური მდგომარეობა არ ვიცი. მის გამომცემლებს ჯერ არ შევხვედრივარ, თუმცა გავიგე, რომ ერთმა მათგანმა — მან, რომელმაც „მხიარული მთა“ დაბეჭდა — გამომცემლობა დახურა. მორიგი ნაბიჯის გადადგმამდე, თქვენთან გასაუბრება ვარჩიე.

— გონივრულია, — თქვა მისტერ გუდმენმა, — სხვათა შორის, შესაძლოა, არ იცოდეთ — მე ნაითის ორი წიგნის ფინანსურ წილს ვფლობ — ეს არის „მხიარული მთა“ და „დაკარგული ნივთები“. შექმნილ ვითარებაში აჯობებს, დეტალები გაგაცნოთ... ხვალვე გამოგიგზავნით წერილს და იმ კონტრაქტის ასლს, რომელიც კარგა ხნის წინათ გავაფორმე მის-

ტერ ნაითთან... თუ უკეთესი იქნება, მისტერ... — მისტერ გუდმენმა ნილბის ქვეშ გაიღიმა და ჩვენი უბრალო რუსული გვარის წარმოთქმა სცადა.

— ახლა მეორე საკითხზე მოგახსენებთ, — განვაგრძე მე, — ნიგნის დანერა ჩავიფიქრე მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რისთვისაც ზოგიერთი ფაქტის ცოდნა მჭირდება. ხომ ვერ შეძლებდით...

გუდმენი თითქოს გაქვავდა, შემდეგ ერთი-ორჯერ ჩაახველა და თავს იმის უფლება მისცა, რომ შთამბეჭდავი ზომის მაგიდაზე დადებული კოლოფიდან მოცხარის შაქარყინული ამოეღო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — მითხრა მან და უეცრად სავარძლიანად მკვეთრად შემოტრიალდა, თან ხელში თასმაზე ჩამოკიდებულ მონოკლს ატრიალებდა, — მოდი, გულახდილად ვისაუბროთ. მერწმუნეთ, საბრალო ნაითს ჩემზე უკეთ არავინ იცნობდა... მოითმინეთ, განა წერას უკვე შეუდექით?

— არა, — მივუგე.

— ჰოდა, არც არის საჭირო. მაპატიეთ, რომ ასე პირდაპირ... ძველი ჩვევაა, ალბათ, ცუდიც კი. ხომ არ გეწყინათ? აი, რისი თქმა მსურს... მინდა, უკეთ გამოვხატო... საქმე ისაა, რომ სებასტიან ნაითი, როგორც იტყვიან, დიდი მწერალი არ იყო... დიახ, დიახ, რასაკვირველია, ვიცი, — დახვეწილი ხელოვანი და ასე შემდეგ, — მაგრამ მასობრივმა მკითხველმა იგი არ მიიღო. იმიტომ არ ვამბობ, რომ მასზე ნიგნის დანერა არ შეიძლება. ცხადია, შეიძლება, მაგრამ თუ ასეა, საყოველთაოდ ცნობილი კუთხით უნდა დაინეროს, რათა მიმზიდველობა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარცხი გარანტირებულია. ამიტომაც — როგორ გითხრათ? — არ მიმაჩნია, რომ სებასტიან ნაითს ის დიდება ახლდა თან, რომელიც თქვენ მიერ ჩაფიქრებულ ნაწარმოებს გაამართლებს.

სიტყვების ამ ნაკადმა ისე გამაშტერა, რომ ხმას ვეღარ ვიღებდი. მისტერ გუდმენი კი განაგრძობდა:

— ვიმედოვნებ, არ გწყინთ, რომ ასე პირდაპირ, უქარაგმოდ... მე და თქვენი ნახევარძმა ისეთი მეგობრები ვიყავით,

რომ გამიგებთ. შეეშვით ამ წამონწყებას, ძვირფასო სერ. ეს საქმე სპეციალისტს მიანდეთ, წიგნის ბაზრის მცოდნეს, და ის გეტყვით, რომ ყველა, ვინც შეეცდება დაწვრილებით აღწეროს ნაითის ცხოვრება და შემოქმედება, როგორც თვითონ ბრძანეთ, დროსაც დაკარგავს და მკითხველსაც. მეტიც: ამა და ამ განსვენებულის (აქ საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება დაასახელა) შესახებ დაწერილი წიგნიც კი არ გაიყიდა, ფოტოსურათებისა და ფაქსიმილეს მიუხედავად.

მისტერ გუდმენს მადლობა გადავუხადე და ხელი შლაპისკენ წავიღე. ვხედავდი, რომ ეს ის კაცი არ იყო, ვინც მჭირდებოდა, რომ მცდარ კვალს დავადექი. რატომღაც სურვილი არ მქონდა, იმ დროის შესახებ მოეყოლა, როცა ის და სებასტიანი „ისეთი მეგობრები“ იყვნენ. ნეტავ რას მიპასუხებდა, მისი მდივნობის ამბის მოყოლა რომ მეთხოვა. მან ხელი ძალზე გულთბილად ჩამომართვა და შავი ნილაბი დამიბრუნა, რომელიც ჯიბეში იმ განზრახვით ჩავიდე, რომ ოდესმე გამომადგებოდა¹. უახლოეს მინის კარამდე მიმაცილა, სადაც დავშორდით კიდევ ერთმანეთს. ის იყო, კიბეზე ჩასვლას შევუდექი, რომ ენერგიული შესახედაობის ქალიშვილი დამენია, რომელსაც ერთ-ერთ ოთახში მოვკარი თვალი. მან შემაჩერა და მითხრა:

— მე ელენ პრატი მქვია. თქვენი საუბრიდან ის მოვისმინე, რისი ატანაც შევძელი. მინდა, რაღაც გთხოვოთ. ახლო მეგობარი მყავს, კლერ ბიშოფი. მას თქვენგან რაღაცის გაგება ენდომება. იქნებ ამ დღეებში ერთმანეთს დაველაპარაკოთ?

დავეთანხმე და დღე და საათი დავთქვით.

— მე კარგად ვიცნობდი სებასტიან ნაითს, — დაამატა მან და ნათელი, მრგვალი თვალებით შემომხედა.

— აი, თურმე რა, — ჩავილაპარაკე, რადგან არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— დიახ, — განაგრძო ქალიშვილმა, — საოცარი პიროვნება იყო. არ დაგიმალავთ და, ზიზღს მგერის გუდმენის მიერ მასზე დაწერილი წიგნი.

¹ როგორც მისტერ გუდმენი, ასევე სებასტიანის ძმა, ადამიანთა უმრავლესობის მსგავსად, დროდადრო ნილაბს ატარებენ თავიანთი ქმედებების დასაფარავად.

— რომელი წიგნი? — ვკითხე მე, — არაფერი მესმის.

— სწორედ ის, რომლის წერაც მან ცოტა ხნის წინ დაასრულა. გასულ კვირას კორექტურას ვაკეთებდი. ახლა კი უნდა გავიქცე. თქვენი მადლობელი ვარ.

იგი აჩქარებით წავიდა, მე კი ნელა ჩავუყევი კიბეს. მისტერ გუდმენის დიდი, რბილი, ვარდისფერი სახე საოცრად ჰგავდა ძროხის ცურს, და ეს მსგავსება არც დღესდღეობით დაუკარგავს.

თავი მეშვიდე

მისტერ გუდმენის წიგნს, სახელწოდებით „სებასტიან ნაითის ტრაგედია“, პრესაში შესანიშნავი გამოხმაურება მოჰყვა. წამყვანმა ყოველდღიურმა და ყოველკვირეულმა გაზეთებმა მას გრძელი რეცენზიები მიუძღვნეს. „შთამბეჭდავი და დამაჯერებელი“ უწოდეს. ავტორს ღირსეულად მიუზღეს „ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი“ ადამიანის ტიპის სულში „ღრმად ჩანვდომისთვის“. მოყვანილი პასაჟები წვრილმანი დეტალებისადმი მის ოსტატურად მიდგომას წარმოაჩინდა. ერთი კრიტიკოსი იქამდეც კი მივიდა, რომ მის წინაშე ქუდიც მოიხადა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გუდმენს თვითონ ეწვოდა ქუდი. ერთი სიტყვით, მეგობრულად ურტყამდნენ მხარზე ხელს, არადა, ეს უფრო ქვემოთ უნდა გაეკეთებინათ.

რაც შემეხება მე, ამ წიგნს ყურადღებასაც არ მივაქცევდი, უბრალოდ ცუდი რომ ყოფილიყო. ის, სხვა მრავლის მსგავსად, მომდევნო წლის გაზაფხულის დადგომისთანავე მივიწყებისთვის იყო განწირული. დარწმუნებული ვარ, რომ „მივიწყების“ ბიბლიოთეკაში მისტერ გუდმენის ნაწარმოების გარეშე საშინელი მოწყენილობა დაისადგურებდა, მიუხედავად იქ არსებული ურიცხვი ტომისა. მაგრამ ეს უვარგისობა კიდევ არაფერი. მისი თემის ხარისხის წყალობით, ის ავტომატურად გადაიქცეოდა სხვა პიროვნების უჭკნობი დიდების დანამატად. სანამ სებასტიან ნაითის სახელი ემახსოვრებათ, ყოველთვის გამოჩნდება ვინმე ცოდნისმოყვარული მეცნიერი, რომელიც კეთილსინდისიერად ავა კიბით იმ თარომდე, სადაც მთვლენა-

რე „სებასტიან ნაითის ტრაგედია“ გოდფრი გუდმენის¹ „ადამიანის დაცემასა“ და სემიუელ გუდრიჩის² „მთელი ცხოვრების მოგონებას“ შორის მიყუყულიყო. და თუ ამ საკითხს თავს არ ვანებებ, მხოლოდ სებასტიან ნაითის გამო.

მისტერ გუდმენის მეთოდი ისეთივე მარტივია, როგორც მისი ფილოსოფია. მისი ერთადერთი მიზანი იმის ჩვენებაა, რომ „საბრალო ნაითი“, როგორც თვითონ ამბობს, „ჩვენი“ დროის ქმნილება და მსხვერპლია, თუმცა ჩემთვის ყოველთვის საიდუმლოდ რჩებოდა, რატომ სურდა ზოგიერთ ადამიანს სხვების ჩათრევა საკუთარ ქრონომეტრულ ცნებებში. „ომის შემდგომი მღელვარება“, „ომის შემდგომი თაობა“ ჯადოსნური სიტყვებია, რომლებიც მისტერ გუდმენს ყველა კარს უღებდა. თუმცა „სეზამ, გაიღეს“ ტიპის ისეთი შელოცვებიც არსებობს, რომლებიც ამას არა ჯადოსნური სიტყვებით, არამედ გასაღებით აღებს, და ვშიშობ, მისტერ გუდმენი სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. მაგრამ ის ძალიან ცდება, თუ ჰგონია, რომ კარის გატეხისა და შიგ შეღწევის შემდეგ იქ რამე ღირებულს მიაგნებს. არა, სულაც არ მსურს, ვივარაუდო, თუ რას ფიქრობს მისტერ გუდმენი. რომც ეცადოს, ამას მაინც ვერ შეძლებს. მის წიგნში მხოლოდ იმ იდეებზე კეთდება აქცენტი, რომლებსაც რიგითი მომხმარებლის მიზიდვა შეუძლია (კომერციული თვალსაზრისით).

გუდმენის მიხედვით, ისე გამოდის, რომ „კემბრიჯის თლილი აბრეშუმის პარკიდან გამოჩეკილი“ სებასტიან ნაითი თავისი გამძაფრებული მგრძნობელობით სასტიკ და გულცივ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც „გარშემო არსებული რეალობა ისე უხეშად იჭრება ყველაზე სანუკვარ ოცნებებში“, რომ სულს ალყაში მოაქცევს, დაჭირხნის და გაანადგურებს. „მსოფლიო ომმა, — ამბობს მისტერ გუდმენი და ოდნავადაც არ წითლდება, — სამყაროს სახე შეუცვალა“. ამის შემდეგ იგი ძარღვიანი გამოთქმებით აღწერს ომის შემდგომი ცხოვ-

¹ გოდფრი გუდმენი (1583-656 წწ.) — ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელიც საიდუმლოდ კათოლიკობას ეზიარა.

² სემიუელ გუდრიჩი (1793-1860 წწ.) — ამერიკელი მწერალი.

რების თავისებურებებს, რომლებსაც ახალგაზრდა კაცი თავისი კარიერის შფოთიან გარიჟრაჟზე შეეჩეხა: განცდა, რომ მოატყუეს, სულიერი დაღლილობა, გამალებული ფიზიკური აღგზნება (რაც, მაგალითად, „ფოქსტროტის გამრყვნელ უშინაარსობაში“ გამოიხატა), ამოების შეგრძნება შესაბამისი შედეგით — ვულგარული თავისუფლებით, შემდეგ: სისასტიკე; კვლავაც სისხლის სუნი ჰაერში; კინოთეატრის მბრწყინავი კარი; წყვილთა ბუნდოვანი სილუეტები ჰაიდპარკის ჩაბნელებულ ხეივნებში; სტანდარტიზაციის სიამენი; ტექნიკის კულტი; სილამაზის, სიყვარულის, ღირსების, ხელოვნებისა და ასე შემდეგ — დეგრადაცია... საოცარია, როგორ გადაიტანა ეს საშინელი დრო თვითონ მისტერ გუდმენმა, რომელიც, როგორც ვიცი, სებასტიანის თანატოლი იყო.

მაგრამ თუ მისტერ გუდმენმა შეძლო და გაუძლო, მის სებასტიან ნაითს ამის გაკეთება აშკარად გაუჭირდა. გვიჩვენებენ, როგორ ნერვიულად მიდი-მოდის სებასტიანი ლონდონში, თავისი ბინის ოთახებში 1923 წელს, კონტინენტზე ხანმოკლე მგზავრობის შემდეგ, კონტინენტზე, რომელმაც „უზომოდ განაცვიფრა თავისი ჯოჯოხეთური სათამაშო სახლების ვულგარული ბრწყინვალეობით“. დიახ, „დადის ოთახიდან ოთახში... ხელს ვისკის ბოთლს სტაცებს... დაუკმაყოფილებლობის პაროქსიზმი¹ სჭირს... მთელ სამყაროზე ბრაზობს... მარტოა... კონკრეტული საქმის კეთება სწყურია, მაგრამ ძალა აღარ ერჩის, ძალა...“ მრავალწერტილი გუდმენის ლაქლაქს კი არ აღნიშნავს, არამედ ფრაზებს, რომლებსაც თავაზიანად ვიცვილებ თავიდან.

„არა, — განაგრძობს გუდმენი, — ასეთ სამყაროში მხატვარი ვერ გადარჩება. ნაითს შეეძლო, ეტრაბახა, სააშკარაოზე გამოეტანა თავისი ცინიზმი, ასე რომ აღიზიანებდა მკითხველს ადრეულ ნაწარმოებებში და ტკივილს აყენებდა ბოლო ორ-სამ წიგნში... შეეძლო, უსაშველოდ დიდხანს მოეჩვენებინა

¹ პაროქსიზმი — 1) რაიმე ავადმყოფობის პერიოდული შეტევა, 2) მწვავე განცდა.

ნა თავი მედიდურ, დახვეწილ, რთულ პიროვნებად, მაგრამ ნესტარი მაინც ჰქონდა, მსუსხავი, მომწამვლელი ნესტარი“.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ ნესტრის (თავიდან ბოლომდე გამოგონილის) არსებობა მისტერ გუდმენს პირქუშ სიამოვნებას ანიჭებს.

ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს „სებასტიან ნაითის ტრაგედიის“ პირველი თავი მხოლოდ ფილოსოფიური ბადაგის სქელი ნაკადია და სხვა არაფერი. აქ გვხვდება მხატვრული აღწერაც, ანეკდოტებიც, რომლებიც უზომო სიუხვითაა მოყვანილი წიგნის იმ ადგილიდან, სადაც მისტერ გუდმენი სებასტიანის გაცნობის პერიოდს აღწევს. მაგრამ ისინი ისე ჩნდება, როგორც სიროპში ჩაფშვნილი მოცხარის ნამცხვარი. მისტერ გუდმენი ბოზველი¹ არ იყო, მაგრამ მას, ეჭვგარეშეა, ჰქონდა უბის წიგნაკი, რომელშიც თავისი დამქირავებლის ზოგიერთი შენიშვნა შეჰქონდა, და, როგორც ჩანს, ამ შენიშვნათაგან ზოგიერთს მის წარსულს უკავშირებდა. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მუშაობისას წარმოქმნილი პაუზის დროს სებასტიანი ამბობდა: „იცით, ძვირფასო გუდმენ, ამან ჩემი ცხოვრების ერთი, მრავალი წლის წინანდელი ეპიზოდი გამახსენა, როდესაც...“, რასაც თხრობა მოსდევდა. მისტერ გუდმენს ხუთი-ექვსი ასეთი ამბავი აქვს მოყვანილი და ჰგონია, ეს მასალა საკმარისია იმისთვის, რომ სრულად შეავსოს მისთვის უცნობი მომენტები, რაც ინგლისში ახალგაზრდა სებასტიანის მიერ გატარებულ წლებს უკავშირდება.

პირველი ასეთი ამბავი (რომელიც მისტერ გუდმენს ტიპურად მიაჩნია „ომის შემდგომი საუნივერსიტეტო ყოფისთვის“) მოგვითხრობს, თუ როგორ დაათვალიერებინა სებასტიანმა კემბრიჯი თავის ლონდონელ მეგობარ ქალიშვილს. „აი, დეკანის ფანჯარა, — თქვა მან, შემდეგ ის ქვით ჩაამტვრია და და-

¹ ჯეიმზ ბოზველი (1740-1795 წწ.) — ინგლისელი მწერლის, სემიუელ ჯონსონის (1709—1784 წწ.) ბიოგრაფი. მისი სახელი სანიმუშო ბიოგრაფის საზოგადო სახელად იქცა.

ამატა, — ესეც თვითონ დეკანი“. ვფიქრობ, ზედმეტია თქმა, რომ სებასტიანმა მისტერ გუდმენი გააბიაბრუა: ეს ანეკდოტი კემბრიჯის ხნისაა.

ახლა მეორეს მოგახსენებთ. როდესაც სებასტიანი მცირე ხნით ესტუმრა გერმანიას არდადეგებზე (1921?1922?), ერთხელ, გვიან სალამოს, ქუჩაში კატების კონცერტით გაღიზიანებულმა, სიმშვიდის დამრღვევებს სხვადასხვა საგანი დაუშინა, მათ შორის, კვერცხი. მალე მის კარზე პოლიციელმა დააკაკუნა და უკლებლივ ყველა ნივთი უკან მოუტანა — კვერცხის გარდა.

ეს ჯერომ ქ. ჯერომის ძველი (მისტერ გუდმენის სიტყვებით — „ომამდელი“) ნიგნიდანაა. მისტერ გუდმენი კვლავ გააბიაბრუეს.

მესამე ამბავი: სებასტიანი თავის პირველ (დაუბეჭდავ და განადგურებულ) რომანზე საუბრისას განმარტავს, რომ მასში მოთხრობილი იყო მსუქანი სტუდენტის შესახებ, რომელმაც შინ დაბრუნებისას შეიტყო, რომ დედამისი ცოლად ბიძამისს გაჰყვა; ამ ბიძამ კი, ოტიატრმა¹, სტუდენტის მამა მოკლა.

მისტერ გუდმენი ამ ხუმრობას ვერ ჩასწვდა.

მეოთხე: 1922 წლის ზაფხულში სებასტიანი ისე გადაიღალა უზომოდ ბევრი მუშაობით, რომ ჰალუცინაციები დაეწყო: დროდადრო ერთგვარი ოპტიკური მოჩვენება არ ასვენებდა — შავანაფორიანი ბერი სწრაფად მოემართებოდა მისკენ ციდან.

ეს ცოტა რთულია: ჩეხოვის პატარა მოთხრობიდანაა.

მეხუთე:

ვფიქრობ, საკმარისია, თორემ ვაითუ, მისტერ გუდმენი მომეტებული საფრთხისგან ორმოცფეხად გადაიქცეს. დაე, ოთხფეხად დარჩეს. ცოდოა, მაგრამ ვერაფერს გავანყობთ. არ შეელამაზებინა და კომენტარებით მაინც არ შეემკო ეს „კურიოზული შემთხვევები და ფანტაზიები“, თანაც ასე ღრმააზროვნად, თავისი უძვირფასესი დასკვნებით! უხეში, თავნება, დამთხვეული სებასტიანი, თავგამოდებით რომ ებ-

¹ ოტიატრი — ყურის ექიმი.

რძვის ჯაგერნაუტების¹, ლოკაუტების², რაუტებისა³ და ვინ იცის, კიდევ რისეუტების ცოდვილ სამყაროს... აქ, შესაძლოა, რალაც იყოს კიდევ.

მე მეცნიერული სიზუსტისკენ მივისწრაფვი. არ მინდა, სიმართლის ერთი მარცვალ მანც დამაკლდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის რომელიღაც პუნქტში ვილაცის წარმოუდგენელმა სისულელემ უკიდურესად აღმაშფოთა... ვინ ლაპარაკობს სებასტიან ნაითის შესახებ? მისი ყოფილი მდივანი. იყვნენ თუ არა ისინი მეგობრები? როგორც მოგვიანებით შევიტყობთ, მსგავსი არაფერი ყოფილა. ნუთუ მართალია, ნუთუ შესაძლებელია, რომ ავადმყოფური, ფიცხი სებასტიანი ერთგვარად უპირისპირდებოდა მზაკვრულ, დაქანცულ სამყაროს? არა, გამორიცხულია. მაგრამ იქნებ აქ რალაც სხვა გადანატეხი, რღვეული, ნაპრალი იყო? სწორედაც რომ.

„დაკარგული ნივთების“ სანყისი ოცდაათი გვერდის გადაკითხვაც კი საკმარისია იმის დასანახად, თუ რამდენად არ ესმის უფერულ მისტერ გუდმენს (მას, სხვათა შორის, არასდროს მოჰყავს ციტატები, რომლებსაც, შესაძლოა, ეჭვქვეშ დაეყენებინათ მისი თავიდან ბოლომდე სიცრუით სავსე თხზულების მთავარი თეზისი) სებასტიანის შინაგანი დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ. სებასტიანისთვის არასდროს იდგა, ვთქვათ, 1914, 1920 ან 1936 წელი, არამედ ყოველთვის — მხოლოდ 1-ლი. მისთვის საგაზეთო სათაურებს, პოლიტიკურ თეორიებს, მოდურ იდეებს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საპნის ან კბილის პასტის შეფუთვაზე დაბეჭდილ მრავალსიტყვიან ინსტრუქციას (სამ ენაზე, ორში მანც — შეცდომებით). მერე რა, რომ ქაფი, შესაძლოა, მართლა სქელი გამოსულიყო და მის შესახებ გაკეთებული შეტყობინება დამაჯერებლად ჟღერდა. მას შესანიშნავად ესმოდა იმ

¹ ჯაგერნაუტი — ინდურ მითოლოგიაში ვიშნუს ერთ-ერთი სახე.

² ლოკაუტი — კაპიტალისტურ ქვეყნებში სანარმოთა დახურვა და მუშათა მასობრივი დათხოვნა გაფიცვების ჩახშობის მიზნით.

³ რაუტი — საზეიმო წვეულება, დარბაზობა.

ინტელიგენტების მგრძნობიარობის, რომლებსაც თვალზე რული აღარ ეკარებოდათ ჩინეთში მომხდარი მიწისძვრის გამო, მაგრამ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერაფრით გაეგო, რატომ არ ეუფლებოდა იმავე ხალხს მწუხარებისგან გამონწვეული ასეთივე აღშფოთება მსგავსი უბედურების გახსენებაზე, იმდენი წლის წინათ რომ მოხდა, რამდენი მილიც ჩინეთამდე აშორებდათ? დროსა და სივრცეს მისთვის მსგავსი მარადიული განზომილება ჰქონდა, ამიტომ საშინლად აბსურდულია აზრი, თითქოს იგი განსაკუთრებულად, „თანამედროვე თვალთ“ უყურებდა იმას, რასაც მისტერ გუდმენი „ომის შემდგომი ევროპის ატმოსფეროს“ უწოდებს. იმ სამყაროში, რომელშიც იგი გაჩნდა, თავს ხან ბედნიერად გრძნობდა, ხან უგუნებობა ეუფლებოდა — როგორც მოგზაურს აღაფრთოვანებს გზაში ნანახი, და, თითქმის იმავედროულად, ზღვის ავადმყოფობითაც იტანჯება. რომელ საუკუნეშიც უნდა დაბადებულიყო სებასტიანი, მაინც ისევე გახარებული, მხიარული, დამწუხრებული ან შეშფოთებული იქნებოდა: როგორც პანტომიმის სპექტაკლზე მჯდომ ბავშვს გაახსენდება ხოლმე შიგადაშიგ, რომ მეორე დღეს კბილის ექიმთან უნდა წაიყვანონ. იგი დაბრკოლებებს იმიტომ კი არ აწყდებოდა, რომ უზნეო საუკუნეს მაღალზნეობრივ ადამიანად მოევლინა, ან პირიქით; არც იმიტომ, რომ ღრმად ჩაემარხა გრძნობა, თითქოს მისი ახალგაზრდობა ბუნებრივად ვერ ვითარდებოდა სამყაროში, სადაც კატაფალკები და ფეიერვერკები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს. არა — იგი იმის გაცნობიერებას იწყებდა, რომ სხვებზე გაცილებით მდიდარი სულიერი რიტმი ჰქონდა. უკვე კემბრიჯის პერიოდის დასასრულისთვის ან, შესაძლოა, უფრო ადრეც კი, იცოდა, რომ მისი ნებისმიერი აზრი ან შეგრძნება მოყვასისგან ერთი განზომილებით მაღლა მაინც იდგა. შეეძლო, ეს თვისება სამზეოზე გამოეტანა, მაგრამ თავმომწონე პატივმოყვარეობა არ ახასიათებდა — ეს სრულიად არ გააჩნდა, ამიტომაც მხოლოდ უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ ბროლი იყო ამდენ უბრალო შუშას შორის, სფერო

— წრენირებს შორის (თუმცა ეს ახლოსაც ვერ მოვა იმასთან, რისი გადატანაც მოუხდა, როდესაც, როგორც იქნა, ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა).

„იმდენად მორიდებული ვიყავი, — წერს სებასტიანი „დაკარგულ ნივთებში“, — რომ გამუდმებით „ვახერხებდი“ იმ შეცდომის დაშვებას, რომლის თავიდან არიდებაც ყველაზე მეტად მსურდა. სასოწარკვეთილი ამაოდ ვცდილობდი, გარშემო მყოფთაგან არაფრით გამოვრჩეულიყავი, მაგრამ დალტონიზმით დაავადებულ ქამელეონს ვგავდი. ამ ჩემს სიმორცხვეს მეც და სხვებიც ადვილად გადავიტანდით, ეს რომ ჩვეულებრივი, ტლანქი, მუნუკებიანი სახეობა ყოფილიყო: ის ხომ მრავალ ახალგაზრდას სჭირდა და ბევრმა ზედმეტი ყურადღების მიუქცევლად დასძლია იგი. ჩემთან კი მან ფარული ავადმყოფობის სახე მიიღო, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა სქესობრივ პრობლემებთან. წამების ნაცად ხერხებს შორის ყოველთვის გამოირჩეოდა ის, როდესაც ტყვეს დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ. უმრავლესობის გონების ერთი ნაწილი დღის განმავლობაში განცხრომით თვლემს. მოშივებული კაცი ბიფშტექსის ჭამისას ამ პროცესითაა დაკავებული და არა შვიდი წლის წინათ ნანახი სიზმრის გახსენებით, რომელშიც ანგელოზებს თავზე ცილინდრები ეხურათ, მაგრამ ჩემს შემთხვევაში გონების ყველა დარაბა, ლიუკი თუ კარი მთელი ღამის განმავლობაში ღია იყო. ადამიანთა უმრავლესობის ტვინს კვირადღე მაინც აქვს დასასვენებლად, მე კი ამისთვის სულ მცირე დროც არ მეძლეოდა. განუწყვეტელი სიფხიზლის ეს მდგომარეობა უალრესად მტანჯველია არა მხოლოდ თავისთავად, არამედ პირდაპირი შედეგებითაც. ნებისმიერი ჩვეულებრივი მოქმედების შესრულება ჩემთვის ისე რთულდებოდა, თავში მასთან დაკავშირებულ იმდენ აზრსა და ჩახლართულ, ბუნდოვან, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, უსარგებლო ასოციაციას აჩენდა, რომ მასზე ან საერთოდ უარს ვამბობდი, ან ნერვული დაძაბულობისგან ყველაფერს ვაფუჭებდი. ერთ დილას რომელიღაც ჟურნალის გამომცემელს შევუარე — დასაბეჭდად კემბრიჯში

დანერილი რამდენიმე ლექსის შეთავაზებას ვაპირებდი, მაგრამ მისმა განსაკუთრებულმა ენაბრგვილობამ და ფანჯრის მინის დეფექტის გამო სახურავისა და საკვამურების ოდნავ დამახინჯებულ მოხაზულობაში კუთხეების ერთგვარმა კომბინაციამ, რასაც, როგორც მომეჩვენა, ოთახის უცნაური შმორის სუნიც დაემატა (ქალაქის ნაგვისთვის განკუთვნილ კალათში ჩაყრილი ვარდების ლპობას ხომ არ გამოეწვია?) — ჩემი აზრები ისეთ მოუსავლეთში, მიხვეულ-მოხვეულგზებიან მოგზაურობაში გაუშვა, რომ იმის თქმის ნაცვლად, რისთვისაც მივედი, ადამიანს, რომელსაც პირველად ვხედავდი, ჩვენი საერთო ნაცნობის ლიტერატურული მიგნებების შესახებ გავუბი ლაპარაკი, და მხოლოდ მოგვიანებით გამახსენდა, რომ იმ პიროვნებამ მათი საიდუმლოდ შენახვა მთხოვა...

...მშვენივრად ვიცოდი ჩემი გონების ამ საშიში ჩვევის შესახებ, ამიტომაც გავურბოდი ადამიანების გაცნობას, მეშინოდა, მათთვის რამე არ მენწყენინებინა, მეშინოდა, მათ თვალში სასაცილო იერი არ მიმელო. მაგრამ ეს განსაკუთრებულობა თუ ნაკლი, ასე რომ მტანჯავდა, როდესაც ცხოვრების ეგრეთ წოდებულ „პრაქტიკულ მხარეს“ ვაწყდებოდი (თუმცა, ჩვენში დარჩეს და, ანგარიშწარმოება ან წიგნებით ვაჭრობა სრულიად არარეალური საქმიანობაა მთვარის შუქზე), მარტო დარჩენილს ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ძალიან მიყვარდა ქვეყანა, რომელიც საკუთარ სახლად მიმაჩნდა (რამდენადაც ჩემი ბუნება სახლის, როგორც ასეთის, აღქმის შესაძლებლობას მაძლევდა); განწყობით ხან კიპლინგს¹ ვემსგავსებოდი, ხან — რუპერტ ბრუკს², ხან ჰაუზმენს³. ბრმა ძალის ჰაროდსის⁴ სიახლოვეს, პანელზე ფერადი ცარციით დახატული სურათი, ნაბლისფერი ფოთლები ნიუ-ფორესტის⁵ გზაზე, მუშათა გარეუბნის რომელიღაც სახლის გაშავებულ აგურის კედელ-

¹ *ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი (1865-1936 წწ.) — ინგლისელი მწერალი, პოეტი და ნოველისტი.*

² *რუპერტ ბრუკი (1887-1915) — ინგლისელი პოეტი.*

³ *ალფრედ ჰაუზმენი (1859-1936) — ინგლისელი პოეტი.*

⁴ *ჰაროდსი — გიგანტური მაღაზია ლონდონში.*

⁵ *ნიუ-ფორესტი — ნაციონალური პარკი ინგლისის სამხრეთში.*

ზე გარედან ჩამოკიდებული ვარცლი, „პანჩში“¹ გამოქვეყნებული კარიკატურა, მაღალფარდოვანი პასაჟი „ჰამლეტიდან“ — ეს ყველაფერი მკაფიო ჰარმონიას ქმნიდა, რომელშიც მეც ვიდექი სადღაც, ჩრდილში. ჩემი ახალგაზრდობის ლონდონი თვალწინ ხან უსასრულო ხეტიალის სახით წარმომიდგება, ხან დილის ლურჯ ბურუსში შემოჭრილი და ფანჯრის შუშაზე უეცრად აელვარებული მზის სხივით, ხანაც ლამაზი შავი სადენებითა და მათზე დაკიდებული წვიმის წვეთებით. თითქოს უგრძნობი ნაბიჯებით დავდივარ მოლანდებულ გაზონებზე, საცეკვაო დარბაზებში, სადაც ჰავაის ჰანგებს აკვნესებენ, ლამაზი სახელწოდების ნაცრისფერ ქუჩებში, სანამ მოყურებულ, თბილ ადგილას არ მივალწევ, სადაც სიბნელეში ვილაც მოკუნტულა, ასე ძალიან რომ მგავს მე“.

დასანანია, რომ მისტერ გუდმენმა ამ ნაწყვეტის ნაკითხვა ვერ მოახერხა, თუმცა მეეჭვება, რომ მასში ჩადებულ აზრს ჩამწვდარიყო.

მან თავაზიანობა გამოიჩინა და თავისი წიგნის ეგზემპლარი გამომიგზავნა. თანდართულ წერილში საკმაოდ დამცინავი კილოთი, — რაც ეპისტოლური ჟანრის მიხედვით, თვალის მეგობრულად ჩაკვრას გულისხმობდა, — ამიხსნა, რომ თუ მის შესახებ ჩვენი შეხვედრის დროს არაფერი თქვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზის მოძღვნა სურდა. ამ კილოთი, სიცილითა და პომპეზური გონებაამახვილობით თითქოსდა ოჯახის ძველი მეგობრის, გულკეთილი ბუზლუნას როლის მორგება უნდოდა, ბავშვებს ძვირფასი საჩუქრები რომ მოუტანა. მაგრამ მისტერ გუდმენი ვერაფერი შვილი მსახიობი იყო. მას წამითაც არ გაუვლია გულში, რომ სიამოვნებას მომგვრიდა მის მიერ დაწერილი წიგნი და ის გულმოდგინება, რომლითაც ჩემი ოჯახის წევრის სახელის აფიშირებას უწყობდა ხელს. თავიდანვე იცოდა, რომ ეს უვარგისი წიგნი იყო, ასევე ისიც, რომ ვერც მისი ყდითა თუ სუბერყდით, ვერც მასში რეკლამის მიზნით ჩამოთვლილი

¹ „პანჩი“ — ბრიტანეთში ერთ დროს გამომავალი, სატირისა და იუმორის ყოველკვირეული ჟურნალი.

ღირსებებით, ვერც, ბოლოს და ბოლოს, პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიებითა და განცხადებებით თვალს ვერ ამიხვევდა. ჩემთვის ცოტათი გაუგებარია, რატომ ამჯობინებდა, რომ არაფერი მცოდნოდა. იქნებ ეშინოდა, მის ჯიბრზე საკუთარი წიგნი არ გამომეცხო და გზაზე არ გადავლობებოდი.

მან არა მხოლოდ ეს წიგნი გამომიგზავნა — დაპირებული ანგარიშებიც თან დაურთო. აქ ამ საკითხების განხილვის ადგილი არ არის. ისინი ჩემს რწმუნებულს გადავეცი, რომელმაც უკვე გამაცნო თავისი დასკვნა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პრაქტიკულ საქმეებში სებასტიანის გამოუცდელით ყოვლად უცერემონიოდ ისარგებლეს. მისტერ გუდმენი მუდმივად არასდროს ყოფილა ლიტერატურული აგენტი. იგი წიგნებზე, უბრალოდ, ფსონს დებდა, როგორც ამას დოლის დროს აკეთებენ. მას არაფერი ჰქონდა საერთო ამ ინტელიგენტურ, პატიოსან, შრომატევად პროფესიასთან. ამაზე შევჩერდეთ; თუმცა მე ჯერ ბოლომდე არ გამისწორებია ანგარიში „სებასტიან ნაითის ტრაგედიასთან“, ან, უფრო სწორად, „მისტერ გუდმენის კომედიასთან“.

თავი მერვე

ორი წელი გავიდა დედაჩემის გარდაცვალებიდან, სანამ სებასტიანს კვლავ ვნახავდი. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი ღია ბარათი გამომიგზავნა რალაცის ხედით, და ჩეკები, რაც დაჟინებით მიაჩნდა თავის მოვალეობად. 1924 წლის ნოემბრის თუ დეკემბრის ერთ ნაცრისფერ, მოლრუბლულ დღეს, ელისეს მინდვრების გავლით, ეტუალისკენ¹ მივემართებოდი, როდესაც ცნობილი კაფეს ვიტრინის მიღმა სებასტიანს მოვკარი თვალი. მახსოვს, თავდაპირველად გზის გაგრძელება მსურდა, რადგან გული მატკინა იმის გაცნობიერებამ, რომ პარიზში ჩამოსულმა არ მომინახულა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, შევედი და სებასტიანის კეფა, მისი მბზინავი მუქი თმა და მის პირდაპირ მჯდომი სათვალისანი თავდახრილი ქალიშვილი დავინახე, რომელიც წერილს კითხულობდა და სანამ მათ მივუახლოვდებოდი, მსუბუქი ღიმილით ის სებასტიანს გადასცა და რქისჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა.

— დიდებულია, არა? — თქვა სებასტიანმა სწორედ იმწამს, როდესაც გამხდარ მხარზე ხელი დავადე, შემომხედა და მომესალმა, — ოჰ, გამარჯობა, ვ. ეს ჩემი ძმია, მის ბიშოფ. დაჯექი, მოხერხებულად მოკალათდი.

ამ სასიამოვნო გარეგნობის ქალს ფერმკრთალი, ოდნავ ჭორფლიანი სახე, ასევე ოდნავ ჩაცვივნილი ლოყები, მორუნო-მოცისფრო ახლომხედველი თვალები და თხელი ტუჩები

¹ ეტუალი — შარლ დე გოლის, იგივე ვარსკვლავის მოედანი პარიზში.

ჰქონდა. ნაცრისფერ კაბაზე შარფი მოეხვია, პატარა სამკუთხა შლაპა ეხურა. თმა, როგორც მახსოვს, მოკლედ შეეკრიჭა.

— სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას, — მითხრა სებასტიანმა, ვშიშობ, არცთუ გულწრფელად, — საქმე ისაა, რომ აქ მხოლოდ ერთი დღით ჩამოვედი, ხვალ კი ლონდონში ვბრუნდები. შენთვის რა შევუკვეთო?

ისინი ყავას სვამდნენ. კლერ ბიშოფმა, რომელიც თვალებს სწრაფად ახამხამებდა, რედიკიულში ხელი მოაფათურა, ცხვირსახოცი ამოიღო და მსუბუქად ჯერ ერთ ნესტოზე მიიჭირა, შემდეგ — მეორეზე.

— სურდო მიძლიერდება, — თქვა მან და ჩანთა ტკაცუნით დაკეტა.

— ოჰ, შესანიშნავად, — მომიგო სებასტიანმა ბუნებრივ შეკითხვაზე, — ახლახან რომანის წერა დავასრულე და გამომცემელს, რომელსაც გავუგზავნე, თუ მისი დამაიმედებელი წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მოეწონა. მგონი, ჩემი შერჩეული სათაურიც მოსწონს, — „შაშვის საპასუხო დარტყმა“, — განსხვავებით კლერისგან.

— ჩემი აზრით, სულელურია, — თქვა კლერმა, — თანაც ჩიტებს დარტყმა არ შეუძლიათ.

— ეს ცნობილი სიმღერიდანაა¹, — ჩაილაპარაკა სებასტიანმა, რათა მივმხვდარიყავი, რაზე საუბრობდნენ.

— საკმაოდ სულელურიდან, — არ დაუთმო კლერმა, — პირველი სახელწოდება ჯობდა.

— არ ვიცი... პრიზმა... პრიზმის კიდე... — თქვა სებასტიანმა, — სამწუხაროა, რომ ჩემმა შაშვმა პოპულარობა ვერ მოიპოვა...

— სათაური, — განაცხადა კლერმა, — წიგნის კოლორიტს უნდა აღწერდეს და არა მის შინაარსს.

ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როდესაც სებასტიანი ჩემი თანდასწრებით ლიტერატურულ თემაზე ალაპარაკდა. ასეთ უდარდელ ხასიათზე იშვიათად თუ მენა-

¹ ძველებური ინგლისური საბავშვო სიმღერა, რომელშიც შაშვს ბელურა კლავს.

ხა. მოვლილი და მოწესრიგებული კაცის შეხედულება ჰქონდა. თეთრ, ნატიფნაკვთებიან, ოდნავ ლოყებდაკანრულ სახეზე (იგი იმ უიღბლო მამაკაცების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც იძულებულნი არიან, ხელმეორედ გაიპარსონ სხვა ადამიანებთან ერთად სადილობამდე) იმ უსიცოცხლო, ავადმყოფური ნადების კვალიც არ ეტყობოდა, ასე ხშირად რომ უჩნდებოდა ხოლმე. მე კი, პირიქით, თავს უხერხულად ვგრძნობდი და საჭირო სიტყვებს ვერ ვპოულობდი. ვგრძნობდი, რომ აქ ზედმეტი ვიყავი.

— კინოში ან სადმე სხვაგან ხომ არ წავსულიყავით? — იკითხა სებასტიანმა და ჟილეტის ჯიბეში ორი თითი ჩაიყო.

— წავიდეთ, თუ გინდათ, — მიუგო კლერმა.

— Gah-song, — დაიძახა სებასტიანმა. ადრეც შევამჩნიე, როგორ ცდილობდა, რომ ფრანგულად განზრახ ნამდვილი ბრიტანელივით ელაპარაკა. დიდხანს ვეძებდით მაგიდისა და პლუმის დივნების ქვეშ კლერის ხელთათმანს. ნაზი, გრილი სურნელის სუნამოს ხმარობდა. ბოლოს მე მივაგენი — ნაცრისფერი ნატი, თეთრი სარჩული, ფოჩები. აუჩქარებლად იცვამდა მათ, სანამ მბრუნავ კარში გავდიოდით. საკმაოდ მაღალი ქალი ეთქმოდა, ტანადი, ლამაზი კოჭები ჰქონდა, დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ატარებდა.

— მომისმინეთ, — ვთქვი მე, — ვფიქრობ, კინოში თქვენთან ერთად ვერ წამოვალ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რალაც საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. იქნებ... შენ როდის მიემგზავრები?

— როდის? ამ საღამოს, — მიპასუხა სებასტიანმა, — მაგრამ მალევე ჩამოვალ... რა სულელი ვარ, რომ წინასწარ არ შეგატყობინე. ყოველ შემთხვევაში, ცოტას გაგაცილებთ...

— პარიზს კარგად იცნობთ? — ვკითხე კლერს.

— პაკეტი დამრჩა! — შესძახა მან და შეჩერდა.

— ოჰ, არაფერია, ახლავე მოვიტან, — უთხრა სებასტიანმა და კაფეში შებრუნდა.

კლერთან ერთად ძალიან ნელა გავუყევი ფართო ტროტუარს.

შეცბუნებულმა შეკითხვა გავუმეორე.

— დიახ, საკმაოდ კარგად, — თქვა მან, — აქ ჩემი მეგობრები ცხოვრობენ. მათთან საშობაოდ ჩამოვდივარ ხოლმე.

— სებასტიანი ძალიან კარგად გამოიყურება, — ვთქვი მე.

— გეთანხმებით, — მითხრა კლერმა და უკან მიიხედა, შემდეგ კი თვალებმოჭუტულმა შემომხედა, — როდესაც ერთმანეთი გავიცანით, განწირულ ადამიანს ჰგავდა.

— ეს როდის იყო? — ვკითხე, ალბათ, ვინაიდან მისი პასუხი დამამახსოვრდა, — ამ გაზაფხულზე, ლონდონში, ერთ სალამოს წვეულებაზე. სხვათა შორის, წვეულებებზე სებასტიანი ყოველთვის განწირულივით გამოიყურება.

— აი, თქვენი ბონბონი... — გაისმა უკნიდან სებასტიანის ხმა. მათ ვუთხარი, რომ ეტუალის მეტროს სადგურისკენ უნდა წავსულიყავი, ამიტომ მოედნის შემოვლა მარცხენა მხრიდან გადავწყვიტეთ. კლებერის ავენიუზე გადასვლისას კლერს კინალამ ველოსიპედი დაეჯახა.

— ჩემო სულელო, — უთხრა სებასტიანმა მას შემდეგ, რაც იდაყვში ხელი სტაცა.

— აქ ძალზე ბევრი მტრედია, — თქვა კლერმა, როდესაც ტროტუარზე ავედით.

— თანაც სუნი ასდით, — დაამატა სებასტიანმა.

— რისი სუნი? ცხვირი გაჭედილი მაქვს, — კლერმა შეისუნთქა და ჩვენს ფეხებთან ამაყად მოსიარულე მსუქანი ფრინველების მოზრდილ ჯგუფს გახედა.

— ზამბახისა და რეზინის, — მიუგო სებასტიანმა.

სატვირთო მანქანამ ავეჯის ავტოფურგონს გვერდი აუარა და დაიკვნესა. დამფრთხალი მტრედები ცაში აიჭრნენ, ცოტა ხანს იტრიალეს და ტრიუმფალური თაღის მომწვანო-მონაცრისფრო ფრიზზე ჩამოსხდნენ. მოგვიანებით, როდესაც რამდენიმე მათგანი ქვევით დაეშვა, შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოჩუქურთმებული ლავგარდნის ნაწილები დაფრთიანდნენ და გაცოცხლდნენ. ერთი წლის შემდეგ „ფრთებად გადამდნარი ქვის“ ამ სახეს სებასტიანის მესამე წიგნში წავაწყდი.

კიდევ რამდენიმე ქუჩა გადავჭერთ და მიწისქვეშა სადგურის თეთრ მოაჯირს მივაღებთ. აქ ერთმანეთს მხიარულად დავემშვიდობეთ... მახსოვს, თანდათან როგორ დამშორდა სებასტიანის ლაბადა და კლერის მორუხო-მოცისფრო ფიგურა. მან ჩემს ძმას ხელკავი გამოსდო და ფეხი მის ფართო ნაბიჯებს აუნყო.

ახლა მის პრატიკან ბევრი რამ შევიტყვე, რის გამოც კიდევ მეტიც გაგება მომინდა. მისი მიზანი კი იმის გარკვევა იყო, დარჩა თუ არა სებასტიანის ქალაქლებს შორის კლერ ბიშოფის წერილები. იგი განსაკუთრებით იმ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ კლერ ბიშოფს მისთვის ეს არ დაუვალვია; რომ მან საერთოდ არ იცოდა ჩვენი შეხვედრის შესახებ. სამი-ოთხი წლის წინ გათხოვილიყო და მოჭარბებული სიამაყის გამო წარსულზე ლაპარაკი არ სურდა. მის პრატი მას გაზეთებში სებასტიანის გარდაცვალების თაობაზე განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის თავზე შეხვდა. მართალია, ისინი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ (სხვა სიტყვებით, ერთმანეთის შესახებ იმაზე მეტი იცოდნენ, ვიდრე წარმოედგინათ), კლერი ამ მოვლენაზე დუმილს ამჯობინებდა. „ვიმედოვნებ, არცთუ ძალიან უბედური იყო, — წყნარად ჩაილაპარაკა მან და დაამატა, — ნეტავ ჩემი წერილები თუ შეინახა“. ეს ისე თქვა, ისე მოჭყუტა თვალები, ისე მოწყვეტით ამოისუნთქა, სანამ საუბრის თემას შეცვლიდა, რომ მისმა მეგობარმა მაშინვე დაასკვნა, როგორ მოეშვებოდა მას გულზე, თუკი გაიგებდა, რომ ყველა წერილი განადგურებული იყო. მის პრატს ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა კლერთან შეხვედრა და მისი დაყოლიება, რათა რამე მოეყოლა სებასტიანის შესახებ. მის პრატმა მიპასუხა, რომ, ვინაიდან კლერს კარგად იცნობდა, ჩემი თხოვნის გადაცემას ვერც კი შეჰბედავდა. განმიცხადა, ეს „უიმედო საქმეაო“. თავში მაცდურმა, უღირსმა აზრმა გამიელვა — მიმენიშნებინა, რომ ეს წერილები მე მქონდა და მათ კლერს გადავცემდი, თუკი ჩემთან შეხვედრას დასთანხმდებოდა. აი, ასე ძლიერ მსურდა მისი ნახვა და იმის ხილვა, თუ როგორ გადაურბენდა ჩრდილი სახეზე, როდესაც ძმის სახელს წარმოვთ-

ქვამდი. მაგრამ არა, სებასტიანის წარსულის დაშანტაჟება არ შემეძლო, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

— წერილები დამწვარია, — ვთქვი მე.

შემდეგ კვლავ და კვლავ დაჟინებით ვუმეორებდი, რომ თხოვნა ცოდვა არ იყო; რომ, შესაძლოა, მოეხერხებინა კლერის დაყოლიება, თუ ჩვენი საუბრის შინაარსს გადასცემდა და დაამატებდა, რომ ჩემი ვიზიტი ძალზე ხანმოკლე და უწყინარი იქნებოდა.

— მაინც რისი გაგება გსურთ? — მკითხა მის პრატმა, — თქვენთვის მეც ბევრი რამის მოყოლა შემეძლია.

იგი დიდხანს და ძალიან კარგად ლაპარაკობდა კლერისა და სებასტიანის შესახებ, თუმცა, როგორც შევატყვე, ქალების უმრავლესობის მსგავსად, წარსულზე დიდაქტიკური საუბარი სჩვეოდა.

— იმის თქმა გსურთ, — გავანწყვეტინე ერთხელ თბრობა, — რომ ამ ქალის ვინაობა ვერასდროს ვერავინ შეიტყო?

— დიახ, — მიპასუხა მის პრატმა.

— თუ ასეა, როგორ მივაგნებ? — შევძახე მე.

— ამას ვერასდროს მოახერხებთ.

— რა ბრძანეთ, როდის დაიწყო ეს ყველაფერი? — კვლავ შევანწყვეტინე, როდესაც სებასტიანის ავადმყოფობის შესახებ მიაბზო.

— დანამდვილებით არ ვიცი, — თქვა მან, — როდესაც ამას შევესწარი, ეს პირველი შეტევა არ იყო. რესტორნიდან გამოვედი. ძალიან ციოდა, ის კი ტაქსის დაჭერას ვერაფრით ახერხებდა. გაღიზიანება და გაბრაზება ეტყობოდა. შორიახლოს გაჩერებული ერთ-ერთი მანქანისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ უეცრად შეჩერდა და თქვა, თავს ცუდად ვგრძნობო. მახსოვს, პატარა კოლოფიდან რაღაც აბი ამოიღო, აბრეშუმის თეთრ კაშნეში დაფშვნა, თან მას რაღაცნაირად სახეზე იჭერდა. ვფიქრობ, 1927 ან 1928 წელი იქნებოდა.

კიდევ რამდენიმე შეკითხვა დავუსვი. კვლავაც კეთილსინდისიერად მპასუხობდა, შემდეგ კი სევდიანი ამბის თბრობა განაგრძო.

როდესაც წავიდა, მისი მონაყოლი დანვრილებით ჩავინერე, თუმცა ეს ყველაფერი უსიცოცხლო იყო, უსიცოცხლო... აუცილებლად უნდა შევხვედროდი კლერს! ამ ქალის ერთი გამოხედვა, სიტყვა, ხმაც კი საკმარისი იქნებოდა წარსულის გასაცოცხლებლად (სხვაგვარად, ეს შეუძლებელი, სრულიად შეუძლებელი იყო!). ამის მიზეზს ვერ ვხვდებოდი, ისევე, როგორც ვერც ის გამეგო, იმ დაუვინყარ დღეს, რამდენიმე კვირით ადრე, რატომ ვიყავი დარწმუნებული, რომ, თუ სიკვდილის პირას მყოფ ადამიანს ცოცხალსა და საღ გონებაზე მყოფს მივუსწრებდი, ისეთ რამეს შევიტყობდი, რაც მოკვდავთაგან არავინ იცოდა.

და აი, ერთ მშვენიერ დილას, ორშაბათს, სტუმრად წავედი.

მოახლე პატარა სასტუმრო ოთახში შემიძღვა. კლერი შინ იყო, რაც ამ ლოყებლაჟლაჟა და მოუხემო ახალგაზრდისგან შევიტყვე (სებასტიანი ერთგან წერს, რომ ინგლისელი პროზაიკოსები არასდროს ამბობენ უარს ერთხელ შემოღებულ ჩვევაზე და ყოველთვის აღწერენ შინამოსამსახურეს), მის პრატიისგან კი ვიცოდი, რომ მისტერ ბიშოფი სადაგ დღეებში სიტყვი მსახურობდა; უცნაურია, რომ ქალი თანამოგვარეს გაჰყვა ცოლად, თუმცა, ნათესაობის კუთხით, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ. ნუთუ უარით გამისტუმრებს? სახლში ყველაფერი შეძლებაზე მეტყველებდა, ოღონდ არა უმეტეს... მეორე სართულზე მთავარი სასტუმრო ოთახი უნდა ყოფილიყო, მის თავზე — საძინებლები. მთელ ქუჩაზე ასეთივე ვინრო, მჭიდროდ ჩარიგებული სახლები იდგა. დიდხანს კი ფიქრობდა ქალი... იქნებ უნდა გამერისკა და ჯერ დამერეკა? მოასწრებდა კი მის პრატი წერილების შესახებ თქმას? უეცრად კიბეზე ნაბიჯების ჩუმი ხმა შემომესმა და ოთახში სწრაფად შემოვიდა იასამნისფრად განყობილ შავ ხალათში გამონყობილი მამაკაცი.

— ბოდიშს გიხდით ასეთი ჩაცმულობისთვის, — მითხრა მან, — მაგრამ ძალზე გაცივებული ვარ. ჩემი გვარი ბიშოფია. როგორც ვხვდები, მისის ბიშოფის ნახვა გსურთ.

თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა — სურდო იმ ვარდის-

ფერცხვირიანი, ხმაჩახლეჩილი კლერისგან ხომ არ გადაედო, რომელიც თორმეტი წლის წინათ ვნახე-მეთქი.

— დიახ, — მივუგე, — თუ, რა თქმა უნდა, კვლავაც ვახსოვარ. ჩვენ ერთმანეთს ერთხელ პარიზში შევხვდით!

— ოჰ, თქვენი სახელი მშვენივრად ახსოვს, — თქვა მისტერ ბიშოფმა და თვალი გამისწორა, — თუმცა, სამწუხაროდ, ვერ მიგიღებთ.

— შეიძლება, სხვა დროს ვინახულო? — ვკითხე მას.

— თუ არ ვცდები, ეს ვიზიტი რალაციით თქვენი ძმის გარდაცვალებას უნდა უკავშირდებოდეს, არა? — დაინტერესდა იგი ხანმოკლე პაუზის შემდეგ.

კაცი ჩემ წინ იდგა, ხელები ხალათის ჯიბეებში ჩაეწყო და სახეში შემომცქეროდა. ქერა თმა უკან ნაჩქარევად, ბრაზმორეულს გადაევარცხნა. კარგი, წესიერი პიროვნება ჩანდა და ვიმედოვნებდი, რომ ჩემს სიტყვებს საწყენად არ მიიღებდა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, ძალზე სამწუხარო ვითარების გამო, ჩვენ ერთმანეთს წერილებით გავესაუბრეთ, რამაც სრულიად გაფანტა ყოველგვარი უსიამოვნო გრძნობა, რომელიც, შესაძლოა, ამ შეხვედრისას გაგვიჩნდა.

— ასეც რომ იყოს, ნუთუ ამის გამო არ მოისურვებს ჩემს მიღებას? — კითხვა დავუბრუნე მასპინძელს. ვაღიარებ, რომ სულელურად გამომივიდა.

— თქვენ მას ვერასდროს ნახავთ, — მიპასუხა მისტერ ბიშოფმა.

ამ სიტყვების შემდეგ ნასვლის მეტი არაფერი დამრჩენოდა.

— ვწუხვარ, — დაამატა მან უფრო რბილად, როდესაც იგრძნო, რომ საფრთხემ გადაიარა და უკან დავიხიე, — დარწმუნებული ვარ, სხვაგვარ ვითარებაში... მაგრამ გამოგიტყდებით, ჩემს მეუღლეს წარსული ნაცნობობის გახსენება არ სურს. ვფიქრობ, არ გენყინებათ, თუ გულწრფელად გეტყვით, რომ აქ არ უნდა მოსულიყავით.

შინისკენ იმ გრძნობით გავემართე, რომ ყველაფერი გავაფუჭე. კარგად წარმომედგინა, რას ვეტყოდი კლერს პირის-

პირ შეხვედრისას. საკუთარი თავი როგორღაც დავარწმუნე — სახლში ქმრის არყოფნის შემთხვევაში აუცილებლად მიმიღებდა-მეთქი: ასეა, გაუთვალისწინებელი დაბრკოლება თავდაპირველ წარმოდგენას აფერმკრთალებს. ვეტყვოდი: „მოდით, სებასტიანზე ნუ ვისაუბრებთ, პარიზზე ვილაპარაკოთ. კარგად იცნობთ მას? მტრედები თუ გახსოვთ? ახლა რას კითხულობთ? კინოში წასვლა ხომ არ გინდათ? ხელთათმანებსა და პაკეტებს კვლავაც კარგავთ?“ ან შესაძლოა, უფრო გაბედული, შემტევი გზა ამერჩია: „დიან, ვიცი, რა გრძნობებიც დაგატყდებათ თავს, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ — დამელაპარაკეთ მის შესახებ. მისი პორტრეტის გულისთვის. იმ პატარა ნივთების გულისთვის, რომლებიც აქეთ-იქით გაიფანტება და დაიკარგება, თუ მათ მასზე დასაწერი ნიგნისთვის არ მომცემთ“. დარწმუნებული ვიყავი, უარს არ მეტყვოდა.

და აი, ორი დღის შემდეგ, მტკიცედ ჩავიფიქრე მეორე გეგმის განხორციელება და გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მეცადა. ამჯერად საკუთარ თავს მეტი წინდახედულობისკენ მოვუწოდე. მშვენიერი, ადრიატიკური დილა იდგა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ შევხვდებოდი. შეუმჩნეველად ჩავუსაფრდებოდი ქუჩის კუთხეში, დაველოდებოდი, როდის წავიდოდა მისი ქმარი სამსახურში და როგორც კი თვითონაც გამოვიდოდა სახლიდან, მაშინვე მის წინ გავჩნდებოდი, მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ვვარაუდობდი.

ჯერ კუთხემდე არ მივსულიყავი, როდესაც მოულოდნელად კლერ ბიშოფი გამოჩნდა. ის-ის იყო, გადავიდა ქუჩის ერთი მხრიდან — რომელსაც მე მივუყვებოდი — მეორეზე. მაშინვე ვიცანი, თუმცა სულ რაღაც ნახევარი საათით მყავდა ნანახი მრავალი წლის წინათ. ვიცანი, თუმცა სახე დაჰპატარავებოდა, ტანი კი უცნაურად გაზრდოდა. ნელა, მძიმედ მოაბიჯებდა. მისკენ პარალელური ტროტუარით მივემართებოდი. მივხვდი, რომ დღე-დღეზე მოილოგინებდა. ჩემი ფიცი ხასიათის გამო, რომელსაც არაერთხელ ჩავუყენებდნარ უხერხულ მდგომარეობაში, კვლავაც ღიმილით მივიწვევდი მისკენ, მაგრამ ამ რამდენიმე წამის განმავლობაში მკაფიოდ

გავაცნობიერე, რომ მასთან დალაპარაკებას ვერ შევძლებდი, ვერც დავუძახებდი — არა სებასტიანის, ჩემი წიგნის ან მისტერ ბიშოფთან საუბრის გამო. მთავარი მისი მოჭარბებული გულისყური და დაძაბულობა იყო. ვიცოდი, რომ თვალშიც კი არ უნდა მოვხვედროდი, მაგრამ, როგორც ვთქვი, სიფიცხეს უკვე მის მხარეს გადავეყვანე, თანაც ისე, რომ ტროტუარზე ასვლისას კინალამ შევეჯახე კიდეც. იგი ნელა გაიწია და ახლომხედველი თვალებით შემომხედა. მადლობა ღმერთს, ვერ მიცნო. მის ფერმკრთალ, თითქოს ნაქლიბით დაფარული სახის საზეიმო გამომეტყველებაში რაღაც სევდის მომგვრელი შევნიშნე. ორივენი შევჩერდით. აღმაშფოთებელი გამბედაობით ამოვიღე ჯიბიდან პირველივე ნივთი, რაც ხელში მომხვდა, და ვკითხე:

— მაპატიეთ, ეს თქვენ ხომ არ დაგივარდათ?

— არა, — მითხრა არაფრის მთქმელი ღიმილით, ჩემ მიერ მიწოდებული ნივთი თვალებთან მიიტანა, „არა“ გამიმეორა, დამიბრუნა და თავისი გზით წავიდა.

ვიდექი, ხელში გასაღები მეჭირა, თითქოს მართლა ტროტუარიდან ავიღე. ეს სებასტიანის ბინის გასაღები იყო. უცნაური, გულის გამგმირავი გრძნობით მივხვდი, რას შეეხო იგი თავისი უმანკო, უხილავი თითებით.

თავი მეცხრე

მათი ახლო ურთიერთობა ექვსი წელი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სებასტიანმა ორი რომანი დაწერა: „პრიზმის წახნაგი“ და „წარმატება“. პირველს დაახლოებით შვიდი თვე მოანდომა (1924 წლის აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით), მეორეს — ოცდაორი (1925 წლის ივლისიდან 1927 წლის აპრილამდე). 1927 წლის შემოდგომასა და 1929 წლის ზაფხულს შორის სამი მოთხრობა დაწერა, რომლებიც მოგვიანებით (1932 წელს) ხელახლა გამოიცა კრებულში, სახელწოდებით „მხიარული მთა“. სხვა სიტყვებით, კლერი მის მიერ შექმნილი ხუთი ნაწარმოებიდან (ჭაბუკობის, მაგალითად, კემბრიჯში სწავლის პერიოდის ლექსების გამოკლებით, თვითონვე რომ გაანადგურა) სამის უშუალო მოწმე იყო. და ვინაიდან ამ ნიგნებს შორის პაუზების დროს სებასტიანი სხვადასხვა ლიტერატურულ პროექტს გონებაში ატრიალებდა, მათ ხან გვერდზე გადადებდა ხოლმე, ხან კი კვლავ უბრუნდებოდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ექვსი წლის განმავლობაში არასდროს შეუსვენია. კლერს მისი საქმიანობა ძალიან მოსწონდა.

იგი სებასტიანის ცხოვრებაში დაუკაკუნებლად შევიდა, ისე, როგორც სხვის ოთახში შედიან, რადგან ის ძალიან ჰგავს მათსას. კლერს უკან წამოსასვლელი გზა დაავიწყდა და მასთან დარჩა, თანდათანობით მიეჩვია იქ მყოფ უცნაურ არსებებს, ხშირად ეფერებოდა კიდევც, მათი უჩვეულო გარეგნობის მიუხედავად. წინასწარ არც უფიქრია, რომ ბედნიერი იქნებოდა ან სებასტიანს გააბედნიერებდა, თუმცა არც მომა-

ვალი აშინებდა. ამ მამაკაცის ცხოვრება ისე მიიღო, როგორც რაღაც ბუნებრივი, ვინაიდან უსებასტიანოდ არსებობის წარმოდგენა უფრო უჭირდა, ვიდრე დედამიწის მიერ მთვარეზე გაშლილი კარვისა. ბავშვი რომ გაეჩინა, ყველაფერი, ალბათ, ქორწინებით დასრულდებოდა — ეს სამივესთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, მაგრამ რადგან ასე არ მოხდა, თავში აზრადაც არ მოსვლიათ, ზედმეტად დატვირთულიყვნენ უმნიშვნელო და მაღალზნეობრივი ფორმალობებით, რომლებსაც, ადვილი შესაძლებელია, მათთვის სიამოვნებაც კი მიენიჭებინა, თუ სათანადო ყურადღებას დაუთმობდნენ. სებასტიანს სრულიად არ ახასიათებდა მოდური, აგდებული დამოკიდებულება ცრურწმენებისადმი. შესანიშნავად იცოდა, რომ ზნეობრივი საფუძვლების აბუჩად აგდებით თავმოწონება შეფარული სნობიზმი და ამოტრიალებული ცრურწმენა იყო. ჩვეულებრივ, ყველაზე უბრალო ზნეობრივ გზას (სამაგიეროდ, ესთეტიკურად ყველაზე ეკლიანს) მხოლოდ იმიტომ ირჩევდა, რომ სასურველ მიზნამდე მისასვლელად უმოკლეს გზად მიაჩნდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში საოცრად ეზარებოდა ათასგვარ საზრუნავზე თავის მტვრევა, ასე რომ ანუხებდათ სხვებს (სამაგიეროდ, უზომოდ ბევრს მუშაობდა შემოქმედებით პროცესში).

სებასტიანთან შეხვედრისას კლერი ოცდაორი წლის იყო. მამა არ ახსოვდა; დედაც მოუკვდა, მამინაცვალი ხელმეორედ დაქორწინდა. ამიტომ ოჯახზე ბუნდოვანი წარმოდგენა, რომელსაც მასში ეს წყვილი იწვევდა, ძველებურ სოფიზმს ჰგავდა ხმლის შეცვლილი ტარისა და ახალი პირის შესახებ¹, თუმცა პირველსაწყისის პოვნისა და აღდგენის იმედი არ უნდა ჰქონოდა, ყოველ შემთხვევაში, მარადიულობის აქეთა მხარეს. ლონდონში მარტო ცხოვრობდა, შიგადაშიგ ხელოვნების სკოლაში დადიოდა, თან აღმოსავლურ ენებსაც სწავლობდა. ჩუმი მიმზიდველობა, მშვენიერი, თითქოს დანისლული სახე და რბილი, ოდნავ ხრინჩიანი ხმა გარშემო მყოფთ მისდამი კე-

¹ *ლიხტენბერგის ცნობილი პარადოქსი დანის შესახებ, რომელსაც აღარც ტარი აქვს და აღარც პირი.*

თილად განანყობდა, მათ მეხსიერებაში ისე მტკიცედ იკიდებდა ფეხს, გეგონებოდათ, მოგონებებში დარჩენის იშვიათ ნიჭს ფლობსო. უდავოდ, მნემოგენური იყო. მის ოდნავ მოზრდილ, დიდძვლიან ხელებსაც კი თავისებური მომხიბვლელობა დაჰკრავდა. კარგად ცეკვავდა, მსუბუქად და უსიტყვოდ. მაგრამ მასში ყველაზე კარგი ის იყო, რომ იმ იშვიათი, ძალზე იშვიათი ქალების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც სამყაროს ისე არ იღებდნენ, როგორც რაღაც თავისთავად ცხადს, არც ყოველდღიურ საგნებში ხედავდნენ თავიანთი ქალურობის ჩვეულ ანარეკლს. მას წარმოსახვის უნარი ჰქონდა, — რაც იგივე სულის კუნთებია, — ძალიან ძლიერი, თითქმის მამაკაცური წარმოსახვის უნარი. გარდა ამისა, სილამაზის რეალურად შეგრძნება შეეძლო, რასაც იმდენად ხელოვნება არ განაპირობებდა, რამდენადაც ყოველწამიერი მზადყოფნა — ტაფის გარშემო შარავანდედი დაენახა, მტირალ ტირიფსა და სქაიტერიერს¹ შორის კი — მსგავსება. და ბოლოს, დახვეწილი იუმორის გრძნობაც უხვად მომადლებოდა. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ სებასტიანის ცხოვრებას ასე კარგად მორგებოდა.

ერთმანეთს ხშირად უკვე ნაცნობობის პირველ სეზონში ხვდებოდნენ. შემოდგომის მინურულს ქალი პარიზში გაემგზავრა და ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ძმა მასთან იქ არაერთხელ ჩავიდა. ამ დროისთვის მან უკვე დაამთავრა თავისი პირველი წიგნი. კლერმა მანქანაზე ბეჭდვა ისწავლა და 1924 წლის ზაფხულის სადამოების განმავლობაში ფურცლებს ერთმანეთის მიყოლებით ღრეჩოში ათავსებდა, საიდანაც ისინი გარეთ შავი და იისფერი სიტყვებით გასულიერებულები გამოდიოდნენ. თითქოს ვხედავ კიდევ, როგორ აკაკუნებს ქალი თითებს პრიალა კლავიშებზე თბილი წვიმის ხმაურში, მხაპაშხუპი რომ გაუდის გაღებულ ფანჯრის მიღმა ჩამუქებულ თელებში, ამასობაში კი სებასტიანი ოთახში წინ და უკან დააბიჯებს და მისი აუჩქარებელი და სერიოზული ხმა (მის პრატიკის თქმით, იგი კი არ კარნახობდა, არამედ სასწა-

¹ სქაიტერიერი — გრძელბეწვიანი ძაღლის ჯიშია.

ულმოქმედებდა) ხან ახლოვდება და ხან შორიდან ისმის. ჩვე-
ულებრივ, სებასტიანი დღის უმეტესი ნაწილის განმავლობა-
ში წერდა, მაგრამ ისე გაჭირვებით მიიწევდა წინ, რომ სალა-
მოსთვის საბეჭდ მანქანაზე გადასაწერად ორ გვერდზე მეტი
არ გროვდებოდა, იმათაც გადაკეთება სჭირდებოდა, რადგან
სებასტიანს ეს პროცესი ძალიან მოსწონდა; ზოგჯერ იმას
აკეთებდა, რაც, ვფიქრობ, თავში ერთ მწერალსაც კი არ მო-
უვიდოდა: უკვე დაბეჭდილ გვერდს თავისი დახრილი, არაინ-
გლისური ხელით გადანერდა ხოლმე და შემდეგ ხელმეორედ
კარნახობდა. სიტყვებთან მისი ბრძოლა განსაკუთრებით
მტკივნეული ორი მიზეზის გამო იყო. ერთი მისი ყაიდის ყვე-
ლა მწერალს ახასიათებდა: ხიდების გადება გამონათქვამსა
და აზრს შორის; უმცაფრესი შეგრძნება იმისა, რომ სწორი,
ერთადერთი, ნისლში გახვეული სიტყვები მოპირდაპირე
მხარეს გელოდება, ჩაუცმელი აზრი კი თრთის და უფსკრუ-
ლის აქეთა მხარეს მათზე ლოცულობს. გამზადებული ფრა-
ზები მისთვის არ გამოდგებოდა, ვინაიდან იმას, რისი თქმაც
სურდა, განსაკუთრებული ფორმა ჰქონდა; ისიც იცოდა, რომ
ნამდვილი აზრი ვერ იარსებებდა მის თარგზე მორგებული
სიტყვების გარეშე. ამიტომაც (უფრო მიახლოებული შედა-
რება რომ გამოვიყენოთ) მხოლოდ გვეჩვენება, რომ აზრი
შიშველია — მას მხოლოდ ის სჭირდება, რომ მისი სამოსი
ხილული გახდეს. იმავდროულად, მოშორებით დამალული
სიტყვები, როგორც გვგონია, ცარიელი ნაჭუჭი არ არის. ისი-
ნი ელოდებიან, როდის ააღდება მათში მოთავსებული აზრი,
რომელიც მათ აამოქმედებს. ზოგჯერ სებასტიანი პატარა
ბავშვს ჰგავდა, რომელსაც ხელში აბურდული გორგალი მის-
ცეს და სასწაულის მოხდენა უბრძანეს. ასეც აკეთებდა და
ხშირად ვერც კი ხვდებოდა, ამას როგორ ახერხებდა. სხვა
დროს კი საათობით წვალობდა, თითქოს ყველაფერს გონივ-
რულად აკეთებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. კლერს,
რომელსაც ცხოვრებაში ერთი სტრიქონიც კი არასდროს შე-
ეთხზა პროზად ან ლექსად, შესანიშნავად ესმოდა (და ეს მისი
პირადი სასწაულებრივი თვისება იყო) სებასტიანის ამ ბრძო-

ლის ყოველი დეტალი და ისიც, რომ სიტყვები, რომლებსაც ბეჭდავდა, მისთვის არა მხოლოდ მათი ბუნებრივი მნიშვნელობის გამტარები იყო, არამედ უფრო მოსახვევები, ჩანაქცევები, ზიგზაგები, იმ მიხვეულ-მოხვეულ გზას რომ აღნიშნავდნენ, რომელზეც სებასტიანი ხელის ცეცებით მიიწვედა წინ აზრის იდეალურად ჩამოყალიბებისთვის.

მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის. ვიცი, — ისევე, როგორც ის, რომ ჩვენ ერთი მამა გვყავს, — ვიცი, რომ სებასტიანის რუსული მის ინგლისურზე უკეთესი და ბუნებრივი იყო. იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ იმ ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც რუსულ ენას არ იყენებდა, საკუთარ თავს ჩააგონა, რომ გადაავიწყდა კიდევ, მაგრამ ენა ფიზიკურად ცოცხალი საგანია და მისი თავიდან მოცილება იოლი როდია. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი პირველი წიგნის გამოსვლამდე ხუთი წლით ადრე, ანუ მაშინ, როდესაც რუსეთიდან გაიქცა, მისი ინგლისური ისეთივე მწირი იყო, როგორც ჩემი. მე ჩემსას ხელოვნურად ვსრულყოფდი საზღვარგარეთ გაძლიერებული მეცადინეობით, ის კი ცდილობდა, ბუნებრივი გასაქანი მიეცა თავისი ინგლისურისთვის მისსავე მშობლიურ გარემოში. მან დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ მაინც მგონია, რუსულად რომ დაეწყო წერა, ენასთან დაკავშირებულ ამ ტანჯვას თავიდან აიცილებდა. იმასაც დავამატებ, რომ მის მიერ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილი ბარათი მაქვს. ამ მოკლე წერილში გამოყენებული რუსული გაცილებით სუფთა და მდიდარია მისი ნებისმიერი პერიოდის ინგლისურზე, მიუხედავად გამომსახველობის ძალის იმ სიმალლისა, რომელსაც თავის წიგნებში მიაღწია.

ისიც ვიცი, რომ როდესაც კლერი სებასტიანის მიერ თავისი ხელნაწერიდან გამოთავისუფლებულ სიტყვებს ბეჭდავდა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, სახეს ოდნავ შეიჭმუხნიდა, ჩამაგრებული ქალაღდის კიდეს მალლა ასწევდა, სტრიქონს გადაიკითხავდა და ამბობდა: „არა, ძვირფასო, ინგლისურად ასე თქმა არ შეიძლება“. სებასტიანი ორიოდე წამის განმავ-

ლობაში მიაშტერდებოდა ხოლმე მას, შემდეგ კვლავ განაგრძობდა ოთახში სიარულს და უხალისოდ აანალიზებდა კლერის შენიშვნას, ის კი მუხლებზე ხელებდანყობილი იჯდა და მორჩილად ელოდა. „ამას სხვაგვარად ვერაფრით იტყვი“, — ჩაიბურტყუნებდა ბოლოს სებასტიანი. „ასე რომ ვცადოთ?“ — ჰკითხავდა ქალი და სწორედ რომ შესაფერის კონსტრუქციას სთავაზობდა.

— კარგი, ისე იყოს, როგორც ამბობ, — პასუხობდა კაცი.

— არ გადალებ, ძვირფასო. ისე მოიქეცი, როგორც გსურს. თუ მიგაჩნია, რომ გრამატიკული შეცდომა ხელს არ შეგიშლის...

— ოჰ, არა, განაგრძე, — იტყოდა სებასტიანი, — რა თქმა უნდა, მართალი ხარ, განაგრძე...

1924 წლის ნოემბრისთვის „პრიზმის ნახნაგი“ დასრულდა. იგი მომდევნო წლის მარტში გამოვიდა და მცირე წარმატებასაც კი ვერ მიაღწია. როგორც იმდროინდელი გაზეთების მიხედვით დავადგინე, მხოლოდ ერთხელ ახსენეს. აი, ხუთ-ნახევარი წინადადება კვირის ნომერში, სხვადასხვა წიგნის შესახებ გამოთქმულ აზრებს შორის:

„პრიზმის ნახნაგი“, როგორც ჩანს, ავტორის პირველი რომანია, ამიტომ ისევე მკაცრად ვერ განვსჯით, როგორც... (ამა და ამ, ზემოთ დასახელებულ წიგნს). მასში მოყვანილი სასაცილო ადგილები გაუგებრად მომეჩვენა, გაუგებარი ადგილები კი, სასაცილოდ. თუმცა, შესაძლებელია, ისეთი ბელეტრისტიკაც არსებობს, რომლის მშვენიერებაც ჩემთვის მიუწვდომელია. იმ მკითხველთა გულის მოსაგებად კი, რომლებსაც ამგვარი ნაწარმოებები მოსწონთ, დავძენ, რომ მისტერ ნაითს ისევე ეხერხება საქმის გაჯანჯლება, როგორც ინფინიტივების დანაფოტება“.

ვფიქრობ, ის გაზაფხული ყველაზე ბედნიერი პერიოდი იყო სებასტიანის ცხოვრებაში. მან ერთი წიგნი დაასრულა და უკვე გრძნობდა, რომ მასში მორიგი რომანი იწყებდა მოძრაობას. იგი შესაშურად ჯანმრთელი იყო. მშვენიერი მეგობარი ქალი ჰყავდა. აღარ ტანჯავდა წვრილმანი საზრუნავი, ისევე

რომ აბეზრებდა თავს, როგორც ასიენდას¹ შესეული ჭიანჭველების გუნდი.

კლერი მის მაგივრად გზავნიდა წერილებს, ამონმებდა მრეცხავისგან მიღებულ თეთრეულს, თვალყური ეჭირა, რომ არ მოჰკლებოდა სამართებლის პირი და თამბაქო, აგრეთვე მარილიანი ნუში, რომლის დიდი მოყვარული იყო. სებასტიანს მასთან ერთად რესტორანში სადილობა, იქიდან კი რომელიმე პიესის სანახავად წასვლა უყვარდა. სპექტაკლის შემდეგ კვნესოდა, აღშფოთებას ვერ მალავდა, თუმცა ათასგვარი უხამსობის დანვრილებით გარჩევა მას პათოლოგიურ სიამოვნებას ანიჭებდა. სიხარბის ან მიზანმიმართული ავკაცობის ხილვისას ნესტოებს ბერავდა, როდესაც საცოდავ ბანალობას გადააწყდებოდა, ზიზლისგან უკანა კბილებს აღრჭიალებდა. მის პრატიმა ერთი შემთხვევა გაიხსენა. მამამისმა, რომელსაც კომერციული ინტერესი ჰქონდა ერთ-ერთ კინემატოგრაფიულ ფირმაში, სებასტიანი შესანიშნავი და ძვირად ღირებული ფილმის კერძო სეანსზე დაპატიჟა. მამაკაცის მთავარ როლს ბრწყინვალედ ასრულებდა ძვირფასი დოლბანდით თავდაბურული ლამაზი ახალგაზრდა. ფილმს მძაფრი, დრამატული სიუჟეტი ჰქონდა. წარმოიდგინეთ მისტერ პრატის გაოცება და უკმაყოფილება, როდესაც ყველაზე დაძაბულ მომენტში სებასტიანს ხარხარი აუტყდა. კლერი სახელოზე ექაჩებოდა და უშედეგოდ ცდილობდა მის შეჩერებას, თუმცა თვითონაც ეღიმებოდა. როგორც ჩანს, ერთმანეთთან საოცრად კარგად გრძნობდნენ თავს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს სითბო, სინაზე და სილამაზე, ძვირფასეულობის სახით, სადმე მაინც არ შემოინახა მოკვდავთა ცხოვრების რომელიმე უკვდავმა მოწმემ. მათ, ალბათ, თვალი მოჰკრეს, როდესაც ქიუგარდენსში ან რიჩმონდ-პარკში სეირნობდნენ (იქ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ეს სახელწოდებები სასიამოვნოდ ელამუნება ყურს), ან ზაფხულში, ქალაქგარეთ გასვლისას, ერთ-ერთ კოხტა ტრაქტირში ლორსა და ომლეტს მი-

¹ ასიენდა (ესპ. hacienda — მამული, ფერმა) — დიდი მამული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ირთმევდნენ, ან რამეს კითხულობდნენ ფართო დივანზე სე-
ბასტიანის კაბინეტში, სადაც მხიარულად გიზგიზებდა პატა-
რა ბუხარი, ინგლისური ქრისტეშობა კი უკვე ავსებდა ჰაერს
ლავანდისა და ტყავის ერთმანეთში შეზავებული სურნელით.
იმის მოსმენაც შეიძლებოდა, როგორ უყვებოდა სებასტიანი
კლერს იმ ყოველივე არაჩვეულებრივის შესახებ, რომელთა
აღწერაც თავის მომდევნო ნიგნში, სახელწოდებით „წარმა-
ტება“, სცადა.

ერთხელ, 1926 წლის ზაფხულში, სებასტიანი ისე გამო-
ფიტა და დაღალა რომანის რომელიღაც განსაკუთრებულად
გაჯიუტებულ თავთან ბრძოლამ, რომ ერთი თვით საზღვარ-
გარეთ, კერძოდ, გერმანიაში, დასასვენებლად წასვლა გა-
დანწყვიტა. კლერს ლონდონში საქმე აღმოაჩნდა და, როგორც
შეთანხმდნენ, ქალი ორი კვირის შემდეგ ჩავიდა სებასტიანის
მიერ შერჩეულ საზღვაო კურორტზე. სასტუმროში მისულს
მოულოდნელად უთხრეს, რომ სებასტიანი მათთვის უცნობი
მიმართულებით გამგზავრებულიყო, მაგრამ ერთ-ორ დღეში
დაბრუნდებოდა. ამან კლერი ცოტათი გააოცა, თუმცა, რო-
გორც მოგვიანებით უთხრა მის პრატს, არც ძალიან შეშფოთე-
ბულა და არც განაწყენებულა. წარმოიდგინეთ იგი მოლოზე
უსაქმოდ მოხეტიალე, გამხდარი, მაღალი, ცისფერ მაკინტოშ-
ში გამონყობილი (მოლრუბლული, არასასიამოვნო დღე იდგა);
უკაცრიელი ქვიშის პლაჟი, თუ რამდენიმე ბიჭს არ ჩავთვლით,
ცუდი ამინდი რომ არ აშინებდათ; ოდნავი სიო სამფეროვან
აღმებს გულის გამანვრილებლად აბარტყუნებდა; ფოლა-
დისფერი ზღვა, მოქცევა, აქა-იქ წამოჩრილი ტალღა. ნაპირს
აქეთ ნიფლის ტყე მოჩანდა, დიდი, ჩაბნელებული, უქვეტყეო
— მხოლოდ ხვართქლა თუ ფარავდა ზოგან ყავისფერ, ტალ-
ლოვან მინას; აშოლტილ ხეებს შორის უცნაური, მოყავისფრო
სიჩუმე იდგა: კლერს ეჩვენებოდა, რომ უსიცოცხლო ფოთლე-
ბით დაფარული რომელიმე ორმოდან საცაა წითელჩაჩიანი,
თვალეზგაბრწყინებული გერმანული ჯუჯა მომაშტერდებაო.
იმ საღამოს ქალი ადრე დაწვა, მომდევნო დილით კი მზემ გა-
მოანათა. კლერმა ჩემოდნიდან საბანაო კოსტიუმი ამოიღო

და სასიამოვნო, თუმცა ოდნავ უხალისო დღე გაატარა თეთრ, რბილ სილაში. ერთი დღის შემდეგ კვლავ განვიმდა და შუადღემდე ნომერში დარჩა — დონს¹ კითხულობდა, რომელიც შემდგომში მის მეხსიერებაში სამუდამოდ შეერწყა ამ ნესტიანი, ბურუსიანი დღის მქრქალ, ნაცრისფერ ნათებასა და ბავშვის მტირალა ხმას, მაინცდამაინც დერეფანში რომ სურდა თამაში. ბოლოს, სებასტიანიც დაბრუნდა. ქალის დანახვა, ცხადია, გაუხარდა, მაგრამ არცთუ ბუნებრივად იქცეოდა. გაღიზიანებული და შეშფოთებული ჩანდა. როდესაც კლერი თვალებში უყურებდა, სახეს გვერდზე მიატრიალებდა ხოლმე. თქვა, რომ ერთ კაცს შეხვდა, რომელსაც ჯერ კიდევ რუსეთში იცნობდა, რომ ავტომობილით გაისეირნეს (ერთი ადგილი დაასახელა სანაპიროზე, რამდენიმე მილის დაშორებით).

— მაგრამ რაღაც მაინც მოხდა, ძვირფასო, არა? — ჰკითხა ქალმა და უკმაყოფილო სახეში შეხედა.

— არაფერი მომხდარა, — შესძახა გაღიზიანებულმა სებასტიანმა, — არ შემიძლია გულხელდაკრეფილი ჯდომა, უნდა ვიმუშაო, — დაამატა მან და პირი მიაბრუნა.

— არა მგონია, სიმართლეს მეუბნებოდე, — თქვა კლერმა. კაცმა მხრები აიჩეჩა და ხელისგული შლაპის კიდეს გაუსვა, რომელიც ხელში ეჭირა.

— ვისაუზმოთ, შემდეგ კი ლონდონში გავემგზავროთ.

გაირკვა, რომ მათთვის ხელსაყრელი მატარებელი საღამომდე არ გადიოდა. გამოიძარა და სასეირნოდ გაემართნენ. სებასტიანმა ერთი-ორჯერ გამხიარულება სცადა, როგორც ადრე აკეთებდა, თუმცა მალე დაიღალა და ორივენი გაჩუმდნენ. წიფლნარს მიაღწიეს. იქ კვლავაც იდუმალეობა და დაძაბულობა იგრძნობოდა. მართალია, კლერს არ გაუმხელია, რომ აქ ადრეც იყო ნამყოფი, მაგრამ სებასტიანმა თქვა:

— როგორი უცნაური, წყნარი ადგილია. ხომ არ გეშინია, რომ ამ მკვდარი ფოთლებიდან და აბრეშუმადან რომელიმე ჭინკამ არ ამოყოს თავი?

¹ დონ ჯონი (1572-1631 წწ.) — ინგლისელი პოეტი. ე. წ. მეტაფიზიკური სკოლის წარმომადგენელი.

— მომისმინე, სებასტიან, — თქვა მოულოდნელად კლერმა და კაცს მხრებზე ხელები დააწყობ, — მინდა, ვიცოდე, რა ხდება. იქნებ აღარ გიყვარვარ?

— რას ამბობ, ჩემო სიყვარულო, რა სისულელეა, — სრულიად გულწრფელად მიუგო სებასტიანმა, — მაგრამ... თუ ასე დაჟინებით მთხოვ, კი ბატონო... როგორ გითხრა... ტყუილის თქმა არ მეხერხება. იქნებ უკეთესიც იყოს, თუ გაიგებ. საქმე ისაა, რომ მკერდსა და ხელში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ექიმთან გავემგზავრე ბერლინში. მან კი ლოგინში დამანვინა. რამე სერიოზული თუა? ვიმედოვნებ, არა. ჩვენ კორონარულ არტერიებზე, სისხლის მიწოდებასა და აორტის სინუსის ანევრიზმაზე ვისაუბრეთ. მცოდნე ბებრუცუნა აღმოჩნდა. ლონდონში სხვასაც გავესინჯები, რათა კიდევ ერთი დასკვნა მქონდეს, თუმცა ახლა თავი ხარივით ჯანმრთელი მგონია...

ვფიქრობ, სებასტიანმა უკვე იცოდა, რა სახის გულის დაავადება სჭირდა. თავის დროზე დედამისი ისეთივე სიმპტომებით გარდაიცვალა. გულის ანგინას ძალზე იშვიათი ნაირსახეობით იტანჯებოდა, რომელსაც ზოგიერთი ექიმი „ლემანის ავადმყოფობას“ უწოდებს. მაგრამ პირველი შეტევის შემდეგ მას, სავარაუდოდ, სულ ცოტა, ერთწლიანი პაუზა მაინც ჰქონდა, თუმცა ზოგჯერ მარცხენა ხელი უცნაურად, მტკივნეულად ჩხვლეტდა, თითქოს შიგნიდან ექავებოდა.

იგი კვლავ ჩაუჯდა სამუშაოს და მთელი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული არ შეუსვენია. „ნარმატების“ დაწერამის პირველ რომანზე მომქანცველი და გაცილებით ხანგრძლივი პროცესი გამოდგა, თუმცა ორივე რომანი დაახლოებით ერთი და იმავე მოცულობისაა, ილბლიანი შემთხვევითობის წყალობით, მკაფიოდ მიდგას თვალწინ ის დღე, როდესაც „ნარმატება“ დასრულდა. ამას იმ ადამიანს უნდა ვუმადლოდე, რომელსაც მოგვიანებით შევხვდი. და საერთოდ, ის, რაც ამ თავში წერია, მის პრაქტის ნაამბობის იმ ინფორმაციასთან შედარებით გაჩნდა, სებასტიანის მეორე მეგობარმა რომ მომანოდა. თუმცა თხრობის საჭირო კალაპოტით წარმართვაში ყველაზე მეტად ის წუთიერი შთაბეჭდილება დამეხმარა, რო-

მელიც ჩემზე ლონდონის ქუჩაში მძიმედ მიმავალმა კლერ ბი-
შოფმა მოახდინა.

კარი იღება. სებასტიან ნაითი საკუთარი კაბინეტის იატაკ-
ზე გულაღმა გაშხლართულა. კლერი მაგიდიდან გადანერილ
ფურცლებს იღებს და ერთმანეთზე აკურატულად აწყობს.
შემოსული ზღურბლზე ჩერდება.

— არა, ლესლი, — ამბობს იატაკზე განოლილი სებასტია-
ნი, — არ მოვმკვდარვარ. სამყაროს შენება დავასრულე. შაბა-
თობით კი ასე ვისვენებ.

„პრიზმის წახნაგი“ სათანადოდ მხოლოდ მას შემდეგ დააფასეს, რაც სებასტიანის პირველმა ნამდვილმა წარმატებამ სხვა (ბრონსონის) გამომცემლობაში მისი ხელმეორედ გამოცემა განაპირობა, თუმცა მაშინაც არ იყიდებოდა იმ რაოდენობით, როგორც „წარმატება“ ან „დაკარგული ნივთები“. სადებიუტო რომანის კვალობაზე ეს წიგნი მხატვრული ნებისყოფისა და ლიტერატურული თავდაჭერილობის დიდი ძალით გამოირჩევა. სებასტიან ნაითი ხშირად იყენებდა პაროდიას, როგორც ერთგვარ ტრამპლინს სერიოზული გრძნობების ყველაზე ამაღლებულ სფეროებში გადასახტომად. ჯ. ლ. კოულმენმა მას უწოდა „ჯამბაზი, რომელსაც ფრთები ეზრდება, ანგელოზი, რომელიც, მტრედი-ტრიალას მსგავსად, ფრენისას ყირამალა კოტრიალებს“, და ეს მეტაფორა სწორედ რომ შესაფერისი მგონია. ძველი ცნობილი ლიტერატურული ხერხების პაროდიაზე მარჯვედ აგებული „პრიზმის წახნაგი“ ცისკენ მიქრის. სებასტიანი ერთგვარი, ლამის ფანატიკური სიძულვილით, გამუდმებით ეძებდა ყველაფერს, რაც ოდესღაც ახალი და კაშკაშა, მაგრამ ახლა საოცრად გაცვეთილი იყო: მიცვალებულებს — ცოცხლებს შორის, ყველაფერს, რასაც თავი ცოცხლად წარმოეჩინა, ოღონდ სინამდვილეში მათ, შეღებილებსა და გადაღებილებს, ცოცხლის არაფერი ეცხოთ, თუმცა კვლავაც ცოცხლები ეგონათ ზარმაცებს, განცხრომაში მყოფთ, და ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ატყუებდნენ. ლპობაშეპარული იდეა, თავისთავად, შესაძლოა, უწყინარიც

კი იყოს, და მავანი იტყვის: დიდი ამბავი, რომელიმე, სრულიად გაცვეთილ, მოძველებულ თემას ან მისი გადმოცემის მანერას კვლავ და კვლავ თუ მიუბრუნდებიან, რაკი იგი ადამიანებს ართობს და სიამოვნებას ჰგვრისო. მაგრამ სებასტიან ნაითი ყოველ უმნიშვნელო წვრილმანს, მაგალითად, დეტექტიური რომანისთვის დამახასიათებელ გავრცელებულ ხერხს, გასივებულ და აყროლებულ გვამად მიიჩნევდა. მას სულაც არ იზიდავდა იაფფასიანი, მომხიბლავი მოთხრობები, ვინაიდან ჩვეულებრივი მორალი არ აინტერესებდა. მას სწორედ რომ მეორეხარისხოვანი საგნები აბეზრებდა განუწყვეტლივ თავს, და არა მესამე ან ოცდამესამეხარისხოვანი, რადგან ზუსტად აქ, „მოსახერხებლადკითხვად“ დონეზე იწყებოდა გაყალბება, ეს კი, მხატვრული თვალსაზრისით, უზნეობა იყო.

„პრიზმის წახნაგი“ არა მხოლოდ ძალზე სასაცილო პაროდიაა დეტექტიურ რომანებში გამოყენებული ხერხებისა, არამედ სიცელქით აღსავსე იმიტაციაც მრავალი სხვა საგნისა, მაგალითად, ცნობილი ლიტერატურული ჩვეულებისა, — რომელიც სებასტიან ნაითმა ყოველგვარი შეფარული სიდამპლის აღმოჩენის მისთვის დამახასიათებელი წარმოუდგენელი ალლოთი შეამჩნია თანამედროვე რომანში, — კერძოდ, გავრცელებული მეთოდისა, თავი მოუყარონ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებს განსაზღვრულ სივრცეში (სასტუმროში, კუნძულზე, ქუჩაში). გარდა ამისა, იგი გზადაგზა დასცინის წერის სხვადასხვა სტილს, აგრეთვე პირდაპირი ნათქვამის შეერთების სირთულეს თხრობითსა და აღწერილობითთან, რომელსაც მწერლის კალამი ელეგანტურად გადაწყვეტს ხოლმე „თქვა მან“ ფრაზის იმდენი ვარიანტით, რამდენიც ლექსიკონში მოიძებნება „აიჩემასა“ და „ჯობდას“ შორის. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს „გაუგებარი თავშესაქცევი ადგილები“ ავტორს მხოლოდ ტრამპლინის მაგივრობას უწევს.

პანსიონში თორმეტი კაცი ცხოვრობს. სახლი დაწვრილებითაა აღწერილი, ოღონდ, „კუნძულის“ მოტივის გასაძლიერ-

რებლად, მთელი დანარჩენი ქალაქი უკანა პლანზე არსებული ბუნებრივი ნისლისა თუ კვამლის საფრის, წინაზე კი სცენის რეკვიზიტსა და უძრავი ქონებით მოვაჭრის კომმარულ სიზმარს შორის რაღაც საშუალოთია წარმოდგენილი. თვითონ ავტორის ირიბი მითითებით, ეს მეთოდი, ერთგვარად, კინემატოგრაფიულ ჩვეულებას ჰგავს, რომელიც გვიჩვენებს, როგორ აშკარად თვალში საცემად გამოირჩევა სტუდენტური ასაკის მთავარი გმირი ქალი თავისი უბრალო, რეალური თანატოლების გარემოცვაში. ერთ-ერთი მდგმური, სურათებით მოვაჭრე ვინმე გ. ეიბსონი, საკუთარ ოთახში მოკლული იპოვეს. ადგილობრივი პოლიციელი, რომლის შესახებაც, მისი ჩექმების გარდა, არაფერია ნათქვამი, ტელეფონით უკავშირდება ლონდონელ მაძებარს და დაუყოვნებლივ მოსვლას სთხოვს. სხვადასხვა არახელსაყრელი თავგადასავლის შედეგად (მისი ავტომობილი მოხუც ქალს ეჯახება, შემდეგ იგი, შეცდომით, სხვა მატარებელში ჯდება), მაძებარი დიდი ხნით ყოვნდება. ამასობაში კი, პანსიონის მკვიდრთ და ვილაც შემთხვევით გამვლელს, მოხუც ნოუზბეგს, რომელიც წინკარში სწორედ მაშინ შედის, როდესაც დანაშაულის შესახებ შეიტყობენ, საფუძვლიან დაკითხვას უწყობენ. თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად ეჭვმიტანილია, ამ უკანასკნელის გამოკლებით — ეს გახლავთ ჩუმი, ხანდაზმული, პირის გარშემო სიყვითლეშეპარული ჯენტლმენი, თავისი უწყინარი გატაცებით — სათუთუნეების შეგროვებით. განსაკუთრებით საეჭვოდ ხელოვნებათმცოდნე სტუდენტს მიიჩნევენ, რომლის სანოლქვეშაც ექვს სისხლიან ცხვირსახოცს აღმოაჩინენ. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ სიუჟეტის გამარტივების ან „შემჭიდროების“ მიზნით, არც მოახლეა ნახსენები და არც სასტუმროს მომსახურე პერსონალი, რაც არავის ადარდებს. შემდეგ, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, მოთხრობაში აქეთ-იქით გადაადგილება იწყება (არ დაგავინყდეთ, რომ მაძებარი ჯერაც გზაშია. გ. ეიბსონის გაშეშებული გვამი კი კვლავაც იატაკზე დაგებულ ნოხზე წევს. თანდათანობით ირკვევა, რომ ყველა პენსიონერი ერთმანეთს რაღაცით მაინც

უკავშირდება. ხანში შესული ქალბატონი მესამე ოთახიდან მეთერთმეტეში მცხოვრები მევიოლინის დედა ყოფილა. რომანისტი, რომელიც საუკეთესო ნომერში შესახლებულა, სინამდვილეში მესამე სართულზე, ყველაზე ცუდ ოთახში მყოფი ახალგაზრდა ქალის ქმარი აღმოჩნდა, საეჭვო ხელოვნებათმცოდნე კი — ამ ქალის ძმა. მედიდური, მთვარის მსგავსი ჯენტლმენი, ყველასთან თავაზიანობას რომ იჩენს, ღვარძლიანი მოხუცი პოლკოვნიკის მსახურია. გარდასახვა თანდათანობით გრძელდება და ირკვევა, რომ ხელოვნებათმცოდნე სტუდენტი მეხუთე ნომერში მცხოვრებ მსუქან ქალზეა დანიშნული, ეს უკანასკნელი კი ხანში შესული ქალის შვილია პირველი ქორწინებიდან. როდესაც ვიგებთ, რომ მოყვარული ჩოგბურთელი-ჩემპიონი მეექვსე ოთახიდან მევიოლინის ძმა ყოფილა, რომანისტი — მათი ბიძა, მესამეში მცხოვრები ხანში შესული ქალი კი — ღვარძლიანი მოხუცი პოლკოვნიკის ცოლი, კარებზე მიკრულ ნომრებს შეუმჩნევლად ხსნიან და პანსიონის თემა უმტკივნეულოდ და მდოვრედ იცვლება ქალაქგარეთ მდებარე სახლის თემით, მისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებით. დროის კონცეფცია, თავდაპირველად კომიკურად რომ გამოიყურებოდა (მაძებარს გზა აებნევა... ღამით სადღაც მოხვდება...), ახლა თითქოს მოხერხებულად მოკალათდა და დაიძინა. მოქმედ პირთა ცხოვრება ჭეშმარიტად ადამიანური აზრით განათდა, გ. ეიბსონის დალუქული კარი კი მივიწყებული საკუჭნაოს კარად იქცა. ახალი ინტრიგა, ახალი დრამა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მოთხრობის დასაწყისთან, სიზმრების სამყაროში რომ გადასულა და არსებობისკენ, სინათლისკენ მიისწრაფვის, მაგრამ როგორც კი მკითხველი კომფორტულ და სასიამოვნო გარემოში იგრძნობს თავს, როგორც კი ავტორის პროზის მომხიბვლელობა და ძალა თითქოს მის ამაღლებულ, აზრით აღსავსე განზრახვაზე მიგვანიშნებს, სწორედ მაშინ გაისმის კარზე გროტესკული კაკუნი და მაძებარი შემოდის. და კვლავ პაროდის წაობში ვეფლობით. ეს მელასავით ეშმაკი დეტექტივი ასო „კ“-ს ვერ გამოთქვამს, რაც ისე უნდა გამოიყურე-

ბოდეს, ვითომ თავს იკატუნებს, თითქოს თავს იკატუნებს — ეს შერლოკ ჰოლმისის მოდურობის პაროდია კი არა, მასზე თანამედროვე რეაქციის პაროდიაა. პანსიონის ნომრებში მცხოვრებთ განმეორებით დაკითხვას უწყობენ. ახალი სამხილები ჩნდება. თვინიერი მოხუცი ნოუზბეგი ყველაფერში ცხვირს ყოფს, ძალიან დაბნეულია, თუმცა უწყინარი. იგი განმარტავს, რომ აქ იმის გასაგებად მოვიდა, ჰქონდათ თუ არა თავისუფალი ნომრები. მალე ძველებურ ტრიუკსაც გამოიყენებენ, რომლის მიხედვითაც, ერთი შეხედვით ყველაზე უდანაშაულო პერსონაჟი მთავარი ბოროტმოქმედი აღმოჩნდება. დეტექტივი მოულოდნელად სათუთუნეებით ინტერესდება. „კარგი, — ამბობს ის, — ჰარტის¹ შესახებ თუ გსმენიათ?“ ამ დროს აჭარხალებული პოლიციელი შემორბის და უპატაკებს, რომ გვამი გაქრა. „როგორ თუ გაქრა?“ — ეკითხება დეტექტივი. „გაქრა, სერ, ოთახი ცარიელია“. აბსურდამდე მისული გაურკვევლობის ნამები დგება. „ვფიქრობ, ყველაფრის ახსნა შემიძლია“, — მშვიდად ამბობს მოხუცი ნოუზბეგი. იგი ნელა, ფრთხილად იხსნის წვერს, ჭალარა პარიკს, მუქ სათვალეს და ახლა უკვე გ. ეიბსონის სახე მოჩანს. „აღბათ, ხვდებით, — განაგრძობს იგი თვითგამკიცხავი ღიმილით, — რომ მიცვალებულად ყოფნა ვერაფერი სიამოვნებაა“.

ძალისხმევა არ დამიკლია იმის საჩვენებლად, თუ როგორაა აწყობილი წიგნი, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. მისი მომხიბვლელობის, იუმორისა და პათოსის შეფასება მხოლოდ უშუალო კითხვისას შეიძლება, მაგრამ მათ გასანათლებლად, ვისაც მუდმივმა მეტამორფოზმა თავგზა აუბნია, და მათთვისაც, ვისაც ზიზლი მოჰგვარა მისი უკიდურესი სიახლის შეუსაბამობამ „კარგი წიგნის“ განსაზღვრებასთან, აღვნიშნავ, რომ „პრიზმის ნახნავს“ დიდი სიამოვნების მოგვრა შეუძლია იმის გათვალისწინებით, რომ მისი გმირები, ასე ვთქვათ, „ლიტერატურულ ხერხებს“ განასახიერებენ. ეს

¹ ჰარტი — შესაძლოა, იგულისხმება ვალამენდ ჰარტი, XVIII საუკუნის პოლანდიელი იუველიერი, რომელიც ვერცხლის სათუთუნეების დამზადებით იყო ცნობილი.

იგივეა, მხატვარმა რომ თქვას: „ახლა უშუალოდ პეიზაჟს კი არ განახვებთ, არამედ რომელიმე პეიზაჟის გამოსახვის სხვადასხვა ხერხის თვალწარმტაც აღწერას, იმის იმედით, რომ მათი ჰარმონიული შერწყმა სწორედ ისეთ პეიზაჟს შექმნის, როგორიც მინდოდა, რომ დაგენახათ“. ამ პირველ წიგნში სებასტიანმა თავისი ექსპერიმენტი ლოგიკურად დამაკმაყოფილებელ დასასრულამდე მიიყვანა. მან წერის ესა თუ ის ლიტერატურული სტილი ad absurdum¹-ით გამოსცადა, შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით უკუაგდო და საკუთარი სისტემა შექმნა, რომელიც სრულად გამოიყენა თავის მომდევნო წიგნში, სახელწოდებით „წარმატება“. მასში თითქოს ერთი სიბრტყიდან მეორეზე, საფეხურით მაღლა გადადის, ვინაიდან თუ პირველ რომანში საქმე ლიტერატურული კომპოზიციის ხერხებს შეეხება, მეორეში საუბარი, ძირითადად, ადამიანის ბედ-იღბლის მეთოდებზეა. სებასტიანმა მეცნიერული სიზუსტით მოახდინა უამრავი მონაცემის კლასიფიცირება, გამოცდა და უკუგდება (რომელთა დაგროვება მხოლოდ იმ ფუნქციონირებად დაშვების შედეგადაა შესაძლებელი, რომ ავტორს თავისი პერსონაჟების შესახებ ყველაფრის გაგება ძალუძს, რისი ცოდნაც სჭირდება, და ეს უნარი მხოლოდ მისი შერჩევის ტიპითა და მიზნებითაა შემოფარგლული, იმ გაგებით, რომ არჩევა უაზრო წვრილმანების შემთხვევითი გროვა კი არ უნდა იყოს, არამედ წინასწარგანზრახული და სისტემატური შესწავლის შედეგი), და „წარმატების“ სამასივე გვერდი ერთ-ერთ ურთულეს გამოკვლევას მიუძღვნა, რომელიც კი ოდესმე რომელიმე მწერალს უცდია. ჩვენ ვიგებთ, რომ ვიღაც კომივოიაჟორი, პერსივალ² ქ., თავისი ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდსა და განსაზღვრულ ვითარებაში ერთ ქალიშვილს, მეფოკუსის ასისტენტს ხვდება, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი იქნება. ეს შემთხვევითი შეხვედრაა, ან, უბრალოდ, ასე ჩანს. ავტობუსის მძღოლების გაფიცვისას

¹ (ლათ.) აბსურდამდე მიყვანა, ანუ აპოკოგია.

² პერსივალი — ამ სახელს მეფე ართურის დროში გადაყვავართ. სერ პერსივალი ერთ-ერთი რაინდია სამთავან, რომელმაც წმინდა გრაალს მიაგნო.

ისინი ერთად აღმოჩნდებიან ვილაც თავაზიანი უცნობის ავტომობილში. სწორედ ეს არის ფორმულა: თუ ამას ისე შევხედავთ, როგორც სინამდვილეში მომხდარ ამბავს, საინტერესო თითქმის არაფერია, მაგრამ თუ მას განსაკუთრებული კუთხით მივაპყრობთ მზერას, შესაძლოა, ჩვენმა გონებამ იშვიათი, ამაღელვებელი ტკბობა განიცადოს. ავტორის ამოცანა იმის დადგენაა, თუ როგორ იქნა მიღებული ეს ფორმულა; და თავისი ოსტატობის მთელი ძალა თუ ჯადოსნობა იმის გამოკვლევისკენ უნდა მიმართოს, თუ როგორ ეხება ერთმანეთს ცხოვრების ორი ხაზი — მთელი წიგნი სხვა არაფერია, თუ არა მიზეზშედეგობრიობის საუცხოო, მაგრამ სარისკო თამაში ან, თუ გნებავთ, ალელატორული¹ მოვლენების ეტიოლოგიური საიდუმლოს ზონდირების მცდელობა. ამისთვის, თითქოს, უამრავი შესაძლებლობა არსებობს. სხვადასხვა, ერთი შეხედვით აშკარა გზა, ცვალებადი წარმატებით გამოიცადა. ავტორმა ცოტა უკანაც დაიხია და შეიტყო, რატომ დანიშნეს გაფიცვა სწორედ ამ დღეს: როგორც გაირკვა, ამის ფარული მიზეზი ციფრ ცხრისადმი ერთ-ერთი პოლიტიკოსის დიდი ხნის წინანდელი სიყვარული ყოფილა. ეს ჩვენ არაფერს გვაძლევს, ამიტომაც ამ ბილიკს თავს ვანებებთ (მანამდე ცხარე პარტიულ დებატებზე დასწრების შესაძლებლობა გვეძლევა). მეორე მცდარი კვალი უცნობის ავტომობილი აღმოჩნდა. ვცდილობთ, დავადგინოთ, ვინ არის იგი და რატომ მოხვდა საჭირო დროს საჭირო ქუჩაზე, მაგრამ როდესაც ირკვევა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში იგი თავის ოფისში ყოველ სამუშაო დღეს ამ გზით ერთსა და იმავე დროს დადიოდა, კვლავ ხელცარიელი ვრჩებით. ამგვარად, იძულებული ვართ, ვალიართ, რომ ორ ადამიანზე ბედის მოქმედების ნიმუშად შეხვედრის გარე გარემოებები ვერ გამოგვადგება, რომ ისინი მხოლოდ მოცემულობაა, ფიქსირებული წერტილი, რომელსაც მიზეზშედეგობრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამიტომაც სუფთა სინდისით გადავდივართ სხვა საკითხზე: რატომ მა-

¹ ალელატორული — საალბათო, შემთხვევითობაზე/ალაღბედზე დამოკიდებული.

ინცდამაინც ქ. და ქალიშვილი, სახელად ენი, რატომ მაინც-
დამაინც ეს ორნი მოვიდნენ და წამით გვერდიგვერდ დადგ-
ნენ ტროტუარის კიდეზე სწორედ ამ ადგილას. ავტორი უკან
ბრუნდება და ჯერ ქალიშვილის ბედის ხაზს აანალიზებს,
შემდეგ მამაკაცისას, ბოლოს კი მათ მონაცემებს ერთმანეთს
ადარებს და ორივე ხაზს კვლავ რიგრიგობით იკვლევს.

აქ ჩვენთვის მრავალი საინტერესო რამ იჩენს თავს. ორი
ხაზი, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ერთ წერ-
ტილში ხვდებიან, სინამდვილეში სამკუთხედის სწორი გვერ-
დები კი არ არიან, განუხრელად რომ მიიწევენ უცნობი ფუ-
ძისკენ, არამედ ტალღისებურნი, და ერთმანეთს ხან ძალიან
შორდებიან, ხან, პირიქით, ეხებიან. სხვა სიტყვებით, ეს ორნი,
ისე, რომ არაფერი იცოდნენ, ორჯერ მაინც კინალამ შეხვდ-
ნენ ერთმანეთს. ბედი თითქოს ყოველთვის საგულდაგულოდ
ამზადებდა ამ შეხვედრას — ხან ერთ შესაძლებლობას ჩაას-
წორებდა, ხან მეორეს; გასასვლელებს ამოწმებდა და მისათი-
თებელ ბოძებზე საღებავს აახლებდა; შემპარავად უჭერდა
ხელს მარმაშის ტომარას, სადაც პეპლები ფრთხილებდნენ;
უმცირეს დეტალსაც ქრონომეტრით ითვლიდა და ბედს წა-
მითაც არ ენდობოდა. ამ საიდუმლო მზადების გამოაშკარა-
ვება ყურადღებას იპყრობს, ავტორი კი წამით არ ადუნებს
სიფხიზლეს, განუწყვეტლივ ითვალისწინებს ადგილისა და
დროის გარემოების ყველა ნიუანსს, მაგრამ ყოველ ჯერზე
რალაც უმნიშვნელო ცდომილება (უმცირესი ხარვეზი, გაუთ-
ვალისწინებელი შესაძლებლობების დაუბეჭედი ნასვრეტი,
თავისუფალი ნების ახირება) აუცილებლობის თაყვანისმ-
ცემელს სიამოვნებას უფუჭებს და ორი სიცოცხლე კვლავაც
მომატებული სიჩქარით შორდება ერთმანეთს. მაგალითად,
ფუტკარი ბოლო წამს ნესტრავს ქ.-ს ტუჩზე, შესაძლებლო-
ბას არ აძლევს, იმ საღამოს წვეულებას დაესწროს, რომელ-
ზეც ბედმა ენის მიყვანა შეძლო, რისთვისაც წარმოუდგენელი
დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა: ხასიათის ცვლილებე-
ბის გამო, ქალიშვილი ხელიდან უშვებს მისთვის რუდუნებით
მოპოვებულ ადგილს დაკარგული ნივთების ბიუროში, სადაც

ქ.-ს ძმა მუშაობს. მაგრამ ბედი ძალზე ჯიუტია და დანებებას არ აპირებს. და, ბოლოს და ბოლოს, იგი წარმატებას აღწევს. ეს ისეთი დახვეწილი მანიპულაციების წყალობით ხდება, რომ ორივენი ერთმანეთის გვერდით სრულიად უხმაუროდ აღმოჩნდებიან.

ამ ბრძნული და მომხიბლავი რომანის სხვა დეტალებს აღარ გაგაცნობთ. ეს სებასტიან ნაითის ყველაზე ცნობილი წიგნია, თუმცა მომდევნო სამი მას მრავალი კუთხით აღემატება. როგორც „პრიზმის ნახნაგის“ შემთხვევაში, ყველაზე მეტად წიგნის მექანიზმის ჩვენებას ვცდილობდი, რამაც, შესაძლოა, გააუფერულა კიდევ ის სილამაზე, კომპოზიციური თავისებურებებისგან დამოუკიდებლად რომ არსებობს. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ არის მასში ერთი ადგილი, რომელიც ისე უცნაურად უკავშირდება სებასტიანის შინაგან ცხოვრებას ბოლო თავებზე მუშაობის პერიოდში, რომ ნამდვილად ღირს აქ მისი მოყვანა — იმ დაკვირვების საპირწონედ, უფრო მხატვრის ჭკუის დამსახურება რომ არის, ვიდრე ხელოვნების ემოციური მხარისა.

„უილიამმა (ენის პირველმა, საეჭვოდ ქალურმა საქმრომ, რომელმაც შემდგომში მიატოვა) იგი, ჩვეულებისამებრ, სახლამდე მიაცილა და ოდნავ მიიხუტა ჩაბნელებულ პარმალზე. უეცრად ქალმა იგრძნო, რომ კაცს სახე დასველებოდა. ამ უკანასკნელმა ხელი აიფარა და ცხვირსახოცი მოძებნა. „წვიმა სამოთხეში, — თქვა მან, — ბედნიერების გუმბათი... დოყლაპია ვილი ტირის, როგორც ჩვილი“. შემდეგ ქალიშვილს ტუჩების კუთხეში აკოცა და სუსტი სტვენით ცხვირი მოიხოცა. „მოზრდილი მამაკაცები არ ტირიან, — თქვა ენიმ. „მე არა ვარ მოზრდილი, — მიუგო კაცმა ქსუტუნით, — აი, მთვარეც პატარა ბავშვივითაა, ეს სველი ქვაფენილიც და სიყვარულიც — თაფლისმჭამელი ბაღლი...“ „გაჩუმდი, გეთაყვა, — უთხრა ქალიშვილმა, — ხომ იცი, არ მიყვარს, როცა ასე გაგიტაცებს ხოლმე ლაპარაკი. ეს ისეთი უაზრობაა...“ „უაზრობა...“ — ამოიოხრა კაცმა და კვლავ აკოცა; ისე იდგნენ, როგორც ორ ბუნდოვან თავზე შემოდებული მუქი, გადღაბნილი მოხაზუ-

ლობის ქანდაკება. ამ დროს პოლიციელმა ჩაიარა, რომელსაც თასმით ღამე მიჰყავდა. იგი შეჩერდა და მას კუთხეში მდგარი ტუმბოს მსგავსი საფოსტო ყუთის დაყნოსვა აცალა. „მეც შენსავით ბედნიერი ვარ, — თქვა ქალიშვილმა, — მაგრამ არც ტირილი მინდა და არც აბდაუბდის ლაპარაკი“. „ნუთუ ვერ ხედავ, — ჩაიჩურჩულა კაცმა, — ნუთუ ვერ ხედავ, რომ ბედნიერება, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ განწირულებას დასცინის?“ „ღამე მშვიდობისა“, — უთხრა ენიმ. „ხვალ რვაზე!“ — მიაძახა კაცმა, კარს ხელი მსუბუქად მოუთათუნა და მალე უკვე ქუჩას მიუყვებოდა. „როგორი თბილი და საყვარელია, — ფიქრობდა ის, — მიყვარს, თუმცა ეს არაფერია, არაფერი, რადგან ჩვენ ვკვდებით. ვერ ავიტან წარსულში ამ ჩასრიალებას. ეს ბოლო კოცნაც მკვდარია, და „ქალი თეთრებშიც“ (ისინი იმ საღამოს კინოში იყვნენ) მკვდარია, ქუჩაში ჩავლილი პოლიციელიც, კარიც მკვდარივით გაშეშებულია. ეს უკანასკნელი აზრიც მიიცვალა. კოუტსი (ექიმი) მართალია — ძალზე პატარა გული მაქვს ჩემს აღნაგობასთან შედარებით... და ჩემი სავალალო მდგომარეობისთვისაც“.

გზას განაგრძობდა და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, მისი ჩრდილი კი ხან გაფარჩხულ თითებს ცერით იღებდა ცხვირის წვერზე, ხან ფარნის ბოძს შემოუბრუნდა და რევერანსს უკეთებდა. როგორც იქნა, თავის სევდის მომგვრელ ბინას მიაღწია და ნელა აუყვა ჩაბნელებულ კიბეს. სანამ დასაძინებლად დანებებოდა, მეფოკუსეს კარზე მიუკაკუნა. მოხუცი საცვლების ამარა იდგა და ორ შავ შარვალს ათვალიერებდა. „აბა, რას იტყვი?“ — ჰკითხა უილიამმა. „ჩემი გამოთქმა არ მოსწონთ, — მიუგო მან, — მაგრამ, ალბათ, მაინც მიმინვევენ“. უილიამი სანოლზე ჩამოჯდა და თქვა: „თმა უნდა შეიღებოთ“. „იმდენად გაჭაღარავებული არა ვარ, რამდენადაც გამელოტებული“, — ჩაილაპარაკა მეფოკუსემ. „ზოგჯერ თავში ერთი აზრი მომდის: სად არის ეს ყველაფერი, — განაცხადა უილიამმა, — აი, ყველაფერი, რასაც ვიცილებთ. სადღაც ხომ უნდა იყოს თმა, რომელიც დავკარგეთ, ფრჩხილები, რომლებიც დავიჭერით...“ „კვლავაც ნასვამი ხართ“, — ივარაუდა მე-

ფოკუსემ გულგრილი ხმით, შარვალი აკურატულად დაკეცა და უილიამი სანოლიდან ააგდო, რათა ტანსაცმელი მატრასის ქვეშ ამოედო. უილიამი სკამზე გადაჯდა, მეფოკუსემ კი თავისი საქმე განაგრძო. ნაკუთალებზე ბალანი გაჰფარჩხოდა, ტუჩები მოენრუპა, მოქნილ ხელებს მსუბუქად ამოძრავებდა. „უბრალოდ, ბედნიერი ვარ“, — თქვა უილიამმა. „სახეზე არ გეტყობათ“, — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო მოხუცმა. „შეიძლება, კურდღელი გიყიდოთ?“ — ჰკითხა უილიამმა. „ვიქირავებ, თუ დამჭირდება“, — უპასუხა მეფოკუსემ, თან „ვიქირავებ“ უსაშველოდ განელა. „სულელური საქმიანობაა, — თქვა უილიამმა, — შეშლილი ჯიბის ქურდი, ტაკიმასხარას ენის გასატეხი. სპილენძის ფული მანანნალის კარტუზში, ომლეტი თქვენს ცილინდრში. უცნაურობამდე მისული ერთი და იგივე“. „დაცინვას მიჩვეული ვართ“, — მიუგო მეფოკუსემ და მშვიდად ჩააქრო ლამპა, უილიამს კი ხელის ცეცებით მოუხდა ოთახიდან გასვლა. მის სანოლზე დაყრილ წიგნებს წასვლა არ სურდათ. იგი გახდას შეუდგა, თან მზით აბდღვრიალებული სამრეცხაოს აკრძალული ნეტარება წარმოიდგინა: ლურჯი წყალი, წითელი მაჯები. ხომ არ ეთხოვა ენისთვის, რომ მისთვის პერანგი გაერეცხა? სერიოზულად ხომ არ განანყენდა ამჯერად? ნეტავ თუ ფიქრობს, რომ ისინი ოდესმე დაქორწინდებიან? ფერმკრთალი ჭორფლი მბრწყინავ კანზე მისი უმანკო თვალების ქვეშ. მარჯვენა წინა კბილი ოდნავ წინ წამოსწევია. ნაზი და თბილი კისერი. კაცმა კვლავ იგრძნო, რომ თვალზე ცრემლი მოადგა. ნუთუ ისევე ჩაქრება, როგორც უკვე ჩაქრა მეი, ჯუდი, ჯულიეტა, ავგუსტა და მისი ყველა დანარჩენი სასიყვარულო ნაპერწკალი? გაიგონა, როგორ ჩაკეტა მეზობელ ოთახში კარი მოცეკვავე ქალმა, დაიბანა, დოქი ხმაურით დადგა და ფიქრიანად ჩაახველა. რალაც წკარუნით დაეცა. მეფოკუსემ ხვრინვა ამოუშვა“.

თავი მეთერთმეტე

სწრაფად ვუახლოვდები სებასტიანის ცხოვრების სამიჯნურო მხარის საბედისწერო მომენტს. თვალს ვავლებ უკვე დაწერილს იმის მკრთალ შუქზე, რაც უნდა მოხდეს, და ძლიერ შეცბუნებას ვგრძნობ. მოვახერხე კი სებასტიანის ცხოვრების ამ პერიოდამდე აღწერა ისე ზუსტად, როგორც მინდოდა, და როგორც, ვიმედოვნებ, მისი უკანასკნელი პერიოდის აღწერას მოვახერხებ? მომქანცველი ბრძოლა სხვის მეტყველებასთან და ლიტერატურული გამოცდილების სრული არქონა ზედმეტი ოპტიმიზმით არ განმანწყობს. დავუშვათ და, ცუდად გავუმკლავდი ჩემს ამოცანას წინა თავებში, გაგრძელება მაინც მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, და ამ განზრახვას იმის ფარული გაცნობიერებაც მიმყარებს, რომ სებასტიანის აჩრდილი თავმოუბეზრებლად ცდილობს ჩემს დახმარებას.

უფრო კონკრეტული დახმარება მივიღე. პოეტი პ. ჯ. შელდონი¹, რომელიც ხშირად ხვდებოდა კლერსა და სებასტიანს 1927-1930 წლებში, თავაზიანად დამთანხმდა, რომ ყველაფერს მომიყვებოდა, რაც იცოდა, როდესაც მას კლერთან ჩემი უცნაური, პაემნის მსგავსი შეხვედრის შემდეგ ვეწვიე. სწორედ მან შემატყობინა, თუ რა ბედი ეწია საბრალო კლერს. მას ხომ ჯანმრთელი ახალგაზრდა ქალის შეხედულება ჰქონდა, ყოველგვარი გადახრის გარეშე. როგორ მოხდა, რომ სისხლის დაკარგვით დაიღუპა ცარიელი აკვნის გვერდით? შელდონმა

¹ *ჯორჯ შელდონი პირველად მე-9 თავის ბოლოში ჩნდება (სხვა სახელით).*

მიამბო, როგორ უხაროდა ქალს, როდესაც „ნარმატებამ“ თავისი სათაური გაამართლა. ეს ხომ ნამდვილი ნარმატება იყო. შეუძლებელია იმის ბოლომდე გაგება, რატომ ხდება, რომ ერთი შესანიშნავი წიგნის ხვედრი მარცხია, მეორე ასეთივე კი ღირსეულად ფასდება? როგორც პირველი რომანის შემთხვევაში. სებასტიანს თითი თითზე არ დაუკარებია, კრინტი არსად დაუძრავს იმისთვის, რომ „ნარმატების“ შესახებ ყველას გასაგონად გამოეცხადებინათ და მკითხველი მას კეთილგანწყობით შეხვედროდა. როდესაც გაზეთებიდან ამონაჭრების დაგზავნის ბიურომ იგი საქებარი ნიმუშებით აავსო, უარი თქვა ამ მომსახურებაზე, ასევე კეთილმოსურნე კრიტიკოსებისთვის მადლობის გადახდაზე. მადლობის გადახდა იმ ადამიანისთვის, რომელიც წიგნის შესახებ იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, და მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს, სებასტიანს შეუფერებელ, შეურაცხმყოფელ საქციელადაც კი მიაჩნდა, ვინაიდან ის მიუკერძოებელი მსჯელობის ყინულივით ცივ აღუშფოთველობაში ადამიანის სულის თბილ და გრილ ნაკადს ურევდა. და კიდევ, თუ დაინყებდა, იძულებული გახდებოდა, ყოველი მომდევნო სტრიქონისთვისაც მადლობა გადაეხადა, რათა იმას არ სწყენოდა, თუ ასე აღარ მოიქცეოდა. ბოლოს კი ისეთი ტენიანი, გამაბრუებლად თბილი ატმოსფერო იქმნება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ესა თუ ის კრიტიკოსი მიუკერძოებლობითაა ცნობილი, მადლიერი ავტორი ბოლომდე მაინც ვერასდროს დარწმუნდება იმაში, რომ აქ ფეხაკრეფით პირადი კეთილგანწყობა არ შემოიპარა.

ჩვენს დროში დიდება ისე გაუფასურდა, რომ ხშირად მას ვერც კი განასხვავებენ იმ დამსახურებულ მგზნებარებისგან, რომლითაც წიგნს ეგებებიან, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, კლერმა საკუთარ თავს ამ დიდებით ტკბობის უფლება მისცა. მას იმ ხალხთან შეხვედრა სურდა, ვინც სებასტიანის ნახვას ესწრაფოდა, თუმცა ამ უკანასკნელს ეს გულზე სულაც არ ეხატებოდა; იმ უცნობი ადამიანების მოსმენა უნდოდა, რომლებიც „ნარმატების“ შესახებ საუბრობდნენ, მაგრამ სებასტიანმა თქვა, რომ ეს წიგნი აღარ აინტერესებდა. კლერი ცდი-

ლობდა, სებასტიანი დაეყოლიებინა, რომ ლიტერატურული კლუბის წევრი გამხდარიყო და სხვა მწერლებთან ურთიერთობა ჰქონოდა. ერთი-ორჯერ სებასტიანმა ჩაიცვა კიდეც გახამებული პერანგი, შემდეგ კი ისე გაიხადა, რომ სიტყვაც არ დაუძრავს მის პატივსაცემად გამართული სადილის განმავლობაში. თავს შეუძლოდ გრძნობდა. ცუდად ეძინა. ზოგჯერ ძლიერი გაღიზიანება შემოუტევედა ხოლმე, რაც კლერისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა. ერთხელ, საღამოს პირს, როდესაც საკუთარ კაბინეტში „მხიარულ მთას“ ჩაჰკირკიტებდა და ცდილობდა, ნევრალგიის ბნელ ვიწრობებს შორის გამავალი ციცაბო, სახიფათო ბილიკიდან არ გადავარდნილიყო, მასთან კლერი შევიდა და ძალიან ალერსიანად ჰკითხა, მნახველთან ხომ არ გავიდოდა.

— არა, — მიუგო მან და კბილები დაკრიჭა იმნამს დანერვილი სიტყვის გამო.

— მაგრამ შენ ხომ თვითონ სთხოვე, ხუთ საათზე მოსულიყო, ახლა კი...

— აჰა, ყველაფერი გააფუჭე! — შესძახა სებასტიანმა და მუდმივი კალამი გაშტერებულ თეთრ კედელს მიანარცხა, — მაცადე, ბოლოს და ბოლოს, საქმის კეთება! — მან ისე აუწია ხმას, რომ პ. ჯ. შელდონი, რომელიც მანამდე მეზობელ ოთახში კლერს ჭადრაკს ეთამაშებოდა, წამოდგა და შემოსასვლელის კარი მიხურა, სადაც მორჩილად იდგა პატარა კაცი.

შიგადაშიგ სიგიჟმაჟის ხასიათზე დგებოდა ხოლმე. ერთ საღამოს კლერისა და ორი მეგობრის კომპანიაში რომელიღაც ნაცნობის, ვისაც ნასადილევს უნდა შეხვედროდა, გათამაშების გასაოცარი ხერხი მოიგონა. უნდა ითქვას, რომ შელდონს აღარ ახსოვდა, რა იგულისხმებოდა მასში. სებასტიანი იცინოდა, შემდეგ შეტრიალდა, მუშტი მუშტს მიართყა, რასაც მაშინ აკეთებდა, როდესაც რაღაც ძალიან თავშესაქცევად ეჩვენებოდა. ყველა მოუთმენლად ელოდა, როდის შეუდგებოდნენ ჩანაფიქრის განხორციელებას. კლერმა, რომელსაც ვერცხლისფერი ფეხსაცმელი უბრწყინავდა, ტელეფონით ტაქსი გამოიძახა და რედიკიულიც გაიმზადა, მაგრამ

მოულოდნელად სებასტიანს გართობის ხალისი სრულიად გაუქრა, თითქოს მოინყინა კიდეც, ძალზე უსიამოვნოდ, პირ-გაულებლად ამთქნარებდა, ბოლოს კი თქვა, რომ ძალს გა-ასეირნებდა და დასაძინებლად წავიდოდა. მაშინ მას პატარა შავი ბულტერიერი ჰყავდა, რომელსაც მოგვიანებით რალაც ავადმყოფობა შეეყარა და იძულებულნი გახდნენ, მოეკვდი-ნებინათ.

სებასტიანმა ჯერ „მხიარული მთა“ დაასრულა, შემდეგ — „ალბინოსი შავებში“, ბოლოს კი, თავისი მესამე და უკანას-კნელი მოთხრობა, „მთვარის უკანა მხარე“. ვის არ ახსოვს მისი მშვენიერი გმირი, თვინიერი კაცუნა, რომელიც მატა-რებლის ჩამოდგომამდე გასაჭირში ჩავარდნილ სამ მგზავრს სხვადასხვაგვარად ეხმარება? ეს მისტერ ზილერი სებასტი-ანის ქმნილებებს შორის, შესაძლოა, ყველაზე ცოცხალიც კია და, სხვათა შორის, უკანასკნელი წარმომადგენელი „გა-მოძიების“ თემისა. მის შესახებ უკვე გელაპარაკეთ „პრიზ-მის წახნაგსა“ და „წარმატებაში“. თითქოს ჩანაფიქრმა, ჯი-უტად რომ იზრდებოდა ორი წიგნის ნიადაგში, ახლა ზემოთ ამოაღწია, ფიზიკურად ხელშესახები გახდა. და, აი, მისტერ ზილერი სცენაზე გამოდის და თავის დაკვრით ესალმება მაყურებელს, მისთვის დამახასიათებელი ჩვევებითა და მანერებით. მასში ყველაფერი თვალსაჩინო და უნიკალურია: ხშირი წარბები, პატარა უღვაში და რბილი საყელო, ხორხის მაღლობი, „ისე რომ უმოძრავეს, როგორც შპალერის უკან ჩასაფრებული მსტოვრის ამობურცულობები“¹, თაფლისფე-რი თვალები, ღვინოსავით წითელი ვენები მოზრდილ, ძლი-ერ ცხვირზე, „რომლის ფორმაც კაცს აფიქრებინებდა, რომ თავისი კეხი სადღაც დაეკარგა“; შავი პეპელა-ჰალსტუხი და ძველი ქოლგა („ღრმად მგლოვიარე იხვი“); მუქი ბარდები ნესტოებში; ბრწყინვალე სრულყოფილების აღმაფრთოვანე-ბელი სიურპრიზი, როდესაც შლაპას იხდის. მაგრამ რაც უფ-რო უკეთ წერდა სებასტიანი, მით უფრო ცუდად გრძნობდა თავს, განსაკუთრებით პაუზების დროს. შელდონის აზრით,

¹ ალუზია პოლონიუსის მკვლევლობის სცენისა შექსპირის „ჰამლეტიდან“.

სამყარო მის ბოლო წიგნში („საეჭვო ასფოდელო“), რომელიც მან რამდენიმე წლის შემდეგ დაწერა, უკვე ჩრდილს ჰფენდა ყველაფერს, რაც მას გარს ეხვია, მისი რომანები და მოთხრობები კი მხოლოდ კაშკაშა ნიღბები იყო, ცბიერი მაცდუნებლები, რომლებსაც მიმზიდველი მხატვრული განცდების საბაბით განუხრელად მიჰყავდათ იგი რალაც გარდაუვალი მიზნისკენ. მას, როგორც ჩანს, კლერი უწინდელზე არანაკლებ უყვარდა, მაგრამ მოკვდაობის მძაფრი შეგრძნება, რომელიც სულ უფრო მეტად ეუფლებოდა, შესაძლოა, მათი ურთიერთობის სიმყიფეს იმაზე ძლიერად წარმოაჩენდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. რაც შეეხება კლერს, იგი სრულიად უმანკო გულწრფელობით განაგრძობდა ცხოვრებას სებასტიანის მყუდრო, მზით განათებულ კუთხეში, სადაც თვითონ სებასტიანიც კი არ დარჩა, ახლა კი ჩამორჩენილიყო და არ იცოდა, დასწეოდა მას თუ დაეძახა და მოებრუნებინა. იგი ხალისით ჩაერთო სებასტიანის ლიტერატურულ საქმეებში, ცდილობდა, რომ კაცს ცხოვრება მონესრიგებული ჰქონოდა, და თუმცა გრძნობდა, რომ რალაც ისე არ იყო, რომ სებასტიანის მხატვრულ ყოფასთან კავშირის დაკარგვა საფრთხეს უქმნიდა, თავს, ალბათ, იმით იმშვიდებდა, რომ შემაშფოთებელი ვითარება შეიცვლებოდა და ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა. ცხადია, მათი ინტიმური ურთიერთობის მხარეს ვერ შევეხები, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უაზრობა იქნებოდა ლაპარაკი იმის შესახებ, რაც დანამდვილებით არავინ იცოდა. მეორე ის, რომ თვითონ სიტყვა „სექსის“ ჟღერადობა, მისი გველივით სისინა უხამსობით და კატისებური „ქს-ქს“-თი ბოლოში, იმდენად უაზროდ მეჩვენება, რომ უნებურად მეეჭვება, ამ სიტყვის უკან რამე ნამდვილი მნიშვნელობა იდგეს. მეტიც, ვფიქრობ, „სექსისტვის“ განსაკუთრებული ადგილის მიჩენა, როდესაც ადამიანთა ურთიერთობაში უთანხმოება იბუდებს, ან უფრო უარესი — „სექსუალური იდეისტვის“, თუ ასეთი საერთოდ არსებობს, ყველაფერზე ამალლებისა და ყველაფრის ახსნის უფლების მინიჭება, მსჯელობაში უხეში შეცდომის დაშვებას ნიშნავს.

„ზღვის ტალღა ვერ ახსნის მთელ ზღვას, მთვარიდან ქვეწარმავლამდე; კლდის ჩალრმავებაში არსებული გუბე და ალმასის ჭავლი კეტჰეისკენ¹ მიმავალ გზაზე — ორივე ნყალია“, („მთვარის უკანა მხარე“).

„ფიზიკური სიყვარული იმავეს თქმის მხოლოდ სხვა ხერხია და არა განსაკუთრებული სექსოფონური ნოტი, რომელიც ერთხელ გაიჟღერებს და შემდეგ ექოსავით პოვებს გამოძახილს სულის ყველა კუნჭულში“ („დაკარგული ნივთები“, გვ.82). „ამქვეყნად ყველაფერი ნივთების ერთსა და იმავე რიგს მიეკუთვნება, ვინაიდან ასეთია ადამიანური აღქმის ერთიანობა, პიროვნების ერთიანობა, მატერიის ერთიანობა, რაც უნდა იგულისხმებოდეს ამ სიტყვაში. ერთადერთი ნამდვილი რიცხვი ერთიანია, ყველა დანარჩენი კი მისი გამეორებით მიიღება“ (იქვე, გვ. 83). თუნდაც რომელიმე სანდო ნყაროსგან გამეგო, რომ კლერი ბოლომდე ვერ პასუხობდა სებასტიანის მოთხოვნილებას ფიზიკური სიახლოვისა, მაშინაც არ მომივიდოდა თავში აზრად, მისი სიფიცხე და ნერვიულობა ამ დაუკმაყოფილებლობით ამეხსნა, მაგრამ რადგან საერთოდ იყო ცხოვრებით უკმაყოფილო, ეს დაუკმაყოფილებლობა, შესაძლოა, ნაწილობრივ, მათ სასიყვარულო ურთიერთობაზეც ასახულიყო.

გაითვალისწინეთ, რომ სიტყვა „დაუკმაყოფილებლობას“ საკმაოდ თავისუფლად ვხმარობ, ვინაიდან ცხოვრების იმ პერიოდში სებასტიანის განწყობა შეუდარებლად რთული ფენომენი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ველტშმერცი² ან მოწყენილობა. ამის გაგება მხოლოდ მისი უკანასკნელი წიგნის, „საექვო ასფოდელოს“ მეშვეობით შეიძლება. იმ დროს ის ჯერ კიდევ შორს, ნისლში იმალებოდა, თუმცა მალე ნაპირის მოხაზულობას მიიღებდა. 1929 წელს ექიმმა ოუტსმა, გულის დაავადებების ცნობილმა სპეციალისტმა, სებასტიანს ურჩია, ერთი თვე ელზასში, ბლაუბერგში გაეტარებინა, სადაც მკურნალობის განსაზღვრულ კურსს უკვე მოეხდინა კეთილი გავ-

¹ კეტჰეი — ჩინეთის სახელწოდება შუა საუკუნეების ინგლისში.

² (გერმ.) მსოფლიო სევდა.

ლენა რამდენიმე მსგავს შემთხვევაში. კლერი და სებასტიანი თითქოს უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ სებასტიანი მარტო წავიდოდა. გამგზავრების წინ მის სახლში ჩაის დასალევად ოთხნი შეიკრიბნენ — მის პრატი, შელდონი, კლერი და სებასტიანი. მასპინძელი მხიარულობდა, ხალისით ლაპარაკობდა, კლერს ხუმრობით დასცინოდა, რომ მას თავისი დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი შემთხვევით მისი ნივთებით სავსე ჩემოდანში ჩავარდნოდა, როდესაც მათ აწყობდა, ვინაიდან თვითონ ნერვიული შეტევა ჰქონდა. შემდეგ მკვეთრი მოძრაობით ასწია შელდონის მანუეტი (სებასტიანი საათს არასდროს ატარებდა), ნახა, რა დრო იყო, და მაშინვე აჩქარდა, თუმცა წინ მთელი საათი ჰქონდა. კლერს მისთვის სადგურამდე მიცილება არც შეუთავაზებია — იცოდა, რომ ეს არ უყვარდა. სებასტიანმა მას საფეთქელზე აკოცა, შელდონი ჩემოდნის გატანაში მიეხმარა (ვახსენე თუ არა, რომ ერთი მოახლის, ზოგჯერ რომ მოდიოდა ბინის დასალაგებლად, და ლაქიის გარდა, მისთვის საჭმელი რომ მოჰქონდა მეზობლად მდებარე რესტორნიდან, სებასტიანს მსახური არ ჰყავდა?). იგი გაემგზავრა, დარჩენილი სამნი კი ერთხანს უსიტყვოდ ისხდნენ.

უეცრად კლერმა ჩაიდანის დაადგა და თქვა:

— ამ ცხვირსახოცს, ალბათ, მასთან ერთად გამგზავრება სურდა. ვფიქრობ, ეს მინიშნება იყო.

— სისულელეს ნუ ამბობ, — უთხრა მისტერ შელდონმა.

— რატომაც არა? — ჰკითხა კლერმა.

— თუ ამით იმის თქმა გინდა, რომ იმავე მატარებელში ჩაჯდები... — დაიწყო მის პრატი.

— რატომაც არა? — გაიმეორა კლერმა, — ორმოცი წუთი კიდევ მაქვს. წამში შევირბენ შინ, ჩემოდანში რალაც ნივთებს ჩავყრი, ტაქსის გავაჩერებ...

ასეც მოიქცა. უცნობია, რა მოხდა ვიქტორიას სადგურში, მაგრამ ერთი საათის შემდეგ კლერმა შელდონს დაურეკა, რომელიც უკვე შინ წასულიყო, და საცოდავი სიცილით უთხრა, რომ სებასტიანს ისიც კი არ ნდომებია, რომ იგი მატარებლის გასვლას მაინც დალოდებოდა. რატომღაც სრულიად

მკაფიოდ ვხედავ, როგორ მიირბინა კლერმა ბაქანზე თავისი ჩემოდნით, ლალად გასაცინებლად მომზადებული, ახლომხედველი თვალებით ვაგონების ფანჯრებში იყურებოდა და სებასტიანს ეძებდა. როდესაც მიაგნო, თუმცა, შესაძლოა, ჯერ კაცმა მოჰკრა მას თვალი... „აი, მეც მოვედი“, — თქვა, ალბათ, კლერმა მხიარულად, იქნებ ძალზე მხიარულადაც...

რამდენიმე დღის შემდეგ სებასტიანმა მას მისწერა, რომ ძალზე სიმპათიურ ადგილას ცხოვრობდა და თავსაც შესანიშნავად გრძნობდა. ამას დუმილი მოჰყვა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეშფოთებულმა კლერმა დეპეშა გაუგზავნა, მისგან ღია ბარათი მოვიდა, სადაც ეწერა, რომ ბლაუბერგიდან დაგეგმილზე ადრე მიემგზავრებოდა და ერთ კვირას პარიზში გაატარებდა, საიდანაც შინ დაბრუნდებოდა.

იმ კვირის ბოლოს სებასტიანმა დამირეკა და ჩვენ ერთად ვისადილეთ რუსულ რესტორანში. იგი 1924 წლიდან არ მენახა, არადა, უკვე 1929 წელი იდგა. დაღლილი, ავადმყოფური სახე ჰქონდა, სიფერმკრთალის გამო პირგაუპარსავს ჰგავდა, თუმცა პარიკმახერთან სწორედ ჩვენი შეხვედრის წინ ყოფილა. უკან, კისერზე, ძირმაგარა ამოსვლოდა, რომელზეც ვარდისფერი საღებუნო დაეკრა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე შეკითხვა დამისვა, ორივემ ვიგრძენით, რომ არ ვიცოდით, რაზე გველაპარაკა. ვკითხე, იმ ქალს რა დაემართა, მაშინ რომ ვნახე-მეთქი.

— რომელ ქალს? — ჩამეკითხა იგი, — აჰ, კლერს? კარგად არის. შეიძლება ითქვას, რომ დაქორწინებულები ვართ.

— ცოტა შეფერთხილხარ, — ვუთხარი მე.

— ეგ ნაკლებად მადარდებს. პელმენი ხომ არ გინდა?

— ნუთუ კიდევ გახსოვს მისი გემო? — შევძახე გაოცებით.

— რატომ არ უნდა მახსოვდეს? — მიპასუხა ცივად.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩუმად მივირთმევდით საჭმელს. შემდეგ ყავა მოგვიტანეს.

— რა თქვი, იმ ადგილს რა ჰქვიაო? ბლაუბერგი?

— ჰო, ბლაუბერგი.

— და სასიამოვნო ადგილია?

— გააჩნია, ვის რა მოსწონს, — თქვა და ყბების კუნთები შეერხა, როდესაც მთქნარების შეჩერება სცადა, — მაპატიე, — დაამატა მან, — იმედია, მატარებელში გამოვიძინებ.

მოულოდნელად მაჯაზე წამავლო ხელი.

— ცხრის ნახევარია, — ვუთხარი მე.

— დასარეკი მაქვს, — ჩაიბურტყუნა და დარბაზი დიდი ნაბიჯებით, ხელსახოცით ხელში გადაჭრა. ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, ხელსახოცი სანახევროდ პიჯაკის ჯიბეში ჩაეჩურთა. ხელი მოვკიდე და ამოვიღე.

— მომისმინე, — მითხრა მან, — ძალიან მრცხვენია, მაგრამ წასასვლელი ვარ. დამავინყდა, რომ შეხვედრა მაქვს დანიშნული.

„ყოველთვის გულს მტკენდა (წერს სებასტიან ნაითი „დაკარგულ ნივთებში“) ის, რომ რესტორანში ადამიანები ვერ ამჩნევენ სულიერ, იდუმალ არსებებს, რომლებსაც მათთვის საჭმელი მოაქვთ, რომლებიც პალტოს ჩამოართმევენ და კარს უღებენ. ერთხელ პრაქტიკული პროფესიის ერთ კაცს, ვისთან ერთადაც რამდენიმე კვირის წინათ ვსაუზმობდი, შევახსენე, რომ ქალს, ჩვენ რომ შლაპები მოგვანოდა, ყურებში ბამბა ედო. მან გაოცებით შემომხედა და მითხრა, რომ ქალი საერთოდ არ ახსოვდა... ჩემი აზრით, ყველა, ვისაც სადღაც ეჩქარება და მხოლოდ ამიტომ ვერ ამჩნევს, რომ ტაქსის მძღოლს კურდღლის ტუჩი აქვს, მონომანია სჭირს. ხშირად, როდესაც გავიფიქრებ, რომ კაფეში მსხდომთაგან მხოლოდ მე მიჩნდება შეკითხვა, რატომ კოჭლობს მსუბუქად ყავის მომტანი ქალიშვილი, მეჩვენება, რომ ბრმებისა და შეშლილების გარემოცვაში ვარ.“

რესტორნიდან გამოვედით და ტაქსების გაჩერებისკენ გავემართეთ, ვილაც თვალეზამღვრეულმა მოხუცმა ცერი დაინერწყვა და სებასტიანს, მე თუ ორივეს ფურცლებზე დაბეჭდილი რეკლამა გამოგვიჩინოდა, რომელსაც გამვლელებს ურიგებდა. არც სებასტიანმა გამოართვა და არც მე შევიწყუხეთ თავი. წინ ვიყურებოდით. ორი სახემოღუშული მთვარეული, ამგვარი წინადადეგები რომ არ აინტერესებდათ.

— აბა, მშვიდობით, — ვუთხარი სებასტიანს, როდესაც მან ტაქსის დაუძახა.

— როგორმე მოიცალე და ჩემთან ჩამოდი, ლონდონში, — მითხრა და უკან მიიხედა, — მოიცადე, — დაამატა მაშინვე, — ცუდად მოვიქეცი, საბრალოს ვანყენინე...

წავიდა და მალე ფურცლით ხელში დაბრუნდა. სანამ გადააგდებდა, ყურადღებით წაიკითხა.

— ხომ არ მიგიყვანო? — მკითხა მან.

ვიგრძენი, რომ საშინლად უნდოდა ჩემგან თავის დაღწევა.

— არა, გმადლობ, — მივუგე. მისამართი, რომელიც მძლოლს უთხრა, ვერ გავიგონე, მაგრამ მახსოვს, სთხოვა, რომ ერქარა.

როდესაც ლონდონში დაბრუნდა... არა, აქ თხრობის ძაფი წყდება და იძულებული ვარ, ვინმეს ვთხოვო გამოტოვებული ადგილების შევსება. მაშინვე შეამჩნია თუ არა კლერმა, რომ სებასტიანს რაღაც დაემართა? მაშინვე ხომ არ იეჭვა, ეს რა იყო? უნდა ვიმარჩიელო თუ არა, რა ჰკითხა სებასტიანს, რა მიუგო მან, რა უთხრა თვითონ ამის საპასუხოდ? არა მგონია... შელდონმა ისინი ამ ამბიდან მალევე ინახულა და ნახა, რომ სებასტიანი უჩვეულოდ გამოიყურებოდა. თუმცა ის ადრეც უჩვეულოდ გამოიყურებოდა ხოლმე... „მაგრამ მალე ამან შემაშფოთა“, — თქვა მისტერ შელდონმა. იგი კლერს შეხვდა და ჰკითხა, სებასტიანს რა დაემართაო. „სებასტიანს? — გაიმეორა კლერმა და საშინლად, ნელა გაიღიმა, — სებასტიანი გაგიჟდა, ჭკუაზე შეიშალა, — თქვა მან და სევდიანი თვალები ფართოდ გაახილა, — ის აღარ მელაპარაკება“, — დაამატა ჩამწყდარი ხმით. მაშინ შელდონმა სებასტიანს მიაკითხა და ჰკითხა, რა ხდებოდა.

— რა შენი საქმეა? — მიუგო სებასტიანმა ძალზე უსიამოვნო და ცივი ხმით.

— ჩემთვის სულერთი არაა, რა სჭირს კლერს, — უთხრა შელდონმა, — მინდა, ვიცოდე, რატომ არის ასეთი დაბნეული (ქალი ყოველთვის მიდიოდა სებასტიანთან და ისეთ მოფარებულ ადგილებში იჯდა, სადაც ადრე არასდროს ჯდებოდა.

ზოგჯერ მას კანფეტებს ან ჰალსტუხს მიუტანდა ხოლმე. კანფეტები ხელუხლებელი რჩებოდა, ჰალსტუხი კი უსიცოცხლოდ ეკიდა სკამის საზურგეზე. ქალი მოჩვენებას ჰგავდა. შემდეგ იგი ისევე უხმაუროდ უჩინარდებოდა, როგორც მოდიოდა).

— არა, თავის დაძვრენას ნუ ცდილობ, — თქვა შელდონმა, — ასეთი რა გაუკეთე?

თავი მეთორმეტე

შელდონმა სებასტიანისგან ვერაფერი შეიტყო. ის კი, რისი გაგებაც მოახერხა, თვითონ კლერმა უამბო. როგორც აღმოჩინდა, ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ სებასტიანი რუსულად დაწერილ ბარათებს იღებდა ბლაუბერგში გაცნობილი ქალისგან. იქ, თურმე, ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ. მეტი არაფერი იცოდნენ.

ექვსი კვირის შემდეგ (1929 წლის სექტემბერში) სებასტიანი კვლავ გაემგზავრა ლონდონიდან და მომდევნო წლის იანვრამდე აღარ გამოჩენილა. არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა. შელდონის ვარაუდით, იტალიაში, „რადგან შეყვარებულები, როგორც წესი, სწორედ იქ მიემგზავრებიან“, თუმცა ამას დაუწინებით არ ამტკიცებდა.

უცნობია, დაელაპარაკა თუ არა სებასტიანი კლერს სერიოზულად, თუ გამგზავრებისას წერილი დაუტოვა. ქალი ისევე უჩუმრად გაუჩინარდა, როგორც გამოჩინდა. ბინა შეიცვალა, რომელიც სებასტიანის სახლთან ძალიან ახლოს მდებარეობდა. ნოემბრის ერთ ავდრიან, ნისლიან დღეს მის პრატი მას შეხვდა: კლერი შინ ბრუნდებოდა სიცოცხლის დამზღვევი სააგენტოდან, სადაც სამუშაო ეშოვა. ამ შეხვედრის შემდეგ ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, მაგრამ სებასტიანის სახელს იშვიათად ახსენებდნენ. ხუთი წლის თავზე კლერი გათხოვდა.

წიგნი „დაკარგული ნივთები“, რომლის წერაც სებასტიანმა დაახლოებით ამ დროისთვის დაიწყო, ერთგვარად შესასვენებელი ადგილია მისი პირველი ლიტერატურული ხეტიალისას,

რომელიც იმისთვის სჭირდებოდა, რათა რალაც შეეჯამებინა, გზაში დაკარგული ნივთები თუ ადამიანები გადაეთვალა, ორიენტირი დაედგინა, როდესაც სიბნელეში ფრუტუნით ძოვდნენ ბალახს უნაგირმოხსნილი ცხენები, დროგამოშვებით მინავლული კოცონი გაიელვებდა, თავზემით ვარსკვლავები მოჩანდა. მასში ერთი პატარა თავია თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ — მფრინავიც დაიღუპა და ყველა მგზავრიც, ერთის გარდა; ეს ერთადერთი გადარჩენილი, ხანში შესული ინგლისელი კაცი, ავარიის ადგილის შორიახლოს, ქვაზე იჯდა, როდესაც მას ფერმერი წააწყდა. ზურგში მოხრილს, დანალვლიანებული, გატანჯული სახე ჰქონდა. „დაჭრილი ხართ?“ — ჰკითხა ფერმერმა. „არა, — მიუგო ინგლისელმა, — კბილი მტკივა. მთელი გზა არ მომასვენა“. მინდორში მიმოფანტულ ექვსიოდე წერილსაც მიაგნეს — იმას, რაც ავიაფოსტის სავსე ტომრისგან დარჩა. ორი მათგანი საქმიანი და გამგზავნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო; მესამე, ქალისთვის განკუთვნილი, რატომღაც ასე იწყებოდა: „ძვირფასო მისტიერ მორტიმერ, ამ თვის ექვსი რიცხვით დათარიღებული თქვენი უწყების პასუხად...“ და ბირჟაზე შეკვეთის განთავსებას შეეხებოდა; მეოთხეში ვილაცას დაბადების დღეს ულოცავდნენ, მეხუთე ჯაშუშს გამოეგზავნა და საიდუმლო ჩვეულებრივი ლაქლაქისთვის დამახასიათებელი სიტყვების გროვაში ჩაემალა; ბოლო კონვერტს სამაკლერო ფირმის მისამართი ეწერა, მაგრამ შიგნით, შეცდომით, სასიყვარულო წერილი აღმოჩნდა.

„ეს შენთვის მტკივნეული იქნება, ჩემო საბრალო, ჩემო საყვარელო. ჩვენი პიკნიკი დასრულდა; ჩაბნელებული გზა კოლბოხიანია და ავტომობილში მყოფი ბავშვებიდან ყველაზე პატარა საცაა აღებინებს. უხამსი სულელი გეტყოდა, მხნეობა მოიკრიბეო, მაგრამ რაც უნდა გითხრა დასახმარებლად ან სანუგეშოდ, მაინც რძის პუდინგი გამოვა — შენ იცი, რასაც ვგულისხმობ. შენ ყოველთვის იცოდი, რას ვგულისხმობდი. შენთან ერთად ცხოვრება ტრფიალი იყო. ეს, რაც შეეხება მტრედებს, შროშანებს და ხავერდს, ვარდისფერ და ნაზ

„ვ“-ს შუაგულში, შენ მიერ წარმოთქმულ სიგრძივ, განელილ „ლ“-ს. ჩემი და შენი ცხოვრება ალიტერაცია იყო და როდესაც ყველა იმ წვრილმანზე ვფიქრობ, რომლებიც მოკვდება, ვინაიდან ორივე ჩვენგანის ველარ იქნება, ასე მგონია, ჩვენც მოვკვდით. ვინ იცის, იქნებ ასეცაა. რაც უფრო იზრდებოდა ჩვენი ბედნიერება, მით უფრო უბუნდოვნდებოდა კიდები, მისი მოხაზულობა კი თითქოს თვალსა და ხელს შუა დნებოდა, ახლა კი სულაც გაქრა. კვლავაც მიყვარხარ, მაგრამ ჩემში რაღაც ჩაკვდა და ნისლში ველარ გხედავ... ეს პოეზიაა. გატყუებ. მხდალი ადამიანივით გატყუებ, თავის დაძვრენას ვცდილობ. არ მინდა, ქარაგმებით მოლაპარაკე მშიშარა პოეტს დავემსგავსო. ვფიქრობ, უკვე მიხვდი, რა ხდება: აქ დაწყებული ფორმულაა — „სხვა“. მასთან ერთად საშინლად უბედური ვარ — აი, ეს კი სიმართლეა. და ამას განსაკუთრებულს თითქოს ვერაფერს დავამატებ.

უნებურად ვგრძნობ, რომ სიყვარულში, თავისთავად, რაღაც არასწორია ჩადებული. მეგობრები ჩხუბობენ და ერთმანეთს შორდებიან, ასევე — ახლობლებიც. მაგრამ იქ არ არის ეს ტკივილი, ეს მძაფრი სიბრალული, ეს ფატალურობა, რომელიც სიყვარულს ურევია. მეგობრობას არასდროს აქვს ასეთი განწირული სახე. რატომ ხდება ასე? კვლავაც მიყვარხარ, მაგრამ ვინაიდან ველარ ვახერხებ შენი ძვირფასი, თითქოს ნისლში გახვეული სახის კოცნას, ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. დიახ, უნდა დავშორდეთ. შესაძლოა, ათასი მეგობარი გყავდეს, მაგრამ საყვარელი ქალი მხოლოდ ერთია. ჰარამხანა არაფერ შუაშია: ბალეტზე ვსაუბრობთ და არა ტანვარჯიშზე. იქნებ არსებობს კიდევ ვინმე არაჩვეულებრივი თურქი, რომელსაც თავისი ოთხასივე ცოლი ისე უყვარს, როგორც მე შენ მიყვარხარ? ვინაიდან, თუ „ორს“ ვიტყვი, ამით თვლას დავინწყებ, ეს კი აღარასოდეს დასრულდება. არსებობს მხოლოდ ერთი, ერთადერთი რიცხვი — ერთიანი. და, როგორც ჩანს, სიყვარული ამ ერთადერთობის საუკეთესო მაგალითია.

მშვიდობით, ჩემო საბრალო სიყვარულო. არასდროს დავინწყებ, ვერავინ შეგცვლის. უაზრობაა იმაში დაგარნ-

მუნო, რომ შენ წმინდა სიყვარული იყავი, ეს კი, სხვა ვნებაა, მხოლოდ ხორციელი. ყველაფერი ხორციელია და ყველაფერი სინმინდია. ერთი რამე კი დანამდვილებით ვიცი: შენ გვერდით ბედნიერი ვიყავი, ახლა კი სხვასთან უბედური ვარ. ცხოვრება თითქოს თავისი გზით მიდის, მეგობრებთან ერთად ოფისში ვიხუმრებ, ჩემს გემოზე შევჭამ (სანამ კუჭს არ დავიავადმყოფებ), რომანებს წავიკითხავ, ლექსებს დავწერ, ბირჟის ცნობებს თვალს მივადევნებ — ერთი სიტყვით, ისე მოვიქცევი, როგორც ყოველთვის ვიქცეოდი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უშენოდ ბედნიერი ვიქნები... ყოველი წვრილმანი, რომელიც შენს თავს გამახსენებს — იმ ოთახებში მდგარი ავეჯის გამკიცხავი მზერა, სადაც დივნების ბალიშებს აფუმფულებდი და ქარცახს ესაუბრებოდი, ყოველი წვრილმანი, რომელიც ორივეს შეგვიმჩნევია, ყოველთვის ნაჭუჭის ერთ მხარედ, მონეტის ერთ ნახევრად მომეჩვენება, მეორე ნახევარი შენ გექნება. მშვიდობით. წადი. წადი. არ მომწერო. ცოლად ჩარლის ან ვინმე სხვა კარგ, ჩიბუხიან კაცს გაჰყევი. ჯერჯერობით კი დამივიწყე. ოღონდ შემდეგ გამიხსენე, როდესაც სიმწარე გაივლის. ეს ლაქა ცრემლისგან არაა. ავტოკალამი გამოფუჭდა და ახლა ამ სისაძაგლით ვწერ ამ საძაგელ ნომერში. საშინლად ცხელა, მე კი საქმეები არ დამიმთავრებია, რომლებიც „დამაკმაყოფილებლად უნდა დავასრულო“, როგორც ეს რეგვენი მორტიმერი ამბობს. თუ არ ვცდები, შენთან ჩემი ერთი თუ ორი წიგნია, მაგრამ არა უშავს. ძალიან გთხოვ, არ მომწერო. ლ.“.

თუ ამ გამოგონებული წერილიდან ყველაფერს გამოვრიცხავთ, რაც პირადად მის სავარაუდო ავტორს შეეხება, მასში, სავარაუდოდ, ბევრი ისეთი რამ დარჩება, რაც სებასტიანს შეეძლო ეგრძნო კლერის მიმართ, და ისეთიც, რაც, შესაძლოა, მისთვის მიეწერა. მას თავისებური ჩვეულება ჰქონდა, ყველაზე უცნაური პერსონაჟებისთვის ესა თუ ის, თვითონ მისთვის მნიშვნელოვანი აზრი, შთაბეჭდილება ან სურვილი მიეწერა. მისი გმირის წერილი საკუთარ თავში, შესაძლოა, დაშიფრული სახით რამდენიმე გულმართალ აღი-

რებას შეიცავდა კლერთან დაკავშირებით. მაგრამ ერთ სხვა მწერალსაც ვერ დავასახელებ, რომლის ხელოვნებაც ასე ღრმად ჩაფიქრებას მოითხოვდეს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც, ვინაიდან მწერალში ნამდვილი ადამიანის დანახვას ვცდილობ. ძნელი დასანახია წარმოსახვითი სამყაროს ციმციმში კერძო სიმართლის შუქის გარჩევა, მაგრამ კიდევ უფრო რთულია იმ განსაცვიფრებელი ვითარების გაგება, რომ ადამიანს, რომელიც იმაზე წერს, რასაც მართლა განიცდის შეთხზვის პროცესში, იმავდროულად, იმ ელემენტებისგან, რაც მას სულს უწამლავს, მოგონილი და საკმაოდ ახირებული პერსონაჟის შექმნაც შეეძლოს.

სებასტიანი ლონდონში 1930 წლის დასაწყისში დაბრუნდა და მძიმე გულის შეტევის შემდეგ ლოგინად ჩავარდა. როგორღაც კვლავაც ახერხებდა და „დაკარგული ნივთების“ წერას განაგრძობდა: საფიქრალია, რომ ეს მისთვის ყველაზე იოლად შესაქმნელი ნიგნი აღმოჩნდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მანამდე კლერი თვითონ უძღვებოდა მის ლიტერატურულ საქმეებს, მისი წასვლის შემდეგ კი ისინი საოცრად აიწენა. სებასტიანმა არ იცოდა, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მოცემულ ეტაპზე ამა თუ იმ გამომცემელთან. ზოგიერთ საკითხში საოცარ დაბნეულობასა და უმეცრებას იჩენდა, ერთი გვარის ან მისამართის დამახსოვრების უნარიც არ ჰქონდა, არც იმის, რა სად დადო. ამიტომ შიგადაშიგ მძიმე ვითარებაში ხვდებოდა. საინტერესოა, რომ, როდესაც სებასტიანის საქმეებს კლერი უძღვებოდა, მიზნის მისაღწევად მისი ქალიშვილური გულმავინყობის ადგილს სრული მკაფიოობა და შეუპოვრობა იკავებდა, ახლა კი ქაოსი გამეფებულიყო.

მან არასდროს იცოდა მანქანაზე ბეჭდვა, ახლა კი ამის სასწავლად ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა. „მხიარული მთა“ ერთდროულად ორ ამერიკულ ჟურნალში დაიბეჭდა და სებასტიანი ვერაფრით იხსენებდა, როგორ მოახერხა, რომ ერთი მოთხრობა ორ სხვადასხვა პირს მიჰყიდა. შემდეგ იმ ადამიანთან გაურთულდა ურთიერთობა, რომელსაც სურდა, რომ „წარმატება“ კინოფილმისთვის გადაეკეთებინათ

და სებასტიანისთვის წინასწარ ავანსიცი კი გადაეხადა (რაც მან ვერც კი შეამჩნია, ვინაიდან წერილებს უყურადღებოდ კითხულობდა) უფრო მოკლე და „უფრო დაძაბული“ ვერსიისთვის, რასაც სებასტიანი არასდროს დასთანხმდებოდა. „პრიზმის ნახნაგი“ კვლავ გამოვიდა ბაზარზე, მაგრამ არა მგონია, სებასტიანს ეს სცოდნოდა. მიპატიჟებას არ პასუხობდა. ტელეფონის ნომრები თავსატეხად ექცა, კონვერტის ძებნა, რომელზეც რომელიღაც ნომერი წაეწერა, ქანცს აცლიდა და იმაზე მეტად ღლიდა, ვიდრე მთელი თავის დაწერა, თანაც, გონებით სხვაგან იყო, მასთან არმყოფ საყვარელ ქალზე ფიქრობდა, ელოდებოდა, როდის დაუძახებდა. ისიც ეძახდა, თუ არადა, მოთმინების ძაფი უწყდებოდა და ის ხდებოდა, რაც ერთხელ როი კარსუელმა საკუთარი თვალით იხილა: გრძელ პალტოსა და საღამურ ფეხსაცმელში გამოწყობილი დაქანცული კაცი პულმანის¹ ვაგონში ჯდებოდა.

სწორედ ამ პერიოდის დასაწყისში გამოჩნდა მისტერ გუდმენი. თანდათანობით სებასტიანმა მას ლიტერატურასთან დაკავშირებული ყველა საქმე გადასცა და უდიდესი შვება იგრძნო, ასეთი მარჯვე მდივანი რომ ჰყავდა.

„მასთან მისულს იგი, ჩვეულებრივ, ლოგინში მხვდებოდა, — წერს მისტერ გუდმენი, — უკმაყოფილი ლეოპარდის სახით იწვა ხოლმე (აქ, როგორც ჩანს, მინიშნებაა ჩაჩიან მგელზე „ნითელქუდადან“... „ცხოვრებაში არასდროს შევხვედრივარ უფრო პირქუშ ადამიანს, — აღნიშნავს იგი სხვა ადგილას, — როგორც ამბობენ, საინტერესო აპათიური პოზებისადმი მიდრეკილება ფრანგ მწერალს, მარსელ პრუსტსაც ახასიათებდა, რომელსაც ნაითი შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ჰბაძავდა...“ და შემდეგ: „ნაითი ძალიან გამხდარი იყო, ჰქონდა ფერმკრთალი სახე და სათუთი ხელები, რითაც ქალური კეკლუცობით იწონებდა თავს. ერთხელ გამომიტყდა, რომ ფრანგული სუნამო მოსწონდა და დილაობით აბა-

¹ პულმანის ვაგონი — მატარებლის დიდი, კომფორტაბელური საძილე ვაგონი, შეიქმნა 1864 წელს ამერიკელი ფაბრიკანტის, ჯორჯ პულმანის კომპანიაში.

ზანაში ფლაკონის ნახევარს ასხამდა. თუმცა ყოველთვის განსაკუთრებულად მოუწესრიგებლად გამოიყურებოდა... მოდერნისტი მწერლების უმრავლესობის მსგავსად, ნაითიც უკიდურესი პატივმოყვარეობით გამოირჩეოდა. ერთი-ორ-ჯერ თავზე მაშინ წავადექი, როდესაც გაზეთის ამონაჭრებს — უეჭველად თავის წიგნებთან დაკავშირებულ რეცენზიებს — ლამაზ და ძვირფას ალბომში აკრავდა, რომელსაც მაგიდის უჯრაში კეტავდა, რადგან, შესაძლოა, ერიდებოდა, რომ ადამიანური სისუსტის ამ ნაყოფისთვის გამკიცხავი მზერა არ მიმეპყრო... საზღვარგარეთ ხშირად მიემგზავრებოდა, წელიწადში ორჯერ, ვფიქრობ, მხიარულ პარიზში... ამ მგზავრობას ყოველთვის იდუმალების ბურუსში ხვევდა და ბაირონისებურ მიბნედილობას ამჟღავნებდა. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კონტინენტზე გადასვლა მისი არტისტული პროგრამის ნაწილი იყო... ნამდვილი პოზიორი გახლდათ“.

როდესაც მისტერ გუდმენი უფრო ღრმა მატერიებს ეხება, მჭევრმეტყველების მორევში ეშვება. მისი მთავარი ჩანაფიქრი ისაა, რომ აჩვენოს და ახსნას „ფატალური განხეთქილება ნაით-მხატვარსა და მის გარშემო არსებულ უზარმაზარ, აბოხოქრებულ სამყაროს შორის“ (აქ, როგორც ჩანს, წრიული ნაპრაღი იგულისხმება). „ნაითი შეუთავსებლობამ დაღუპა, — რიხიანად აცხადებს გუდმენი და ღონივრად სვამს სამწერტილს, — გაუცხოება უპირველესი ცოდვია ჩვენს ეპოქაში, როდესაც აფორიაქებული კაცობრიობა მოუთმენლად მიმართავს თავის მწერლებსა და მოაზროვნეებს და მათგან განკურნებას თუ არა, მათი გასაჭირისა და ჭრილობებისადმი ყურადღებას მაინც მოითხოვს... „სპილოს ძვლის კოშკი“ დაუშვებელია, თუ ის შუქურად ან რადიომაუნყებლობის ანძად არ არღს გადაქცეული... ასეთ საუკუნეში... მწვავე პრობლემები მატულობს, როდესაც... ეკონომიკური დეპრესია... ბედის ანაბარა მიგდებულნი... მოტყუებულნი... უბრალო ადამიანი... ზრდა ტოტალიტარული... უმუშევრობა... მომავალი ზეომი... ოჯახური ცხოვრების ახალი მხარეები... სექსი... სამყაროს სტრუქტურა...“ როგორც ვხედავთ, მისტერ გუდმენი პრობ-

ლემების ფართო სპექტრს ეხება. „ნაითი კი, — განაგრძობს იგი, — კატეგორიულად არ ინტერესდება ჩვენი დროის მიერ წინ წამოწეული საკითხებით... როდესაც სთხოვეს, შეერთებოდა რომელიმე მოძრაობას, მონაწილეობა მიელო მნიშვნელოვან შეკრებაში ან მხოლოდ ხელმონერა დაეფიქსირებინა, ვთქვათ, მუდმივი ჭეშმარიტების გამომხატველ ან აღმაშფოთებელი თვითნებობის წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტზე მასზე უფრო ცნობილი სახელების გვერდით... მან გადაჭრით განაცხადა უარი. ამაოდ ვცდილობდი მის დაყოლიებას, ვევედრებოდი კიდევ... მართალია, თავის უკანასკნელ (და ყველაზე გაუგებარ) წიგნში იგი სამყაროში არსებულ ვითარებას განიხილავს, მაგრამ მისი თვალთახედვა და ასპექტები, რომლებსაც ის შეეხება, სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც სერიოზული მკითხველი სერიოზული მწერლისგან ელოდება... ეს იგივეა, რომელიმე დიდი სანარმოს სხვადასხვა ასპექტისა და მექანიზმების კეთილსინდისიერ მკვლევარს საგულდაგულოდ მოფიქრებული ქარაგმებით ხელში ფანჯრის რაფაზე დაგდებული მკვდარი ფუტკარი შეაჩერონ. როდესაც მინდოდა, მისი ყურადღება ამა თუ იმ ახალგამოსული წიგნისთვის მიმეპყრო, რომელშიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე იყო საუბარი, პატარა ბავშვივით მპასუხობდა, სისულელეაო, ან სრულიად უადგილო კომენტარს აკეთებდა... მას ერთმანეთში ერეოდა სოლიტუდა¹ და ალტიტუდა² და ისინი მზის ლათინური სახელწოდებიდან გამოჰყავდა³. ვერ გაეგო, რომ ბნელ კუთხეში იჯდა... მაგრამ თავისი მოჭარბებული მგრძნობიარობის წყალობით (მახსოვს, როგორ იჭმუხნებოდა, როდესაც თითებს ვატკაცუნებდი — ცუდი ჩვევაა, რომელიც ღრმად ჩაფიქრებისას მახასიათებს), შეუძლებელია, არ ეგრძნო, რომ რაღაც ისე არ იყო... რომ განუხრელად კარგავდა კავშირს ცხოვრებასთან... და რომ მის სოლარიუმში, შესაძლოა, ჩამრაზი გაფუჭებულიყო... მისმა პირ-

¹ სოლიტუდა — მარტოობა, განმარტოება.

² ალტიტუდა — ადგილმდებარეობის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან.

³ Solis (ლათ.) — მზე.

ქუშმა განწყობამ, რომელიც თავდაპირველად გულწრფელი ახალგაზრდის რეაქცია იყო უხეში სამყაროს მიმართ, სადაც მისი მგზნებარე სიჭაბუკე აღმოჩნდა, და რომელიც მოგვიანებით, როდესაც წარმატებული მწერალი გახდა, საქვეყნოდ გამოიტანეს, როგორც მოდური ნიღაბი, ახლა ახალი, მახინჯი სახე მიიღო. ახლა მის მკერდზე ჩამოკიდებულ ფირფიტაზე ვეღარ წაიკითხავდით: „მე მარტოხელა მხატვარი ვარ“ — უხილავმა თითებმა ამის ნაცვლად „მე ბრმა ვარ“ დაანერეს“.

თუმცა მკვირცხლი მისტერ გუდმენის აბდაუბდით მკითხველის საზრიანობას შეურაცხყოფას აღარ მივაყენებ. თუ სებასტიანი ბრმა იყო, გამოდის, მისმა მდივანმა ხალისით იკისრა ბრმის გამძლოლი, თასმაზე გამობმული მყეფარა ძაღლის როლი. როი კარსუელმა, რომელმაც 1933 წელს ჩემი ძმის პორტრეტი დახატა, მიაშობ, რომ კინალამ სიცილისგან ჩაბჭირდა, როდესაც სებასტიანი მისტერ გუდმენტან ურთიერთობის შესახებ უამბობდა. სრულიად შესაძლებელია, მას არასდროს ეყოფოდა ენერჯია მისტერ გუდმენის თავიდან მოსაცილებლად, ამ უკანასკნელს გადაჭარბებული ფხიანობა რომ არ გამოეჩინა. 1934 წელს სებასტიანმა როი კარსუელს კანიდან მისწერა: შემთხვევით აღმოვაჩინე (იგი იშვიათად გადაიკითხავდა ხოლმე საკუთარ წიგნებს), რომ „მხიარული მთის“ სვანისეულ გამოცემაში გუდმენს ერთი ეპითეტი თვითნებურად შეუცვლიაო. „მე ის გავაგდე“, — დაამატა მან. მისტერ გუდმენი თავმდაბლად არაფერს ამბობს ამ წვრილმანის შესახებ. როდესაც შთაბეჭდილებების მარაგს ამოწურავს და დაასკვნის, რომ სებასტიანის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი მის მიერ საკუთარი, „როგორც ადამიანის და, შესაბამისად, როგორც მხატვრის კრახის გაცნობიერება“ იყო, იგი ცქვიტად აღნიშნავს, მდივნის მოვალეობის შესრულებას თავი იმიტომ დავანებე, რომ სხვა საქმიანობას მოვკიდე ხელიო. ამიერიდან გუდმენის წიგნს აღარ ვახსენებ. მას ვაუქმებ.

ვუყურებ როი კარსუელის მიერ შექმნილ პორტრეტს და სებასტიანის სევდიან თვალებში ღიმილის ნაპერწკალსაც ვხედავ. მხატვარმა შესანიშნავად გადმოსცა ამ რუხი-მომ-

წვანო ფერადი გარსის წყლიანობა, უფრო მუქი კონტური და ძლივს შესამჩნევი ოქროსფერი მტვერი გუგის ირგვლივ. ქუთუთოები დამძიმებულია, შესაძლოა, ცოტა აღგზნებულ, გაბრწყინებულ თვალის კაკალში თითქოს კაპილარი განყდა. თვალები და სახე ისეთი ტექნიკითაა დახატული, გეგონებათ, ისინი, ნარცისის მსგავსად, წყალში აირეკლა: ჩავარდნილ ლოყაზე უმსუბუქესი ჭავლი — წყლის ვერცხლისფერი ობობა ახლახან მკვეთრად შეჩერდა სირბილის დროს და უკან დახევას ლამობს. არეკლილ, შეჭმუხნილ შუბლზე, როგორც ეს დაჟინებით ყურებისას ხდება ხოლმე, დამჭკნარი ფოთოლი ეცემა. შექურჩებული მუქი თმა ნაწილობრივ გაუშლია შემხვედრ ჭავლს, მაგრამ საფეთქელზე ერთი კულული მზის სველ ათინათს გაუნათებია. ერთი ღრმა ნაოჭი სწორ წარბებს შორის გადებულა, მეორე — ცხვირიდან მჭიდროდ მოკუმულ, მოქურუხებულ ტუჩებამდე. კაცმა რომ თქვას, თავის გარდა, სხვა არაფერია. კისერს ოპალის მუქი ჩრდილი დასცემია და სხეულის ზედა ნაწილი თითქოს თანდათან ქრება. უკან რაღაც საიდუმლო სილურჯეა, კუთხეში — ნატიფად გადახლართული ტოტები. მამასადამე, სებასტიანი გუბურაში თავის ანარეკლს შეჰყურებს.

— მინდოდა, ქალზე მიმენიშნებინა მის უკან და ზემოთ — შესაძლოა, ხელის ჩრდილით... ან რამე ამგვარით... მაგრამ შემეშინდა, ნახატის ნაცვლად მოთხრობა არ გამოსულიყო.

— ქალის შესახებ თითქოს არავინ არაფერი იცის. შელდონმაც კი.

— მაგრამ მან სებასტიანს ცხოვრება დაუნგრია. განა ეს მას საკმარისად არ ახასიათებს?

— არა, უფრო მეტის ცოდნა მინდა. ყველაფერი უნდა ვიცოდე, თორემ წიგნიც თქვენი პორტრეტით დაუმთავრებელი გამოვა. პორტრეტი, თავისთავად, ცხადია, შესანიშნავია, ბრწყინვალე მსგავსებაა, ეს მდინარის ობობაც ძალიან მომწონს, განსაკუთრებით მისი ბრტყელი ჩრდილი ფსკერზე, მაგრამ ეს სახე ხომ მხოლოდ შემთხვევითი ანარეკლია. წყალში ჩახედვა ყველას შეუძლია.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ მან ეს გამორჩეულად კარგად შეძლო?

— ზუსტი შენიშვნაა. თუმცა ის ქალი მაინც აუცილებლად უნდა მოვძებნო. იგი სებასტიანის ევოლუციის გამოკლებული რგოლია, რომელიც უნდა აღვადგინო. ამას კვლევისადმი მეცნიერული მიდგომა მოითხოვს.

— მზად ვარ, ამ სურათზე დაგენაძლეოთ, რომ ვერ მიაგნებთ, — თქვა როი კარსუელმა.

თავი მეცამეტე

პირველ ყოვლისა, უნდა დამედგინა, ვინ იყო ეს ქალი. მაგრამ საიდან დამენყო ძებნა? რა ინფორმაციას ვფლობდი? 1929 წლის ივნისში სებასტიანი ბლაუბერგში, სასტუმრო „ბომონში“ ცხოვრობდა, სადაც იგი გაიცნო. რუსი იყო. სხვა არაფერი ვიცოდი.

სებასტიანის მსგავსად, მეც არ მიყვარს საფოსტო ოპერაციები. ათასი მილის გავლა მირჩევნია მოკლე ბარათის დანერას, შემდეგ კონვერტისა და სწორი მისამართის პოვნას, საჭირო მარკის ყიდვასა და წერილის გაგზავნას (თან იმაზე წუხილს, ხელი მოვანერე თუ არა). ამასთან, ისეთ საჩოთირო საქმეში, რომელიც წინ მელოდა, მიმონერაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ინგლისში ერთი თვე დავყავი, 1936 წლის მარტში ტურისტულ კომპანიაში შევიარე და ბლაუბერგში გავემგზავრე.

აი, რა ადგილები გაუვლია, ვფიქრობდი, როცა ნესტიან მინდვრებს, ზედ გადაკრულ, თეთრი ნისლის გრძელ შლეიფებსა და აშხვართულ ალვის ხეებს შევყურებდი. თავშენითლებული, ნარნარი მოხაზულობის პატარა ქალაქი ნაცრისფერი მთის ძირში შეყუჟულიყო. ჩემოდანი შესანახად უკაცრიელ სადგურზე დავტოვე, სადაც რომელიღაც ჩახსნილ, უკანა ლიანდაგებზე დაყენებულ ვაგონში უხილავი ძროხები სანყალობლად ბლაოდნენ, და მცირე აღმართს ავუყევი, სადაც იმ პარკის მიღმა, საიდანაც ცხვირში შმორის სუნი მეცა, სასტუმროები და სანატორიუმები იდგა. „მკვდარი სეზონის“

გამო ირგვლივ ძალიან ცოტა ხალხი იყო. უეცრად თავში დამ-
კრა, ვაითუ, სასტუმრო დაკეტილი დამხვდეს-მეთქი.

მაგრამ არ დაეკეტათ. ჯერჯერობით ბედი მწყალობდა.

სასიამოვნო შენობა იყო. იქვე მოვლილი ბაღი და ყვავილო-
ბისთვის შემზადებული ნაბლის ხეები მოჩანდა. აქ თითქოს
ორმოცდაათ კაცზე მეტი ვერ დაეტეოდა, რამაც გამამხნევა
— არჩევანის გასაკეთებლად მცირე რაოდენობა მჭირდებო-
და. სასტუმროს ადმინისტრატორი ჭალარათმიანი, წვერშეკ-
რეჭილი ჯენტლმენი აღმოჩნდა ხავერდით შავი თვალებით.
საქმეს ძალზე ფრთხილად მივუდექი.

თავდაპირველად ვთქვი, რომ ჩემი განსვენებული ძმა, სე-
ბასტიან ნაითი, სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი, აქ
ვიზიტით ძალიან კმაყოფილი იყო, და რომ მეც სიამოვნებით
გავატარებდი დროს ზაფხულში. შესაძლოა, ჯობდა, ოთახი
დამექირავებინა, ადმინისტრატორს ნელ-ნელა დავახლოე-
ბოდი, ნდობა მომეპოვებინა და ჩემი უჩვეულო თხოვნა ხელ-
საყრელ შემთხვევამდე გადამედო, მაგრამ რატომღაც გადავ-
წყვიტე, რომ საკითხს ასე უფრო სწრაფად გადავწყვეტდი.
მან მითხრა, რომ მართლა ახსოვდა ინგლისელი, რომელიც აქ
1929 წელს გაჩერდა და ყოველ დღით აბაზანის გამზადებას
ითხოვდა.

— ხალხს ადვილად უახლოვდებოდა? — ვკითხე მოჩვენე-
ბითი ბუნებრიობით, — თუ მარტო ყოფნას ამჯობინებდა?

— თუ არ ვცდები, აქ მამასთან ერთად იყო, — არცთუ
დარწმუნებით თქვა ადმინისტრატორმა.

ერთხანს სამ თუ ოთხ ინგლისელში გარკვევას ვცდილობ-
დით, რომლებიც სასტუმრო „ბომონში“ ბოლო ათი წლის გან-
მავლობაში იმყოფებოდნენ. როგორც შევატყვე, სებასტიანი
არ უნდა ხსომებოდა.

— რომ არ დაგიმალოთ, — ვუთხარი გათამამებულმა, —
ერთი ქალბატონის, ჩემი ძმის ნაცნობის მისამართის გაგება
მინდა. ისინი აქ ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდნენ.

ადმინისტრატორმა წარბები ოდნავ ასწია და მაშინვე უსი-
ამოვნო განცდა დამეუფლა, რომ უხეში შეცდომა დავუშვი.

— რატომ? — მკითხა მან („ხომ არ მოვქრთამო?“ — გამი-
ელვა თავში).

— უნდა გითხრათ, მზად ვარ, გადაგიხადოთ ჩემთვის სა-
ჭირო ცნობების მოსაძებნად განეული შრომისთვის, — მივუ-
გე მე.

— რომელი ცნობებისთვის? — დაინტერესდა ის („ბებერი
საეჭვო ვირი“ — დაე, არასდროს მოჰკრას თვალი ამ სიტყ-
ვებს).

— მინდა, ვიცოდე, — განვაგრძე მოთმინებით აღჭურვილ-
მა, — ხომ ვერ შეძლებდით, დამხმარებოდით ერთი ქალბატო-
ნის მისამართის დადგენაში. ის აქ იმავე დროს ცხოვრობდა,
როდესაც მისტერ ნაითი, ანუ 1929 წლის ივნისში.

— რომელი ქალბატონის? — მკითხა ლუის კეროლისეული
მუხლუხის სოკრატესეული ინტონაციით.

— მისი სახელი არ ვიცი, — ვუთხარი ცოტათი გაღიზიანე-
ბულმა.

— თუ ასეა, როგორ უნდა მოვძებნო? — თქვა და მხრები
აიჩეჩა.

— ის ქალი რუსია, — ვთქვი მე, — იქნებ გახსოვთ რუსი
ქალბატონი — ახალგაზრდა — და.. ე-ე... კარგი გარეგნობის?

— Nous avons eu beaucoup de jolies dames¹, — მომიგო უფრო
ცივად, — ყველას რა დაიმახსოვრებს.

— უფრო მარტივი იქნება, — ვთქვი მე, — თუ თქვენს სა-
რეგისტრაციო წიგნებს დაათვალიერებთ და იქიდან 1929
წელს აქ გაჩერებული ხალხის რუსულ სახელებს ამოიწერთ.

— ასეთი არაერთი იქნება, — მითხრა მან, — თუ სახელი
არ იცით, როგორ გაიგებთ, რომელი გჭირდებათ?

— სახელები და მისამართები მომეცით და ამას თვითონ
გავარკვევ, — ვუთხარი სასონარკვეთილმა.

მან ღრმად ამოიოხრა, თავი გადააქნია და თქვა:

— არა.

— იმის თქმა გსურთ, რომ სარეგისტრაციო წიგნები არა
გაქვთ? — ვკითხე, რაც შემეძლო, მშვიდად.

¹ (ფრ.) ჩვენთან ბევრი ლამაზი ქალი ჩერდება.

— ოჰ, ცხადია, მაქვს, აბა, როგორ? ჩემს საქმეში წესრიგი აუცილებელია. ყველა სახელი მიწერია, ეჭვი არ შეგეპაროთ... იგი ოთახის სიღრმეში შევიდა და მალე დიდი, შავყდიანი წიგნი გამოიტანა.

— აი, გთხოვთ, — თქვა მან, — 1935 წლის ივლისის პირველი კვირა... პროფესორი ოტი მეუღლითურთ, პოლკოვნიკი სამენი...

— მომისმინეთ, — ვუთხარი მე, — 1935 წლის ივლისი არ მაინტერესებს. მე მჭირდება...

კაცმა წიგნი დახურა და უკან წაიღო.

— მე მხოლოდ იმის ჩვენება მინდოდა, — მითხრა ზურგ-შექცევით მდგომმა, — რომ (საკეტმა გაიტკაცუნა) ყველა წიგნი სანიმუშოდ მაქვს მოწესრიგებული.

იგი მაგიდასთან დაბრუნდა და ბლოკნოტზე დადებული წერილი შუაზე გაკეცა.

— 1929 წლის ზაფხული, — წარმოვთქვი მავედრებელი ხმით, — რატომ არ გინდათ, ჩემთვის საჭირო გვერდები მანახვოთ?

— იმიტომ, — მიპასუხა მან, — რომ წესი არ არის. ჯერ ერთი, არ მინდა, ჩემთვის სრულიად უცნობმა ადამიანმა ყოფილი თუ მომავალი მდგომარეობები შეაწუხოს. მეორე — ვერ გამიგია, ასე რატომ გჭირდებათ იმ ქალის ნახვა, რომლის სახელის თქმა არ გსურთ. მესამე — რატომ ავიტკივო აუტკივარი თავი? უსიამოვნება ისედაც არ მაკლია. აი, კუთხეში მდებარე სასტუმროში შვეიცარიელების წყვილი ცხოვრობდა. მათ სწორედ 1929 წელს მოიკლეს თავი, — დაამატა მან, თუმცა ვერ მივხვდი, რატომ.

— ეს თქვენი საბოლოო სიტყვაა? — ვკითხე მე.

მან თავი დამიქნია და საათს შეხედა. მკვეთრად შევტრიალდი, გავედი და კარი გავიჯახუნე, — ყოველ შემთხვევაში, გაჯახუნება ვცადე, — მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, პნევმატური აღმოჩნდა, ამორტიზატორით.

ნელი ნაბიჯით სადგურისკენ გავემართე. პარკი. სებასტიანს სიკვდილის წინ, შესაძლოა, სწორედ ეს კედრის ქვეშ მდგარი ქვის სკამი გაახსენდა. აი, იმ მთის მოხაზულობა კი რომე-

ლილაც დაუვინყარი სალამოს ავტოგრაფად გამოდგებოდა. ეს ადგილი ნაგვის გიგანტურ გროვად წარმომიდგა, რომელშიც ვიცოდი, რომ მუქი ძვირფასი ქვა ეგდო. სულელური, საშინელი, მტანჯველი მარცხი განვიცადე. ტყვიისებრი სიმძიმე ძილში ჩემს ყოველგვარ აქტიურობას აღკვეთდა. უიმედოდ ვაფათურებდი ხელებს მიმოფანტულ ნივთებს შორის. რატომ ამიმხედრდა წარსული ასე?

„ახლა რა ვიღონო?“ ცხოვრების აღწერის იმ მდინარის ერთ-ერთი ბოლო კლაკნილი, რომელშიც ასე მინდოდა შესვლა, სუსტ ბურუსს დაეფარა — როგორც ის დაბლობი, რომელსაც გავყურებდი. ყველაფერი ასე დამეტოვებინა თუ მაინც დამენერა წიგნი? წიგნი თეთრი ლაქით. დაუმთავრებელი ნახატი: წამებული გვერდში გარჭობილი ისრებით, დახატული კიდურებით, რომელზეც საღებავი ჯერ არ დაედოთ.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს გზა ამებნა და არ ვიცოდი, რომელი გზა ამერჩია. ისე დიდხანს ვფიქრობდი სებასტიანის უკანასკნელი სიყვარულის მოძებნის ხერხებზე, ვხვდებოდი, რომ იმ ქალის სახელის გაგების სხვა გზა, პრაქტიკულად, არ არსებობდა. იმ ქალის სახელი! ვგრძნობდი, რომ მაშინვე ვიცნობდი, როგორც კი ამ გაზინთულ შავ ფოლიანტებამდე მივალწევდი. იქნებ მიმეტოვებინა ეს საქმე და სებასტიანთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის შეგროვებას შევდგომოდი, რომელიც მჭირდებოდა, თანაც ვიცოდი, სად მომეპოვებინა?

აი, ასეთი გონებაგაფანტული ჩავჯექი ნელა მოძრავ ადგილობრივ მატარებელში და უკან, სტრასბურგისკენ გავემგზავრე. იქიდან, შესაძლოა, შვეიცარიაში გადავსულიყავი... მაგრამ არა, ვერაფერს ვუხერხებდი საკუთარი მარცხით გამონვეულ მძაფრ ტკივილს, თუმცა მისი დავინყება თან წაღებული ინგლისური გაზეთის კითხვით ვცადე: ეს, ასე ვთქვათ, ჩემი გაკვეთილი იყო — მხოლოდ ინგლისურად უნდა მეკითხა იმ სამუშაოს მოლოდინში, რომელიც ახლო მომავალში მელოდა... თუმცა როგორ დამენყო ის, რაც თავში ასე დაუმთავრებელი სახით იყო?

კუპეში მარტო ვიჯექი (ჩვეულებრივ, ასე ხდება ხოლმე ასეთი მატარებლების მეორე კლასის ვაგონებში), მაგრამ მომდევნო გაჩერებაზე ჩემთან დაბალი, ხშირწარბებიანი კაცი შემოვიდა, ევროპულ ყაიდაზე, ოლონდ ძლიერი ხორხისმიერი წარმოთქმით მომესალმა და ჩემ წინ დაჯდა. მატარებელი პირდაპირ დაისისკენ მიემართებოდა. უეცრად შევამჩნიე, რომ ჩემი მეზობელი გასხივოსნებული სახით მიყურებდა.

— საუცხოო ამინდია, — თქვა მან, ქვაბქუდა მოიხადა და ერთიანად ვარდისფერი სიქაჩლე გამოაჩინა, — ინგლისელი ბრძანდებით? — მკითხა თავის ქნევითა და ღიმილით.

— დიახ, ამჟამად ასეა, — მივუგე მე.

— ვხედავ, დავინახე, რომ ინგლისურ დჟორნალს კითხულობთ, — მითხრა და თითი გაიშვირა, შემდეგ კი სწრაფად გაიძრო მოყვითალო ყავისფერი ხელთათმანი და კვლავ მიმითითა (ალბათ, ვილაცამ უთხრა, რომ ხელთათმნიანი თითის გაშვერა უზრდელობა იყო). რალაც ჩავიბურტყუნე და განზე გავიხედე: არ მიყვარს მგზავრობისთვის დამახასიათებელი ლაქლაქი, იმნუთას კი საერთოდ არ ვიყავი მისდამი განწყობილი. მან ჩემს მზერას თვალი გააყოლა. ჩამავალ მზეს იმ უზარმაზარი შენობის უამრავი ფანჯარა გაენათებინა, რომელიც, სანამ მატარებელი გრუხუნით ჩაუვლიდა, ნელა ტრიალდებოდა და ერთიმეორის მიყოლებით აჩენდა უშველებელ საკვამურებს.

— ეს არის, — თქვა კაცუნამ, — „ფლამბაუმი და როტი“, დიდი შენობა, ფაბრიკა. ქალაქი.

ამას მცირე პაუზა მოჰყვა. მან დიდი, პრიალა ცხვირი მოიფხანა და ჩემკენ დაიხარა.

— მე ვიყავი, — გამანდო ტრაბახით, — ლონდონი, მანჩესტერი, შეფილდი, ნიუკასლი.

შემდეგ თავის მოუხრელად დარჩენილ ცერს დახედა.

— დიახ, — თქვა მან, — სათამაშო საქმე. ომამდე. ცოტა ფეხბურთსაც ვთამაშობდი, — დაამატა, როცა შეამჩნია, რომ, სავარაუდოდ, უსწორმასწორო მინდორს გავცქეროდი, რომლის კიდეებშიც უხალისოდ იდგა ორი კარი — ერთს ზედა ძელი აკლდა.

თვალი ჩამიკრა. პატარა უღვაში გაეფარჩხა.

— ერთხელ, რომ იცოდეთ, — მითხრა და უხმოდ სიცილის-გან ტანი აუცახცახდა, — ერთხელ, რომ იცოდეთ, ვისვრი, ვისროლე ბურთი და აუტიდან პირდაპირ გოლში.

— მართლა? — ვკითხე დაღლილი ხმით, — მოარტყით?

— ქარმა მოარტყა. ეს რობინზონადა იყო!

— რა ბრძანეთ?

— რობინზონადა — მშვენიერი ფოკუსია. დიახ... შორს მოგზაურობთ? — დაინტერესდა შემპარავი, უთავაზიანესი ხმით.

— ეს მატარებელი, — მივუგე, — სტრასბურგს იქით არ მიდის, ასე არაა?

— არა, მე მაქვს, მქონდა მხედველობაში ზოგადად. მოგზაურობთ?

ვუპასუხე, რომ დიახ, ვმოგზაურობდი.

— რაში? — მკითხა და თავი ოდნავ გვერდზე გადახარა.

— ოჰ, ვფიქრობ, წარსულში, — ვთქვი მე.

თავი ისე დამიქნია, თითქოს მიხვდა, შემდეგ კვლავ ჩემკენ გადმოიხარა, მუხლზე შემეხო და მითხრა:

— ახლა ტყავს ვყიდი — თქვენ იცით — ტყავის ბურთებს, სხვებისთვის სათამაშოდ. მოხუცი! ღონე არ არის! კიდევ სადრუნჩეებს ძაღლებისთვის და მისთანებს.

მან კვლავ მომითათუნა ხელი მუხლზე და მითხრა:

— მაგრამ ადრე, წინა წელს, წინა ოთხ წელს, პოლიციაში ვიყავი — არა, არა, სულ არა, მთლიანად არა... სამოქალაქო ტანსაცმელში. ხვდებით?

მოულოდნელად თავში რალაცამ გამიელვა და ინტერესით შევხედე.

— მოითმინეთ! — შევძახე, — თქვენ მე იდეა მომანოდეთ...

— დიახ, — თქვა მან, — თუ დახმარება გინდათ, კარგი ტყავია, cigarette'itui¹, ქამრები, რჩევა, კრივის ხელთათმანები...

— მეხუთე და, შესაძლოა, პირველი, — ვთქვი მე.

მან თავისი ქვაბქუდა აიღო, რომელიც იქვე იდო, აკურა-

¹ (ფრ.) პორტსიგარები.

ტულად დაიხურა (ამასთან ხორხის მალლობი აუდ-ჩაუდიოდა), შემდეგ გაბრწყინებული სახით, ღიმილით სწრაფად მოიხადა და მომესალმა.

— ჩემი გვარი ზილბერმანია, — მითხრა და ხელი გამომინოდა. ჩამოვართვი და საკუთარი თავი წარვუდგინე.

— ეს ინგლისური არ არის! — შესძახა მან და ხელი მუხლზე დაირტყა, — ეს რუსულია! Gavrit parusski! კიდეც ვიცი რამდენიმე სიტყვა... მადროვეთ... დიახ! კუკოლკა! ეს პატარა თოჯინაა.

იგი წუთით ჩაფიქრდა. მის მიერ მოწოდებულ იდეაზე ვფიქრობდი. კერძო სამძებრო სააგენტოსთვის ხომ არ მიმემართა? იქნებ ამ კაცუნას თვითონაც შეეძლო ჩემი დახმარება?

— რიბა! — იყვირა მან, — ესეც კიდეც ერთი. თევზი, არა? და... დიახ. ბრატ, მილი ბრატ — ძვირფასო ძმაო.

— აი, რა გავიფიქრე, — ვთქვი მე, — იქნებ ჩემი რთული მდგომარეობა ალგინეროთ, შესაძლოა...

— სულ ეს არის, — თქვა მან ამოოხვრით, — მე ვლაპარაკობ (აქ კვლავ თითების მოკეცვას შეუდგა) ლიტვური, გერმანული, ინგლისური, ფრანგული (ცერი კვლავ გამლილი დარჩა). რუსული დამავიწყდა. სულ! მთლიანად!

— ხომ ვერ შეძლებდით... — დავიწყე მე.

— ყველაფერი, რასაც ინებებთ, — თქვა მან, — ტყავის ქამრები, საფულეები, ჩანერის წიგნაკები, რჩევები.

— რჩევები, — ვთქვი მე, — საქმე ისაა, რომ ერთი ადამიანის მოძებნას ვცდილობ... რუსი ქალბატონის, რომელიც არასდროს მინახავს და მისი არც სახელი ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთხანს ბლაუბერგის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდა.

— აჰ, კარგი ადგილია, — თქვა მისტერ ზილბერმანმა, — ძალიან კარგი, — მან ტუჩებით მოწონება გამოხატა, — კარგი წყალი, სეირნობა, კაზინო. რა გინდათ, რომ გაგიკეთოთ?

— ჯერ იმის გაგება მინდა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში.

¹ (რუს.) ლაპარაკობთ რუსულად?

— აჯობებს, დატოვოთ, — სწრაფად ჩაილაპარაკა მისტერ ზილბერმანმა.

შემდეგ თავი წინ გადმოსწია და ხშირი წარბები აამოძრავა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, — ვთქვი მე, — აქ მთავარია როგორ და არა რატომ...

— ყოველ „როგორს“ თავისი „რატომ“ აქვს, — განაცხადა მისტერ ზილბერმანმა, — თქვენ ნახეთ მისი ფიგურა, მისი სურათი, ახლა კი თვითონ მისი ნახვა გინდათ, არა? ეს არ არის სიყვარული. პაფ! ზედაპირია!

— ოჰ, არა, — შევძახე მე, — ასე არაა. არც კი ვიცი, როგორ გამოიყურება. საქმე ისაა, რომ ჩემი ძმა გარდაიცვალა. მას ის ქალი უყვარდა და მინდა, მან მის შესახებ მიამბოს. ეს ძალზე მარტივია.

— სამწუხაროა, — თქვა მისტერ ზილბერმანმა და თავი გადააქნია.

— მასზე წიგნის დაწერას ვაპირებ, — განვაგრძე, — მისი ცხოვრების ყოველი წვრილმანი მაინტერესებს.

— რა სტკიოდა? — ჩახრინნული ხმით მკითხა მისტერ ზილბერმანმა.

— გული, — მივუგე.

— გული! ცუდია. ძალიან ბევრი გაფრთხილება, ძალიან ბევრი... გენერალური... გენერალური...

— სიკვდილის გენერალური რეპეტიცია. დიახ, ასეა.

— დიახ, რამდენი წელი?

— ოცდათექვსმეტი. წიგნებს წერდა, დედის გვარით. ნაითი. სებასტიან ნაითი.

— აქ დაწერეთ, — მითხრა მისტერ ზილბერმანმა და ძალზე კოხტა, ახალი უბის წიგნაკი გამომიწოდა, რომელსაც თან ლამაზი ვერცხლისფერი ფანქარი ახლდა. შემდეგ იქიდან ერთი ფურცელი აკურატულად, ხმაურით ამოხია და ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენი კი მე მომცა.

— მოგწონთ, არა? — მითხრა და თვალებში შემომხედა, — ნება მომეცით, პატარა საჩუქარი.

— მშვენიერია, მაგრამ... — დავაპირე, უარი მეთქვა.

— არაფერია, არაფერია, — თქვა მან და ხელი ჩაიქნია, — მაშასადამე, რა გინდათ?

— მინდა, — მივუგე, — იმ ადამიანების სრული სია მქონდეს, რომლებიც 1929 წლის ივნისში სასტუმრო „ბომონში“ ცხოვრობდნენ. სასურველია, ვიცოდე, ვინ არიან ისინი, ქალები მაინც. მისამართები მჭირდება. უნდა დავრწმუნდე, უცხო სახელის მიღმა რუსული ხომ არ იმალება. ამის შემდეგ ყველაზე შესაძლებელს ან შესაძლებლებს ავირჩევ...

— ...და მათ პოვნას ეცდებით, — თქვა მისტერ ზილბერმანმა და თავი დააქნია, — კარგია! ძალიან კარგია! მე მქონდა, მაქვს სასტუმროს ყველა მცხოვრები აი, აქ (ხელისგული მაჩვენა), და ეს ადვილი იქნება. თქვენი მისამართი მომეცით, გეთაყვა.

მან კიდევ ერთი უბის წიგნაკი ამოიღო, ამჯერად ძალზე შელახული, რომლიდანაც ზოგიერთი, ნაწერით გავსებული გვერდი შემოდგომის ფურცლებივით ცვიოდა. ვუთხარი, რომ სტრასბურგში ფეხმოუცვლელად დაველოდებოდი.

— პარასკევი, — მითხრა მან, — ექვს საათზე, ზუსტად.

ეს რომ თქვა, საოცარი კაცუნა უკან გადაწვა, გულხელი დაიკრიფა და თვალები დახუჭა. დასრულებულმა საქმემ თითქოს ჩვენი საუბარიც დაასრულა. შუბლზე ბუზი ეჯდა, თუმცა ამას ყურადღებას არ აქცევდა და არ ინძრეოდა. სტრასბურგამდე ეძინა, იქ კი ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

— მომისმინეთ, — ვუთხარი ხელის ჩამორთმევის შემდეგ, — თქვენი ჰონორარი უნდა მითხრათ... ანუ მზად ვარ, იმდენი გადავიხადო, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევთ... იქნებ ავანსი გჭირდებათ...

— წიგნი გამომიგზავნეთ, — შემახსენა და ცერი ასწია, — თან შესაძლო დანახარჯი ამინაზლაურეთ, — დაამატა ჩუმად, — რასაკვირველია!

თავი მეოთხმეტე

ასე მივიღე ორმოცდაორი სახელისგან შემდგარი სია. მათ შორის სებასტიანისაც იყო (ს. ნაითი, ოუქპარკვარდენსი, 36, ლონდონი, სამხრ.-დას.), რომელიც უცნაურად საყვარლად მოჩანდა და აქ ვინ იცის, როგორ მოხვედრილიყო. განცვიფრებული ვიყავი (სასიამოვნოდ) იმით, რომ სახელებისა და გვარების გასწვრივ მისამართებიც მიენერათ: ზილბერმანმა სხაპასხუპით ამიხსნა, რომ ბლაუბერგში ხშირად იხოცებოდა ხალხი. ორმოცდაერთი უცნობიდან ოცდაჩვიდმეტი „საკითხის მიღმა დარჩა“, როგორც თვითონ თქვა. მართალია, სამ მათგანს (გაუთხოვრებს) რუსული სახელი ერქვა, ერთი გერმანელი იყო, მეორე — ელზასელი: ისინი ხშირად ჩერდებოდნენ იმ სასტუმროში. ერთგვარ ეჭვს ერთი ქალიშვილიც იწვევდა, რომელსაც ვერა რაზინა ერქვა, მაგრამ ზილბერმანმა დაადგინა, რომ ის ფრანგი იყო, მოცეკვავე, და სტრასბურგელი ბანკირის კმაყოფაზე ცხოვრობდა. პოლონელი წყვილი თითქმის მაშინვე გამოვრიცხეთ. ამ ჯგუფიდან ყველა დანარჩენი „საკითხის მიღმა დარჩა“, ანუ ოცდათერთმეტი პიროვნებიდან ოცი ასაკოვანი მამაკაცი იყო, რომელთაგანაც რვა იყო ცოლიანი, ყოველ შემთხვევაში, მეუღლეებთან (ემა, ჰილდეგარდი, პოლინა და ა.შ.) ერთად ჩამოსულიყვნენ, და ზილბერმანმა დამარწმუნა, ყველანი ხანდაზმულები არიან და არავითარ შემთხვევაში, რუსებიო.

ამგვარად, ოთხი სახელიღა რჩებოდა.

მადმუაზელ ლიდია ბოჰემსკაია, პარიზის მისამართით. სასტუმროში ცხრა დღე დაჰყო სებასტიანის იქ ჩასვლის სან-

ყის პერიოდში. ადმინისტრატორს მის შესახებ მეტი არაფერი ახსოვდა.

მადამ დე რეჩნოი. პარიზში სებასტიანზე ერთი დღით ადრე გაემგზავრა. ადმინისტრატორის თქმით, ეს ახალგაზრდა მაღალი წრის წარმომადგენლის ელეგანტურობით გამოირჩეოდა და მოსამსახურე პერსონალს წვრილმან გასამრჯელოს გულუხვად ურიგებდა. მისი „დე“ ცნობილი კატეგორიის რუსებზე მიმანიშნებდა, რომელთაც თავიანთი წარმოშობის ხაზგასმა უყვარდათ, თუმცა რუსული გვარის წინ ფრანგული *particule*¹-ის დასმა, კაცმა რომ თქვას, არა მხოლოდ სულელური, არამედ უკანონო საქციელიცაა. შესაძლოა, თავგადასავლებს ეძებდა, შესაძლოა, ვიღაც ბობოლას ცოლი იყო.

ელენ გრინშტეინი. ეს ებრაული გვარი, დაბოლოების მიუხედავად, გერმანელ ებრაელებს არ უკავშირდებოდა. „ი“ და „გრინი“, ბუნებრივი „უ“-ს ნაცვლად, რუსულ ფესვებზე მიანიშნებდა. იგი სებასტიანის გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ჩამოსულა და იქ კიდევ სამი დღით დარჩენილა. როგორც ადმინისტრატორმა თქვა, ლამაზი ყოფილა. იქ ადრე თურმე ერთხელაც გაჩერებულა, ისე კი ბერლინში ცხოვრობდა.

ელენ ფონ გრაუნი. აი, ნამდვილი გერმანული გვარი. თუმცა ადმინისტრატორს კარგად ახსოვდა, რომ იგი ზოგჯერ რუსულად მღეროდა. საუცხოო კონტრალტო და შესანიშნავი გარეგნობა ჰქონია. იქ მთელი თვე უცხოვრია, პარიზში კი სებასტიანზე ხუთი დღით ადრე გამგზავრებულა.

ყველა ეს წვრილმანი და ოთხივე მისამართი საგულდაგულოდ ჩავინერე. მათგან ნებისმიერი შეიძლებოდა ის ყოფილიყო, ვისაც ვეძებდი. გულწრფელად გადავუხადე მადლობა მისტერ ზილბერმანს, რომელიც ჩემ წინ იჯდა და შლაპა მიტყუპებულ მუხლებზე ედო. მან ამოისუნთქა და თავისფერი, მოკლე, ძველი გეტრებით დაფარული პატარა, შავი, ყელიანი ფეხსაცმლის ჭვინტებზე დაიხედა.

— ეს იმიტომ გავაკეთე, — თქვა მან, — რომ თქვენდამი სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ... (თავისი გაბრწყინებული

¹ (ფრ.) ნანილაკი.

თაფლისფერი თვალებით მავედრებელი მზერა მომაპყრო) მაგრამ, გეთაყვა, ვფიქრობ, ეს უსარგებლოა. მთვარის უკანა მხარის დანახვა შეუძლებელია. შეწყვიტეთ, თუ შეიძლება, იმ ქალის ძებნა. წარსული — წარსულია. მას თქვენი ძმა არ ახსოვს.

— მე გავახსენებ, — ვთქვი სახემოღუშულმა.

— როგორც გენებოთ, — ჩაიბურტყუნა მან, მხრებში გაიმართა, პალტო შეიკრა და წამოდგა.

— ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, — მითხრა მისთვის ჩვეული ღიმილის გარეშე.

— მოითმინეთ, მისტერ ზილბერმან, საქმე ჯერ არ დაგვიმთავრებია. თქვენი რამდენი მმართველს?

— დიახ, მართალია, — თქვა მან და კვლავ დაჯდა, — ერთი წუთით.

ზილბერმანმა მუდმივ კალამს თავი მოახრახნა, რამდენიმე რიცხვი დაწერა და დახედა, თან კალმის ბოლოს კბილებზე იკაკუნებდა, — დიახ, სამოცდარვა ფრანკი.

— ეს ხომ ძალზე ცოტაა, — ვთქვი მე, — იქნებ...

— მოიცადეთ! — შესძახა მან, — შემეშალა. დამავინყდა... ის უბის წიგნაკი თუ გაქვთ, მე რომ გაძლევთ... მოგეცით?

— დიახ, მაგრამ... — ჩავილაპარაკე მე, — მასში უკვე ჩავწერე რალაც. მეგონა...

— ასეთ შემთხვევაში, სამოცდარვა ფრანკი კი არ იქნება, — თქვა და მის მიერ გაკეთებული გაანგარიშება სწრაფად ჩაასწორა, — არამედ... მხოლოდ თვრამეტი, ვინაიდან წიგნაკი ორმოცდაათი ღირს. სულ თვრამეტი ფრანკი გამოდის. გზის ხარჯი.

— როგორ... — ძლივს წარმოვთქვი მისი არითმეტიკით თავგზააბნეულმა.

— არა, ახლა სწორია, — თქვა მისტერ ზილბერმანმა.

ოცფრანკიანი მონეტა მოვიძიე, თუმცა ასჯერ მეტსაც სიხარულით გადავუხდიდი, ამის ნება რომ მოეცა.

— აჰა, ახლა მე მმართველს თქვენი. დიახ, სწორია, თვრამეტი და ორი ოცი იქნება, — განაცხადა მან და შუბლი შეიჭმუნა, — დიახ, ოცი. ეს თქვენია.

მისტერ ზილბერმანმა მაგიდაზე მონეტა დამიტოვა და წავიდა.

არ ვიცი, როგორ გავუგზავნი მას ჩემს ნაშრომს, როდესაც დასრულებული მექნება: ამ სასაცილო კაცუნას თავისი მისამართი არ დაუტოვებია, მე კი თავში იმდენი სხვა საკითხი მიტრიალებდა, რომ თხოვნა დამავიწყდა, მაგრამ თუ ოდესმე მაინც ჩაუვარდება ხელში „სებასტიან ნაითის ნამდვილი ცხოვრება“, მინდა იცოდეს, რომ დახმარებისთვის მისი დიდი მადლობელი ვარ. და უბის წიგნაკისთვისაც. ახლა ის თითქმის სულ შევსებული მაქვს და როდესაც ბოლომდე ჩავათავებ, მასში ახალ ფურცლებს ჩავამატებინებ.

მისტერ ზილბერმანის წასვლის შემდეგ ყურადღებით შევისწავლე ის ოთხი მისამართი, რომლებიც მან სასწაულებრივად მოიპოვა ჩემთვის, და გადავწყვიტე, ბერლინიდან დამეწყო. თუ იმედგაცრუება მელოდა, სამი პარიზული შესაძლებლობა კიდევ დამრჩებოდა, მათ მოვკიდებდი ხელს და აღარც ხანგრძლივი მოგზაურობა დამჭირდებოდა, ხანგრძლივი და თანაც მომქანცველი, ვინაიდან იმ დროისთვის უკვე მეცოდინებოდა, რომ უკანასკნელი კარტილა მრჩებოდა. და პირიქით, თუ ჩემი პირველივე მცდელობა წარმატებული აღმოჩნდებოდა, მაშინ... თუმცა, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს... განგებამ გულუხვად დამაჯილდოვა ამ გადაწყვეტილებისთვის.

დიდრონი სველი ფანტელები ცერად ეცემოდა პასაჟერ-შტრასეზე, დასავლეთ ბერლინში, როდესაც მივუახლოვდი ერთ ძალზე უშნო, ძველ სახლს, რომლის ფასადის ნახევარსაც ტყე ფარავდა. მეკარის ოთახის ფანჯარაზე მივაკაკუნე. ვილაცამ მარმაშის ფარდა მკვეთრად გადასწია, სარკმელი ხმაურით გააღო და მსუქანმა, ლოყებშენითლებულმა მოხუცმა ქალმა კუმტად დამიდასტურა, რომ ფრაუ ელენ გრინშტეინი აქ ცხოვრობდა. აღფრთოვანებისგან გულაფანცქალებული კიბეს ავუყევი. კარზე მიკრულ სპილენძის ფირფიტაზე ეწერა: „გრინშტეინი“.

მდუმარე, შავჭალსტუხიანმა, ფერმკრთალმა, წარბშექმუხნილმა ბიჭმა შიგნით ვინაობის უკითხავად შემიშვა, შეტ-

რიალდა და დერეფნის სიღრმეში გაუჩინარდა. ვინრო წინკარში, საკიდარზე, ბევრი პალტო ეკიდა. მაგიდაზე, ორ დიდებულ ცილინდრს შორის, თოვლისგან სველი ქრიზანთემების თაიგული იდო. ვინაიდან არავინ შემომეგება, ერთ-ერთ კარზე დავაკაკუნე, შევალე და მაშინვე მივხურე, თუმცა მოვასწარი და პატარა, მუქთმიან გოგონას მოვკარი თვალი, რომელსაც დივანზე ეძინა, ზემოდან კი თხუნელასბენვიანი პალტო დაეხურა. ერთხანს წინკარში ვიდექი, შემდეგ თოვლისგან დასველებული სახე გავინმინდე, ცხვირი მოვიხოცე, გამბედაობა მოვიკრიბე და დერეფანს გავუყევი.

ერთი კარი ოდნავ შეეღოთ. იქიდან ხმადაბალი რუსული საუბარი ისმოდა. ორ დიდ, ერთმანეთთან თითქოს თაღით შეერთებულ ოთახში ბევრ ხალხს მოეყარა თავი. როდესაც შევედი, ერთი-ორმა დამსწრემ თავი ჩემკენ მოაბრუნა, თუმცა ჩემს გამოჩენას ოდნავი ინტერესიც არ გამოუწვევია. მაგიდაზე სანახევროდ დაცლილი ჩაის ჭიქები და ნამცეცებიტ სავსე თეფში მოჩანდა. ერთი კაცი კუთხეში გაზეთს კითხულობდა. მაგიდასთან მჯდომ ნაცრისფერშალიან ქალს ლოყა ხელზე ჩამოედო, მაჯაზე ცრემლი უბრწყინავდა. ორნი თუ სამნი დივანზე წყნარად ისხდნენ. გოგონა, რომელიც სხვა ოთახში მძინარეს მივამსგავსე, სავარძელში მოკუნტულ ბებერ ძაღლს ეფერებოდა. მეზობელ ოთახში, სადაც ზოგი იჯდა, ზოგიც მიდი-მოდიოდა, ვიღაცამ სიცილი თუ სულმოუთქმელად ქვითინი დაიწყო. ამ დროს იმ ბიჭმა ჩამიარა წყლით სავსე ჭიქით ხელში, წინკარში რომ შემხვდა. მას რუსულად ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა მისის ელენ გრინშტეინთან გასაუბრება.

„დეიდა ელენ“, — უთხრა მან ზურგით მდგარ გამხდარ, მუქთმიან ქალს, რომელიც სავარძელში მოკუნტული მოხუცი ჯენტლმენის თავზე დახრილიყო. იგი შემოტრიალდა, მომიახლოვდა და დერეფნის მეორე მხარეს მდებარე პატარა სასტუმრო ოთახში გადასვლა შემომთავაზა. ძალიან ახალგაზრდა და გრაციოზული იყო, მომცრო, პუდრწასმული სახე და მოგრძო, ალერსიანი, თითქოს საფეთქლებისკენ გაჭიმული

თვალეები ჰქონდა. შავი ჯემპრი ეცვა. ხელეები სინატიფით კისერს არ ჩამოუვარდებოდა.

— კაკ ეტო უყასნო... რა საშინელებაა, — ჩაიჩურჩულა მან.

საკმაოდ სულელურად მივუგე, მგონი, უდროო დროს მოვედი-მეთქი.

— ოჰ, — თქვა მან, — ვიფიქრე... — შემომხედა და განაგრძო, — დაბრძანდით. მომეჩვენა, რომ დაკრძალვაზე გნახეთ... არა? საქმე ისაა, რომ მაზლი გარდამეცვალა და... არა, არა ბრძანდებოდეთ. საშინელი დღეა.

— არ მინდა, შეგანუხოთ, — ვთქვი მე, — აჯობებს, წავიდე... მხოლოდ ჩემი ნათესავის შესახებ მინდოდა თქვენთან დალაპარაკება... რომელსაც, თუ არ ვცდები, იცნობდით... ბლაუბერგიდან... მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს...

— ბლაუბერგიდან? იქ ორჯერ ვიყავი, — თქვა მან და შეკრთა, რადგან სადღაც ტელეფონმა დარეკა.

— მას სებასტიან ნაითი ერქვა, — ჩავილაპარაკე, თან მის შეუღლებავ, ნაზ, ათრთოლებულ ტუჩებს ვუყურებდი.

— არა, ასეთი ადამიანის შესახებ არასდროს მსმენია, — მითხრა მან, — არა.

— იგი ნახევრად ინგლისელი იყო, — განვუმარტე ქალს, — წიგნებს წერდა.

თავი გადააქნია, შემდეგ კი კარისკენ შეტრიალდა, რომელიც მისმა სიტყვაძუნწმა ძმისშვილმა გააღო.

— სონია ნახევარ საათში მოვა, — თქვა ბიჭმა. ქალმა თავი დაუქნია და ისიც წავიდა.

— არა, არ ვიცი... იმ სასტუმროში საერთოდ არავის ვიცნობდი, — განაგრძო მან.

თავი დავუკარი და კვლავ მოვუბოდიშე.

— თქვენ რა გქვიათ? — მკითხა და დაჟინებით შემომხედა დაბინდული, ნაზი თვალეებით, რალაცით კლერს რომ მაგონებდა, — მგონი, უკვე მითხარით, მაგრამ დღეს თავგზააბნეულივით ვარ... აჰ, — თქვა მან, როდესაც თავი გავაცანნი, — ეს გვარი სადღაც მსმენია. თუ არ ვცდები, ამ გვარის ადამიანი პეტერბურგში დუელში მოკლეს, არა? მამათქვენი იყო?

აი, თურმე რა... მოითმინეთ. ვილაცამ... ამას წინათ... ვილაცამ სწორედ ეს შემთხვევა გაიხსენა. რა უცნაურია... ყოველთვის ასეა — ჯერ არაფერი, შემდეგ კი ერთიანად. დიახ... როზანოვები... ისინი თითქოს თქვენს ოჯახს იცნობდნენ და...

— როზანოვი ჩემი ძმის გიმნაზიელი ამხანაგის გვარია, — ვთქვი მე.

— თქვენ მათ სატელეფონო ცნობარში იპოვით, — განაგრძო ქალმა აჩქარებით, — უნდა გითხრათ, რომ მათ კარგად არ ვიცნობ, ახლა კი მოძებნის თავი არა მაქვს.

მას დაუძახეს, მე კი მარტო გავემართე წინკარისკენ. ერთი ხანდაზმული ჯენტლმენი ჩაფიქრებული სახით იჯდა ჩემს პალტოზე და სიგარას აბოლებდა. თავდაპირველად ვერაფრით მიხვდა, რა მინდოდა, თუმცა შემდეგ ბოდიშით ამავსო.

რატომღაც გული დამწყდა, რომ ელენ გრინშტეინი ის ქალი არ აღმოჩნდა. ვერც იქნებოდა ის ქალი, რომელმაც სებასტიანს ამდენი ტანჯვა მოუტანა. მისი ტიპის ქალები მამაკაცებს ცხოვრებას არ უნგრევენ, პირიქით — უქმნიან. აი, როგორი თავდაჯერებით უძღვებოდა იგი ოჯახს, რომელსაც დიდი უბედურება ეწვია, თან იმის ძალაც გამონახა, რომ აქ სრულიად უცხო და ზედმეტი ადამიანის რაღაც ფანტასტიკური საქმისთვის დაეთმო დრო. მან ხომ არა მხოლოდ მომისმინა, არამედ რჩევაც მომცა, რომლითაც დაუყოვნებლივ ვისარგებლე, და თუმცა ამ ადამიანებს არც ბლაუბერგთან ჰქონდათ რამე კავშირი და არც ჩემს უცნობ ქალთან, სებასტიანის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი გვერდი შევიძინე. ჩემზე უფრო სისტემატური გონების ადამიანი მას ამ წიგნის თავში მოაქცევდა, მაგრამ ჩემი კვლევა-ძიება უკვე განსაკუთრებული მაგიური და ლოგიკური გზით მიემართებოდა, და თუმცა ზოგჯერ მიჭირს იმ აზრის თავიდან მოშორება, რომ ის თანდათანობით ერთგვარ სიზმრად გადაიქცა და სინამდვილის სარჩულით საკუთარ ფანტაზიებს ქმნიდა, არ შემიძლია, არ ვაღიარო, რომ მას მაინც სწორი მიმართულებით მივყავდი, და ის, რომ სებასტიანის ცხოვრების აღწერის მცდელობისას ვალდებული ვარ, ერთხელ არჩეულ რიტმულ თანამიმდევ-

რობას მივყვე. თითქოს რაღაც უცნაური ჰარმონიის კანონს ემორჩილებო, შეხვედრა, რომელმაც სებასტიანის სიყრმისეული პირველი რომანი გამანდო, უკანასკნელი, ბნელით მოცული სიყვარულის გამოძახილის უშუალო სიახლოვეს აღმოჩნდა. მისი ცხოვრების ორი ტონალობა ერთმანეთს კითხვით მიმართავს, პასუხი კი მისივე ცხოვრებაა, ადამიანის შესახებ სიმართლესთან უფრო ახლოს მისვლა, უბრალოდ, შეუძლებელია. იგი თექვსმეტი წლის იყო, ასევე ქალიშვილიც. მუქი ქრება. ფარდა იწევა და თვალწინ ზაფხულის რუსული პეიზაჟი იშლება: მდინარის კლაკნილი, ნახევრად დაფარული მუქი ნაძვების ჩრდილით, ციცაბო თიხოვან ნაპირზე რომ იზრდება და თავისი უშავესი ანარეკლით თითქმის სწვდება მეორე, მცირედ დაქანებულ, მზიან, სურნელოვან, ჭაობის ყვავილებითა და ვერცხლისფერი საგველა ბალახით დაფარულ ნაპირს. სებასტიანი — მოკლედ შეკრეჭილი თმით, უქუდოდ, აბრეშუმის ფართო პერანგით, რომელიც ხან ბეჭებზე ეკრობა, ხან მკერდზე, იმის მიხედვით, წინ იხრება თუ უკან — ხასხასა მწვანე ნავში ზის და თავდავინყებით უსვამს ნიჩბებს. კიჩოზე ქალიშვილი შემომჯდარა, მაგრამ მას არ შევაფერადებთ: მხოლოდ კონტური, თეთრი მონახაზი, მხატვრის ფუნჯი რომ არ შეხებია. მუქი ლურჯი ჭრიჭინები აქეთ-იქით დახტიან და დუმფარების გადაშლილ ფოთლებზე ეშვებიან. ციცაბო ნაპირის წითელ თიხაზე სახელები, რიცხვები, სახეებიც კი ამოუკვეთიათ, საიდანაც თავ-თავიანთი სოროებიდან შიგადაშიგ მეკირიები ამოფრინდებიან ხოლმე და მალე უკანვე ბრუნდებიან. სებასტიანს კბილები უელავს. იგი ნიჩბებს თავს ანებებს და ნავი აბრეშუმისებრი შრიალით შესრიალდება ლელქაშში.

— ძალიან ცუდი მესაჭე ხარ, — ამბობს ის.

სურათი იცვლება: იმავე მდინარის სხვა კლაკნილი. ბილიკი პირდაპირ წყალთან მიდის, ჩერდება, ერთ ადგილს ტკეპნის, შემოტრიალდება და უხეშად თლილი ძელსკამის გარშემო გზას ხლართავს. სალამოვდება, მაგრამ ჰაერი კვლავაც ოქროსფერია, ქინქლა თავის პრიმიტიულ, მშობლიურ ცეკვას

ასრულებს მზის სხივში, ვერხვის ფოთლების ალყა რომ გაურღვევია, რომლებსაც, თავის მხრივ, იუდა დავინწყებიათ და, როგორც იქნა, საბოლოოდ გაშეშებულან.

სებასტიანი ძელსკამზე ზის და შავი რვეულიდან ხმამაღლა კითხულობს ინგლისურ ენაზე დაწერილ ლექსებს. შემდეგ უეცრად ჩუმდება: მისგან ოდნავ მარცხნივ, მდინარის წყნარი ზედაპირის თავზე, ქერათმიანი ნიმფის თავი ჩნდება და ნელ-ნელა შორდება, გრძელი ნაწნავები უკან ცურვით მიჰყვება. ნაპირზე მობანავე გამოდის და ცხვირს ნესტოზე ცერის მიჭერით იხოცავს. ეს სოფლის გრძელთმიანი ხუცესია. სებასტიანი გვერდით მჯდომი გოგონასთვის განაგრძობს კითხვას. მხატვარს ჯერაც არ შეუფერადებია თეთრი მონახაზი — გარდა გამხდარი, მზენაკრავი, მაჯიდან იდაყვამდე ღია ღინღლით დაფარული ხელისა.

ამჯერად სურათი ისე იცვლება, როგორც ბაირონის სიზმარში. ღამეა. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. წლების შემდეგ სებასტიანმა დაწერა: როდესაც ვარსკვლავებს შევყურებ, ისე ცუდად ვხდები, თითქოს მუცელგაფატრული ცხოველის შიგნეულობას მივშტერებივარო, მაგრამ იმ დროს ამ აზრს გამოხატვის ფორმა ჯერ არ მოეძებნა. ისე ბნელა, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანს. არც პარკის ხეივნის კვალი ჩანს სადმე, არადა, სადღაც აქ უნდა იყოს. უზარმაზარი ჩრდილები ერთმანეთს აბობლდებიან. ბუს კივილი ისმის. უცებ, საიდანღაც, სიბნელეში მწვანე წრე ჩნდება — განათებული ციფერბლატი (მონიფულობაში სებასტიანი საათებს აღარ სწყალობდა).

— აუცილებლად უნდა ნახვიდე? — ეკითხება ხმა.

უკანასკნელი ცვლილება: გადამფრენი წეროები მკაცრი V-ს ფორმით მიფრინავენ. მათი ნაზი კვნესა შენითლებული არყნარის თავზე, ლაჟვარდოვან ცაში იფანტება. სებასტიანი ჯერაც არ განმარტოებულა — ნაქცეულ, თეთრად შეთრთვილულ ხეზე ზის. მისი ველოსიპედი გვიმრებში ჩანოლილი ისვენებს და მანებს აბრჭყვიალებს. კემბერველის ნიმფალიდა¹ ხავერდოვანი ფრთების ქნევით გადაჭრილ ტოტზე ჯდე-

¹ ერთგვარი მუქფრთებიანი პეპელა.

ბა. ხვალ სებასტიანი ქალაქში უნდა დაბრუნდეს — ორშაბათს სწავლა იწყება. მაშასადამე, ეს დასასრულია? „რატომ ამბობ, რომ ზამთარში ვერ შევხვდებით?“ — კითხულობს ის მეორეჯერ თუ მესამეჯერ. პასუხი არ ისმის. „ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ეს სტუდენტი ბიჭი გიყვარს?“ სკამზე მჯდომი ქალიშვილის მოხაზულობა კვლავ ბუნდოვნად მოჩანს, გარდა წინამხრისა და გამხდარი, მზენაკრავი ხელისა, რომელშიც ველოსიპედის ტუმბო უჭირავს და აქეთ-იქით ატრიალებს. მისი სახელურით ხელს რბილ მინაზე სიტყვა *yes!* გამოჰყავს — ინგლისურად ეს არც ისე მკაცრად ჟღერს.

ფარდა ეშვება. დიახ, სულ ეს არის, ყრუ, მაგრამ აუტანელი ტკივილი. ველარ ჰკითხავს ბიჭს, ყოველდღე მის მეზობელ მერხზე რომ ზის: „შენი და როგორ არის?“ ვერც მოხუც მის ფორბსს, ზოგჯერ კვლავაც რომ მოდის, ვერ შეეკითხება იმ გოგონას შესახებ, რომელსაც აგრეთვე ამეცადინებდა. როგორ ივლის იმავე ბილიკებზე მომავალ ზაფხულს, როგორ დააკვირდება მზის ჩასვლას, როგორ ჩავა ველოსიპედით მდინარეზე (მაგრამ მომდევნო ზაფხული ფუტურისტ პოეტს, პანს მიეძღვნა)? გარემოებათა უცნაური დამთხვევის წყალობით, შარლოტენბურგის სადგურზე ჩამომდგარ პარიზის ექსპრესამდე ნატაშა როზანოვას ძმამ მიმიყვანა. ვუთხარი, როგორი უჩვეულო გრძნობა მეუფლებოდა, როდესაც მის დას — ახლა უკვე ორი ვაჟიშვილის ჩასუქებულ დედას — ჩვენი სიზმრების ქვეყანაში, რუსეთში შორეულ ფრენაზე ვესაუბრებოდი. მიპასუხა, რომ კმაყოფილი იყო ბერლინში თავისი სამსახურით. კვლავ ვცადე, როგორც ადრეც ამაოდ ვცდილობდი, რომ საუბარი სებასტიანის გიმნაზიის წლებზე გადამეტანა.

— ძალიან ცუდი მახსოვრობა მაქვს, — მითხრა მან, — თანაც ძალზე დაკავებული ვარ იმისთვის, რომ ჩვეულებრივი საკითხის გამო სენტიმენტები ვაფრქვიო.

— და მაინც, მაინც, — ვუთხარი მე, — ნუთუ განსაკუთრებულს ვერაფერს იხსენებთ, თუნდაც წვრილმანს, რაც გნებავთ — ყველაფერი გამომადგება...

¹ (ინგლ.) დიახ.

მას გაეცინა და მითხრა:

— თქვენ ხომ ახლახან ამდენი ხნის განმავლობაში ესაუბრეთ ჩემს დას, რომელსაც წარსული საოცრად ატკბობს. როგორც ამბობს, წიგნში ისეთად წარმოაჩინეთ, როგორიც მაშინ იყო. ამის დიდი იმედი აქვს.

— გთხოვთ, იქნებ რამე მაინც გაიხსენოთ, — ჯიუტად გავიმეორე.

— გეუბნებით, არ მახსოვს-მეთქი. უცნაური ადამიანი ხართ. უსარგებლოა, სრულიად უსარგებლო. არაფერია მოსაყოლი, ჩვეულებრივი სისულელის გარდა: ჩუმად ვინერდით, ვიზუთხავდით, მასწავლებლებს მეტსახელებს ვარქმევდით. ალბათ, მხიარული დრო იყო... მაგრამ უნდა გაგანდოთ, რომ თქვენი ძმა... როგორ გითხრათ... გიმნაზიაში თქვენი ძმა არცთუ ძალიან უყვარდათ...

თავი მეოთხე

მკითხველმა, შესაძლოა, შეამჩნია, რომ ვცდილობდი, ამ წიგნში, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად მიმექცია ყურადღება საკუთარი პიროვნებისადმი. თავს ვარიდებდი საკუთარი ცხოვრების გარემოებების აღწერას (თუკი ზოგჯერ გაკვირვებით ვახსენებდი მათ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, როგორ მიმდინარეობდა ჩემი ძიება). ამიტომაც თხრობის ამ ეტაპზე თავს აღარ შეგანწყენთ ზოგიერთი სამსახურებრივი უსიამოვნებით, პარიზში დაბრუნებულს რომ მელოდა, სადაც მეტ-ნაკლებად მუდმივად ვცხოვრობ — ისინი არაფრით უკავშირდება ჩემს კვლევას. და თუ ზოგჯერ, სასხვათაშორისოდ, მაინც შევეხები ხოლმე მათ, იმის ხაზგასასმელად, როგორ გამიტაცა სებასტიანის ბოლო სიყვარულის საიდუმლოს გამოცნობამ. ამან ისე ჩამითრია, რომ წინდაუხედავად უგულებელყავი ის გართულება, რომელიც ჩემს ხანგრძლივად არყოფნას შეეძლო გამოენვია. არ ვნანობდი, თავდაპირველად ბერლინის კვალს რომ გავყევი. ასე იყო თუ ისე, მან მოულოდნელად სებასტიანის წარსულის კიდევ ერთი თავი აღმომაჩენინა. ახლა შემეძლო, ერთი სახელი წამეშალა და კიდევ სამი შესაძლებლობა მრჩებოდა. პარიზის სატელეფონო ცნობარიდან შევიტყვე, რომ „გრაუნ (ფონ), ელენ“ და „რეჩნოი, პოლ“ (შევნიშნე, რომ „დე“ ნაწილაკი აკლდა) იმავე მისამართზე ცხოვრობდნენ, რომელიც ფურცელზე მეწერა. ქმართან შეხვედრა არ მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

მესამე ქალი, ლიდია ბოჭემსკაია, ვერც ჩვეულებრივ სატელეფონო ცნობარში აღმოვაჩინე და ვერც ბოტენის¹ შედეგრში, სადაც მისამართები უბნების მიხედვითაა ჩამოთვლილი. თუმცა ის მისამართი, რომელიც ჯიბეში მედო, მის კვალზე გასვლაში უნდა დამხმარებოდა. პარიზს საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობდი, ამიტომაც მაშინვე ჩამოვაყალიბე, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, ვიზიტების ოპტიმალური თანამიმდევრობა, რომელიც საქმეს ერთ დღეში დამასრულებინებდა. უნდა აღვნიშნო, — იმ შემთხვევისთვის, თუ მკითხველს ამ ჩემი საქმიანობის უცერემონიო სტილი გააოცებს, — რომ ტელეფონი წერილების წერაზე ნაკლებად როდი არ მიყვარს.

კარი, რომელზეც ზარი დავრეკე, ხმელ-ხმელმა, მაღალმა, გრუზათმიანმა, უპიჯაკო მამაკაცმა გამიღო. საყელოს ნაცვლად, ყელზე სპილენძის საკინძი ეკეთა. ხელში ჭადრაკის შავი მხედარი ეჭირა. რუსულად მივესალმე.

— მობრძანდით, მობრძანდით, — მითხრა ისე გახარებულმა, თითქოს ჩემს მოსვლას ელოდებოდა.

— ასე და ასე მქვია, — ვუთხარი მას.

— მე კი, — შესძახა მან, — პალ პალიჩ რეჩნოი ვარ, — და გადაიხარხარა, გეგონებოდათ, დიდებულად გაიხუმრაო, — გთხოვთ, მობრძანდით, — თქვა და მხედრით გაღებულ კარზე მიმითითა.

პატარა ოთახში შემეყვანეს, რომლის კუთხეშიც საკერავი მანქანა იდგა. ჰაერში სამკერვალოსთვის დამახასიათებელი სუსტი სუნი იგრძნობოდა. მაგიდასთან, ოდნავ გვერდულად, ჩასკვნილი მამაკაცი იჯდა; მაგიდაზე ჭადრაკის მუშამბის სათამაშო დაფა იდო, რომლის უჯრებზეც გაჭირვებით ეტეოდა დიდი ფიგურები. კაცი მათ ცერად მისჩერებოდა, პირში გაჩრილი მუნდშტუკი სხვა მხარეს იყურებოდა. იატაკზე, სათამაშო მანქანების გარემოცვაში, მუხლებზე იდგა ოთხი-ხუთი წლის ლამაზი ბიჭუნა. პალ პალიჩმა მაგიდაზე დააგდო შავი მხედარი, რომელსაც თავი მოსძვრა. შავებით მოთამაშემ იგი აკურატულად ჩააბრუნა მის ადგილზე.

¹ ბოტენი სატელეფონო ცნობარებს გამოსცემდა.

— დაბრძანდით, — მითხრა პალ პალიჩმა, — ეს ჩემი ბიძაშვილია, — დაამატა მან. „შავმა“ თავი დამიკრა. მესამე (ბოლო) სკამზე დავჯექი. ბიჭუნა მომიახლოვდა და უსიტყვოდ გამომიწოდა ახალი ფანქარი — ერთი მხრიდან წითელი, მეორიდან — ლურჯი.

— ახლა, თუ მოვისურვებ, შენს ეტლს ავიყვან, — თქვა სახემოლუშულმა „შავმა“, — მაგრამ უკეთესი სვლა მაქვს.

მან ლაზიერი ასწია და ელევანტურად ჩასვა მოყვითალო პაიკების შუაში, რომელთაგანაც ერთ-ერთს სათითო ცვლიდა.

პალ პალიჩმა დაუფიქრებლად მოკლა ლაზიერი თავისი კუთი და კვლავ გადაიხარხარა.

— ახლა კი, — წყნარად თქვა „შავმა“, როდესაც თეთრების წინამძღოლმა სიცილით გული იჯერა, — წასულია შენი საქმე. ქიში, ჩემო კარგო.

სანამ ისინი პოზიციის შესახებ კამათობდნენ, — „თეთრები“ სვლის დაბრუნებას ცდილობდნენ, — ოთახი მოვათვალიერე. კედელზე ყოფილი სამეფო ოჯახის პორტრეტი შევამჩნიე. აგრეთვე ცნობილი გენერლის უღვაში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში გაიტაცეს¹. ბალღინჯოსფერი დივნიდან, რომელზეც, როგორც ჩანს, სამი ადამიანი წვებოდა — ქმარი, ცოლი და შვილი — ზამბარები ამობურცულიყო. წამით ჩემი მოსვლის მიზანი საშინლად სულელურად მომეჩვენა და ჩიჩიკოვის ფატალური ვიზიტები გამახსენდა გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. ბავშვი ჩემთვის ავტომობილს ხატავდა.

— თქვენს განკარგულებაში ვარ, — მითხრა პალ პალიჩმა (დავინახე, რომ წააგო და „შავ“ ფიგურებს მუყაოს ძველ ყუთში აწყობდა — ყველას სათითოს გარდა). წინასწარ საგულდაგულოდ მომზადებული ფრაზა წარმოვთქვი, კერძოდ, ის, რომ მისი მეუღლის ნახვა მსურდა, ვინაიდან ჩვენ საერთო... გერმანელი მეგობრები გვყავდა (არ მინდოდა, თავიდანვე მესხენებინა სებასტიანი).

¹ სავარაუდოდ, იგულისხმება რუსი გენერალი ალექსანდრ კუტეპოვი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა. იგი ჩეკისტებმა პარიზში გაიტაცეს.

— მოცდა მოგიწევთ, — თქვა პალ პალიჩმა, — უნდა გითხრათ, რომ იგი ქალაქშია. თუმცა საცაა, უნდა მოვიდეს.

დალოდება გადავწყვიტე, ოღონდ მეეჭვებოდა, რომ იმ დღეს მასთან პირისპირ ლაპარაკს მოვახერხებდი, მაგრამ იმედი მქონდა, თუ მოხერხებულად დავსვამდი შეკითხვებს, მაშინვე შევძლებდი იმის დადგენას, იცნობდა თუ არა იგი სე-ბასტიანს, შემდეგ კი თანდათანობით ავალაპარაკებდი.

— მანამდე კი, — მითხრა პალ პალიჩმა, — კონიაკი გადავკრათ.

როდესაც ბიჭმა დაინახა, რომ მისი სურათებისადმი ერთგვარი ინტერესი გამოვიჩინე, ბიძამისთან მივიდა, რომელმაც იგი მუხლზე დაისვა, და წარმოუდგენელი სისწრაფით დახატა სარბოლო ავტომანქანა.

— ნამდვილი მხატვარი ყოფილხართ, — ვუთხარი, რათა რალაც მაინც მეთქვა.

პალ პალიჩი ამ დროს პატარა სამზარეულოში ჭიქებს წყალს ავლებდა. მან გაიცინა და მხარს ზემოდან მომადახა:

— ის გენიოსია. თავდაყირა მდგომი ვიოლინოზე უკრავს, სამ წამში ორ ტელეფონის ნომერს ერთმანეთზე ამრავლებს და თავის სახელს ამოტრიალებული სახით მისთვის ჩვეული ხელწერით წერს.

— ტაქსის მართვაც შეუძლია, — თქვა ბიჭმა, თან გამხდარ, ჭუჭყიან ფეხებს აქანავებდა.

— არა, არ დავლევ შენთან ერთად, — თქვა „შავმა“ ბიძამ, როდესაც პალ პალიჩმა ჭიქები მაგიდაზე დადგა, — მირჩევნია, ბიჭთან ერთად გავისეირნო. სად არის მისი ნივთები?

ბიჭის პალტო მოძებნეს და „შავმა“ იგი წაიყვანა. პალ პალიჩმა კონიაკი დაასხა და თქვა:

— ამ ჭიქების გულისთვის ნუ გამკიცხავთ. რუსეთში მდიდარი ვიყავი, ათი წლის წინათ კვლავ გავმდიდრდი ბელგიაში, შემდეგ კი გავკოტრდი. თქვენ გაგიმარჯოთ.

— თქვენი მეუღლე კერავს? — ვკითხე, რათა დრო აღარ გამეწელა.

— ოჰ, დიახ, მკერავი გახდა, — თქვა და კმაყოფილებით ჩაიცინა, — მე ასოთამნყოფი ვარ, ოღონდ ახლახან სამუშაო დავკარგე. მალე მოვა. არ ვიცოდი, გერმანელი მეგობრები თუ ჰყავდა, — დაამატა ბოლოს.

— ვფიქრობ, ერთმანეთი გერმანიაში გაიცნეს, — ვთქვი მე, — ან იქნებ ელზასში?

იგი მონდომებით ივსებდა ჭიქას, მაგრამ უეცრად შეჩერდა და მომაშტერდა.

— ვშიშობ, რალაც შეცდომაა! — შესძახა მან, — თქვენ, ალბათ, ჩემს პირველ ცოლს გულისხმობთ. ვარვარა მიტროფანა კი პარიზის გარდა არსად ყოფილა, — ცხადია, რუსეთის გამოკლებით, — აქ სევასტოპოლიდან მარსელის გავლით ჩამოვიდა.

პალ პალიჩმა ჭიქა დაცალა და გაიცინა.

— აი, ამბავი! — თქვა მან და ცნობისმოყვარეობით შემათვალისწინა, — ჩვენ ადრე ერთმანეთს არასდროს შევხვედრით? ჩემს ყოფილ ცოლს იცნობდით?

თავი გადავაქნიე.

— ბედნიერი ყოფილხართ, — შეჰყვირა მან, — ძალიან ბედნიერი! იმ თქვენმა გერმანელებმა მოჩვენების მოსაძებნად გამოგიშვეს, ვინაიდან მას ვერასდროს იპოვით.

— რატომ? — ვკითხე მომეტებული ინტერესით.

— იმიტომ, რომ, როგორც კი ერთმანეთს დავშორდით, ეს კი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, თვალთახედვის არიდან გაქრა. რომში თუ შვედეთში უნახავთ. იქნებ არც უნახავთ — ვინ იცის. შესაძლოა, აქ არის, ან ჯოჯოხეთში. რა ჩემი საქმეა!

— ხომ ვერ მირჩევდით, სად ვეძებო?

— ვერაფერს მოგახსენებთ, — მიპასუხა მან.

— საერთო ნაცნობები არ გყავთ?

— ისინი მისი ნაცნობები არიან და არა ჩემი, — მიპასუხა და გააჟრჟოლა.

— ფოტოსურათი მაინც არ შემოგრჩათ?

— მომისმინეთ, — თქვა მან, — რისი თქმა გსურთ? პოლიცია ხომ არ ეძებს? რომ იცოდეთ, სულაც არ გამიკვირდება,

თუ საერთაშორისო ჯაშუში აღმოჩნდება, როგორც მატა ჰარი¹! მისი ტიპისაა. რა თქმა უნდა. თანაც... იმ ქალების რიცხვს არ მიეკუთვნება, ადვილად რომ ამოიგდებთ თავიდან, თუკი ერთხელ შემოაღწევს თქვენში. ლიმონივით გამომწურა, ყველა გაგებით. მაგალითად, ფინანსურად, სულიერად. მოვკლავდი... რომ არა ანატოლი.

— ეს ვინლაა? — ვკითხე მე.

— ანატოლი? ჯალათია². გილიოტინაზე მუშაობს. მაშასადამე, როგორც გავარკვიეთ, პოლიციიდან არ ხართ, არა? ისე, თქვენი საქმეა, მე რა მენაღვლება. მაგრამ იმ ქალმა კინალამ გადამრია. ერთმანეთს ოსტენდში შევხვდით, რომელ წელს... მგონი, 1927-ში... მაშინ ოცი წლის იქნებოდა, თუმცა არა, ოციც არ შესრულებოდა. ვიცოდი, რომ ვილაცის საყვარელი იყო და ასე შემდეგ, მაგრამ ეს არ მადარდებდა. ცხოვრების აზრს კოქტეილების სმაში, დილის ოთხ საათზე მსუყედ ვახშობაში, „შიმის“³ თუ რა ჰქვია, იმის ცეკვაში, ბორდელებში სიარულში, — ეს მაშინ მოდური იყო პარიზელ სნობებს შორის, — ძვირფასი ტანსაცმლის ყიდვასა და სასტუმროებში აურზაურის მონყობაში ხედავდა, როდესაც მოეჩვენებოდა, რომ მოახლემ მისი ხურდა მოიპარა, რომელსაც შემდეგ თვითონვე პოულობდა სააბაზანოში, და ასე შემდეგ... ამას ნებისმიერ იაფფასიან რომანში ამოიკითხავთ, ნამდვილი ტიპაჟი იყო. მოიგონებდა რალაც იშვიათ ავადმყოფობას და ცნობილ კურორტებზე მიემგზავრებოდა...

— მოითმინეთ, — ვუთხარი მე, — ეს საინტერესოა. 1929 წლის ივნისში იგი მარტო ცხოვრობდა ბლაუბერგში.

— დიახ, მაგრამ ეს ჩვენი თანაცხოვრების მიწურულს მოხდა. მაშინ პარიზში ვცხოვრობდით, ერთმანეთს მალე დავ-

¹ მატა ჰარი — მარგარიტა ჰერტრუდა ზელე (1876—1917 წწ.), პოლანდიელი მოცეკვავე, საერთაშორისო ავანტიურისტი და ჯაშუში.

² ანატოლ დებლერი — ცნობილი ფრანგი ჯალათი.

³ „შიმი“ — XX საუკუნის 10-20-იან წლებში პოპულარული ამერიკული ნარმოშობის სწრაფი ცეკვა, დამახასიათებელია სხეულის, ძირითადად, მხრების სწრაფი მოძრაობა, თითქოს მოცეკვავე შეკრული პერანგის გახდას ცდილობს.

შორდით და მთელი წელი ლიონში, ფაბრიკაში ვმუშაობდი. მე ხომ გავკოტრდი.

— იმის თქმა გსურთ, რომ თქვენი ცოლი ბლაუბერგში ვილაც მამაკაცს შეხვდა?

— ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. სიმართლე გითხრათ, არა მგონია, რომ ღრმად შეეტოპა, როდესაც მატყუებდა, ანუ ძალიან ღრმად, ბოლომდე. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი, ასე მეფიქრა. მის გარშემო ყოველთვის ტრიანლებდნენ მამაკაცები და ის, ალბათ, მათ კოცნის უფლებას აძლევდა, მაგრამ ჭკუაზე შევიშლებოდი, ასეთი საქმეები რომ მერკვია. მახსოვს, ერთხელ...

— მომიტევეთ, — გავანყვეტინე კვლავ, — დარწმუნებული ხართ, რომ მისი მეგობარი ინგლისელი მამაკაცის შესახებ არ გსმენიათ?

— ინგლისელის? მეგონა, გერმანელები გაინტერესებდათ. არა, არაფერი ვიცი. სენტ-მაქსიმში, 1928 წელს, ერთ ახალგაზრდა ამერიკელს ყოველთვის, როცა ნინკა მასთან ცეკვავდა, ლამის გული მისდიოდა. ცხადია, ინგლისელი მამაკაცები, შესაძლოა, ოსტენდშიც ყოფილიყვნენ და სხვაგანაც, მაგრამ, რომ არ დაგიმალოთ, მისი თაყვანისმცემლების ეროვნებით არასდროს დავინტერესებულვარ.

— მაშასადამე, სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ არ იცით, რა მოხდა ბლაუბერგში და... რა მოხდა შემდეგ?

— არა, — თქვა მან, — მეეჭვება, რომ ვინმეს ასე ძლიერ მიეპყრო მისი ყურადღება. მაშინ ისეთი პერიოდი ჰქონდა, რომ თავი ავადმყოფად წარმოედგინა — მხოლოდ ლიმონის ნაყინსა და კიტრს ჭამდა, სიკვდილზე, ნირვანასა და მისთანებზე ლაპარაკობდა, ლჰასა კი მისი სუსტი წერტილი გახლდათ — თავად მოგეხსენებათ.

— რა ერქვა? — ვკითხე მე.

— როდესაც ერთმანეთი გავიცანით — ნინა ტუროვეცი, მაგრამ ნამდვილი სახელია თუ... არა, არა მგონია, მიაგნოთ. უნდა გითხრათ, ზოგჯერ თავში ისიც კი გამიელვებს ხოლმე, რომ იგი არასდროს არსებობდა. მის შესახებ ვარვარა მიტრო-

ფანნას მოვუყევი, ის კი ამბობს, ეს მხოლოდ ცუდი სიზმარი იყო კინოში ნანახი ცუდი ფილმის შემდეგო. როგორ, უკვე მიდინხართ? ის ორიოდე წუთში მოვა...

მან შემომხედა და გაიცინა (ვფიქრობ, კონიაკი ზედმეტად ბევრი დალია).

— დამავინყდა! — თქვა მან, — თქვენ ხომ ჩემი ახლანდელი ცოლი არ გჭირდებათ. სხვათა შორის, — დაამატა, — დოკუმენტები მოწესრიგებული მაქვს. შემიძლია carte de travail¹ გაჩვენოთ. თუ მაინც მიაგნებთ მას, სიამოვნებით ვნახავდი, სანამ ციხეში ჩასვამენ. თუმცა ეს იქნებ არც მომინდეს.

— აბა, გმადლობთ საუბრისთვის, — ვუთხარი მე, სანამ ენერგიულად ვართმევდით ხელს ერთმანეთს — შესაძლოა, ძალზე ენერგიულადაც — ჯერ ოთახში, შემდეგ დერეფანში, ბოლოს კი კართან.

— ეს მე ვარ თქვენი მადლობელი! — შესძახა პალ პალიჩმა, — რომ არ დაგიმალოთ, მიყვარს მასზე ლაპარაკი. სამწუხაროა, რომ მისი ფოტოსურათი არ შევინახე.

ცოტა ხანს ვიდექი და ვფიქრობდი, ყველაფერი ვათქმევინე თუ არა-მეთქი... თუმცა მე ხომ ყოველთვის შემეძლო ამ კაცის ნახვა... ხომ არ იქნებოდა იმ ქალის სურათი რომელიმე ილუსტრირებულ ჟურნალში, სადაც ავტომობილების, ქურქების, ძაღლების, რივიერაზე გავრცელებული მოდის სურათებია მოყვანილი? მასპინძელს ეს შეკითხვაც დავუსვი.

— შესაძლებელია, — მიპასუხა პალ პალიჩმა, — შესაძლებელია. მან ერთხელ პრიზი მოიგო კოსტიუმირებულ მეჯლისზე, თუმცა დამავინყდა, ეს სად მოხდა. მე ხომ ყველა ქალაქი ან რესტორნად მეჩვენებოდა, ან საცეკვაო დარბაზად.

მან კვლავ გადაიხარხარა, თავი გადააქნია და კარი გაიჯახუნა. კიბეზე ჩასვლისას „შავი“ ბიძა და პატარა ბიჭი დავინახე, რომლებიც ზემოთ ადიოდნენ.

— იყო და არა იყო რა, — ამბობდა „შავი“ ბიძა, — იყო ერთი საავტომობილო მბრბოლელი, რომელსაც პატარა ციყვი ჰყავდა; ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს...

¹ მონმობა, რომელიც უცხოელს საფრანგეთში მუშაობის უფლებას აძლევს.

პირველი შთაბეჭდილების მიხედვით, მომეჩვენა, რომ მიზანს მივალწიე — ახლა ის მაინც ვიცოდი, ვინ იყო სებასტიანის საყვარელი, მაგრამ მალე დავცხრი: „ნუთუ შესაძლებელია, რომ ქალი ამ ყბედის პირველი ცოლი აღმოჩნდეს?“ — ვფიქრობდი, სანამ ტაქსიში ვიჯექი და მეორე მისამართზე მივდიოდი. ღირდა კი ამ ძალზე დაუჯერებელი გზით წასვლა? რატომღაც ძალიან ბანალური მეჩვენებოდა პალ პალიჩის მიერ დახატული სახე. ჭირვეული მაცდუნებელი, რომელიც უგუნურ მამაკაცებს ღუპავდა. განა სებასტიანი უგუნური იყო? გამახსენდა, როგორ მკვეთრად უარყოფითად აღიქვამდა როგორც აშკარა ბოროტებას, ისე აშკარა სიკეთეს, ტრაფარეტულ სიამოვნებასა და ბანალურ უბედურებას. ასეთი ტიპის ქალი აუცილებლად გააღიზიანებდა. ან რომელ თემაზე უნდა ელაპარაკა ქალს მასთან, რომც მოეხერხებინა და სასტუმრო „ბომონში“ წყნარი, გულჩათხრობილი და დაბნეული ინგლისელი გაეცნო? როგორც კი ერთხელ მოისმენდა მის მსჯელობას, სებასტიანს მასთან შეხვედრის სურვილი აღარასოდეს გაუჩნდებოდა. მახსოვს, ამბობდა, ცქვიტ ქალებს დუნე გონება აქვთ, არაფერია აბეზარ ლამაზ ქალზე ცუდი, რომელიც გართობას ეძებსო; მეტიც, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, როგორი ლამაზიც უნდა იყოს ქალი, როდესაც მასზე უხამსობის კრემის ფენას დაინახავ, აუცილებლად გამოძებნი მის სილამაზეში რამე პატარა წუნს, რაც გონების ჩვევას შეესაბამება. შესაძლოა, სებასტიანი არც იყო ცოდვის მომ-

ტანი ვაშლის ჩაკბერის წინააღმდეგი, ვინაიდან ცოდვის ცნება საერთოდ არ აღელვებდა, ცხადია, გრამატიკაში დაშვებული ცდომილებების გამოკლებით; მაგრამ ვერ იტანდა ვაშლის დაკონსერვებულ და დაპატენტებულ ჟელეს. ქალს თამამ კეკლუცობას აპატიებდა, თუმცა მოჩვენებით იდუმალებას ვერ გაუძლებდა. შემწყნარებლობას გამოიჩინდა ლუდის მსმელი ქალიშვილის მიმართ, მაგრამ ჰაშიშისადმი მიდრეკილ grand cocotte-ს¹ ახლოს არ გაიკარებდა. რაც მეტს ვფიქრობდი ამის შესახებ, მით უფრო წარმოუდგენლად მეჩვენებოდა... ყოველ შემთხვევაში, შემეძლო, თავი არ მემტვრია ამ ამოცანაზე, სანამ დარჩენილ ორ პიროვნებას არ გამოვიკვლევდი. და აი, მოუთმენლად შევდგი ფეხი ძალზე ელეგანტური სახლის პარმალზე (ქალაქის ძალზე ფეშენებელურ ნაწილში), რომლის გვერდითაც ჩემი ტაქსი გაჩერდა. მოახლემ მითხრა, დიასახლისი შინ არ არისო, თუმცა, როდესაც განაწყენება შემატყო, ერთი წუთით მოცდა მთხოვა, დაბრუნდა და მაძამ ლესერფთან, მაძამ ფონ გრაუნის მეგობართან შეხვედრა და გასაუბრება შემომთავაზა. ეს უკანასკნელი პატარა, სუსტი, ფერმკრთალი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა სადად დავარცხნილი შავი თმით. გავიფიქრე, ასეთი მკრთალი კანი არასდროს მინახავს-მეთქი. შავი, მაღალსაყელოიანი კაბა ეცვა, ხელში გრძელი შავი მუნდშტუკი ეჭირა.

— ჩემი მეგობრის ნახვა გსურთ? — მკითხა სუფთა ფრანგულით და ძველებური საუცხოო თავაზიანობით.

საკუთარი თავი წარვუდგინე.

— დიახ, — მითხრა მან, — ვნახე თქვენი სავიზიტო ბარათი. რუსი ბრძანდებით, არა?

— აქ ძალზე დელიკატურ საქმეზე მოვედი, — ავუხსენი მე, — თუმცა ჯერ ის მითხარით, სწორად ვხვდები თუ არა, რომ მაძამ გრაუნი ჩემი თანამემამულეა?

— Mais oui, elle est tout ce qu'il y a de plus russe², — მიპასუხა რბილი, მორაკრაკე ხმით, — გერმანელი ქმარი ჰყავდა, თუმცა რუსულად ისიც ლაპარაკობდა.

¹ (ფრ.) ძლიერ კეკლუცი.

² (ფრ.) დიახ, ნამდვილი რუსია.

— აჰა, გასაგებია, — ვთქვი მე, — წარსული სწორედ რომ დროული შემოსწრებაა.

— ჩემთან შეგიძლიათ, გულწრფელად ილაპარაკოთ, — მითხრა მაღამ ლესერფმა, — მიყვარს დელიკატური საქმეები.

— მე ნათესავი ვარ ორი თვის წინათ გარდაცვლილი ინგლისელი მწერლის, სებასტიან ნაითისა, — განვაგრძე მე, — მისი ცხოვრების აღწერას ვაპირებ. მას ახლო მეგობარი ქალი ჰყავდა, რომელიც 1929 წელს ბლაუბერგში გაიცნო. ახლა იმ ქალის პოვნას ვცდილობ. აი, სულ ეს არის.

— Quelle drôle d'histoire¹! — შესძახა მან, — მაგრამ რისი გაგება გსურთ მისგან?

— ყველაფრის, რის მოყოლასაც მოისურვებს... მაგრამ თქვენი სიტყვები ისე ხომ არ უნდა გავიგო... იმის თქმა გსურთ, რომ მაღამ გრაუნი სწორედ ის ქალია?

— სრულიად შესაძლებელია, — მიპასუხა მაღამ ლესერფმა, — თუმცა ჩემთან თითქოს არასდროს უხსენებია... რა გვარი ბრძანეთ?

— სებასტიან ნაითი.

— არა. თუმცა სულერთია. არც ესაა გამორიცხული. იგი ყოველთვის აბამს ნაცნობობას, სადაც უნდა იყოს. Il va sans dire², — დაამატა მან, — რომ უშუალოდ მას დაელაპარაკოთ. წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ მისით მოიხიბლებით. მაგრამ რა უცნაური ამბავია, — გაიმეორა ლიმილით, — რატომ გსურთ მასზე წიგნის დაწერა? და როგორ მოხდა, რომ იმ ქალის სახელი არ იცით?

— სებასტიან ნაითი გულჩათხრობილი ადამიანი იყო, — ვუთხარი მე, — იმ ქალის წერილები კი, რომლებიც მას ჰქონდა... საქმე ისაა, რომ, განსვენებულის სურვილის თანახმად, მისი სიკვდილის შემდეგ ისინი უნდა განადგურებულიყო.

— გასაგებია, — თქვა ქალმა მხიარულად, — მისი შესანიშნავად მესმის. ყველა სასიყვარულო წერილი აუცილებლად უნდა დაინვას. წარსულიდან კეთილშობილური სანვავი გამოდის. ჩაის ხომ არ ინებებთ?

¹ (ფრ.) რა უცნაური ამბავია!

² (ფრ.) ამას თქმაც არ უნდა.

— არა, — მივუგე, — მხოლოდ იმის გაგება მინდა, როდის შევძლებ მადამ გრაუნის ნახვას.

— მალე, — მიპასუხა მადამ ლესერფმა, — ამჟამად იგი პარიზში არაა, თუმცა, ვფიქრობ, შეგიძლიათ, ხვალ მობრძანდეთ. დიახ, ასე აჯობებს. შესაძლოა, მადამ გრაუნი ამ საღამოს დაბრუნდეს.

— იქნებ მის შესახებ მიაშობოთ რამე? — ვთხოვე მე.

— ოჰ, ეს სულაც არ არის ძნელი, — მითხრა მადამ ლესერფმა, — იგი შესანიშნავად მღერის — ბოშურ რომანსებსა და მისტანებს. ძალიან ლამაზია. Elle fait des passions¹. ძალიან მიყვარს და პარიზში ჩამოსვლისას ყოველთვის მასთან ვჩერდები. სხვათა შორის, აი, მისი პორტრეტი.

მან ნელა და უხმაუროდ გაიარა სქელი ნოხით დაფარული სასტუმრო ოთახი და ფორტეპიანოდან ჩარჩოში ჩასმული დიდი ფოტოსურათი აიღო. ერთხანს ნატიფ, ჩემგან სანახევროდ შეტრიალებულ სახეს შევცქეროდი. ნაზად მომრგვალებული ლოყები და ბოლოში ანეული წვრილი წარბები რუსულს მივამსგავსე. ათინათი ქვედა ქუთუთოზე, ათინათი სრულ, მუქ ტუჩებზე. სახის გამომეტყველებაში მეოცნებეობაც შეიმჩნეოდა და ეშმაკობაც.

— დიახ, — ჩავილაპარაკე, — დიახ...

— აბა, ის არის? — ცნობისმოყვარეობით მკითხა მადამ ლესერფმა.

— შესაძლოა, — მივუგე მე, — მოუთმენლად ველი მასთან შეხვედრას.

— შევეცდები, რამე გავარკვიო, — მითხრა მადამ ლესერფმა შეთქმულის მომხიბლავი სახით, — ჩემი აზრით, ნაცნობების შესახებ წერა გაცილებით პატიოსანი საქციელია, ვიდრე ათასგვარი ჭორის შეგროვება და მათი საკუთარ ნაწარმოებად გასაღება!

მადლობა გადავუხადე და ფრანგებისთვის დამახასიათებელი სტილით დავემშვიდობე. პატარა ხელი ჰქონდა და როდესაც, უნებურად, ცოტა ძლიერ მოვუჭირე, შუბლი შეიჭმუხ-

¹ (ფრ.) ვნების აღმძვრელია.

ნა, ვინაიდან შუათითზე დიდი, ნანვეტებულქვიანი ბეჭედი ეკეთა. ტკივილი მეც კი ვიგრძენი.

— ხვალ ამავე დროს, — თქვა მან და ნაზად ჩაიციინა. მშვენიერი, მშვიდი და უშფოთველი ქალი იყო.

ბევრი ვერაფერი დავადგინე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სწორ გზაზე ვიდექი. ახლა მხოლოდ ლიდია ბოჰემსკაიას ამბავი უნდა გამერკვია. როდესაც იმ მისამართზე მივედი, რომელიც მქონდა, კონსიერჟმა მითხრა, რამდენიმე თვის წინ სხვაგან გადავიდაო, თან დაამატა, ჩემი აზრით, გზის გადაღმა მდებარე პატარა სასტუმროში ცხოვრობსო. იქ კი შევიტყვე, რომ სამი კვირის წინ გადასულიყო და ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა. თანამოსაუბრეს ვკითხე, წარმოშობით რუსი ხომ არ არის-მეთქი, და დამიდასტურა. „ლამაზი, შავგვრემანი ქალია, არა?“ — გამოვიყენე შერლოკ ჰოლმსის ნაცადი ხერხი. „მართალს ბრძანებთ“, — მიპასუხა მან, რითაც ცოტა დამაბნია (სწორი პასუხი იქნებოდა „არა, რას ამბობთ, შეუხედავია და ქერა“). ნახევარი საათის შემდეგ სანტეს ციხის მახლობლად მდებარე პირქუში შესახედაობის სახლში შევედი და ზარი დავრეკე. კარი მსუქანმა, ახალგაზრდობის ასაკიდან კარგა ხნის წინ გამოსულმა ქალმა გამიღო. ტალღებად დაწყობილი ხასხასა ნარინჯისფერი თმა და მონითალო ლოყები ჰქონდა, შეღებილი ტუჩის ზემოთ მუქი ღინღლი ამოსვლოდა.

— მადმუაზელ ლიდია ბოჰემსკაიასთან დალაპარაკება მინდოდა, — ვუთხარი მას.

— C'est moi¹, — მიპასუხა საშინელი რუსული აქცენტით.

— თუ ასეა, ნივთებს მოვიტან, — ჩავიბურტყუნე და აჩქარებით გამოვედი. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ის ქალი ახლაც კარის ღიობში დგას.

როდესაც მეორე დღეს კვლავ ვეწვიე მადამ ფონ გრაუნს, მოახლემ სხვა, ბუდუარის მსგავს ოთახში შემიყვანა, სადაც, როგორც ჩანს, ძალისხმევა არ დაეკლოთ, რათა მისთვის მიმზიდველი სახე მიეცათ. წინა ჯერზე ყურადღება მივაქციე,

¹ (ფრ.) ეს მე ვარ.

რომ სახლში ძალიან თბილოდა. მართალია, გარეთ, უდავოდ სინესტე იყო, მაგრამ არ ციოდა და ცენტრალური გათბობის ასეთი ორგია ცოტა გადაჭარბებულად მომეჩვენა. დიდხანს მალოდინეს. კედელთან მდგარ მაგიდაზე რამდენიმე ძველი ფრანგული რომანი იდო. ავტორთა უმრავლესობას ლიტერატურული პრემია მოეპოვებინა. აქვე იყო ექიმ აქსელ მუნტეს¹ „სან-მიქელეც“. მორცხვად მომზირალ ვაზაში მიხაკები ენყო. სხვა მყიფე, როგორც ჩანს, კარგ და ძვირფას ნივთებსაც ვხედავდი, მაგრამ, სებასტიანის მსგავსად, მეც ყოველთვის პათოლოგიურად არ მომწონდა ფაიფურის ან შუშის ნაწარმი. ბოლოს, არ შეიძლება, არ ვახსენო ვითომდა გალაქული ავეჯის ერთი ნაჭერი, რომელშიც, როგორც ვხვდებოდი, უსაშინლესი ნივთი — რადიომიმღები მოეთავსებინათ. თუმცა, ზოგადად, ელენ ფონ გრაუნი „კულტურული და გემოვნებიანი“ პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

როგორც იქნა, კარი გაიღო და მასში გვერდულად ის ქალი შემოვიდა, რომელიც წინა მოსვლაზე ვნახე — გვერდულად იმიტომ, რომ თავი გვერდზე და ქვემოთ მიებრუნებინა: როგორც გაირკვა, ბაყაყისსახიან, მფშვინავ, შავ ბულდოგს მიმართავდა, რომელსაც თითქოს ამ ოთახში ყოფნა არ ეხალისებოდა.

— ჩემი საფირონი არ დაგავინწყდეთ, — მითხრა და პატარა, ცივი ხელი გამომინოდა.

მადამ ლესერფი ლურჯ დივანზე დაჯდა და მძიმე ბულდოგიც ზედ აიყვანა.

— Viens, mon vieux², — ჩაილაპარაკა სუნთქვააჩქარებულმა, — Viens³. ელენის გარეშე ძალიან ნალვლობს, — დაამატა მას შემდეგ, რაც ძალღი ბალიშებს შორის მოხერხებულად მოათავსა.

— რა სამწუხარო ამბავი მოხდა. ვიმედოვნებდი, რომ ელენი ამ დილით მაინც ჩამოვიდოდა, მაგრამ დიუონიდან დარეკა

¹ აქსელ მუნტე (1857-1949 წწ.) — შვედი ექიმი და მწერალი.

² (ფრ.) მოდი, ჩემო მეგობარო.

³ (ფრ.) მოდი.

და თქვა, რომ შაბათამდე (ჯერ სამშაბათი იყო) ვერ დაბრუნდება. თქვენ წინაშე თავს საშინლად დამნაშავედ ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ შემეტყობინებინა. ძალიან განაწყენდით? — მკითხა მან, ხავერდით დაფარული წვეტიანი იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, ნიკაპი ხელისგულებზე ჩამოდო და შემომხედა.

— იქნებ დარდი მაშინ გამიქარვდეს, — მივუგე მე, — თუ კიდევ მომიყვებით რამეს მაღამ გრაუნის შესახებ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ აქაური ატმოსფერო მაღალფარდოვანი სიტყვებისა და მანერებისადმი განმანწყობდა.

— გარდა ამისა, — თქვა ქალმა და ნანვეტებულფრჩხილიანი თითი ასწია, — j'ai une petite surprise pour vous¹, ოღონდ ჯერ ჩაი.

მივხვდი, რომ ამჯერად ჩაის სმის ფარსს ვერ გადავურჩებოდი, თან მოახლემაც უკვე მოაგორა ბორბლებიანი პატარა მაგიდა, რომელზეც ჩაის სერვიზი იდგა.

— აქ დატოვეთ, ჟანა, — უთხრა მაღამ ლესერფმა, — აი, ასე, კარგია.

— ახლა კი ყველაფერი უნდა მომიყვეთ, რაც შესაძლებელია, — თქვა მაღამ ლესერფმა, — tout ce que vous croyez raisonnable de demander à une tasse de thé². თქვენ, ალბათ, ნაღებს დაიმატებთ, რადგან ინგლისში ცხოვრობდით. უნდა გითხრათ, რომ ინგლისელს ჰგავხართ.

— მირჩევნია, რუსს ვგავდე, — ვთქვი მე.

— ვშიშობ, ერთ რუსსაც არ ვიცნობ, ცხადია, ელენის გარდა. ეს ნამცხვარი გემრიელი უნდა იყოს.

— და თქვენი სიურპრიზი? — ვკითხე მე.

მას დაჟინებით ყურების უცნაური მანერა ჰქონდა — თვალეში კი არ გიყურებდათ, არამედ სახის ქვედა ნაწილში, თითქოს იქ რაღაც ნამცეცი მიგკრობოდათ, რომელიც უნდა მოგეცილებინათ. ფრანგი ქალის კვალობაზე, ცოტა ფერუმარილი ესვა, თხელი კანი და მუქი თვალები ძალზე მიმზიდველად მომეჩვენა.

¹ (ფრ.) თქვენთვის პატარა სიურპრიზი მაქვს.

² (ფრ.) ყველაფერი, რისი მოყოლაც, თქვენი აზრით, ჩაის სმის დროს შეიძლება.

— აჰ! — შესძახა მან, — ტელეფონით საუბრისას ელენს ზოგიერთი საკითხის შესახებ ვკითხე და...

იგი გაჩუმდა, თითქოს სიამოვნებას ანიჭებდა ჩემი მოუთმენლობა.

— ...და მიპასუხა, რომ ეს სახელი არასდროს სმენია, — დავასრულე მის მაგივრად.

— არა, — თქვა მაღამ ლესერფმა, — მხოლოდ გაიცინა, მე კი კარგად ვიცი, რას ნიშნავს მისი ასეთი სიცილი.

მგონი, ნამოვდექი და ოთახში გავიარ-გამოვიარე.

— მაგრამ სასაცილო ხომ არაფერია, — ვთქვი ბოლოს, — ნუთუ არ იცის, რომ სებასტიან ნაითი გარდაიცვალა?

მაღამ ლესერფმა მუქ, ხავერდოვან თვალებზე ხელი მიიფარა, რითაც უსიტყვოდ გამცა დადებითი პასუხი, შემდეგ კი კვლავ ნიკაპზე შემომხედა.

— როდის ნახეთ იგი? იმას ვგულისხმობ, ნახეთ თუ არა იანვარში, როდესაც გაზეთებში მისი გარდაცვალების შესახებ დაინერა? ნუთუ დამწუხრებული არ იყო?

— მომისმინეთ, ჩემო კარგო, ძალიან გულუბრყვილო ბრძანდებით, — მითხრა მაღამ ლესერფმა, — სიყვარულიცა და მწუხარებაც სხვადასხვანაირი არსებობს. დავუშვათ, სწორედ ელენია ის ქალი, ვისაც ეძებთ, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ თქვენი ძმა ისე ძლიერ უყვარდა, რომ მისი დაღუპვის გამო აუცილებლად უნდა ეგლოვა? და თუ უყვარდა კიდევ, განა არ შეიძლება, საკუთარი შეხედულება ჰქონდეს სიკვდილზე, შეხედულება, რომელიც ისტერიკას გამორიცხავს? რა ვიცი ამგვარი საკითხების შესახებ? ეს მისი პირადი საქმეა. ვფიქრობ, ყველაფერს თვითონ გაამბობთ, მანამდე კი უსამართლობა იქნება მისი შეურაცხყოფა.

— მე მას არ შეურაცხვყოფ! — შევძახე მგზნებარედ, — თუ ჩემი სიტყვები უსამართლოდ მოგეჩვენათ, ბოდიშს გიხდით, მაგრამ მიაბზეთ მის შესახებ. დიდი ხანია, იცნობთ?

— აქამდე ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით, — ის ხომ ბევრს მოგზაურობს, — თუმცა ერთ გიმნაზიაში ვსწავლობდით აქ, პარიზში. მამამისი, თუ არ ვცდები, რუსი მხატვარი

იყო. ელენი ძალზე ახალგაზრდა გათხოვდა. იმ სულელს გაჰყვა ცოლად.

— რომელ სულელს? — ვკითხე მე.

— ცხადია, თავის ქმარს. ქმრები ყოველთვის სულელები არიან, მაგრამ ის hors concours¹ იყო. საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩემი აიღეთ.

მან თავისი სანთებელა მომანოდა. ბულდოგმა ძილში დაიღრინა. ქალმა ჩაიჩოჩა, ფეხები მოკეცა და დივანზე ადგილი გამითავისუფლა.

— მგონი, არც ისე კარგად იცნობთ ქალებს, არა? — მკითხა და ქუსლზე ხელი გადაისვა.

— მე მხოლოდ ერთი მაინტერესებს, — მივუგე.

— რამდენი წლის ხართ? — განაგრძო მაღამ ლესერფმა, — ოცდარვის? გამოვიცანი? არა? თუ ასეა, ჩემზე უფროსი ყოფილხართ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. რას ვამბობდი?.. დიახ, ელენის შესახებ ბევრი რამ ვიცი — ზოგი რამ თვითონ მიამბო, ზოგიც ჩემით გავიგე. მთელი გულით მხოლოდ ერთი კაცი უყვარდა — მას ცოლი ჰყავდა. ეს ჯერ კიდევ მის გათხოვებამდე ხდებოდა, როდესაც ნორჩი გოგონა იყო. ბოლოს, ან თავი მოაბეზრა კაცს, ან... ამის შემდეგ კიდევ რამდენიმესთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ მათ მის ცხოვრებაში კვალი არ დაუტოვებიათ. Un cœur de femme ne ressuscité jamais². ამას კიდევ ერთი ძალზე სევდიანი ამბავი მოჰყვა — თვითონ გამანდო ყველა დეტალი.

მან გაიცინა. პატარა, ფერმკრთალი პირის კვალობაზე, ცოტა არ იყოს, დიდი კბილები ჰქონდა.

— ისეთი სახე გაქვთ, თითქოს ჩემი მეგობარი შეგიყვარდათ, — მითხრა კეკლუცად, — სხვათა შორის, სულ მინდოდა, მეკითხა, ეს მისამართი როგორ გაიგეთ და რამ წაგაქეზათ მაინცდამაინც ელენის მოსაძებნად?

ყველაფერი ვუამბე ბლაუბერგში ნაშოვნი ოთხი მისამართის შესახებ. გვარებიც დავუსახელე.

¹ (ფრ.) უკონკურენციო.

² (ფრ.) ქალის გულს ვერაფერი გაამთელებს.

— ბრწყინვალეა! — შესძახა მან, — რა ენერჯიაა! Voyez vous ça!¹ და ბერლინში გაემგზავრეთ? ის ქალი ებრაელი აღმოჩნდა! შესანიშნავია! სხვებიც მოძებნეთ?

— ერთი ვნახე, — ვუთხარი მე, — და მეტი აღარც მინდა.

— რომელი? — მკითხა და დაუოკებელი სიცილი აუტყდა, — რომელი? რეჩნოი ხომ არა?

— არა, — მივუგე მე, — მისმა ქმარმა მეორე ცოლი მოიყვანა, თვითონ კი სადღაც გაუჩინარდა.

— მომხიბლავი ხართ, ძალიან მომხიბლავი, — თქვა მადამ ლესერფმა თვალების წმენდით და კვლავ სიცილი აუტყდა, — ვხედავ, როგორ შერბიხართ ბინაში და მოულოდნელად თავზე ადგებით გაოგნებულ ცოლ-ქმარს. ასეთი სასაცილო ამბავი ცხოვრებაში არასოდეს მსმენია. რაო, ქალმა, კიბეზე ხომ არ დაგაგორათ?

— კმარა ამაზე საუბარი, — ვუთხარი ცივად. მისი სიცილი აუტანელი ხდებოდა. ვხვდებოდი, რომ ფრანგულ იუმორს ანიჭებდა უპირატესობას, როდესაც საქმე მეუღლეთა ურთიერთობას შეეხებოდა. სხვა დროს ეს, შესაძლოა, მეც სიმპათიურად აღმექვა, მაგრამ იმ მომენტში ვგრძნობდი, რომ ასეთი უცერემონიო და უხამსი შეხედულება ჩემს კვლევადიებაზე სებასტიანის ხსოვნას შეურაცხყოფდა. ეს გრძნობა თანდათან გამიძლიერდა და უეცრად თავში გამიელვა, რომ ეს ყველაფერი საერთოდ ურიგო საქციელი იყო. აჩრდილს დავსდევდი, თანაც უგერგილოდ, ამასობაში კი სებასტიანის ბოლო საყვარელი ქალის სახე თანდათან გაფერმკრთალდა და ლამის გაქრა კიდეც. მაგრამ იქნებ სებასტიანს სიამოვნებას მიანიჭებდა გროტესკული მხარე ჩემი ძიებისა, რომელიც მისი გულისთვის წამოვიწყე? დაინახავდა კი ჩემი ნაშრომის მთავარი გმირი განსაკუთრებულ, „ნაითისეულ მობრუნებას“, რომელიც სრულად დააფასებდა მარცხიან ბიოგრაფს?

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, — თქვა ქალმა, თავისი ცივი ხელი ჩემსაზე დადო და აღმაცერად შემომხედა, — ნუ ხართ ასეთი წყენია.

¹ (ფრ.) ხომ წარმოგიდგენიათ!

იგი სწრაფად წამოდგა და კუთხეში მდგარი, წითელი ხის ყუთისკენ გაემართა და დაიხარა. თვალი შევაღლე მის გოგონასავით ვიწრო ზურგს და მივხვდი, რის გაკეთებასაც აპირებდა.

— არა, არა, ღვთის გულისთვის! — შევძახე.

— არ გინდათ? — მითხრა მან, — მე კი ვიფიქრე, რომ მუსიკა ცოტათი დაგამშვიდებდათ. საერთოდ, მუსიკა საუბრისთვის საჭირო ატმოსფეროს ქმნის. არა? როგორც გნებავთ.

ბულდოგმა ტანი შეიბერტყა და კვლავ დანვა.

— ჩემო ჭკვიანო, — უთხრა ქალმა ენის მოჩლექით.

— მგონი, მოყოლას აპირებდით, — შევახსენე მას.

— დიახ, — თქვა მან, ჩემ გვერდით დაჯდა, ქვედაკაბა აიკვალთა და ფეხი მოიკეცა, — დიახ. უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, ვინ იყო იგი, მაგრამ, როგორც მივხვდი, მძიმე ხასიათი ჰქონდა. ელენის თქმით, მისი გარეგნობა, ხელები, საუბრის მანერა მოეწონა და მოეჩვენა, რომ საინტერესო იქნებოდა, თუ საყვარლად გაიხდიდა. კაცი ღრმა ინტელექტუალს ჰგავდა. არადა, ყოველთვის გამხიარულებს იმის დანახვა, რომ ასეთი დახვეწილი, ცივი და ჭკვიანი ადამიანი მოულოდნელად ოთხზე დგება და კუდს აქიცინებს. რა დაგემართათ, cher Monsieur¹?

— რას ჰყვებით? ეს რას ნიშნავს? — შევძახე მე, — როდის... როდის და სად მოხდა ეს, ის რომანი?

— Non merci, je ne suis pas le calendrier de mon amie. Vous ne voudriez pas²! რიცხვებისა და სახელების გაგება არაფერში მჭირდებოდა, და თუ ელენი მათ მაინც მეუბნებოდა, არ ვიმახსოვრებდი. და თუ შეიძლება, აღარაფერი მკითხვით — იმას გიყვებით, რაც ვიცი, და არა იმას, რისი გაგებაც გსურთ. არა მგონია, ის თქვენი ნათესავია, სრულიად არ გგავდათ, ცხადია, იმის მიხედვით, რასაც ელენი მომიყვა და რისი შემჩნევაც თვითონ მოვახერხე. საყვარელი, მოუთმენელი ბიჭი

¹ (ფრ.) *მონყალეო ხელმწიფე.*

² (ფრ.) *არა, უმორჩილესად მადლობას მოგახსენებთ, ჩემი მეგობრების კალენდარი არა ვარ. თქვენც იტყვიან, რა!*

ხართ, ის კი... ის სულაც არ იყო საყვარელი. უფრო პირიქით. და როდესაც მიხვდა, რომ ელენი შეუყვარდა, გულბრაზიანი გახდა. არა, სენტიმენტალურ ლეკვად არ გადაქცეულა, როგორც ელენი ელოდა. ღვარძლიანად ეუბნებოდა ელენს — უგვანი და თავქარიანი ხარო, შემდეგ კი კოცნიდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ქალი ფაიფურის ქანდაკება არ იყო. ჰოდა, დარწმუნდა კიდევ. და მაშინვე მიხვდა, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო, ქალმა კი მაშინვე გააცნობიერა, რომ ყელში ამოუვიდა თხრობა იმის შესახებ, თუ რა ესიზმრებოდა მას და როგორ ესიზმრებოდა, რომ სიზმარს ხედავდა, და როგორ ესიზმრებოდა, რომ ესიზმრებოდა, რომ სიზმარს ხედავდა. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ არ ვკიცხავ. შესაძლოა, ორივენი მართლები იყვნენ, შესაძლოა, ორივენი ცდებოდნენ. თუმცა ჩემი მეგობარი არც ისეთი გულუბრყვილო იყო, როგორიც კაცს ეგონა. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებსა და ადამიანებში მასზე ოდნავ უკეთ ერკვეოდა. კაცი იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც მიაჩნდა, რომ თანამედროვე წიგნები არაფრად ვარგოდა, რომ თანამედროვე ახალგაზრდები სულელები იყვნენ. და ეს იმიტომ, რომ თავით გადაეშვა საკუთარ შეგრძნებებსა და იდეებში, სხვებისას კი ველარ იგებდა. ელენმა მითხრა, ვერც კი წარმოიდგენ მის გემოვნებასა და უცნაურობას ან იმას, როგორ ლაპარაკობს რელიგიაზეო — ალბათ, რაღაც საშინელებას ამბობდა. უნდა გითხრათ, ჩემი მეგობარი ძალიან ცოცხალი ქალია, *très vive*¹ — იყო, ყოველ შემთხვევაში, — მის გამოჩენისთანავე კი გრძნობდა, რომ ბერდებოდა და ხალისი ეკარგებოდა. ის კაცი ხომ მასთან ბევრ დროს არ ატარებდა. მოვიდოდა *à l'improviste*², დივანზე მოწყვეტით დაჯდებოდა, ხელებს თავისი ხელჯოხის ბუნიკზე დააწყობდა, — ხელთათმანსაც კი არ იძრობდა, — და ერთ წერტილს სახემოდუშული მიაჩერდებოდა. ელენი მალე სხვა კაცს დაუმეგობრდა, რომელიც მას თაყვანს სცემდა და გაცილებით მეტ ყურადღებას, გულკეთილობასა და

¹ (ფრ.) ძალიან ცოცხალი.

² (ფრ.) გაუფრთხილებლად.

მზრუნველობას იჩენდა, ვიდრე ის, ვინც, გაუგებრობის გამო, ძმად მიგაჩნიათ, — ნუ იღუშებით, გთხოვთ, — მაგრამ ჩემს მეგობარს არც ერთი მოსწონდა, არც მეორე. როგორც ამბობს, ძალზე სასაცილო იყო, როგორ თავაზიანად ექცეოდნენ ერთმანეთს შეხვედრისას. ელენს მოგზაურობა უყვარდა, მაგრამ როგორც კი რამე საუცხოო ადგილს მიაგნებდა, სადაც დარდიც ავინწყდებოდა და სხვა ყველაფერიც, უეცრად ის გამოჩნდებოდა და მთელ პეიზაჟს აფუჭებდა, იჯდა ტერასაზე მის მაგიდასთან და ეუბნებოდა, უგვანი და თავქარიანი ხარო, თან ეფიცებოდა, უშენოდ ცხოვრება არ შემძლიაო. ხანაც ტირადას წარმოთქვამდა ქალის მეგობრების თანდასწრებით, — გეცოდინებათ, *les jeunes gens qui aiment à rigoler*¹, — თანაც ისე გრძელსა და გაუგებარს, — საფერფლის ფორმის ან დროის ფერის შესახებ, — რომ ყველა მიდიოდა, ის კი მარტო იჯდა სავარძელში, სულელურად იღიმებოდა ან საკუთარ მაჯისცემას ითვლიდა. სამწუხაროა, თუ იგი მართლა თქვენი ნათესავი აღმოჩნდება, ვინაიდან არა მგონია, ელენს იმ დღეებთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებდეს. ბოლოს, როგორც მითხრა, კაცი აუტანელი გახდა. ელენი მას ხელის მიკარებასაც უკრძალავდა, რადგან ძლიერი ალგზნებისგან კაცს რაღაცის შეტევა ეწყებოდა. ერთხელაც, როცა ელენმა იცოდა, რომ იგი ღამის მატარებელს უნდა ჩამოჰყოლოდა, ნაცნობ ახალგაზრდა კაცს — რომელიც მისი გულისთვის უკან არაფერზე დაიხევდა — სთხოვა, მას შეხვედროდა და ეთქვა, რომ ქალს მისი ნახვა აღარ სურდა, და თუ კვლავაც მოაბეზრებდა თავს, მეგობრები ისე მოექცეოდნენ, როგორც აბეზარ გარეშე პირს. ვფიქრობ, ეს არცთუ თავაზიანი საქციელი იყო, მაგრამ ელენმა გადაწყვიტა, რომ, საბოლოოდ, კაცისთვის ასე ჯობდა კიდევ. ასეც გამოვიდა. იგი ელენს თავის ჩვეულ, ვედრებით აღსავსე წერილებს აღარ უგზავნიდა, რომლებსაც მაინც არავინ კითხულობდა. არა, ის ვერ იქნება, არა მგონია — ამას იმიტომ გიყვებით, რათა ელენი დაგიხასიათოთ და არა მისი საყვარლები. მასში სიცოცხლე ჩქეფდა, მზადყოფნა

¹ (ფრ.) სიცელქის მოყვარული ახალგაზრდა კაცები.

— ყველას მიაღწერს, უღვევად ჰქონდა ეს *vitalité joyeuse qui est, d'ailleurs, tout-à-fait conforme à une philosophie innée, a un sens quasi-religieux des phénomènes de la vie*¹. მერედა, რა მოიტანა ამან? მამაკაცებმა, რომლებიც მოსწონდა, იმედი გაუცრუეს, ქალები კი, ერთეულების გამოკლებით, ჩვეულებრივი კატები აღმოჩნდნენ. ცხოვრების საუკეთესო ნაწილი იმის მცდელობაში გაატარა, რომ ბედნიერი ყოფილიყო სამყაროში, რომელიც მის წელში გატეხას ძალისხმევას არ აკლებდა. მალე ამას საკუთარი თვალთ ნახავთ და თვითონვე გადაწყვეტთ, მოახერხა თუ არა ეს სამყარომ.

დიდხანს ხმაამოუღებელი ვისხედით. სამწუხაროდ, დასაქვებელი არაფერი დამრჩა, მიუხედავად იმისა, რომ სებასტიანის პორტრეტი საშინელი გამოვიდა, თუმცა მეორე ხელიდან.

— დიახ, — ვთქვი მე, — ის აუცილებლად უნდა ვნახო. საამისოდ ორი მიზეზი მაქვს. პირველი — მისთვის შეკითხვის დასმა მსურს, მხოლოდ ერთის. და მეორე...

— მეორეც არსებობს? — მკითხა მადამ ლესერფმა და გაცივებული ჩაი მოსვა.

— ვერ წარმომიდგენია, როგორ მოახერხა ასეთმა ქალმა ჩემი ძმის მიზიდვა. ამიტომაც საკუთარი თვალთ უნდა ვიხილო იგი.

— იმის თქმა გსურთ, — თქვა მადამ ლესერფმა, — რომ საშინელ, საშიშ ქალად მიგაჩნიათ? *Une femme fatale*²? ვინაიდან იცით, რომ ეს სიმართლე არაა. მას ცვილივით რბილი და სუფთა გული აქვს.

— ოჰ, არა, — ვთქვი მე, — არც საშინელია და არც საშიში. უფრო მოხერხებულს ვიტყვოდი... არა, აუცილებლად უნდა ვნახო.

— აღდგომა და ხვალეო, — მითხრა მადამ ლესერფმა, — აი, რას გეტყვით: ერთი აზრი მაქვს. ხვალ მივემგზავრე-

¹ (ფრ.) გულმხიარულობა, რომელიც, სხვათა შორის, სრულად შეესაბამებოდა ცხოვრებისეული მოვლენების შინაგან ფილოსოფიას და, შეიძლება ითქვას, რელიგიურ შეგრძნებას.

² (ფრ.) საბედისწერო ქალი.

ბი. თუ შაბათს მოხვალთ, ვშიშობ, ელენი სიჩქარეში — უნდა გითხრათ, რომ ყოველთვის ჩქარობს — გთხოვთ, მეორე დღეს შეუაროთ, და დაავინყდება, რომ ხვალ ერთი კვირით ჩემთან მოდის ქალაქგარეთ, და კვლავ გაუშვებთ ხელიდან. მოკლედ, ვფიქრობ, აჯობებს, თქვენც ჩემთან ჩამოხვიდეთ. მაშინ აუცილებლად ნახავთ. ამიტომაც გთავაზობთ: კვირას, დილით მენვიეთ და იმდენ ხანს დარჩით, რამდენსაც ინებებთ. ჩვენ ოთხი თავისუფალი ოთახი გვაქვს და დარწმუნებული ვარ, თავს კომფორტულად იგრძნობთ, თანაც მე მას წინასწარ დაველაპარაკები, რათა უკეთ განეწყოს თქვენთან სასაუბროდ. Eh bien, êtes-vous d'accord¹?

¹ (ფრ.) აბა, თანახმა ხართ?

თავი მეჩვიდმეტე

რა საინტერესოა, ვფიქრობდი: ნინა რეჩნოისა და ელენ ფონ გრაუნს შორის თითქოს ერთგვარი ოჯახური მსგავსება არსებობდა — ყოველ შემთხვევაში, იმ ორ პროტრეტს შორის, რომლებიც ჩემთვის პირველის ქმარმა და მეორის მეგობარმა ქალმა დახატეს. ერთი მეორეს ტოლს არ უდებდა: ნინა — ჭკუამოკლე და პატივმოყვარე, ელენი — ეშმაკი და შეუბრალებელი; ორივე თავქარიანი, ჩემს გემოვნებას არც ერთი არ ესადაგებოდა. და ვფიქრობ, არც სებასტიანისას. ისიც საინტერესოა, გაიცნეს თუ არა ერთმანეთი ბლაუბერგში. თუ განყენებულად ვიმსჯელებდით, უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ სინამდვილეში, ალბათ, ერთმანეთის სისინსა და ფურთხებაში გაატარებდნენ მთელ დროს. მეორე მხრივ, ახლა შემეძლო, რეჩნოის კვალს აღარ გავყოლოდი, ეს კი უდიდეს შვებას მგვრიდა. ის, რაც ამ მშვიდმა ფრანგმა მიაჩნო თავისი მეგობრის საყვარლის შესახებ, უბრალო დამთხვევა ვერ იქნებოდა. რაც უნდა მეგრძნო, როდესაც ვისმენდი, როგორ ეპყრობოდნენ სებასტიანს, არ შემეძლო, კმაყოფილი არ ვყოფილიყავი იმის გამო, რომ ჩემი მოკვლევის დასრულებას ბევრი არაფერი აკლდა და აღარ მომიწევდა ამოუხსნადი ამოცანისთვის მომეკიდა ხელი — პალ პალიჩის პირველი ცოლი მომეძებნა, რომელიც ან ციხეში იჯდა, ან ლოს-ანჯელესში იმყოფებოდა. ვხვდებოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შესაძლებლობა იყო და ხელიდან არ უნდა გამეშვა, ელენ ფონ გრაუნი აუცილებლად უნდა მენახა. ამიტომ თავს ძალა დავატანე და მას წერილი მივ-

წერე პარიზში, რათა ჩასვლისთანავე მიეღო. მოკლე ბარათი გავგზავნე: მხოლოდ იმას ვატყობინებდი, რომ ლესკოში მის მეგობარ ქალთან ვიქნებოდი სტუმრად, და რომ ამ მოწვევას მხოლოდ მასთან შეხვედრის მიზნით დავთანხმდი. დავამატე, ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკითხზე უნდა დაგელაპარაკოთ-მეთქი. ბოლო ფრაზა არცთუ გულწრფელი იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ დააინტერესებდა. ბოლომდე ვერ გავიგე, უთხრა თუ არა მეგობარმა ქალმა, როცა დიუონში მყოფს ტელეფონით ესაუბრა, რომ მისი ნახვა მსურდა. საშინლად მეშინოდა, კვირას მაღამ ლესერფს თავაზიანად არ ეცნობებინა, ელენი ჩემთან ჩამოსვლის ნაცვლად, ნიცაში გაემგზავრაო. წერილის გაგზავნის შემდეგ კი ვიგრძენი, რომ, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ვილონე, რათა ჩვენი შეხვედრა შემდგარიყო.

ლესკოში, შეთანხმებისამებრ, შუადღისთვის ჩასასვლელად, დილის ცხრა საათზე გავემგზავრე. უკვე მატარებელში ვჯდებოდი, როდესაც თავში გამიელვა, რომ გზად სენ-დემიე უნდა გამევლო, სადაც სებასტიანი აღესრულა და დაიმარხა კიდეც. აქ ერთხელ, იმ დაუვინყარ ღამეს ვიყავი, მაგრამ ახლა ვერაფერს შევიტყობდი: როდესაც მატარებელი ერთი წუთით გაჩერდა სენ-დემიეს პატარა პლატფორმასთან, მხოლოდ სადგურის სახელწოდების მაუწყებელმა აბრამ შემახსენა, რომ აქ უკვე ნამყოფი ვიყავი. ირგვლივ ყველაფერი უბრალოდ, დარბაისლურად და საფუძვლიანად გამოიყურებოდა სიზმარში ნანახივით დამახინჯებულ სახესთან შედარებით, მეხსიერებაში მტკიცედ რომ ჩამებეჭდა. თუმცა იქნებ ახლა დამახინჯდა.

როდესაც მატარებელი დაიძრა, უჩვეულო შვება ვიგრძენი: მოჩვენებით კვალს აღარ მივსდევდი, როგორც ორი თვის წინათ. ნათელი დღე იდგა და მატარებლის ყოველ გაჩერებაზე თითქოს ძლივს შესამჩნევი, მაგრამ აშკარად მობრძანებული გაზაფხულის მსუბუქი, არათანაბარი სუნთქვა მესმოდა: „კულისებში გამოსვლის მომლოდინე ბალერინების ცივი ხელები და ფეხები“, როგორც სებასტიანს უწერია.

მადამ ლესერფის სახლი დიდი და მოუვლელი იყო. ოცამდე ბებერი, ავადმყოფი ხე „პარკს“ ქმნიდა. ერთ მხარეს მინდვრები მოჩანდა, მეორე მხარეს, ფერდობზე, რომელიღაც ფაბრიკა. აქ ყველაფერს უხალისობის, მოდუნებულობის, დამტვერიანების უცნაური ელფერი დაჰკრავდა; როდესაც მოგვიანებით შევიტყვე, რომ სახლი სულ რაღაც ოცდაათი-დე წლის წინათ აეშენებინათ, მისმა სიძველემ უფრო მეტად განმაცვიფრა. მთავარ პარმალს რომ მივუახლოვდი, ჩემს შესახვედრად მამაკაცი გამოვიდა, სწრაფად გამოემართა მოხრეშილ ბილიკზე, შეჩერდა და ხელი ჩამომართვა.

— Enchanté de vous connaître¹, — მითხრა და ნალვლიანად შემათვალისწინა, — ჩემი მეუღლე გელოდებოდა. Je suis navré², ამ საღამოს პარიზში უნდა გავემგზავრო.

ეს იყო საშუალო ასაკისა და უბრალო შესახედაობის ფრანგი, დაღლილი თვალებითა და ანგარიშმიუცემელი ღიმილით. ჩვენ ერთხელაც ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს.

— Mon ami³, მატარებელზე დაგაგვიანდება, — გაისმა ვერანდიდან მადამ ლესერფის ბროლივით ხმა და კაცი დამჯერედ შეტრიალდა უკან.

ქალს ახლა ჩალისფერი კაბა ჩაეცვა, ტუჩები მკვეთრად შეეღებოდა, თუმცა თავის გამჭვირვალე კანს, ცხადია, არ შეხებოდა. მზე მის თმას მოლურჯო ბზინვარებას აძლევდა. უნებურად გავიფიქრე, რომ ლამაზი ახალგაზრდა ქალი იყო. ორი თუ სამი ოთახი გავიარეთ, რომლებიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს სასტუმრო ოთახის ფუნქციები ერთგვარად გადაენაწილებინათ. ასე მეგონა, ამ უსიამოვნო, მოუნწესრიგებელ სახლში ჩვენ გარდა არავინ იყო.

მადამ ლესერფმა მწვანე აბრეშუმგადაკრული კუშეტიდან შალი აიღო და მხრებზე მოისხა.

— აცივდა, არა? — თქვა მან, — ყველაზე მეტად სიცივე არ მიყვარს. ნახეთ ჩემი ხელები. ყოველთვის ასეთი მაქვს, მხო-

¹ (ფრ.) მიხარია თქვენი გაცნობა.

² (ფრ.) ვწუხვარ.

³ (ფრ.) ჩემო მეგობარო.

ლოდ ზაფხულში მითბება შედარებით მეტად. საუზმეს ახლავემოიტანენ. დაბრძანდით.

— რომელ საათზე მოვა მადამ გრაუნი? — ვკითხე მე.

— Écoutez¹, — მითხრა მადამ ლესერფმა, — ნუთუ წამითაც არ შეგიძლიათ, დაივიწყოთ იგი და სხვა თემაზე მესაუბროთ? Ce n'est pas très poli, vous savez². მომიყევით თქვენ შესახებ. სად ცხოვრობთ, რას საქმიანობთ?

— მაგრამ დღეს აუცილებლად ჩამოვა, არა? — არ მოვეშვი მე.

— დიახ, დიახ, ჯიუტო ადამიანო, ჩამოვა, ჩამოვა. ცოტაც მოითმინეთ. უნდა გითხრათ, რომ ქალებს არ მოსწონთ მამაკაცები, რომელთაც აკვიატებული იდეები ანუხებთ. ჩემს ქმარზე რას იტყვით?

ვუთხარი, რომ მასზე, ალბათ, ბევრად უფროსი იყო.

— კეთილი, მაგრამ საოცრად მოსაწყენი ადამიანია, — თქვა სიცილით, — მე ის განზრახ გავგზავნე. სულ ერთი წელია, რაც დავქორწინდით, მაგრამ ასე მგონია, ბრილიანტის იუბილე გვაქვს. ეს სახლი ზიზღს მგვრის. თქვენ?

მივუგე, ძალზე ძველმოდური მეჩვენება-მეთქი.

— ოჰ, ეს არასწორი ტერმინია. როდესაც პირველად დავინახე, ახალივით მოჩანდა, მაგრამ მას შემდეგ საღებავი გახუნდა და ჩამოცვივდა. ერთხელ ერთ ექიმს ვუთხარი, რომ მიაკეპისა და ნარგიზების გარდა, ყველა ყვავილი ჭკნება, როდესაც მათ ვეხები. უცნაურია, არა?

— მან რა გიპასუხათ?

— ასე მითხრა, ბოტანიკოსი არა ვარო. უნინ სპარსეთის რომელიღაც პრინცესა ყოფილა ჩემსავით. სასახლის ეზოში გაშენებული ყველა ბალი გაუნადგურებია.

ამ დროს ოთახში ხანში შესულმა და სახემოლუშულმა მოახლემ შემოიხედა და დიასახლისს თავი დაუქნია.

— წავიდეთ, — მითხრა მადამ ლესერფმა, — თქვენი გამომეჭყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, vous devez mourir de faim³.

¹ (ფრ.) მომისმინეთ.

² (ფრ.) ხომ ხვდებით, ეს არცთუ თავაზიანი საქციელია.

³ (ფრ.) შიმშილით უნდა კვდებოდეთ.

ერთმანეთს კარში შევეჩხებეთ, რადგან როდესაც უკან მივ-
ყვებოდი, იგი მოულოდნელად შემოტრიალდა, მხარში ხელი
ჩამავლო და მისი თმა ოდნავ გამედო ლოყაზე.

— რა მოუხერხებელი ხართ, — თქვა მადამ ლესერფმა, —
ჩემი აბები დამავინცდა.

მან იპოვა ისინი. შემდეგ სასადილო ოთახის ძებნაში მთე-
ლი სახლი მოვიარეთ. ბოლოს, მივაგენით კიდეც. ეს გახლ-
დათ პირქუში ოთახი ერკერით, რომელსაც ბოლო წუთს თით-
ქოს ჩვეულებრივ მდგომარეობაში დაბრუნება გადაეწყვიტა.
სხვადასხვა კარიდან უხმაუროდ შემოსრიალდა ორი ადამიან-
ი. ერთი — მოხუცი ქალი, როგორც მივხვდი, მესიე ლესერ-
ფის ბიძაშვილი. იგი, ძირითადად, საჭმლის გადაცემისას ლა-
პარაკობდა, ანუ თავაზიანად ბურტყუნებდა. მეორე — გოლ-
ფის შარვალში გამოწყობილი საკმაოდ ლამაზი და ზვიადი
შესახედაობის მამაკაცი იყო. ქერა თმა უცნაურად გასჭალა-
რავებოდა. ლანჩმა ისე ჩაიარა, კრინტი არ დაუძრავს. მადამ
ლესერფმა ერთმანეთი რაღაც სწრაფი შესტით გაგვაცნო,
სახელების წარმოთქმით თავი არ შეუწუხებია. ყურადღება
მივაქციე, რომ მაგიდასთან მის ყოფნას ვერც კი ამჩნევდა,
და საერთოდ, იგი თითქოს განმარტოებით იჯდა. კერძები
მშვენივრად მოემზადებინათ, ღვინოც კარგი მოგვართვეს,
ოღონდ მენიუ შეედგინათ უსისტემოდ.

როდესაც დანა-ჩანგლების ხმაურში პირველ კერძს ბოლო
მოვუღეთ, ქერათმიანმა ჯენტლმენმა პაპიროსი გააბოლა და
გავიდა. ერთი წუთის შემდეგ საფერფლით ხელში დაბრუნდა.
მადამ ლესერფმა, რომელიც აქამდე ჭამით იყო დაკავებული,
შემომხედა და მითხრა:

— მაშ, ბოლო დროს ბევრს მოგზაურობდით? უნდა გითხ-
რათ, ინგლისში არასდროს ვყოფილვარ — ასე გამოვიდა. რო-
გორც ვიცი, საკმაოდ მოსაწყენი ქვეყანაა. On doit s'y ennuyer
follement, n'est ce-pas¹? თანაც ეს ნისლი... და არანაირი მუსი-
კა, არანაირი ხელოვნება... ეს კურდღელი განსაკუთრებული
ხერხითაა მომზადებული, უნდა მოგეწონოთ.

¹ (ფრ.) ადამიანები, ალბათ, მონყენილობისგან გიჟდებიან, არა?

— სხვათა შორის, — ვუთხარი მე, — დამავინწყდა მეთქვა, თქვენს მეგობარს მივწერე, რათა გამეფრთხილებინა, რომ აქა ვარ... ასე ვთქვათ, შევახსენე, რომ ჩამოსვლას აპირებდა.

მადამ ლესერფმა დანა და ჩანგალი მაგიდაზე დადო. გაცეხული და უკმაყოფილო ჩანდა.

— ოჰ, არა! — შესძახა მან.

— ეს ხომ არაფერს აფუჭებს, თუ ფიქრობთ, რომ...

კურდღელს უსიტყვოდ შევექეცით. მას შოკოლადის კრემი მოჰყვა. ქერათმიანმა ჯენტლმენმა ხელსახოცი აკურატულად დაკეცა, რგოლში ჩასვა, წამოდგა, დიასახლისს თავი ოდნავ დაუკრა და გავიდა.

— ყავა მწვანე ოთახში მოგვართვით, — უთხრა მადამ ლესერფმა მოახლეს.

— თქვენზე საშინლად გაბრაზებული ვარ, — მითხრა, როდესაც კუშეტზე დავსხედით, — ვფიქრობ, ყველაფერი გააფუჭეთ.

— ასეთი რა ჩავიდინე? — ვკითხე მე.

მან თავი მიაბრუნა. პატარა, მკვრივი მკერდი მძიმედ აუდჩაუდიოდა (სებასტიანმა ერთხელ დანერა, რომ ასე მხოლოდ რომანებში ხდება, მაგრამ ახლა თვალწინ მისი უმართლობის დამადასტურებელი სურათი მედგა). ფერმკრთალ, ნაზ კისერზე თითქოს ცისფერი ძარღვი უფეთქავდა (თუმცა ამაში ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ). თვალებს ხშირად ახამხამებდა. დიახ, უდავოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა. ნეტავ წარმოშობით საიდან იყო? სამხრეთიდან? არლიდან? პარიზელის წარმოთქმა ჰქონდა.

— პარიზში დაიბადეთ? — ვკითხე მე.

— გმადლობთ, — მიპასუხა ისე, რომ არ შემოუხედავს, — ეს თქვენი პირველი შეკითხვაა ჩემ შესახებ, მაგრამ ამით დანაშაულს ვერ გამოისყიდით. უფრო სულელურს ვერაფერს მოიფიქრებდით. შესაძლოა, მომეხერხებინა... მაპატიეთ, ახლავე დავბრუნდები.

უკან გადავინიე და გავაბოლე. დაცერებულ სხივში მტვერი ირეოდა; მას კვამლის ბოლქვებიც ერეოდა და ნელა, შემ-

პარავად ტრიალებდა, თითქოს ნებისმიერ წუთს მზად იყვნენ ცოცხალი სურათის შესაქმნელად. ნება მომეცით, გავიმეორრო, რომ სულაც არ მსურს ამ გვერდების დანაგვიანება ჩემთან დაკავშირებული რამე პირადულით, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველისთვის — შესაძლოა, სებასტიანის სულისთვისაც, ვინ იცის — თავშესაქცევი იქნება იმის გაგება, რომ წამით ამ ქალთან არშიყობა მომინდა. ძალზე უცნაური გრძნობა იყო, რადგან აქამდე ეს ქალი მხოლოდ მაღიზიანებდა — მის საუბარს ვგულისხმობ. ფეხქვეშ მიწა მეცლებოდა. ამ დროს იგი დაბრუნდა და შინაგანად გამოვცოცხლდი.

— თქვენსას მიაღწიეთ, — თქვა მან, — ელენი შინ არაა.

— Tant mieux¹, — ვთქვი მე, — ალბათ, აქ მოემგზავრება. უნდა ხვდებოდეთ, როგორ მოუთმენლად ველი მის ნახვას.

— რამ მოგაფიქრებინათ მისთვის წერილის მიწერა! — შესძახა მადამ ლესერფმა, — თქვენ ხომ მას არც კი იცნობთ. დაგპირდით, დღეს აქ იქნება-მეთქი, მეტი რა გინდოდათ? და თუ არ დამიჯერეთ, თუ მამონმებდით... alors vous êtes ridicule, cher Monsieur².

— არა, რას ბრძანებთ, — ვუთხარი გულწრფელად, — ეს თავში აზრადაც არ მომსვლია. მხოლოდ ვიფიქრე, რომ... კარაქი ფაფას არ გააფუჭებდა, როგორც ჩვენებურები, რუსები ამბობენ.

— მე კი არცთუ ძალიან მიყვარს კარაქი... და არც რუსები, — თქვა მან.

რა უნდა მექნა? შევხედე მის ხელს, ჩემი ხელის გვერდით რომ იდო. ქალი ოდნავ თრთოდა, ძალიან თხელი კაბა ეცვა. ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა — არა სიცივისგან. ხელზე მეკოცნა? თავაზიანად გამომივიდოდა? სულელურ მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდებოდი?

მან ამოიოხრა და წამოდგა.

— ახლა ვერაფერს ვიზამთ. ვშიშობ, ელენი დააფრთხეთ და თუ მაინც ჩამოვა... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. ვნახავთ,

¹ (ფრ.) მით უკეთესი.

² (ფრ.) თუ ასეა, სასაცილო ყოფილხართ, მონყალეო ხელმწიფევ.

რაც მოხდება. არ გინდათ ჩვენი მამულის დათვალიერება? თითქოს გარეთ უფრო თბილა, ვიდრე ამ ბედკრულ სახლში.

„მამული“ ბალისა და კორომისგან შედგებოდა, რომლებიც ადრევე შევამჩნიე. სიჩუმე სუფევდა. აქა-იქ მწვანედ შემოსილი შავი ტოტები თითქოს საკუთარ თავს უსმენდნენ. ყველაფერს სევდისა და მოწყენილობის ფენა გადაჰკროდა. აგურის კედელთან ვილაც იდუმალ მეზაღეს მიწა ამოეთხრა, წასულიყო და დაჟანგული ნიჩაბი აქ დაეგდო. რატომღაც ცოტა ხნის წინათ მომხდარი მკვლელობა გამახსენდა, როდესაც მკვლელმა თავისი მსხვერპლი ასეთივე ბაღში მიწაში ჩამარხა.

მადამ ლესერფი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი თქვა:

— ალბათ, ძალიან გიყვარდათ თქვენი ნახევარძმა, რადგან ასე ირჯებით მისი წარსულის გასაგებად. როგორ მოკვდა? თავი მოიკლა?

— ოჰ, არა, — ვთქვი მე, — ავადმყოფი გული ჰქონდა.

— მე კი მომეჩვენა, თითქოს თქვით, რომ ტყვია დაიხალა. ეს უფრო რომანტიკული იქნებოდა. იმედი გამიცრუვდება, თუ თქვენი წიგნი საწოლით დასრულდება. ზაფხულში აქ ვარდები იზრდება, — პირდაპირ აქ, ამ ტალახში, — მაგრამ ზაფხულში ქუდიც რომ შემეგდოთ, მაინც ვერ შემეიტყუებთ.

— მე კი თავში აზრადაც არ მომივა მისი ცხოვრების შელამაზება, — ვთქვი გადაჭრით.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ერთ კაცს ვიცნობდი, რომელმაც განსვენებული მეუღლის წერილები დაბეჭდა და მეგობრებს დაურიგა. რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ძმის ცხოვრება ვინმეს დააინტერესებს?

— ნუთუ არასდროს წაგიკი... — დავინყე, მაგრამ ამ დროს ჭიშკართან ელეგანტური, თუმცა ტალახით მოთხვრილი მანქანა გაჩერდა.

— რალა მაინცდამაინც ახლა... — ჩაილაპარაკა მადამ ლესერფმა.

— შესაძლოა, მადამ გრაუნი იყოს! — შევძახე მე.

ავტომობილიდან ქალი გადმოვიდა და პირდაპირ გუბეში ჩააბიჯა.

— მართლა ის არის, — თქვა მადამ ლესერფმა, — აი, რა: თქვენ, თუ შეიძლება, აქ დარჩით.

იგი სირბილით, ხელის ქნევით გაუყვა ბილიკს. ახალმოსულს რომ მიუახლოვდა, გადაკოცნა, მარცხნივ წაიყვანა და მალე ორივენი მაღალ ბუჩქებს მიეფარნენ. ერთი ნუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდნენ, ბაღს შემოუარეს და კიბეზე ასვლას შეუდგნენ. აი, სახლშიც შევიდნენ. ელენ ფონ გრაუნის სახის დანახვა ვერ მოვახერხე, მხოლოდ შეხსნილ ქურქსა და ხასხასა კაშნეს მოვკარი თვალი.

ქვის ძელსკამს მივაგენი და დავჯექი. აღელვებული და საკუთარი თავით კმაყოფილი ვიყავი: როგორც იქნა, ნადავლი მოვიხელთე. სკამზე ვილაცის ხელჯოხი იდო, ავიღე და ნოყიერი, წაბლისფერი მიწის ჩიჩქნა დავინყე. საქმე გაკეთებული იყო! საღამოს მას დაველაპარაკებოდი და პარიზში დავბრუნდებოდი... ამ დროს უცხო აზრი — მიგდებული ბავშვი, ელფების მიერ შეცვლილი ათრთოლებული ბაღი — შემოიპარა და ბრბოს შეერია... მივდივარ კი ამ საღამოს პარიზში? როგორც მოპასიანს აქვს ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი მოთხრობის სუნთქვაშეკვრით წარმოთქმულ ფრაზაში: „ნიგნი დამავინყდა“, მაგრამ მე ჩემი მავინყდებოდა.

— აი, სად ყოფილხართ, — მომესმა მადამ ლესერფის ხმა, — მეგონა, შინ წახვედით.

— აბა, რას მეტყვით, ყველაფერი კარგადაა?

— სულაც არა, — მშვიდად მიპასუხა მან, — არ ვიცი, ასეთი რა მისწერეთ, მაგრამ ელენმა დაასკვნა, რომ ეს რაღაცით მის მიერ წამონყებულ ფილმს უკავშირდება. ამბობს, რომ მახეში შეიტყუეთ. ახლა იმის გაკეთება მოგიწევთ, რასაც გეტყვით. მას არც დღეს დაელაპარაკებით, არც ხვალ და არც ზეგ, მაგრამ აქ დარჩებით და უაღრესად თავაზიანად მოექცევით. შემპირდა, რომ ყველაფერს მიაგებობს, შემდეგ კი შესაძლოა, თვითონაც გაესაუბროთ. შევთანხმდით?

— როგორი გულკეთილი ბრძანდებით, ეს საზრუნავი საკუთარ თავზე რომ აიღეთ, — ვთქვი მე.

მადამ ლესერფი ძელსკამზე ჩემ გვერდით დაჯდა და ვინა-
იდან სკამი ძალზე მოკლე იყო, მე კი, ასე ვთქვათ, ცოტა მძიმე
ვარ, მისი მხარი ჩემსას ეხებოდა. ტურებზე ენა გადავისვი და
მინაზე ხელჯობით რალაცის ხაზვა დავინყე.

— რისი დახატვა გსურთ? — მკითხა ქალმა და ოდნავ ჩა-
ახველა.

— ჩემი აზრების ტალღების, — მივუგე სულელურად.

— ერთხელ, — თქვა მან ხმადაბლა, — ერთ ადამიანს მხო-
ლოდ იმიტომ ვაკოცე, რომ შეეძლო, თავისი სახელი ამოტრი-
ალებული სახით დაეწერა.

ხელჯობი გამივარდა. დაჟინებით შევხედე მადამ ლე-
სერფს. ვუყურებდი მის გადატკეცილ თეთრ შუბლს, მუქ
იასამნისფერ ქუთუთოებს, რომლებიც ჩამოეშვა — ალბათ,
არასწორად აღიქვა ჩემი მზერა. დავინახე ხალი ფერმკრთალ
ლოყაზე, ცხვირის თხელი ნესტოები, ოდნავ შესივებული ზე-
და ტუჩი (თავდახრილი იჯდა), ყელის მქრქალი სითეთრე,
თხელი თითების წითელი ლაქით დაფარული ფრჩხილები.
თავი ასწია; მისი უცნაური, ხავერდოვანი თვალები ჩვეულებ-
რივზე ოდნავ მაღლა, ტურებზე მიყურებდა.

წამოვდექი.

— რა მოხდა? — მკითხა მან, — რა გაიფიქრეთ?

თავი გადავაქნიე, მაგრამ მართალი იყო — მე ვფიქრობ-
დი, იმაზე ვფიქრობდი, რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მო-
ითხოვდა.

— სახლში მივდივართ? — მკითხა მადამ ლესერფმა, რო-
დესაც ბილიკს გავუყევით.

თავი დავუქნიე.

— მაგრამ ჯერჯერობით ელენი ქვემოთ არ ჩამოვა. მითხა-
რით, რატომ გაიბუტეთ?

მგონი, კვლავ შევჩერდი და დაჟინებით შევხედე, ამჯე-
რად — ვინრო ყვითელ კაბაში გამოკვალთულ მის მოხდენილ
ტანს.

ღრმა ფიქრებში წასულმა გზა განვაგრძე. მზის ლაქებით
დანინკლულ ხეივანს თითქოს შუბლი შეეჭმუნა.

— Vous n'êtes guere aimable¹, — თქვა მადამ ლესერფმა.

ტერასაზე მაგიდა და რამდენი სკამი იდგა. იქ ის სიტყვა-ძუნწი ქერათმიანი მამაკაცი იჯდა, რომელიც საუზმობისას ვნახე. იგი თავისი საათის მექანიზმს აკვირდებოდა. დაჯდომისას იდაყვში ხელი უხერხულად გავკარი და ერთი ციციქნა დეტალი ძირს დაუვარდა.

— ღვთის გულისთვის, — მიპასუხა რუსულად, როდესაც მოვუბოდიშე.

(მაშასადამე, რუსი იყო? სწორედ ეს მჭირდებოდა.)

მადამ ლესერფი ჩვენკენ ზურგით იდგა, ხმადაბლა ლილინებდა და ფილაქანზე ფეხს რიტმულად აკაკუნებდა. შემდეგ ხელები ვიწრო თედოებზე მოისვა და გაჩუმდა. თითქოს ცეკვის აჩრდილმა გადაიფრინა და გაქრა.

ჩემს უტყვ თანამემამულეს მივუბრუნდი, რომელიც კვლავ თავის გაჩერებულ საათს აკვირდებოდა.

— მას კისერზე ობობა აზის, — ხმადაბლა ვთქვი რუსულად.

— ჩტო? — (რა?) მკითხა მძიმედ მოაზროვნე თანამემამულემ და ჯერ მე შემომხედა, შემდეგ მადამ ლესერფს, უხერხულად გაიღიმა და კვლავ საათს ჩააშტერდა.

— ვგრძნობ, j'ai quelque chose dans le cou²... — თქვა მადამ ლესერფმა.

— სწორედ ახლა ვეუბნებოდი ამ რუს ჯენტლმენს, — ვთქვი მე, — რომ მომეჩვენა, თითქოს კისერზე ობობა გეჯდათ. თუმცა ეს მხოლოდ შუქჩრდილის თამაში ყოფილა.

— მაშ, გრამოფონი დავუკრათ? — მკითხა ქალმა მხიარულად.

— ძალიან ვწუხვარ, — ვუთხარი მე, — მაგრამ შინ უნდა გავემგზავრო. ვიმედოვნებ, მაპატიებთ.

— Mais vous êtes fou³, — შესძახა მან, — განა ჩემი მეგობრის ნახვა არ გინდათ?

— შესაძლოა, სხვა დროს, — მივუგე ალერსიანად, — სხვა დროს.

¹ (ფრ.) არცთუ თავაზიანად იქცევით.

² (ფრ.) კისერზე რაღაც მაქვს.

³ (ფრ.) მგონია, ჭკუაზე შეიშალეთ.

— მითხარით, — ჩაილაპარაკა მან და ბალში უკან გამომყვა, — ასეთი რა მოხდა?

— ყველაფერი მარჯვედ მოაწყვეთ, — ვუთხარი ჩვენს ლალ და დიდებულ რუსულ ენაზე, — ოსტატურად დამარწმუნეთ, თითქოს თქვენს მეგობარზე საუბრობდით, არადა, მთელი ამ დროის განმავლობაში საკუთარ თავზე ლაპარაკობდით. ეს პატარა გათამაშება დიდხანს გაგრძელდებოდა, ბედს რომ სხვაგვარად არ მოესურვებინა — შეცდომა დაუშვით. საქმე ის არის, რომ შემთხვევით თქვენი ყოფილი ქმრის ბიძაშვილი ვნახე, სწორედ ის, რომელსაც ასოების თავდაყირა წერა შეუძლია, და გადავწყვიტე, თქვენთვის პატარა გამოცდა მომეწყო. როდესაც ქვეცნობიერად აღიქვით რუსული ფრაზა, რომელიც ხმადაბლა წარმოვთქვი...

არა, მისთვის ეს არ მითქვამს. მხოლოდ თავის დაკვრით დავემშვიდობე და იქაურობა დავტოვე. მას ამ წიგნის ეგზემპლარს გავუგზავნი და ყველაფერს მიხვდება.

თავი მეოთხრამეტე

შეკითხვა, რომლის დასმაც ნინასთვის მსურდა, ველარ გავახმოვანე. მინდოდა, მეკითხა, ხვდებოდა თუ არა ის, რომ ეს გამხდარი კაცი, რომლის გვერდით ყოფნაც მას გულს უმძიმებდა, თავისი დროის უშესანიშნავესი მწერალი იყო. თუმცა რა აზრი ჰქონდა ამას! ასეთი ქალებისთვის წიგნი არაფერს ნიშნავს. მას საკუთარი ცხოვრება ასეულობით რომანზე გაცილებით მიმზიდველი ეჩვენებოდა. მისთვის მთელი დღით ბიბლიოთეკაში ჯდომა რომ მიესაჯათ, შუადღისთვის უკვე მკვდარი იქნებოდა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მისი თანდასწრებით სებასტიანი არასდროს ახსენებდა თავის საქმიანობას. ეს ხომ ღამურასთან მზის საათზე საუბარს დაემსგავსებოდა. ამიტომაც, დაე, აქნიოს ფრთები ამ თავგმა, ჩამონოლილ ბინდბუნდში აქეთ-იქით მიანყდეს და უგერგილოდ მიჰბადოს მერცხალს.

ცხოვრების ამ უკანასკნელ და ყველაზე სევდიან წლებში დაწერა სებასტიანმა „საეჭვო ასფოდელო“, თავისი, უპირობოდ, ყველაზე ღირებული ქმნილება. სად და როგორ წერდა მას? ბრიტანეთის მუზეუმის სამკითხველო დარბაზში (მისტერ გუდმენის ფხიზელი თვალიდან შორს). პარიზის „ბისტროს“ შორეულ კუთხეში მდგარ დანჯღრეულ მაგიდასთან (მსგავს ადგილებში მისი საყვარელი არ დადიოდა). სადმე ნიცაში ან ჟუანში შეზლონგზე ნარინჯისფერი ტენტის ქვეშ, როდესაც ქალი თავის თაყვანისმცემელთა ბრბოსთან ერთად მას მარტო ტოვებდა და სხვა გასართობი ადგილების საძებ-

ნელად მიდიოდა. რკინიგზის უსახელო სადგურის მოსაცდელ დარბაზში გულის ორ შეტევას შორის. სასტუმროში, რომლის ეზოშიც თეფშებს ჩხაკაჩხუკით რეცხავდნენ. ბევრ სხვა ადგილას, რომელთა წარმოდგენაც მხოლოდ შორიდან შემიძლია.

წიგნის თემა მარტივია: ადამიანი კვდება. გრძნობთ, როგორ გაივლის წიგნს ფურცელ-ფურცელ და ფსკერისკენ ეშვება. მისი აზრები, მისი მეხსიერება ყველაფერს ეხება ხან მეტად და ხან ნაკლებად მკაფიოდ (როგორც არათანაბარი სუნთქვისას), და ზედაპირზე ხან ერთი სახე ამოაქვს, ხან მეორე, ქარის დახმარებით მიაგორებს და ზოგჯერ ნაპირზეც გამოაგდებს ხოლმე, სადაც ის თითქოს თავისთვის ცხოვრობს და ერთი წუთის განმავლობაში ირხევა, შემდეგ კი კვლავ ნაცრისფერი ზღვა ითრევს და ის ან იძირება, ან უცნაურად გადასხვაფერდება. ადამიანი კვდება; ის ამ მოთხრობის გმირია. მართალია, წიგნში სხვა ადამიანების ცხოვრებაც თითქოს სრულიად რეალისტურადაა აღწერილი (ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის ნაითისეული გაგებით), მკითხველისთვის გაუგებარია, ვინ კვდება, და სად დგას ან მიცურავს მისი სასიკვდილო სარეცელი, და ეს სარეცელია თუ არა. ეს ადამიანი თვითონ წიგნია; და ეს წიგნი მძიმედ სუნთქავს, კვდება და მოჩვენებითი მუხლი მკერდთან მიაქვს. გონების ნაპირზე ჯერ ერთ აზრში შეფუთული სახე გამოდის, შემდეგ — მეორე, და თვალს ვადევნებთ ჩვენს წარმოსახვაში გაჩენილ საგანსა თუ არსებას: დამსხვრეული ცხოვრების ნამსხვრევები, ზოზინა ოცნებები, რომლებიც მოიზლაზნებიან და აი, თვალებიან ფრთებს შლიან. ყველა ეს ცხოვრება მხოლოდ კომენტარია მოთხრობის მთავარი თემისა. ჩვენ თვალს ვადევნებთ გულკეთილ მოხუცს, გვარად შვარცს, მოჭადრაკეს, რომელიც რომელიღაც სახლის რომელიღაც ოთახში სკამზე ჯდება და ობოლ ბიჭს ასწავლის, თუ როგორ დადის მხედარი; ვხვდებით წარმოშობით ბოჰემიელ მსუქან ქალს, რომელსაც იაფი ინით შეღებილ თმაში ჭაღარა შეჰპარვია; გვესმის ლოყებჩაცვივნიული ბედუკუღმართი ადამიანის ხმა — იგი მგზნებარედ ამხელს საროსკიპოში ხელისუფლების ტირანიას სამოქალაქო

ტანსაცმელში გამონწყობილი ჯენტლმენის წინაშე, რომელიც მას ყურადღებით უსმენს. აი, მომხიბლავი, მაღალი პრიმადონა სიჩქარეში გუბეში აბიჯებს და ვერცხლისფერ ფეხსაცმელს აფუჭებს. აგერ მოხუცი კაცი ტირის — მას შავებში ჩაცმული რბილტუჩებიანი ქალი ამშვიდებს. ესეც პროფესორი ნუსბაუმი, შვეიცარიელი მეცნიერი — იგი რევოლვერით ჯერ თავის ახალგაზრდა საყვარელს კლავს, შემდეგ კი თავსაც იკლავს სასტუმროს ნომერში დილის ოთხის ნახევარზე. ყველა ეს ადამიანი და სხვებიც, მოდიან და მიდიან, ალებენ და ხურავენ კარს, ზუსტად იმდენ ხანს ცხოვრობენ, რამდენი შუქიც ეცემათ გავლისას, და თითოეულ მათგანს, რიგის მიხედვით, ძირითადი თემის ტალღა გადაევლება თავზე: ადამიანი კვდება. ის თითქოს ხელს ამოძრავებს ან თავს ატრიალებს ბალიშის მსგავსზე, და მის ყოველ მოძრაობასთან ერთად, ცხოვრება, რომელსაც ამნუთას ვაკვირდებოდით, ქრება ან იცვლება. პიროვნება ზოგჯერ საკუთარ თავს შეიცნობს და მაშინ ვგრძნობთ, რომ წიგნის რომელიღაც მთავარ არტერიას მივუყვებით.

„ახლა, როცა უკვე გვიან იყო, როდესაც სიცოცხლის ყველა მაღაზია დაეკეტათ, ნანობდა, ის წიგნი რომ არ იყიდა, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდა; რომ ერთხელაც არ დასტყდომია თავს მიწისძვრა, ხანძარი ან სარკინიგზო კატასტროფა; არასდროს უნახავს ტიბეტის Tatsienlu¹; არ მოუსმენია, როგორ ატარებენ ენას ცისფერი კაჭკაჭები ჩინურ ტირიფებში; არ გამოლაპარაკებია ზნედაცემულ ურცხვთვალეებიან გიმნაზიელ გოგოს, უკაცრიელ მინდორში რომ შეხვდა; არ გასცინებია მორიდებული, ულამაზო ქალის უბადრუკ ხუმრობაზე, როდესაც ოთახში მყოფთაგან არავინ გაიცინა; რომ ვერ მიუსწრო მატარებლებს, ვერ მიხვდა მინიშნებებს, ხელიდან გაუშვა შესაძლებლობები; რომ პენი არ მისცა — არადა, ჯიბეში ედო — მოხუც მუსიკოსს, რომელიც ერთ ავდრიან დღეს მიყრუებულ ქალაქში საკუთარი თავისთვის გულის ამარწყებლად უკრავდა“.

¹ ტატსიენლუ (ტატჩიენლუ) — ტიბეტის ისტორიული ურბანული ცენტრი.

სებასტიან ნაითს ყოველთვის უყვარდა თემებით ჟონგლირება, მათი ერთმანეთთან შეჯახება და ისე ოსტატურად გადახლართვა, რომ ისინი თვითონ გამოთქვამდნენ მათში ჩამალულ აზრს, რასაც მხოლოდ ტალღების თანამიმდევრობა თუ გამოხატავს, როგორც ჩინური ბაკენის მუსიკა ისმის მხოლოდ ზღვის ღელვისას. „საეჭვო ასფოდელოში“ მისი ეს სისტემა სრულყოფილებას აღწევს. მთავარი შემადგენელი ნაწილები კი არ არის, არამედ მათი კომბინაცია.

თითქოს ერთგვარი მეთოდია ისიც, თუ როგორ გამოსახავს ავტორი სიკვდილის ფიზიკურ პროცესს: წყვდიადისკენ მიმავალი ნაბიჯები; ტვინის, სხეულისა და ფილტვების თანამიმდევრული მოქმედება. ჯერ ტვინი გაივლის წარმოდგენათა განსაზღვრულ იერარქიას — წარმოდგენას სიკვდილის შესახებ: რომელიმე წიგნის მინდორზე დაწერილი ვითომდა დახვეწილი აზრები (ეპიზოდი ფილოსოფოსის მონაწილეობით): „სიკვდილის მიზიდულობა: ფიზიკური ზრდა თავდაყირა, როგორც დაკიდებული წვეთის დაგრძელება; ბოლოს და ბოლოს, იგი არაფერში ვარდება“. პოეტური, რელიგიური აზრები: „...მატერიალიზმის ჭაობი და ოქროს სამოთხე მათთვის, ვისაც დინ პარკი¹ ოპტიმისტიკოსებს უწოდებს...“

„მაგრამ მომაკვდავმა იცოდა, რომ ეს ჭეშმარიტი იდეები არ იყო; რომ სიკვდილის ცნების მხოლოდ ერთი ნახევრის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მართლა არსებობს: საკითხის ამჟამინდელი მხარე — წვალება, განშორება, მოფრიალე ცხვირსახოცებით სავსე ცხოვრების სანაპირო თანდათან შორს რჩება: აჰ, არა, ის ხომ უკვე იქითა მხარესაა, ვინაიდან ჩანს, როგორ იხევს უკან ნაპირი; არა, არც მთლად ასეა — რადგან ის კვლავაც ფიქრობს“ (მეგობრის გამცილებელი, შესაძლოა, დიდხანს დაყოვნდეს გემბანზე, თუმცა ამის გამო მგზავრად არ გადაიქცევა).

თანდათანობით ფიზიკური სნეულების დემონები ტკივილის კლდეების ალყაში აქცევენ ყველა აზრს, ფილოსოფიურ მიდგომას, ვარაუდს, მოგონებას, იმედს, სინანულს. სა-

¹ როგორც ჩანს, გამოგონებული პიროვნება.

ზიზლარ ადგილებში მივლოდავთ, ვბორძიკობთ, და ჩვენთვის სულერთია, სად მივბობლავთ — ყველგან ერთი და იგივე ტკივილია, და არაფერი, ნარ-ეკლის გარდა. ახლა მოქმედებას უკუმეთოდი ინყებს. აზრებად შეფუთული სახეების ნაცვლად, რომლებიც სულ უფრო და უფრო სუსტად ასხივებდნენ, როდესაც არსაით მიმავალი ბილიკებით მივყვებოდით, ნელ-ნელა ჩვენკენ მოიწვევენ, ყოველი მხრიდან გარს გვეხვევიან, გვაგინროებენ უხეში და საშინელი ზმანებები: განამებული ბავშვის ამბავი; დევნილის მონათხრობი სასტიკ ქვეყანაში ცხოვრების შესახებ, საიდანაც იგი გაიქცა; უწყინარი შემლილი ჩაშავებული თვალით; გაბრაზებული ფერმერი, რომელიც გახელებით ურტყამს წიხლებს თავის ძაღლს. ბოლოს, ტკივილიც ყურდება. „ახლა ისე დაუძღურდა, რომ სიკვდილზეც კი აღარ ფიქრობდა“. ასე „ოფლიანი ადამიანები ხვრინავენ ხალხით გაჭედილ მესამე კლასის ვაგონში; ასე სკოლის მოსწავლე იძინებს მისთვის რთული ამოცანის ამოსახსნელად თავის მტვრევაში“. „დავიღალე, დავიღალე... საბურავი თავისით მიგორავს და მიგორავს, აქეთ-იქით ირხევა, სვლას ანელებს და...“

სწორედ ამ დროს წიგნს სინათლის ტალღა გადაეკლება თავზე: „...გეგონებათ, ვილაცამ კარი ფართოდ გააღო. ოთახში მსხდომნი ფეხზე წამოიჭრებიან და გამალებით, თვალების ხამხამით სტაცებენ ხელს თავიანთ ფუთებს“. ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს აბსოლუტური ჭეშმარიტების ზღურბლზე ვდგავართ, რომელიც დამაბრმავებელი ბრწყინვალეებითა და, იმავდროულად, საოცრად შინაურული უბრალოებით გამოირჩევა. ავტორი წარმოუდგენელი ოსტატობით ადგენს ფრაზებს და გვაიძულებს, ვირწმუნოთ, რომ მან იცის სიმართლე სიკვდილის შესახებ, რომელსაც გაგვანდობს. ცოტაც და, ამ წინადადების ბოლოში ან მომდევნოს შუაგულში, ან სულ მალე რაღაც ისეთს გავიგებთ, რაც თავდაყირა დააყენებს ჩვენს შეხედულებებს. ეს იგივეა, უეცრად რომ აღმოვაჩინოთ: თურმე ფრენასაც შევძლებთ, თუკი ხელებით მარტივ მოძრაობას შევასრულებთ, რაც ადრე არასდროს გვიცდია.

„ყველაზე რთულად გასახსნელი კვანძიც კი მხოლოდ გადახვეული თოკია; ფრჩხილებს არ ემორჩილება, თუმცა სხვა არაფერია, თუ არა მსუბუქი, ზარმაცი მარყუჟების ერთობლიობა. თვალით ვხსნით, მაგრამ მოუხერხებელი თითები გვისიხლიანდება. ის (მომაკვდავი) სწორედ ეს კვანძი იყო და მას მყისვე გახსნიდა, ძაფის დანახვა და თვალის მიყოლება რომ მოეხერხებინა. და არა მხოლოდ ის, ყველაფერი გაიხსნებოდა — ყველაფერი, რაც კი შეეძლო წარმოედგინა სივრცისა და დროის ჩვენს ბავშვურ განმარტებებში. ორივე გამოცანაა და ადამიანმა ისინი გამოცანების სახით მოიგონა, ახლა კი ეს უაზრობა ბუმერანგით უკან გვიბრუნდება... მაგრამ აი, მან რაღაც რეალურს ჩაავლო ხელი, რაც არ უკავშირდებოდა აზრებს, შეგრძნებებსა და გამოცდილებას, რომლებიც მას ცხოვრების საბავშვო ბაღში ჰქონდა...“

პასუხი სიკვდილ-სიცოცხლის ყველა შეკითხვაზე, „აბსოლუტური ამოხსნა“, ამ სამყაროში ყველაფერზე იყო აღბეჭდილი, რაც კი იცოდა. ეს იგივეა, მოგზაური უეცრად მიხვდეს, რომ კვლევის ობიექტად ქცეული ადგილი, რომელზეც ჯერ ფეხი არავის დაუდგამს, ბუნებრივი მოვლენების შემთხვევითი ნაკრები კი არ არის, არამედ წიგნის გვერდი, სადაც ყველა ეს მთა, ტყე, მინდორი და მდინარე ისეა განლაგებული, რომ გამართული წინადადება გამოვიდეს; ხმოვანი სიტყვისა „მდინარე“ 'სიტყვა „შენაკადის“ შიშინა თანხმოვანს ერწყმის; დაკლაკნილი გზა თავის შეტყობინებებს მომრგვალებულად წერს, ისევე მკაფიოდ, როგორც მამის ხელი; ხეები შესტებით ლაპარაკობენ და ეს მას ესმის, ვინც შესტების ენა ისწავლა... მოგზაურიც ასე მარცვალ-მარცვალ კითხულობს ლანდშაფტს და მისი მნიშვნელობაც გასაგები ხდება. ანალოგიურად, ადამიანის ცხოვრების ჩახლართული ნიმუში მონოგრამად გადაიქცევა და სრულიად გასაგები ხდება ლიტერების ურთიერთკავშირის დამდგენის შინაგანი მზერისთვის. და ეს სიტყვა, მისი გაცხადებული მნიშვნელობა თავისი უბრალოებით გვაოცებს: შესაძლოა, ყველაზე დიდი მოულოდნელობა ის აღმოჩნდეს, რომ დედამინაზე არსებობის მთელი ხნის

განმავლობაში, როდესაც ცნობიერება ცხრაკლიტულში იყო გამომწვევდელი და მჭიდროდ შემოტმასნოდა სიზმარი საკუთარი თავის შესახებ, ადამიანის გონებას შემთხვევითაც კი არ უცდია პატიმრობისგან აზრის გათავისუფლება, რაც მას ამ უმნიშვნელოვანეს ცოდნას უზიარებდა.

ახლა ამოცანა ამოხსნილი იყო. „და როდესაც ყველა საგნის ფორმა ერთიანად განათდა მნიშვნელობით, მრავალი აზრი და მოვლენა, ასე საყურადღებო რომ მოჩანდა, უმნიშვნელო კი არ გახდა, — ვინაიდან ახლა უმნიშვნელო ვერაფერი იქნებოდა, — იმდენად დაპატარავდა, რამდენადაც ის აზრები და მოვლენები გაიზარდა, ადრე მნიშვნელობა რომ წაართვეს“. და მაშინ მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის ბუმბერაზები, ჩვენს ცნობიერებაში რომ ბრწყინავდნენ, კლასიფიკაციის ჩვეულებრივი სქემიდან ამოცვივდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი ერთმანეთს შეერივნენ და გაუთანაბრდნენ. და ალუბლის კურკა, მისი პატარა ჩრდილი დალლილი ძელსკამის შეღებილ ფიცარზე, ქალაღდის ნაგლეჯი ან ნებისმიერი სხვა წვრილმანი მილიონობით ასეთივე წვრილმანიდან გასაოცარ ზომამდე გაიზრდება. და ამ ახალი სახითა და ახალი შეხამებით სამყარო ისევე ბუნებრივად გაუმხელდა სულს თავის მნიშვნელობას, როგორც ორივენი სუნთქავდნენ.

ახლა კი ყველაფერს ზუსტად გავიგებთ; სიტყვა წარმოითქმება და თქვენც, მეც და ყველანიც თავში ხელს შემოვირტყამთ: რა სულელები ვიყავით! და წიგნის ამ ბოლო მოსახვევში ავტორი თითქოს წამით შეყოვნდება და ფიქრობს, გონივრული იქნება თუ არა სიმართლის გამხელა. იგი თითქოს თავს ასწევს და მიატოვებს მომაკვდავს, რომლის აზრებსაც თვალყურს ადევნებდა, შეტრიალდება და ფიქრობს: გაჰყვეს თუ არა მას ბოლომდე? ჩაილაპარაკოს თუ არა ჩურჩულით სიტყვა, რომელიც ჩვენი გონების თვითკმაყოფილ დუმილს დაამსხვრევს? დიახ, დიახ. ჩვენ ისე შორს შევტოპეთ, რომ ეს სიტყვა უკვე ფორმირდება და საცაა, გაჩნდება კიდევ. კვლავ შევტრიალდებით და დავიხრებით სანოლის გადღაბნილი მობაზულობის, სხეულის ნაცრისფერი, ბუნდოვანი კონტურე-

ბის თავზე, ქვემოთ, სულ უფრო ქვემოთ... მაგრამ ყოყმანის ეს ნუთი საბედისწერო აღმოჩნდა. ადამიანი მოკვდა.

იგი მოკვდა და ჩვენ კვლავ არაფერი ვიცით. გაღმა ნაპირზე მყოფი ასფოდელი კი ისეთივე საეჭვო დარჩა, როგორც იყო. ხელში მკვდარი წიგნი გვიჭირავს. ან იქნებ ვცდებით? როდესაც სებასტიანის საუკეთესო წიგნის გვერდებს ვფურცლავ, ზოგჯერ ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს „აბსოლუტური დასკვნა“ სადღაც აქვია, ერთ-ერთ პასაჟში იმალება, რომელსაც ძალზე სწრაფად გადავავლე თვალი, ან სხვა სიტყვებშია არეული, რომელთა ნაცნობ სახეებსაც შეცდომაში შევყავარ. ვერ ვიხსენებ წიგნს, ჩემში ეს განსაკუთრებული შეგრძნება რომ გამოენვია. და იქნებ ეს არის კიდევ ავტორის ჩანაფიქრი.

თვალნათლივ მახსოვს ის დღე, როდესაც ინგლისურ პრესაში განცხადებას მოვკარი თვალი „საეჭვო ასფოდელის“ შესახებ. გაზეთი პარიზის სასტუმროს ვესტიბიულში ჩამივარდა ხელში, სადაც ვიღაც კაცს ველოდებოდი, რომელსაც ჩვენი სააგენტო ელოლიავებოდა, რათა ერთი საქმე მოეგვარებინა. ადამიანების ფერება არცთუ კარგად მეხერხება და, საერთოდ, ეს წამოწყება არც ისე ხელსაყრელი მეჩვენებოდა, როგორც უფროსობას. ჰოდა, ვიჯექი ამ პირქუშად საზეიმო, მყუდრო დარბაზში და გამომცემლის განცხადებასა და სებასტიანის ლამაზ, შავ, დიდი ლიტერებით აწყობილ სახელს ვკითხულობდი. ისე შემშურდა მისი ბედის, როგორც არასდროს. არ ვიცოდი, იმ დროს სად იმყოფებოდა, სულ ცოტა, ექვსი წელი მაინც არ მენახა. არც ის ვიცოდი, ასეთი ავადმყოფი და უბედური თუ იყო. მისი წიგნის შესახებ გამოქვეყნებული განცხადება კი, პირიქით, მის კეთილდღეობაზე მეტყველებდა — წარმოვიდგინე, რომ რომელიღაც კლუბის თბილ, მხიარულ ოთახში იმყოფებოდა: ხელები ჯიბეებში ჩაენყო, ყურები უხურდა, გაკაშკაშებული თვალები დანამოდა, ტურჩებზე ღიმილი დასთამაშებდა, და ყველა, ვინც კი იქ იმყოფებოდა, პორტვეინით სავსე სირჩებით გარს შემოხვეოდა და მის ხუმრობაზე იცინოდა. სულელური სურათი იყო, მაგრამ იგი კვლავაც ლივლივებდა თეთრი გულისპირების, შავი სმო-

კინგების, ხასხასა წითელი ღვინისა და რელიეფური სახეების არასწორი მოხაზულობით, როგორც ეს ჟურნალების უკანა ყდაზე მოთავსებულ ფერად ფოტოსურათებზეა. გადავწყვიტე, წიგნი გამოსვლისთანავე მეყიდა. მის წიგნებს ისედაც ყოველთვის გამოსვლისთანავე ვყიდულობდი, მაგრამ ამას განსაკუთრებული მოუთმენლობით ველოდი. მალე ჩემთან ის კაცი ჩამოვიდა, ვისაც ველოდებოდი. ინგლისელი იყო, თანაც საკმაოდ ნაკითხი. სანამ საქმეზე გადავიდოდით, სხვადასხვა თემას გაკვრით შევეხეთ. გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება ვუჩვენე და ვკითხე, სებასტიან ნაითის შემოქმედებას თუ იცნობდა. მიპასუხა, რომ ერთი-ორი წიგნი წაეკითხა — რაღაც „პრიზმა“ და „დაკარგული ნივთები“. როდესაც დავინტერესდი, მოეწონა თუ არა, მითხრა, რომ, ალბათ, უფრო მოეწონა, მაგრამ ავტორი საშინელ სნობად მიაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის ინტელექტუალური გაგებით. ვთხოვე, აეხსნა, რას გულისხმობდა. დაამატა, რომ ნაითი, მისი აზრით, ყოველთვის მის მიერვე გამოგონებულ თამაშს თამაშობდა, რომლის წესებსაც პარტნიორებს არ აცნობდა. ისიც აღნიშნა, ისეთი წიგნები მირჩევნია, ადამიანს ჩაფიქრებას რომ აიძულებს, ნაითის წიგნები კი სხვანაირია — მათ შემდეგ გაოცებული და გაღიზიანებული ვარო. შემდეგ სხვა, ამჟამად ცოცხალ და სალ-სალამათად მყოფ მწერალს შეეხო, რომელსაც ნაითზე გაცილებით მაღლა აყენებდა. პაუზით ვისარგებლე და საქმიანი საუბარი წამოვიწყე. ის არც ისეთი შედეგიანი გამოდგა, როგორც ჩემს სააგენტოს სურდა.

„საექვო ასფოდელოზე“ ბევრი რეცენზია დაიწერა, უმეტესწილად, გრძელი და საქებარი, მაგრამ სტრიქონებს შორის მინიშნება იკითხებოდა — თითქოს ავტორი დაიღალა, რაც სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ დიდი ხანია, ყველას თავი მოაწყინა. მათ წერილებში ერთგვარი თანაგრძნობაც კი გამოსჭვიოდა, თითქოს რეცენზენტებმა ავტორის შესახებ რაღაც სამწუხარო და გულის დამამძიმებელი იცოდნენ, რაც წიგნში არ იყო, მაგრამ მისდამი მათ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა. ერთი კრიტიკოსი იქამდეც კი მივიდა, რომ

განაცხადა, „შერეული გრძნობით წავიკითხე, ყველა მკითხველს როდი სიამოვნებს მომაკვდავის გვერდით ჯდომა და თავის მტვრევა, თუ ვინ არის ავტორი — ექიმი თუ პაციენტიო“. თითქმის ყველა რეცენზიაში მიუთითებდნენ, რომ წიგნი ოდნავ განელილი, ბევრი ადგილი კი ბნელით მოცული და ძნელსაცნაური იყო. სებასტიან ნაითს „გულწრფელობისთვის“ აქებდნენ — არ ვიცი, რას გულისხმობდნენ. კარგი იქნებოდა იმის გაგება, თვითონ სებასტიანი რას ფიქრობდა ამ რეცენზიების შესახებ.

ჩემი ეგზემპლარი ახლო ნაცნობს მივეცი, რომელმაც მის წაკითხვას რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ მოაბა თავი, შემდეგ კი მატარებელში დარჩა. ხელმეორედ ვიყიდე და არავისთვის აღარ მიმიცია. ის ჩემს წიგნებს შორის უსაყვარლესია. არ ვიცი, მაიძულებს თუ არა, რომ დავფიქრდე, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მე ის, უბრალოდ, მომწონს. მისი მანერა მომწონს. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეუბნები, მისი რუსულად გადათარგმნა არც ისე ძნელი იქნება-მეთქი.

თავი მეცხრამეტე

მოვახერხე და მეტ-ნაკლებად აღვადგინე სებასტიანის ცხოვრების ბოლო, 1935 წელი. იგი 1936-ის დასაწყისშივე გარდაიცვალა. როდესაც ამ რიცხვს ვუყურებ, უნებურად ვფიქრობ, რომ ადამიანსა და მისი სიკვდილის თარიღს შორის რაღაც მისტიკური მსგავსება არსებობს. სებასტიან ნაითი 1936 წელს წავიდა ამ ქვეყნიდან... ეს რიცხვი მის გამოსახულებას მაგონებს ჭავლით შერხეულ წყალში. ბოლო სამი ციფრის სიმრგვალე რაღაცით სებასტიანის პიროვნების კლაკნილ ნარკვევს ჰგავს... ვცდილობ, — როგორც ხშირად ვცდილობდი ამ ამბის თხრობისას, — ისე გამოვხატო აზრი, რომ მას მოსწონებოდა, ნაკითხვა რომ შესძლებოდა... თუ ვერსად შევძელი მისი აზრების თუნდაც ჩრდილის დაჭერა, — თუ ანგარიშმიუცემელმა აზროვნებამ ერთხელაც არ მიმითითა, სად უნდა მომეხვია მის კერძო ლაბირინთში, — მაშასადამე, ეს წიგნი ჩამიფლავებია.

1935 წლის გაზაფხულზე „საექვო ასფოდელოს“ გამოსვლა სებასტიანის მიერ წინას ნახვის ბოლო მცდელობას დაემთხვა. როდესაც ქალის ერთმა, თავზე ბრიოლინწასმულმა არამზადამ უთხრა, მას უნდა, რომ სამუდამოდ გაქრეთ მისი ცხოვრებიდანო, ლონდონში ორიოდე თვით დაბრუნდა და უბადრუკად სცადა მარტოობის მოტყუება და, შეძლებისდაგვარად, ხშირად იმყოფებოდა სხვების გარემოცვაში. გამხდარი, სევდიანი და მღუმარე ხან აქ გამოჩნდებოდა ხოლმე, ხან — იქ, თავის შარფს ყველაზე თბილ სასადილოშიც კი არას-

დროს იხსნიდა, დიასახლისებს გულს სტკენდა დაბნეულობითა და საუბარში ჩართვის შეთავაზებაზე ჯიუტად, თუმცა თავაზიანად, უარის თქმით, შეხვედრის მოულოდნელად მიტოვებით. ზოგჯერ მას საბავშვო ოთახში პოულობდნენ, სადაც პაზლს ჩაჰკირკიტებდა — მუყაოს ფერადი ნაჭრებისგან სურათის აწყობას ცდილობდა. ერთხელ ჩარინგ-კროსის სიახლოვეს ელენ პრატი კლერს წიგნის მაღაზიასთან დაემშვიდობა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კი ქუჩაში სებასტიანს შეხვდა. ეს უკანასკნელი წამოწოტდა, მის პრატს ხელი ჩამოართვა და მიწისქვეშა რკინიგზის სადგურამდე მიაცილა. ქალს გულზე მოეშვა, რომ იგი ერთი წუთით ადრე არ გამოჩნდა, უფრო მეტად კი ის გაუხარდა, რომ წარსული არ უხსენებია. ამის ნაცვლად, ჩახლართული ამბავი უამბო იმის შესახებ, თუ როგორ სცადა ორმა კაცმა წინა საღამოს, პოკერის თამაშისას, მისი გაცურება.

— მიხარია, რომ შეგხვდით, — თქვა მან დამშვიდობებისას, — მგონი, აქ შევეძლებ, რომ ვიყიდო.

— რის ყიდვას გულისხმობთ? — ჰკითხა მის პრატმა.

— მე მივდიოდი... (მან სწორედ წიგნის ის მაღაზია დაასახელა), მაგრამ, ვფიქრობ, ჩემთვის საჭირო წიგნს ამ ჯიხურშიც ვიყიდი.

იგი ესწრებოდა კონცერტებს, დადიოდა თეატრში, გვიან საღამოს კაფეში ცხელ რძეს სვამდა ტაქსის მძღოლებთან ერთად. ამბობენ, რომ სამჯერ ნახა ერთი და იგივე, უვარგისი ფილმი, სახელწოდებით, „მოჯადოებული ბალი“. მისი გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ (მადამ ლესერფის პიროვნების დადგენიდან რამდენიმე დღე იქნებოდა გასული) ფრანგულ კინოთეატრში ეს ფილმი აღმოვაჩინე და თავიდან ბოლომდე ვუყურე, მხოლოდ იმის გარკვევის მიზნით, თუ რამ მიიზიდა იგი.

ფილმის შუაში მოქმედება რივიერაზე გადაინაცვლებს, სადაც ჩანს, როგორ ირუჯებიან მობანავეები მზეზე. იყო თუ არა მათ შორის წინა? ეს მისი შიშველი მხარი ხომ არ არის? მომეჩვენა, რომ ერთი ქალი, რომელმაც აპარატს შეხედა, მას

ჰგავდა, მაგრამ სახის კრემი, ნამზეურობა და თვალის ტუში სახეს ძალიან ცვლის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხოლოდ გაკვრით შეხედავთ. სებასტიანი მთელი აგვისტოს განმავლობაში ავადმყოფობდა, თუმცა ექიმ ოუტსის მითითებას წოლითი რეჟიმის შესახებ არ დაემორჩილა. სექტემბერში ქალაქგარეთ გავიდა თითქმის უცნობ ადამიანებთან შესახვედრად. მათ იგი თავაზიანობის გამო დაჰატიყეს, ვინაიდან უთხრა, რომ მათი სახლის ფოტოსურათი „პრატლერში“¹ ნახა. მთელი კვირა დაბორიანობდა ძალზე ცივ შენობაში, სადაც ყველა სხვა სტუმარი ერთმანეთს კარგად იცნობდა. ერთხელ, დილით, ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, ათი მილი გაიარა სადგურამდე და ლონდონში დაბრუნდა, თავისი სმოკინგისა და პარკში ჩადებული საბანაო ღრუბლის წამოღება კი დაავიწყდა. ნოემბრის დასაწყისში შელდონთან ერთად ისაუზმა მის კლუბში და ისე ცოტას ლაპარაკობდა, რომ მეგობარი ვერაფრით მიხვდა, საერთოდ რატომ მივიდა. შემდეგ თეთრი ლაქაა. როგორც ჩანს, საზღვარგარეთ გაემგზავრა, თუმცა არა მგონია, ეს ნინასთან შეხვედრის მიზნით გაეკეთებინა, თუმცა, მისი დაუდგრომლობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ჰქონდა კიდევ ამის მცირე იმედი.

1935 წლის უმეტესი ნაწილი მარსელში გავატარე სააგენტოს საქმეების გამო. 1936 წლის იანვრის შუა რიცხვებში სებასტიანისგან წერილი მივიღე. უცნაურია, მაგრამ რუსულად დაენერა:

„როგორც ხედავ, პარიზში ვარ და, შესაძლოა, აქ ერთხანს ჩავრჩე (ზასტრიანუ). თუ მოსვლას შეძლებ, მოდი; თუ ვერ მოახერხებ, არ მენწყინება; მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნება, თუ მოხვალ. ყელში ამომივიდა ათასგვარი ღვლარჭნილობა, განსაკუთრებით ჩემი წარსულის მოხატულობები, და ახლა პოეტურ ნუგეშისცემას ვპოულობ ყოველივე ბუნებრივსა და ჩვეულებრივში, იმაში, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში რატომღაც ვერ ვამჩნევდი. მაგალითად, მინდა, გკითხო, რას

¹ პრატლერი — ინგლისური ჟურნალის სახელწოდების, Tattler — ქორიკანა და სიტყვა prattle-ის (ყბულობა) ჰიბრიდი.

საქმიანობდი ამ წლებში, მოგიყვე საკუთარი თავის შესახებ; ვიმედოვნებ, ჩემზე მეტ წარმატებას მიაღწიე. ბოლო დროს ხშირად ვნახულობ ექიმ სტაროვს, ვინც *maman* (ასე ეძახდა სებასტიანი დედაჩემს) მკურნალობდა. ერთხელ, გვიან საღამოს, მას შემთხვევით შევხვდი, როდესაც ვილაციის ავტომობილის საფეხურზე ჩამოვჯექი სულის მოსათქმელად. ის ფიქრობს, რომ უშინაარსოდ ვცხოვრობდი პარიზში მას შემდეგ, რაც *maman* გარდაიცვალა. დავეთანხმე ჩემი ემიგრანტული ყოფის ამ ვერსიას, ვინაიდან (იბო) ახსნა-განმარტების თავი არ მქონდა. ოდესმე, შესაძლოა, ზოგიერთი დოკუმენტი აღმოაჩინო; დაუყოვნებლივ დანვი; მათ მართლა ესმოდათ ხმები... (აქ ერთი-ორი სიტყვა ვერ გავარჩიე: *Dot chetu*¹?), მაგრამ ახლა მათ ცეცხლზე დანვა მოუწევთ. აქამდე შემოვინახე ისინი, ლამის გასათევიც მივეცი, რადგან ასეთი ნივთები ყველაზე უსაფრთხო მაშინაა, როდესაც სძინავთ, მაგრამ თუ მოკლავ, მოჩვენებები აღარ მოგასვენებენ. ერთხელაც, ლამით, როდესაც თავი განსაკუთრებულად მოკვდავად ვიგრძენი, მათ სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანე — ამ ნიშნით ყველას იოლად მიაგნებ. იმ სასტუმროში ვცხოვრობდი, სადაც ყოველთვის ვჩერდებოდი, მაგრამ ახლა ქალაქგარეთ გადავედი. აქ სანატორიუმის მსგავსია, ყურადღება მიაქციე მისამართს. წერილის წერა თითქმის ერთი კვირის წინათ დავინწყე და ყველაფერი, რაც სიტყვამდე „ცხოვრების“ ეწერა, სრულიად სხვა პიროვნებისთვის იყო განკუთვნილი. შემდეგ ის რალაცი-ნაირად შენკენ შემობრუნდა, როგორც უცხო სახლში მყოფი მორიდებული სტუმარი გააბამს ხოლმე საუბარს, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, უახლოეს ნათესავთან, ვისთან ერთადაც დროის გასატარებლად მივიდა. ამიტომაც მაპატიე, თუ თავი შეგანყინე (დოკუჩაიუ), მაგრამ რატომღაც სულაც არ მეხატება გულზე ფანჯრიდან შიშველი ტოტების ყურება“.

ამ წერილმა, ცხადია, შემაშფოთა, თუმცა არც იმდენად ავფორიაქებულვარ, როგორც ავწრიალდებოდი, თუ მეცო-

¹ *Dot chetu* — მოთხრობის გმირმა რუსულ ტექსტში ლათინური ანბანის ასოები ვერ ამოიცნო. „დოტ ჩეტუ“ არის *Domremy* — დომრემი, უანა დ'არკის მშობლიური სოფელი, სადაც წმინდანთა ხმები ჩაესმოდა.

დინებოდა, რომ 1926 წლიდან სებასტიანს უკურნებელი სენი სჭირდა, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სულ უფრო უძლიერდებოდა. ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ მასზე ნუხილის ბუნებრივი გრძნობა ერთგვარად დამჩლუნგებოდა, ვინაიდან ვიცოდი, რომ ადვილად აღზნებადი და ნერვიული ადამიანი იყო, ჯანმრთელობის გაუარესების დროს უკიდურესი პესიმიზმი ახასიათებდა. ვიმეორებ, არაფერი ვიცოდი მისი გულის ავადმყოფობის შესახებ და თავი დავარწმუნე, რომ მუშაობისგან გადაიტვირთა. მაგრამ მაინც ავად იყო და ისეთი კილოთი მთხოვდა მის მონახულებას, გამიკვირდა კიდევ. თითქოს არასდროს სჭირდებოდა ჩემს გარემოცვაში ყოფნა, ახლა კი აშკარად და დაჟინებით მთხოვდა ამას. ერთდროულად შეძრულიც ვიყავი და გაოცებულიც, და სიმართლე რომ მცოდნოდა, პირველივე მატარებელში ჩავჯდებოდი. წერილი ხუთშაბათს მოვიდა და მაშინვე გადავწყვიტე, რომ პარიზში შაბათს გავემგზავრებოდი, რათა კვირა სალამოს უკან დავბრუნებულიყავი, ვინაიდან ვიცოდი, რომ გაგანია საქმის დროს, როცა მარსელში წასვლა მმართებდა, სააგენტოში ჩემს არყოფნას ცუდი თვალით შეხედავდნენ. ნაცვლად იმისა, რომ წერილი მიმეწერა და ყველაფერი ამეხსნა, გადავწყვიტე, შაბათს დილით დეპეშა გამეგზავნა, როდესაც მეცოდინებოდა, შევძლებდი თუ არა უფრო ადრეული რეისით გამგზავრებას.

იმავე ღამეს ძალზე უსიამოვნო სიზმარი ვნახე. დამესიზმრა, რომ დიდ, სუსტად განათებულ ოთახში ვიჯექი, რომელიც ძილში სახელდახელოდ მოვანყვე ბუნდოვნად ხსომებული სხვადასხვა სახლიდან წამოღებული ავეჯით, ოლონდ ღრეჩოებიანით და შეცვლილი დანიშნულებით. მაგალითად, თარო, იმავდროულად, მტვრიანი გზის მოვალეობასაც ასრულებდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს სოფლის სახლის ან ფუნდუკის ოთახი იყო — მორებისა და ფიცრებისგან გაკეთებული კედლების ზეგავლენით. სებასტიანს ველოდებოდით, რომელიც შორი გზიდან ბრუნდებოდა. ყუთის მსგავს რალაცაზე ვიჯექი, დედაჩემიც იქვე იყო, მაგიდას კი, ჩვენ

გარდა, კიდევ ორნი უსხდნენ და ჩაის მიირთმევდნენ: ჩემი თანამშრომელი თავის ცოლთან ერთად. სებასტიანი მათ არ იცნობდა, სიზმრების მმართველს ისინი აქ მხოლოდ სცენის შესავსებად შემოეყვანა.

შეშფოთებულები ველოდით, ბუნდოვანი წინათგრძნობა არ გვასვენებდა. ვგრძნობდი, რომ ჩემზე მეტი იცოდნენ, მაგრამ ვერ ვბედავდი, მეკითხა, რატომ ნერვიულობდა დედა ჭუჭყიან ველოსიპედზე, რომელსაც არაფრით სურდა ტანსაცმლის კარადაში მოთავსება: კარი არ იკეტებოდა. კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე გემი ეხატა, ტალღები ისე ირხეოდა, მუხლუხების პროცესია გეგონებოდათ, გემი ირწეოდა. ეს მანამდე მალიზიანებდა, სანამ ძველებური ჩვეულება არ გამახსენდა, რომლის თანახმადაც, ასეთ სურათებს მაშინ კიდებდნენ, როდესაც მოგზაურობიდან ახლობლის დაბრუნებას ელოდებოდნენ. სებასტიანს ნებისმიერ დროს შეეძლო შემოსვლა, კართან ხის იატაკზე სილა ეყარა, რათა მას ფეხი არ დასხლტომოდა. დედა წავიდა და თან ჭუჭყიანი დეზები და უზანგები წაიღო, რომლებიც ვერსად შეჩურთა, ბუნდოვანი ცოლ-ქმარიც უხმოდ გაიყვანეს, რადგან ახლა მარტო ვიყავი ოთახში. ამ დროს ზედა გალერეაზე კარი გაიღო და სებასტიანი გამოჩნდა, რომელიც მორყეული კიბით ნელ-ნელა პირდაპირ ოთახში ჩამოდიოდა. პალტო არ ეცვა, თმა გასწენოდა. მივხვდი, რომ მოგზაურობით დაღლილს თვალი მოეტყუებინა. ჩამოსვლისას ყოველ საფეხურზე ოდნავ ყოვნდებოდა, ნაბიჯს ერთსა და იმავე ფეხით დგამდა, ხელი მოაჯირისთვის ჩაეწყო. ამასობაში დედაც დაბრუნდა და იატაკიდან წამოდგომაში მიეხმარა, რადგან კიბეზე ფეხი დაუცდა, ჩამოგორდა და ძირს ზურგით დაეცა. იგი სიცილით მომიახლოვდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ რალაცის რცხვენოდა. ფერმკრთალი და გაუპარსავი სახე ჰქონდა, თუმცა მხნედ გამოიყურებოდა. დედა, რომელსაც ხელში ვერცხლის ფინჯანი ეჭირა, დაჯდა — როგორც გაირკვა, საკაცეზე. იგი ორმა მამაკაცმა გაიყვანა. სებასტიანმა ღიმილით ამიხსნა, რომ ისინი შაბათობით ჩვენთან ათევდნენ ღამეს. უეცრად შევამჩნიე, რომ მარცხენა ხელზე

შავი ხელთათმანი ეკეთა, თითებს არ ამოძრავებდა. მათ არც არასდროს იყენებდა. საშინლად, ზიზღის მოგვრამდე, გულის რევამდე მეშინოდა, რომ იმით არ შემხებოდა, ვინაიდან მივხვდი, რომ მაჯაზე რალაც ხელოვნური ჰქონდა მიმაგრებული — მისთვის ან ოპერაცია გაეკეთებინათ, ან უბედური შემთხვევის შედეგად დაეზიანებინა. მხოლოდ ახლა გავაცნობიერე, რატომ აღმიძრავდა ასეთ საშინელ გრძნობას მისი გარეგნობა და ის, თუ როგორ იყო ოთახი მონყობილი მისი ჩამოსვლისთვის. შესაძლოა, შეამჩნია კიდეც, რომ შევკრთი, მაგრამ, ვითომც არაფერიო, ჩაის სვამდა. დედა დავინწყებული სათითის წასაღებად დაბრუნდა და მაშინვე წავიდა, ვინაიდან ის ორნი ჩქარობდნენ. სებასტიანმა მკითხა, მოვიდნენ თუ არა მემანიკიურები, რადგან ბანკეტისთვის უნდა მომზადებულიყო. ვცადე, ეს საუბარი შემენწყვიტა — დასახიჩრებულ ხელზე გაფიქრებაც კი მზარავდა, მაგრამ დავინახე, რომ მთელ ოთახში უსწორმასწოროდ მოჭრილი ფრჩხილები ეყარა, ქალი კი, რომელსაც ოდესღაც ვიცნობდი (ახლა უცნაურად გადღაბნილი მეჩვენებოდა), თავის მანიკიურის ნესესერთან ერთად ჩამოსულიყო. იგი ტაბურეტზე სებასტიანის პირდაპირ დაჯდა. სებასტიანმა მთხოვა, არ შემხებდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. აი, დავინახე, როგორ შეიხსნა შავი ხელთათმანი და ნელა შეუდგა მის გაძრობას. და როცა ბოლომდე გაიძრო, იქიდან იატაკზე უამრავი მინიატიურული ხელი გადმოცვივდა, თავის წინა ფეხების მსგავსი, მოვარდისფრო, რბილი, ურიცხვი. შავებში ჩაცმული ქალი მუხლებზე დადგა. დავიხარე, რათა გამეგო, რას აკეთებდა მაგიდის ქვეშ, და დავინახე, რომ ამ ხელებს იღებდა და თეფშზე აწყობდა. თავი ავნიე და სებასტიანი აღარსად ჩანდა, კვლავ დავიხარე, მაგრამ ქალიც გამქრალიყო. ვიგრძენი, რომ ერთი ნუთითაც ველარ დავრჩებოდი ამ ოთახში. როდესაც შევტრიალდი და ურდულის მოძებნა ვცადე, ზურგს უკან სებასტიანის ხმა მომესმა; იგი ყველაზე ბნელი და ყველაზე შორეული კუთხიდან ისმოდა — ოღონდ არა ოთახის, არამედ უზარმაზარი ბელლის კუთხიდან: გახეული ტომრიდან ფეხებზე მარცვლეული მეყრებოდა. სებასტი-

ანს ვერ ვხედავდი, მაგრამ ისე ძალიან მინდოდა აქედან გაქცევა, რომ საფეთქლებში სისხლი ჩაქუჩივით მირტყამდა და მის ხმას ახშობდა. ვიცოდი, რომ მეძახდა, რალაც მნიშვნელოვანს მეუბნებოდა და მპირდებოდა, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანსაც მეტყოდა, თუ იმ კუთხეში მივიდოდი, სადაც იგი იჯდა თუ იწვა, სადაც მძიმე ტომრები ფეხებზე დასცემოდა. მოძრაობა დავინწყე და მაშინ მისი მონოდების ძახილი უკანასკნელად გაისმა, ხმამალლა და დაჟინებით, და ფრაზა, რომელმაც ყოველგვარი აზრი დაკარგა, როდესაც ჩემი სიზმრიდან ცხადში გადმოვიტანე, მაშინ, მის შიგნით, ძილის დროს, ისეთი აბსოლუტური მნიშვნელობით იყო სავსე, ისეთი ურყევი გადაწყვეტილებით, ჩემთვის რალაც საშინელი გამოცანა ამოეხსნა, რომ მაინც გავქანდებოდი სებასტიანისკენ, ერთი ფეხით უკვე ძილის გამოღმა რომ არ ვმდგარიყავი.

ვიცი, როდესაც ხელს მხრამდე ჩაყოფ ნყალში, სადაც მიმქრქალ სილაში თითქოს ძვირფასი ქვა ბრწყინავს, მაგრამ მუშტში ჩვეულებრივი კენჭი აღმოგაჩნდება, სინამდვილეში სწორედ ის არის სასურველი ძვირფასი ქვა, თუმცა ყოველდღიურად მზის ქვეშ ყოფნისგან კენჭად მოჩანს. ამიტომ ვგრძნობდი, რომ უაზრო წინადადება, რომელიც გაღვიძებისას თავში მიტრიალებდა, სინამდვილეში გასაოცარი ზეშთაგონების დამახინჯებული გადამღერება იყო. ზურგზე ვინეკი, ვუსმენდი ქუჩის ჩვეულ ხმაურსა და ნახევრად შეშლილ მუსიკალურ აბდაუბდას, რომლის ფონზეც ვილაც ჩემს თავზემთ საუზმობდა, როდესაც თითქმის ფიზიკურად შემაკრთო საშინელი წინათგრძნობის მსუსხავმა სიცივემ და გადავწყვიტე, სებასტიანისთვის მედეპეშა, რომ დაუყოვნებლივ მოვემგზავრებოდი. რალაც იდიოტური პრაქტიკული მოსაზრებების გამო (თუმცა ეს არასდროს მახასიათებდა), ვამჯობინე, ჩემი სააგენტოს მარსელის ფილიალში გამერკვია, გაართმევდნენ თუ არა საქმეს თავს უჩემოდ. აღმოჩნდა, რომ არათუ ვერ შეძლებდნენ, შაბათ-კვირას ჩემი გათავისუფლებაც სათუო იყო. იმ პარასკევს, მომქანცველი სამუშაო დღის შემდეგ, შინ ძალიან გვიან დავბრუნდი. შუადღიდან მოყოლებული, თურ-

მე დეპეშა მელოდებოდა, მაგრამ ყოველდღიური ბანალობა ისე უცნაურად მბრძანებლობდა სიზმრის დახვეწილ ზემთაგონებაზე, რომ სრულიად გადამავიწყდა მისი გულმხურვალე ჩურჩული, და როცა დეპეშას ვხსნიდი, ვფიქრობდი, ეს საქმიანი შეტყობინება იქნებოდა.

„სებასტიანი უიმედო მდგომარეობაშია დაუყოვნებლივ ჩამოდით სტაროვი“.

დეპეშა ფრანგულ ენაზე იყო შედგენილი, მაგრამ სებასტიანის სახელში ლათინური „V“ ჩაესვათ, როგორც რუსულად იწერება. ვერ გამიგია, რატომ წავედი სააბაზანოში, სადაც სარკის წინ დავდექი. შემდეგ შლაპას ხელი ვტაცე და კიბეზე სირბილით დავეშვი. სადგურში რომ მივედი, შუალამის დადგომას თხუთმეტი წუთი აკლდა, 0.02-ზე კი მატარებელი გადიოდა, რომელიც პარიზში მეორე დღის შუადღის სამის ნახევარზე იქნებოდა.

ამ დროს აღმოვაჩინე, რომ მეორე კლასის ბილეთის შესაძენად ფული არ მყოფნიდა. ერთხანს ვფიქრობდი, ფულის ასაღებად შინ დავბრუნდები, პარიზში კი პირველივე თვითმფრინავს გავყვები, რომელზეც ადგილს ვიშოვი-მეთქი, მაგრამ მატარებლის სიახლოვე ძლიერი საცდური იყო. როგორც საერთოდ მჩვევია, ყველაზე იაფი ვარიანტი ავირჩიე. მატარებლის დაძვრისთანავე თავში დამკრა, რომ შინ, მაგიდაზე, სებასტიანის წერილი დამრჩა, მის მიერ მოცემული მისამართი კი არ მახსოვდა.

თავი მეოცე

გადაჭედულ კუბეში ბნელოდა, დახუთული ჰაერი იდგა, ყველგან ფეხები მოჩანდა. წვიმის წვეთები შუშებზე სწორად კი არ ჩამოდიოდა, არამედ გაუბედავი ზიგზაგებით, შიგადაშიგ კი გაირინდებოდა ხოლმე. ფანჯარაში მოიისფრო-მოლურჯო ლამპა ირეკლებოდა. მატარებელი ირწეოდა, კვნესით მიაპობდა ღამეს. აბა, რა ერქვა იმ სანატორიუმს? „მ“-ზე იწყებოდა. „მ“-ზე იწყებოდა. იწყებოდა... აჩქარებით მბრუნავ ბორბლებს რაღაც შეეშალათ, მაგრამ მალე მიაგნეს საჭირო რიტმს. მისამართს, ცხადია, ექიმი სტაროვი მომცემდა. ამიტომ მისთვის ჩასვლისთანავე, სადგურიდანვე უნდა დამერეკა. ძილში წასული მგზავრის მძიმე ფეხსაცმელმა ჩემს წვივებს შორის შეღწევა სცადა, თუმცა შემდეგ ნელ-ნელა უკან დაიხია. რა იგულისხმებოდა სებასტიანის „იმავე სასტუმროში, სადაც ყოველთვის“? პარიზში რამე განსაკუთრებულ ადგილს ვერ ვიხსენებდი, სადაც იგი ჩერდებოდა. დიახ, ექიმ სტაროვს ეცოდინებოდა, სად იყო იგი. მარ... მან... მატ... მქონდა კი საკმარისი დრო? მეზობლის თეძო ჩემსას შეეხო, თანაც ხვრინვის ერთი სახეობა მეორით, უფრო გულის გამანვრილებლით შეიცვალა. მქონდა კი საკმარისი დრო, მივუსწრებდი კი ცოცხალს... მქონდა კი... მივუსწრებდი კი... მქონდა კი... მას ჩემთვის რაღაც უნდა ეთქვა, რაღაც უსაზღვროდ მნიშვნელოვანი. ჩაბნელებული, აქეთ-იქით მოქანავე, გაშხლართული მანეკენებით გაჭედული ვაგონი ჩემი სიზმრის რომელიღაც ნაწილი მეგონა. რას მეტყოდა სიკვდილის წინ? წვიმა

ფანჯარაზე აფურთხებდა, ჟღარუნობდა, ნამცეცა თოვლის ფიფქი კუთხეში მოკალათდა და გადნა. ჩემ პირდაპირ ვილაცამ აუჩქარებლად აამოძრავა ტანი და კიდურები, ქალღმერთი ააშრილა, სიბნელეში ღეჭვა დაიწყო, შემდეგ სიგარეტს მოუკიდა, რომლის ცეცხლიც ციკლოპის თვალივით მომაშტერდა. უნდა მოვასწრო დროულად მისვლა, უნდა მოვასწრო. რატომ არ გავვარდი აეროდრომზე წერილის მიღებისთანავე? ახლა უკვე სებასტიანის გვერდით ვიქნებოდი! ნეტავ რისგან კვდება? კიბოსგან? გულის ანგინისგან, დედამისის მსგავსად? როგორც არცთუ იშვიათად ემართებათ მათ, ვინც ცხოვრების განმავლობაში რელიგიაზე ფიქრით თავს არ იმძიმებს, სასწრაფოდ გავიხსენე ალერსიანი, თბილი, დამწუხრებული ღმერთი და ჩემ მიერ მოგონილი ლოცვა ნავრჩურჩულე: „ღმერთო, დროულად ჩამიყვანე, აცოცხლე ჩემს ჩასვლამდე, შეაძლებინე, რომ თავისი საიდუმლო გამანდოს“. ახლა მხოლოდ თოვდა: ფანჯრის შუშამ თეთრი წვერი მოუშვა. კაცმა, რომელიც იღეჭებოდა და პაპიროსს ეწეოდა, კვლავ დაიძინა. იქნებ ფეხების გაშლა და ტერფებით რამეზე მიყრდნობა მეცადა? ფეხის თითები მეწვოდა, მაგრამ როდესაც ავამოძრავე, დავრწმუნდი, რომ ღამე სულ ძვალი და ტყავი იყო. აზრი არ ჰქონდა კოჭებისა და ნაკუთალებისთვის ხის საყრდენის ძებნას. მარ... მატამარ... მარ... ნეტავ პარიზი შორს იყო? ექიმი სტაროვი. ალექსანდრ ალექსანდროვიჩ სტაროვი. მატარებელი რელსების გადაბმის ადგილებში აკაკუნებდა და მიდასტურებდა — „და-დან, და-დან...“ რომელიღაც უცნობი სადგური. მატარებელი გაჩერდა, მეზობელი კუპედან ხმები გაისმა, ვილაც დაუსრულებელ ამბავს ჰყვებოდა. სადღაც ხმაურით ალებდნენ და ხურავდნენ კარს. დამწუხრებული სახის მგზავრმა ჩვენიც გააღო, მაგრამ დაინახა, რომ აქაც უიმედო ვითარება იყო. უიმედო. *État désespéré*¹. უნდა მოვასწრო. როგორ დიდხანს დგას ხოლმე ეს მატარებელი სადგურებზე. მარჯვნივ მჯდომმა მეზობელმა ამოიხვნეშა და ფანჯრის შუშის განმენდა სცადა, მაგრამ ის კვლავაც დაბინდული დარჩა. ციდან სუსტად

¹ (ფრ.) უიმედო მდგომარეობა.

გამოსჭვივოდა მოყვითალო ანაბზინი. დავიძარით. ზურგი მტკიოდა, ძვლებში თითქოს ტყვია ჩამისხეს. თვალების დახუჭვა და ჩათვლემა ვცადე, მაგრამ ქუთუთოები მცურავი ნახჭების დონეზე მქონდა, სინათლის პატარა გუნდა კი, ინფუზორიის მსგავსად, მარჯვნიდან მარცხნივ მიცურავდა და გამუდმებით ერთსა და იმავე კუთხეში ჩნდებოდა. მასში თითქოს სადგურის ფარნის მოხაზულობა ამოვიცანი, რომელსაც დიდი ხნის წინათ გავცდით. შემდეგ ფერები გაჩნდა. გაზელივით დიდთვალება ვარდისფერი სახე ნელა შემოგრიალდა ჩემკენ, შემდეგ ყვავილებიანი კალათა, შემდეგ სებასტიანის გაუპარსავი ნიკაპი. ველარ გავუძელი ამ ოპტიკურ პალიტრასა და დაუსრულებელ ფრთხილ მანევრს, ბალეტის მოცეკვავის შენელებული კადრით გადაღებულ ნაბიჯებს რომ მაგონებდა, და დერეფანში გავედი. აქ მეტი სინათლე და სიცივე იყო. სიგარეტი გავაბოლე, რწევა-რწევით გავედი ვაგონის ბოლოში, ერთხანს მოგრუხუნე ბინძური ხვრელის თავზე დავდექი, რწევითვე დავბრუნდი უკან და კიდევ ერთი სიგარეტი მოვწიე. ცხოვრებაში ისე შმაგად არაფერი მნდომებია, როგორც ის, რომ სებასტიანი ცოცხალი დამხვედროდა, მისკენ თავი დამეხარა და მისი ნათქვამი მომესმინა. მისი უკანასკნელი წიგნი, ჩემი ამასწინანდელი სიზმარი, მისი წერილის იდუმალება — ამ ყველაფერმა მტკიცედ დამარწმუნა, რომ მის ბაგეებს საოცარი სიტყვები უნდა წარმოეთქვა. თუკი შეძლებდა. თუკი მივუსწრებდი. ფანჯრებს შორის რუკა იყო გაკრული, მაგრამ მას საერთო არაფერი ჰქონდა ჩემი მოგზაურობის მარშრუტთან. შუშაში საკუთარ ბუნდოვან ანარეკლს ვხედავდი. *Il est dangereux... Epericoloso!*¹... თვალებჩანითლებულმა ჯარისკაცმა ჩავლისას გვერდი გამკრა და რამდენიმე წამის განმავლობაში უსიამოვნოდ მჩხვლევდა ხელი, რომელზეც მისი ყოში შემეხო. ძალიან მინდოდა დაბანა. მინდოდა, ეს უხეში სამყარო ჩამომეებანა და სებასტიანს სისუფთავის გრილი აურით გამოვცხადებოდი. ის ყოველივე ამქვეყნი-

¹ „საშიშია“ — ფრანგულად და იტალიურად, ანუ საშიშია ფანჯრიდან თავის გაყოფა (სტანდარტული გაფრთხილება ევროპულ მატარებლებში).

ურს გაემიჯნა და მას ლპობის სუნით ვერ შეურაცხვეყოფდი. ოჰ, არა, მას ცოცხალს მივუსწრებდი. სტაროვი სათქმელს დეპეშაში სხვაგვარად ჩამოაყალიბებდა, დანამდვილებით რომ სცოდნოდა, რომ დამაგვიანდებოდა. დეპეშა შუადღისას მოვიდა. ღმერთო ჩემო, დეპეშა შუადღისას მოვიდა! უკვე თექვსმეტი საათი გავიდა და როდის მივალწევდი მარ... მატ... რამ... რატ... არა, „რ“-ზე კი არა, „მ“-ზე იწყებოდა. წამით სახელწოდების ბუნდოვანი მოხაზულობა დავინახე, მაგრამ მანამ გაქრა, სანამ ხელის ჩავლებას მოვასწრებდი. კიდევ ერთი დაბრკოლება — ფული. სადგურიდან პირდაპირ კანტორაში მომიწევდა წასვლა. ის ახლოს იყო, ბანკი — მოშორებით. ჩემს მრავალ მეგობართაგან ვინ ცხოვრობდა სადგურთან? არავინ — ყველანი ან პასიში იყვნენ, ან პორტ-სენ-კლუსთან — ორი რუსული კვარტალი პარიზში. მესამე სიგარეტი ჩავაქრე და შედარებით თავისუფალი კუპეს ძებნას შევუდექი. საბედნიეროდ, ბარგი არ მქონდა და ძველ ადგილას დაბრუნება არ მჭირდებოდა, მაგრამ მთელი ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი, ჩემს გონებაში უამრავი ფიქრი დაქროდა და სხვა ვაგონებში წონიანი არ მსურდა. არც იმაში ვიყავი დარწმუნებული, ხელის ცეცებით ახალ კუპეში შევედი თუ ძველში: იქაც ყველგან მუხლები, ტერფები, იდაყვები მოჩანდა, შესაძლოა, ჰაერში არ იდგა ისეთი შმორის სუნი. რატომ ერთხელაც არ ჩავაკითხე სებასტიანს ლონდონში? მან ხომ მიმიწვია ერთი-ორჯერ. რატომ გავურბოდი ასე ჯიუტად, თუმცა ყველაზე მაღლა ვაყენებდი? ლენჩები, რომლებიც მის გენიას დასცინოდნენ... განსაკუთრებით ერთი მოხუცი რეგენი — ოჰ, როგორ მინდოდა, მისთვის გამხდარი კისერი მომეგრინა. ჩემ გვერდით აწრიალებული უზარმაზარი მონსტრი მდედრობითი სქესის აღმოჩნდა. აქ ოდეკოლონი ოფლს ებრძოდა, თუმცა ეს უკანასკნელი იმარჯვებდა. მთელ ვაგონში ერთმა სულიერმაც კი არ იცოდა სებასტიან ნაითის არსებობის შესახებ. „დაკარგული ნივთების“ ერთი თავი ძალზე ცუდად გადათარგმნეს „კადრანში“ თუ La Vie Littéraire¹-ში? თუ, სამწუხაროდ, და-

¹ ლიტერატურული ჟურნალები.

ვაგვიანე, ძალიან დავაგვიანე — შესაძლოა, სებასტიანი უკვე მოკვდა, მე კი ამ წყეულ, სასაცილოდ თხელტყავგადაკრულ ვაგონში ვიჯექი, რომელიც ჩემს მონუნუნე საჯდომს შეცდომაში ვერ შეიყვანდა. სწრაფად, თუ შეიძლება, სწრაფად! რატომ ფიქრობთ, რომ ამ სადგურზე გაჩერება ღირს? თანაც ასე დიდხანს? დაიძარით, გზა განვაგრძოთ. აჰა, როგორც იქნა.

თანდათან წყვდიადი ნაცრისფერმა ბინდბუნდმა შეცვალა და ფანჯარაში დათოვლილი სამყარო გამოჩნდა. საშინლად მცოდნა ჩემს თხელ ლაბადაში. თანაკუპელების სახეებიც გამოიკვეთა, თითქოს ფენა-ფენა ჩამოსცილდათ აბლაბუდა და მტვერი. ხელმარცხნივ მჯდომ ქალს თერმოსით ყავა მოჭქონდა და ახლა ის დედობრივი ალერსით დაჰფუსფუსებდა მას. მთელ ტანზე მწებვარებას ვგრძნობდი, გაუპარსაობაც საშინლად არ მსიამოვნებდა. ჩემი წვერით დაფარული ლოყა რამე ატლასისას რომ შეხებოდა, ალბათ, გული წამივიდოდა. ყავისფერ ღრუბლებს შორის ერთი ხორცისფერი იყო, ტრაგიკულად გაუკაცრიელებულ მინდვრებში დნობამეპარული თოვლი მქრქალ ვარდისფრად ანათებდა. მცირე ხნით რკინიგზის ვაკისის გასწვრივ, მატარებლის გვერდით, გზა გაიჭიმა და წამით, სანამ განზე გაუხვევდა, მასზე კაცი გამოჩნდა, რომელიც ველოსიპედს თოვლს, ჭენჭყოსა და გუბეებს შორის დაატარებდა. სად მიდიოდა? ვინ იყო? ამას ვერავინ ვერასდროს გაიგებდა.

ვფიქრობ, დაახლოებით ერთი საათით ჩამთვლიმა — ყოველ შემთხვევაში, შინაგანი მზერის ჩაქრობა მოვახერხე. როდესაც თვალი გავახილე, ჩემი თანამგზავრები უკვე საუბრობდნენ და საჭმელს მიირთმევდნენ. უეცრად ისე ცუდად გავხდი, რომ კუპედან გავედი და მთელი დარჩენილი გზა გადმოსანევე სკამზე გავატარე. თავი ისეთივე ცარიელი მქონდა, როგორიც ის მოჟამული დილა იყო. როგორც გაირკვა, ლამის ქარბუქის თუ სხვა მიზეზის გამო, მატარებელი ძალზე აგვიანებდა. ასე რომ, პარიზში მხოლოდ შუადღის ოთხი საათისთვის ჩავედით. ბაქანზე მიმავალი სიცივისგან

კბილები მიკანკანებდა. წამით იდიოტური სურვილი გამიჩნდა, იმ ორი-სამი ფრანკით, ჯიბეში რომ მიჭყაოდა, რამე მაგარი სპირტიანი სასმელი მეყიდა. ამის ნაცვლად, ტელეფონებისკენ გავემართე. რბილი, გაქონილი ცნობარი გადავშალე და ექიმ სტაროვის ნომრის ძებნას შევუდექი. ვცდილობდი, უკუმეგდო ფიქრი, რომ ახლა გავიგებდი, ცოცხალი იყო თუ არა სებასტიანი. სტარკაუსი, ტყავი, ტყავის ნაწარმი; სტარლეი, ჟონგლიორი, იუმორისტი; სტაროვი... აჰა, აი, ისიც: ჟასმინი 61-93. რამდენიმე ჩვეულებრივი კომმარული მანიპულაცია ჩავატარე და შუაგზაზე ნომერი დამავიწყდა. კვლავ შევებრძოლე წიგნს, კვლავ ავკრიფე ნომერი და დიდხანს ვუსმენდი ავის მომასწავებელ ტონალურ სიგნალებს. ერთი წუთის განმავლობაში გაუნძრევლად ვიჯექი; უეცრად ვილაცამ კარი გამოაღო, გაბრაზებულმა რაღაც ჩაიბურტყუნა და წავიდა. დისკო ტრიალებდა და ტრიალებდა, ტკაცუნობდა, უკან ბრუნდებოდა — ხუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ, შემდეგ კვლავ ის საძაგელი ზუმერი ისმოდა: დონ-ნ. დონ-ნ, დონ-ნ... ასე რატომ არ მიმართლებდა? „დაამთავრეთ?“ — მკითხა იმავე გაბრაზებულმა, ხანში შესულმა, ბულდოგის-სახიანმა კაცმა. ნერვები წკიპზე მქონდა, რის გამოც იმ საზიზღარ კაცს წავეჩხუბე. ამ დროს, საბედნიეროდ, გვერდით მდებარე ჯიხური გათავისუფლდა და იქ შევიდა. კვლავ და კვლავ ვკრეფდი ნომერს. ბოლოს, როგორც იქნა, შემაერთეს. ქალის ხმამ მიპასუხა, რომ ექიმი შინ არ იყო, მაგრამ ექვსის ნახევრისთვის იქნებოდა, და ტელეფონის ნომერიც მომცა. როდესაც ოფისში მივედი, მაშინვე შევამჩნიე, რომ ჩემმა გამოჩენამ ერთგვარი გაოცება გამოიწვია. უფროსს დეპეშა ვაჩვენე, მაგრამ მან მოსალოდნელზე ნაკლები თანაგრძნობა გამოხატა. რამდენიმე რთული შეკითხვაც დამისვა მარსელში საქმეების მიმდინარეობის შესახებ. ბოლოს ჩემთვის საჭირო ფული ავიღე და მგზავრობის საფასური გადავუხადე ტაქსის მძღოლს, რომელიც შესასვლელთან მელოდებოდა. ხუთს ოცი აკლდა, მაშასადამე, კიდევ თითქმის ერთი საათი მქონდა.

ჯერ გასაპარსად წავედი, შემდეგ კი სწრაფად ვისაუბმე. ექვსის ოცდახუთ წუთზე იმ ნომერზე დავრეკე, რომელიც მომცეს, და შევიტყვე, რომ ექიმი შინ წასულიყო და თხუთმეტ წუთში დაბრუნდებოდა. ლოდინის თავი არ მქონდა, ამიტომ მისი სახლის ნომერი ავკრიფე. ქალის უკვე ნაცნობმა ხმამ მიპასუხა, ახლახან წავიდაო. კედელს მივეყრდენი (ამჯერად ჯიხური კაფეში იყო) და ფანქარი მივაკაკუნე. ნუთუ სებასტიანამდე ვერაფრით მივალწევდი? ნეტავ რომელმა უსაქმურმა ყეყეჩებმა დატოვეს კედელზე წარწერა „სიკვდილი ურიებს“, Vive le front populaire¹ და ეს უხამსი ნახატები? რომელიღაც უცნობ მხატვარს კვადრატების დატუშვა დაეწყო და ჭადრაკის დაფის მსგავსი გამოდიოდა, ein Schachbrett, un damier²... ამ დროს გონება გამინათდა და სიტყვაც ენის წვერზე დამიჯდა: სენ-დემიე! ქუჩაში გავვარდი და ტაქსი გავაჩერე. წამიყვანდა თუ არა სენ-დემიეში, სადაც უნდა ყოფილიყო ის? მძლოლმა აუჩქარებლად გაშალა რუკა და შესწავლას შეუდგა. შემდეგ მითხრა, რომ იქ ჩასვლას ორი საათი მაინც მოუნდებოდა, თანაც მოლიპულ გზებზე უნდა ევლოთ. ვკითხე, ხომ არ ფიქრობდა, რომ მატარებლით უფრო ჩქარა ჩავიდოდი. არ იცოდა.

— კარგი, ოღონდ სწრაფად იარეთ, — ვუთხარი მე და ავტომობილში ჩავჯექი, რა დროსაც შლაპა მომიძვრა.

პარიზიდან დიდხანს ვერ გავალწიეთ. გზაზე უამრავი დაბრკოლება გადაგველობა. ცხოვრებაში არაფერს გამოუნვევია ჩემში ისეთი სიძულვილი, როგორც რომელიღაც გზაჯვარედინზე პოლიციელის მოძრაობის დასარეგულირებლად აღმართულმა ხელმა გამოიწვია. როგორც იქნა, მანქანების საცობს თავი დავალწიეთ და გრძელ და ჩაბნელებულ ხეივანში აღმოვჩნდით. საკმარისად სწრაფად მაინც ვერ მივდიოდით. გამყოფი შუშა ჩამოვუშვი და მძლოლს სიჩქარის მომატება ვთხოვე. მიპასუხა, გზა მოლიპულიაო — ერთი-ორჯერ მანქანა მართლა მოცურდა. ერთსაათიანი ამგვარი მგზავრობის შემდეგ იგი შეჩერდა და ველოსიპედზე შემომჯდარ პოლიცი-

¹ (ფრ.) გაუმარჯოს სახალხო ფრონტს.

² ჭადრაკის დაფა გერმანულად და ფრანგულად.

ელს გზის გაგნებაში დახმარება სთხოვა. ისინი დიდხანს ათვალიერებდნენ მის რუკას. ბოლოს მძლოლმა თავისი ამოილო და ისინი ერთმანეთს შეადარეს. როგორც გაირკვა, სადღაც იქ არ შეგვიხვევია, სადაც საჭირო იყო, და ერთი-ორი მილით უკან დაბრუნება მოგვიხდა. კვლავ მივუკაკუნე მძლოლს — კი არ მივდიოდით, მივბობლავდით. თავი ისე დამიქნია, არც შემობრუნებულა. საათს დავხედე: შვიდი ხდებოდა. ავტოგასამართ სადგურზე გავჩერდით, სადაც მძლოლმა გულითადი საუბარი გაუბა მექანიკოსს. არ ვიცოდი, სად ვიყავით, თუმცა, ვინაიდან გზა უზარმაზარ მინდვრებს შორის გადიოდა, ვიმედოვნებდი, რომ მიზანს ვუახლოვდებოდით. წვიმა კი შუშებს ასხამდა და ასხამდა. როდესაც ერთხელაც მივმართე მძლოლს და ვთხოვე, ცოტა მაინც აჩქარებულყო, თავი ველარ შეიკავა და უხეშად მიპასუხა. სავარძლის საზურგეს მივეყრდენი. უმწეობასა და ერთგვარ გაშეშებას ვგრძნობდი. ბუნდოვნად განათებული ფანჯრები გამოკრთა. მივალწევდი კი სებასტიანამდე? მივუსწრებდი თუ არა ცოცხალს, თუ სენ-დემიეში ჩასვლა მეღირსებოდა? ერთი-ორჯერ სხვა მანქანებმა გადაგვასწრეს და ჩემი მძლოლის ყურადღება მათ სიჩქარეზე გავამახვილე. არაფერი უპასუხია, მაგრამ უეცრად მანქანა გააჩერა და მკვეთრი მოძრაობით თავისი სულელური რუკა გაშალა. დავინტერესდი, კიდევ ხომ არ აებნა გზა. ის დუმდა, მაგრამ გაქონილი კისერი კი ბოროტად ულაპლაპებდა. გზა განვაგრძეთ. კმაყოფილებით შევნიშნე, რომ ამჯერად ცქვიტად მიდიოდა. რკინიგზის ხიდის ქვეშ გავძვერით და სადგურთან გავჩერდით. ის იყო გავიფიქრე, როგორც იქნა, სენ-დემიეში ვართ-მეთქი, რომ მძლოლი მანქანიდან გადავიდა და ჩემი კარი გამოალო.

— ახლა რა მოხდა? — ვკითხე მე.

— მაინც მატარებლით მოგიწევთ წასვლა, — მითხრა მან, — თქვენ გამო მანქანის დამტვრევას არ ვაპირებ. ეს სენ-დემიეს ხაზია და მადლობა თქვით, რომ აქამდე მოგიყვანეთ.

იმაზე მეტად გამიძარტლა, ვიდრე მას ეგონა, რადგან აღმოჩნდა, რომ მატარებელი წუთი წუთზე შემოვიდოდა. დარაჯი თავს დებდა, რომ ცხრა საათისთვის სენ-დემიეში ვიქნებოდით.

ჩემი მოგზაურობის ბოლო სტადია ყველაზე ბნელი გამოდგა. ვაგონში მარტო ვიყავი. უცნაური აპათია დამეუფლა. მოუთმენლობის მიუხედავად, საშინლად მეშინოდა, ჩემი სადგური არ გამომრჩენოდა. მატარებელი ხშირად ჩერდებოდა და ყოველ ჯერზე წვალებით მიხდებოდა სადგურის სახელწოდების გაგება. ერთ მომენტში თავი საზიზღრად ვიგრძენი, როდესაც გავაცნობიერე, რომ ღრმა ძილის შემდეგ გამოვფხიზლდი, რომელიც ვინ იცის, რამდენ ხანი გაგრძელდა. საათს დავხედე. ათის თხუთმეტი წუთი იყო. წუთუ გავცდი? უკვე მუხრუჭის ბერკეტის გადმონევას ვაპირებდი, როდესაც მატარებელმა სვლა შეანელა. ფანჯარაში თავი გავყავი და განათებული წარწერა დავინახე, რომელიც ოდნავ გაგვცდა და გაჩერდა: სენ-დემიე.

თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბორძიკ-ბორძიკით დავბორიალებდი ჩაბნელებულ ქუჩებში, შრიალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პატარა ნაძვნარიც გავიარე და ზუსტად სენ-დემიეს საავადმყოფოსთან ამოვყავი თავი. კარს უკან ფლატუნი და ქმინვა გაისმა და შიგნით მსუქანმა მოხუცმა კაცმა შემიშვა, რომელსაც პიჯაკის ნაცვლად სქელი ნაცრისფერი სვიტერი ეცვა, ფეხებზე კი ქერის ფლოსტები წამოეცვა. კანცელარიის მსგავს ოთახში აღმოვჩნდი. იქაურობას სუსტად ანათებდა ერთი მხრიდან მტვრით დაფარული, სუსტი ვარვარების შიშველი ელექტრული ნათურა. შეშუპებულ სახეზე ძილის დროს გამოყოფილი ლორწო უბრწყინავდა, რატომღაც ჩურჩულით დაველაპარაკე.

— მესიე სებასტიან ნაითის სანახავად მოვედი, — ვთქვი მე, — ასო-ასო: k, n, i, g, h, t. Knight. Night¹.

მან უცნაური ხმა გამოსცა და მძიმედ მიუჯდა ნათურის ქვეშ მდგარ სანერ მაგიდას.

— მნახველებისთვის დაგვიანებულია, — ჩაიბურტყუნა ისე, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

— დეპეშა მივიღე, — ვუთხარი მე, — ჩემი ძმა მძიმედაა ავად.

¹ *Knight* (რაინდი; მხედარი — ჭადრაკში) და *Night* (ღამე) ინგლისურად ერთნაირად გამოითქმის: ნაით.

როდესაც ამას ვამბობდი, ვიგრძენი — ვცდილობდი, საქმე ისე წარმომეჩინა, თითქოს ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ სებასტიანი ჯერაც ცოცხალი იყო.

— რა გვარი თქვით? — მკითხა მან ხვნეშით.

— ნაითი, — გავუმეორე მე, — „K“-თი იწყება. ეს ინგლისური გვარია.

— უცხოური გვარები ყოველთვის ციფრებით უნდა შეიცვალოს, — ჩაიბუზლუნა მან, — მაშინ უფრო გაადვილდება... გუშინ აქ ერთი ავადმყოფი მოკვდა, მისი გვარი კი...

თავში საშინელმა აზრმა გამიელვა — რომ ის სებასტიანზე ლაპარაკობდა... ნუთუ მაინც დავაგვიანე?

— იმის თქმა გსურთ... — დავინწყე მე, მაგრამ მან თავი გადააქნია და მაგიდაზე დადებული სარეგისტრაციო წიგნის ფურცვლა განაგრძო.

— არა, — წარმოთქვა კვლავ ბუზლუნით, — მესიე ინგლისელი არ მომკვდარა. K, K, K...

— K, n, i, g... — დავინწყე ხელმეორედ.

— C'est bon, c'est bon¹, — გამაწყვეტინა მან, — K, n, K, g... n... იდიოტი არა ვარ, რომ იცოდეთ. ნომერი ოცდათექვსმეტი.

მან ზარი დარეკა, დაამთქნარა და სავარძელზე გადაწვა. ბოლთის ცემას შევუდექი, დაუოკებელი მოუთმენლობისგან ერთიანად ვკანკალებდი. ბოლოს მედდა შემოვიდა. ღამის პორტიემ ჩემზე მიუთითა და უთხრა:

— ნომერი ოცდათექვსმეტი.

ქალს უკან გავყევი თეთრ დერეფანში, შემდეგ პატარა კიბით ზევით ავედი.

— როგორ არის? — ვკითხე მას, რადგან მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

— არ ვიცი, — მითხრა მან და მეორე მედდასთან მიმიყვანა, რომელიც სხვა, ზუსტად პირველის მსგავსი თეთრი დერეფნის ბოლოში მდგარ მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— მნახველი ოცდამეთექვსმეტესთან, — უთხრა ჩემმა გამცილებელმა და მაშინვე უხმაუროდ გაბრუნდა უკან.

¹ (ფრ.) კარგი, კარგი.

— მაგრამ მესიე ინგლისელს სძინავს, — თქვა მედდამ, ახალგაზრდა მრგვალსახიანმა ქალმა. თვალში მომხვდა, რომ ძალიან პატარა და ძალზე მბრწყინავი ცხვირი ჰქონდა.

— უკეთ არის? — ვკითხე მოუთმენლად, — მე მისი ძმა ვარ, აი, დეპეშა მივიღე...

— მგონი, ცოტა უკეთაა, — მიპასუხა მედდამ ღიმილით. ასეთი მომხიბლავი ღიმილი არასდროს მენახა, — გუშინ დილით გულის მძიმე, ძალიან მძიმე შეტევა ჰქონდა, ახლა კი სძინავს.

— მომისმინეთ, — ვუთხარი და ათ-თუ ოცფრანკიანი მონეტა გავუწოდე, — ხვალ კიდევ მოვალ, მაგრამ მინდა, რომ მის პალატაში შევიდე და იქ ცოტა ხანი დავყო.

— მისი გაღვიძება არ შეიძლება, — მომიგო მან და კვლავ გაიღიმა.

— არ გავაღვიძებ. მხოლოდ ვიჯდები მის გვერდით, ისიც ორიოდე წუთით.

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, — თქვა ქალმა, — ცხადია, შეგიძლიათ, შეიხედოთ, ოღონდ ძალიან ფრთხილად.

მან ოცდამეთექვსმეტე პალატის კართან მიმიყვანა და ჩვენ პატარა, საკუჭნაოს მსგავს ოთახში შევედით, სადაც დივანი იდგა. მედდამ შიგა კარი შეაღო, რომელიც ოდნავ ღია იყო, და ბნელ ოთახში შევიხედე. თავდაპირველად მხოლოდ საკუთარი გულის ბაგაბუგი მესმოდა, შემდეგ კი სწრაფი, ჩუმი სუნთქვაც გავარჩიე. თვალი დავძაბე. სანოლის ნახევარს შირმა ფარავდა, თუმცა ისედაც ბნელოდა საიმისოდ, რომ სებასტიანი გამერჩია.

— კარგი, — ჩამჩურჩულა მედდამ, — კარს ღიას დავტოვებ, თქვენ კი შეგიძლიათ, დივანზე ჩამოჯდეთ.

მან ლურჯაბაჟურიანი ლამპა აანთო და მარტო დამტოვა. სულელური სურვილი გამიჩნდა, რომ ჯიბიდან პორტსიგარი ამომეღო. ხელები ჯერაც მიცახცახებდა, მაგრამ ბედნიერი ვიყავი. სებასტიანი ცოცხალი იყო. მას მშვიდად ეძინა. მაშასადამე, გული? გულმა უღალატა... როგორც დედამისს. იგი უკეთაა, იმედიც არსებობს. მსოფლიოს საუკეთესო კარდიოლო-

გებს ჩამოვიყვან, ისინი გადაარჩენენ. მეზობელ ოთახში მისი ყოფნა, სუნთქვა, რომელიც ჩემამდე ძლივს აღწევდა, უსაფრთხოებისა და მშვიდობის განცდას მიღვივებდა, საოცარ შვებას მგვრიდა. ვიჯექი, ვუსმენდი, თითებს ერთმანეთს ვაჭდობდი და წარსულ წლებზე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ, როგორც კი ჩემს მოსმენას შეძლებდა, ვეტყოდი, მოგწონს თუ არა, ამიერიდან ყოველთვის შენს სიახლოვეს ვიქნები-მეთქი. ჩემი უცნაური სიზმარი, იმის რწმენა, რომ სებასტიანი სიკვდილის წინ რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის ჭეშმარიტებას გამანდობდა, ეს ყველაფერი ახლა ბუნდოვან აბსტრაქციად მეჩვენებოდა, რომელიც უფრო მარტივი, უფრო ადამიანური განცდების თბილ ნაკადს შეერია, იმ სიყვარულის ტალღებში ჩაიძირა, შეღებული კარის მიღმა მწოლიარე კაცის მიმართ რომ ვგრძნობდი. ასე როგორ დავშორდით ერთმანეთს? რატომ ვიყავი ასეთი სულელი, ასეთი წარბშეკრული, ასეთი გაუბედავი პარიზში ჩვენი ხანმოკლე შეხვედრების დროს? მალე წავიდოდი და ღამეს სასტუმროში გავათევდი, მაგრამ იქნებ საავადმყოფოში გამოეყოთ ჩემთვის ოთახი იმ დრომდე, როდესაც მის ნახვას შევძლებდი? უეცრად მომეჩვენა, რომ მძინარის სუნთქვის რიტმი შეწყდა, რომ მან გაიღვიძა და პირი გააწკლაპუნა, შემდეგ კი კვლავ ძილს მისცა თავი: რიტმი აღუდგა, მაგრამ ისე ჩუმად სუნთქავდა, რომ საკუთარისგან ვერ ვარჩევდი. ვიჯექი და ვუსმენდი. ოჰ, მას ყველაფერს მოვუყვებოდი, დაველაპარაკებოდი „პრიზმის ნახნაგის“, „წარმატების“, „მხიარული მთის“, „ალბინოსი შავებშის“, „მთვარის უკანა მხარის“, „დაკარგული ნივთების“, „საეჭვო ასფოდელოს“ შესახებ — ყველა ეს წიგნი ისე კარგად ვიცოდი, თითქოს ჩემი დანერგული იყო. თვითონაც მომიყვებოდა. ეს შეღებული კარი ერთმანეთთან ყველაზე უკეთ გვაკავშირებდა. ეს ჩემი სუნთქვა სებასტიანის შესახებ იმ ყველაფერზე მეტს მეუბნებოდა, ვიდრე აქამდე ვიცოდი. მოწევა რომ შემძლებოდა, აბსოლუტურად ბედნიერი ვიქნებოდი. ოდნავ მოვინაცვლე ადგილი დივანზე. მასში ზამბარამ გაიტკაცუნა. შემეშინდა, ძილი არ დავუფრთხო-მეთქი, მაგრამ არა — ხმა კვლავ ძლივს გასაგო-

ნად ისმოდა, ვინრო ბილიკს მიუყვებოდა, რომელიც თითქოს დროის კიდეზე დადიოდა, ხან ღარტაფში ჩაიმალებოდა, ხან გამოჩნდებოდა: თანაბარი ნაბიჯებით გადაკვეთდა სიჩუმის სიმბოლოების — სიბნელის, შტორების, ჩემს იდაყვთან ლურჯი შუქის — მიერ შექმნილ ადგილს.

ბოლოს ავდექი და დერეფანში ფეხაკრეფით გავედი.

— ვიმედოვნებ, არ შეგინუხებიათ, — მითხრა მედდამ, — ძილი მისთვის სასარგებლოა.

— მითხარით, როდის მოვა ექიმი სტაროვი? — ვკითხე მე.

— ვინ? — ჩამეკითხა იგი, — აჰ, რუსი ექიმი. Non, c'est le docteur Guinet qui le soigne¹. ხვალ დილით მოვა და მაშინ ნახავთ.

— ვიფიქრე, იქნებ ღამე საღამე აქ გავათიო-მეთქი, — ვთქვი მე, — როგორ ფიქრობთ, ხომ არ შემიძლია...

— თქვენ შეგიძლიათ, ახლავე ნახოთ ექიმი გინე, — განაგრძო მედდამ სასიამოვნო, ჩუმი ხმით, — ის აქვე, სულ ახლოს ცხოვრობს. მაშ, მისი ძმა ხართ? ხვალ კი ინგლისიდან დედამისი ჩამოვა, n'est-ce pas²?

— არა, არა, — ვუთხარი მას, — დედამისი დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა. მითხარით, დღის განმავლობაში როგორ გრძნობს თავს — ლაპარაკი თუ შეუძლია? ძალიან იტანჯება?

ქალმა შუბლი შეიჭმუხნა და გაოცებით შემომხედა.

— მაგრამ, — თქვა მან, — ვერაფერი გამიგია... მითხარით, გეთაყვა, თქვენ რა გქვიათ?

— დიახ, მართალია, თავიდანვე უნდა ამეხსნა, — ვუთხარი მე, — ჩვენ ნახევარძმები ვართ. მე მქვია... (საკუთარი გვარი დავუსახელე.)

— ღმერთო ჩემო! — შესძახა მედდამ და სახე წამოუჭარხალდა, — Mon Dieu³! რუსი ჯენტლმენი გუშინ გარდაიცვალა, თქვენ კი მესიე კიგანთან იყავით...

ასე რომ, სებასტიანი მაინც ვერ ვნახე — ყოველ შემთხვევაში, ცოცხალი. მაგრამ ავადმყოფის საწოლთან გატარებულმა იმ რამდენიმე წუთმა, როდესაც სუნთქვას ვისმენდი, რომე-

¹ (ფრ.) არა, მას ექიმი გინე მკურნალობს.

² (ფრ.) ასე არ არის?

³ (ფრ.) ღმერთო ჩემო.

ლიც მისი სუნთქვა მეგონა, ისე შეცვალა ჩემი ცხოვრება, როგორც შეიცვლებოდა, სებასტიანი მართლა რომ დამლაპარაკებოდა სიკვდილის წინ. არ ვიცი, რა საიდუმლო ჰქონდა მას, თუმცა ერთი საიდუმლო თვითონ გავიგე, კერძოდ, ის, რომ სული უცვლელი მდგომარეობა კი არ არის, მხოლოდ ყოფიერების სახეა, და რომ ნებისმიერი სული შენი იქნება, თუ მისი რხევების სიხშირეს მიაგნებ და მოერგები. საიქიო, შესაძლოა, სრულად გამოვლენილი უნარია, შეგნებულად იცხოვრო ნებისმიერად არჩეულ სულში, ნებისმიერი რაოდენობის სულში, რომლებიც ამ ურთიერთჩანაცვლების ტვირთს ვერ აცნობიერებენ. ამიტომაც: მე სებასტიან ნაითი ვარ. მე თითქოს მის როლს ვასრულებდი განათებულ სცენაზე, სადაც ის ადამიანები დადიოდნენ, რომლებსაც იგი იცნობდა — მისი რამდენიმე მეგობრის ძნელად გასარჩევი ფიგურები: ფილოლოგის, პოეტის, მხატვრის. ისინი ჯეროვნად აფასებენ მას — უხმაუროდ, ნარნარად, გრაციოზულად. აი, გუდმენიც, ბრტყელტერფა ოინბაზი ჟილეტიდან ამოჩრილი გულისპირით; აგერ კლერის დახრილი თავი ანათებს მქრქალად — აცრემლებული მეგობარს გაჰყავს სცენიდან. ისინი სებასტიანის გარშემო დადიან — ჩემ გარშემო, რომელშიც მის როლს ვთამაშობ. მოხუცი მეფოკუსე დამალულ კურდღელთან ერთად კულისებში ელოდება სცენაზე გასვლის რიგს. ნინა სცენის მკვეთრად განათებულ კიდეზე მდგარ მაგიდასთან ზის, დახატული პალმის ქვეშ. ხელში ფუქსინის¹ წყლით სავსე ბოკალი უჭირავს, მაგრამ აი, მასკარადი დასასრულს უახლოვდება. პატარა მელოტი სუფლიორი წიგნს ხურავს და შუქი ნელ-ნელა ქრება. დასასრული, დასასრული. ყველა ყოველდღიურ ცხოვრებას უბრუნდება (კლერი თავის სამარეში ჩადის), მაგრამ გმირი რჩება, ვინაიდან, როგორც უნდა მოვინდომო, ჩემი როლიდან ვერ გამოვდივარ: სებასტიანის ნილაბი სახეზე მიმეკრო და ამ მსგავსებას ვერაფერი ჩამოჰბანს. მე სებასტიანი ვარ, ან სებასტიანია თავისი ნახევარძმა, ანუ მე. ან იქნებ ორივენი ვილაც სხვა ვართ, ის, ვისაც არც ის იცნობს და არც მე.

¹ ფუქსინი (მარილმჟავა როზანილინი) — ერთ-ერთი პირველი სინთეტიკური საღებავი.



მ ს ო ფ დ ი ო
ლიტერატურის
ა ხ ა დ ი
თარგმანები

სარიის წიგნები

ერიკ-ემანუელ შმიტი - ოსტენდელი მეოცნებე

მიშელ როსტენი - შვილი

მერილინ რობინსონი - მშობლიური კერა

ჩარლზ ბუკოვსკი - მაკულატურა

ლორენ ვაისბერგერი - ეშმაკს აცვია პრადა

გიომ მიუსო - და შემდეგ...

დონ დელილო - კაცი, რომელიც ვარდება

ელიზაბეტ ჯილბერტი - ჭამე, ილოცე, შეიყვარე

მიშელ ბიუტორი - საფეხურები

ენდრიუ მილერი - ტკივილის წყურვილი

ჯორჯ ორუელი - პატივი კატალონიას

ფრედერიკ ბეგბედერი - მიშველე! - ბოდიში...

ერიხ მარია რემარკი - ლისაბონის ღამე

ფრედერიკ ბეგბედერი - უნა & სელინჯერი

ლუის ბეგლი - ომისდროინდელი სიცრუეები